წელიწადი პირველი.

№ 1.

განმიარდი.

ეროვნულთვიური საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერა-
ტურული ჟურნალი.

იანვარი 1913 წ.

რედაქტორ-გამომცემელი:
მღ. ს. მჯედლიძე.

სტამბა „ძმობა“ ქუთაისში კაზაკოვის ქ. № 17.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. იესო ქრისტე საკვირველება ისტორიისა, თხ. ფ. შაფ-ფისა, თარ. ა. ბ. გვ. 3-39.

2) მეფე სოლომონ დიდი და ხრესილის ომი (პოემა) რ. საჯავახოელისა, 40-55.

3. წმ. ედუკია (მოთხრობა). თარგ, 56-76.

4. ქრისტეს კვალზე თარგ. რუსულით მღ. იოანე ლუ-კიანოვისა. 77-106.

5. მზეთუნახავი გულ. მოთხრობა სოფ. მგალობლი-შვილისა. 107-139.

6. მოკლე საუბარი ჰიგიენიდან ექ. ე. ლოსაბერიძისა. 140-157.

7. შინაური მიმოხილვა. ხომლელისა. 158-170.

8. უცხოეთის მიმოხილვა გულკეთილისა. 171-183.

9. პასუხი კანონისტ პრ. ალმაზოვს და ბერდნიკოვს. პრ. ა. კაგარელისა. 184-213.

10. სამღვდელოება და მეურნეობა. ხუციძისა. 214-221.

11. იმერეთი 1650 წ. მღ. მელ. კელენჯერიძისა. 222-244.

12. ბიჭვინტის სიგელ-გუჯრები. თ. ჟორდანიასი. 245-274.

13. განმარტება სახარებისა. 1-16. ა. ბ.

წელიწადი პირველი.

იანვარი 1913 წ.

განთიადი,

ყოველთვიური საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი.

წიგნი პირველი.

5248

მღ. სვ. მჭედლიძის რედაქტორობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ალ. ი. ბრიშამგელის
სახელობის
ბიბლიოთეკა-ბიბლიოგრ.
ინსტ.

ქუთაისი.
სტამბა „ძმობა“, კაზაკოვის ქუჩა № 17.
1913 წ.

ბა მხოლოდ იესოს უტკბილესი სახელით. მთელი შენობა ქრისტიანობისა სდგას და ირღვევა თვის დამაარსებელ ღმერთკაცთან ერთად და თუ ის არაოდეს არ დაირღვევა, მხოლოდ მიტომ, რომ „ქრისტე ერთ არს გუშინ, დღეს და იგივე უკუნისამდე“.

მიზანი ამ თხზულებისა, რომელიც მიმართულია გადასაწყვეტად ჩვენი დროის საკითხისა ქრისტეს პიროვნების შესახებ, მდგომარეობს იმაში, რომ უჩვენოს, რომ პიროვნება იესო ქრისტესი, როგორც უუდიადესი შუაგული საკვირველება ისტორიისა, არის უძლიერესი სიმტკიცე ქრისტიანობისთვის და რომ მისმა სრულმა კაცობამ ცოდვილ ქვეყნის შორის მიუცილებლად უნდა მიგვიყვანოს ჩვენ მისი ღვთაების ცნობამდე. უსრულესი გიება მაში (იესოში) ღვთაებისა, არის ერთად ერთი კმასაყოფელი ახსნა მისი სასწაულებრივი ხასიათის გამოცანებისა.

იესოს საკვირველი პიროვნებისაგან, როგორც აუცილებელი შედეგი, გამომდინარეობენ მისნი საკვირველნი საქმენი. ქრისტეს იმ გვარადვე ადვილად უნდა მოეხდინა სასწაულები, როგორც ჩვეულებრივი კაცი ადვილად ასრულებს თავის ჩვეულებრივ საქმეებს,—ამის წინააღმდეგი მოქმედება არაბუნებრივი იქნებოდა. ხე ნამყოფისაგან იცნობება. „გრწმენინ ჩემი, რამეთუ მე მამისათანა ვარ და მამა ჩემთანა; უკეთუ არა, საქმეთა ჩემთაგან გრწმენინ ჩემი“ (იოანე 14, 10, შეადარე 10, 37). მე მრწამს ქრისტე, მაშასადამე, მე მრწამს საღვთოწერილი და ქრისტეს ყველა სასწაულებრივნი სიტყვანი და საქმენი.

ამ საფუძველზე დამყარებული, მე ვგრძნობ ჩემ თავს უშიშრად და უზრუნველ-ყოფილად ურწმუნოების ყველა თავდასხმისაგან. პიროვნება ქრისტესი არის ჩემთვის უუდიადესი და უუცხადესი საგანი ყველა სხვა ნამდვილ საგანთაგან. ქრისტეს არსებობაში მე უფრო მეტად დარწმუნებული ვარ, ვიდრე საკუთარ ყოფნაში, ვინაიდან (ქრისტე იმყოფება ჩემში,)

ცხოველ არს ჩემთანა ქრისტე (გალ. 2, 20) და შეადგენს ჩემი არსების უუძვირფასეს ნაწილს. უჩემმაცხოვროდ მე არა რა ვარ, მასთან ერთად კი ყველაფერი ვარ, და არ შემიძლია გავსცე იგი ათას ქვეყნადაც. ვისაც არა სწამს ქრისტე, მას უკვე დაუკარგავს რწმენა კაცობრიობისადმი.

ფრიად სამწუხაროა, რომ ის თანამედროვე ღვთისმეტყველებიც კი, რომლებისგანაც უკეთესს მოველოდით, იმდენად გაუტაცნია უარყოფის სულს, რომ სურთ შეჰქმნან სახე იესოსი, როგორც კაცისა, შლეერმახერისა და სოცინიანთა მსგავსად; წინააღმდეგ პავლე და იოანე მოციქულებისა ისინი უარყოფენ იესოს წინასაუკუნეთა გიებას, და მის ღვთაებრიობას ამცირებენ იქამდის, რომ ვითომ თვით იესო კი არ იყო ღმერთი, ღმერთი ცხოვრობდა იესოში, ან გამოჰყავთ იგი (ღვთაებრიობა), როგორც თანდისთანობითი გაღვთაებრივება კაც იესოსი. მაგრამ ქრისტეს მარადისობის უარყოფასთან ეცემა განხორციელება სიტყვის, ეს ძველი (1 ინ. 42, 3) და ძირითადი წევრი ეკლესიის რწმენისა, ირღვევა საოცარი საქმე ქვეყნად გადმოსული ღვთის სიყვარულისა,—ეს უუხვესი წყარო ნუგეშისა ცოდვილთათვის. პირველად ყოვლისა, ჩვენ გვესაჭიროება ღმერთი, რომელმაც დაიმდაბლა თავი თვისი კაცობამდე და არა ჩვეულებრივი კაცი, ამაღლებული გაღმერთებამდე. არა სწამთ ისიც, რომ ქალკიდონის დიდებულ მსოფლიო კრებას, რომელმაც დაამტკიცა დოღმა ღვთის ძის განხორციელებაზედ, ასე ადვილად შეეძლო აეცილებინა თავიდან და მართლაც აიცილა ერეტიკული უკიდურესობანი. რასაკვირველია, მას არ აუხსნია ფსიხოლოგიურად არსება ან თვით პროცესი განკაცების საიდუმლობისა; მაგრამ მას არც მონდომებია ამისი ახსნა, არამედ დაკმაყოფილდა იმ შედეგის უბრალო დამტკიცებით, რომელსაც მან მიაღწია საეკლესიო დოღმატიკისა და კაცთა სარწმუნოებისათვის. ბეცნიერულმა ღვთისმეტყველებამ ხელახლა უნდა აღძრას ეს საკითხი და, რავდენადაც შეეძლება, განმარტოს იგი შესაგნებად აწინდე-

ლი დროისა; უფრო კი, მან უნდა აზრიანად შეიგნოს ქრისტეს ნამდვილი. კაცობრივი განვითარება. ამითი კიდეე არ ბოლოვდება მიზანი ღვთისმეტყველებისა, მან უნდა ხელახლა განიხილოს ღვთაება იესო ქრისტესი და მასში ორი ბუნების შეერთების სახე. მაგრამ ყოველგვარ გამოკვლევათა შემდეგ მან უთუოდ უნდა მოიხაროს ქედი წინაშე დიდი საიდუმლოისა: „ᲓᲛᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ“, და სიმდაბლით აღიაროს, „რომ ეს საიდუმლოება არის ᲫᲠᲐ საქმე იმოდენად კრიტიკული გამოკვლევისა, რავდენადაც საგანი კრძალულებისა და საქმე წმიდა რწმენისა და ცხოვრებისა. ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ღვთისმეტყველება არის და დარჩება ყოველთვის მეორედ შობილთა ღვთისმეტყველებად, რომელსაც საფუძვლად უნდა ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ღვთის სიტყვა და ცოდვიანობის შეგნება, საჭიროება გამოსყიდვისა, რომელიც აღწევს სასურველ შედეგს არა იმდენად გონების გამჭვრეტელობისა და კრიტიკის საშუალებით, რავდენადაც ლოცვისა, გულისხმიერებისა და კრძალვით გამოკვლევის შეოხებით.

ამ თხზულების ბოლოში დართული „კრებული ურწმუნო პირთა მოწმობებისა“ ქრისტეს ზნეობრივ სისრულეზე; ჩემი შეგნებით, პირველი ცდაა და ამიტომ არ არის სრული. მაგრამ ყველა ჩვენი ნაწარმოები მაინც ხომ ნაწყვეტებია.

ურწმუნოებს იშვიათად დააჯერებ საბუთებით, რადგანაც ურწმუნოების წყარონი მეტ ნაწილად გულში არიან, ვიდრე თავში. მაგრამ პატიოსანნი მკვლევარნი და დარბაისელნი სკეპტიკნი, როგორც მაგ. ნათანაილი და თომა, რომელთაც უყვარდა სიმართლე და ეძიებდნენ მხოლოდ შემთხვევას განემტკიცებინათ თვისი სარწმუნოება, არამც თუ არაოდეს არ გაურბოდნენ საბუთიანობას, პირიქით, როცა კი შეხვდებოდათ იგი, მადლობით ღებულობდნენ და ქედს იხრიდნენ განხორციელებული ღვთის წინაშე. ნეტარება მათ, რომლებიც ამ ვვარად ეძიებენ სიმართლეს, რადგანაც ᲘᲮᲘᲜᲘ ᲰᲞᲝᲔᲑᲔᲜ მას.

ნიუიორკი 1865 წ. 10 ივნისს.

გათავებულია შტუტტჰარტში 4 სეპტემბერს.

შესავალი.

როდესაც ღმერთი გამოეცხადა მოსეს ცეცხლმოდებულ მაყვლის ბუჩქში, უბრძანა მას ფეხთ გაეხადნა, რადგანაც ალაგი, რომელზედაც ის იდგა, იყო წმინდა. მაშ როგორი კრძავლით და საღვთო ძრწოლით უნდა შეეუდგეთ ჩვენ დიადი სინამდვილის—ღვთის ხორციელად მოსვლის განხილვას, რომელთანაც მოსეს ხილვა იყო მხოლოდ აჩრდილი და მოსწავება.

ცხოვრება და ხასიათი იესო ქრისტესი არის ჭეშმარიტად წმიდა წმიდათა მსოფლიო ისტორიისა. განვლო უკვე თვრამეტმა საუკუნემ, რაც აღსრულდა ჟამი და ქრისტე მოვიდა ქვეყნად დაცემულ კაცთა ნათესავის გამოსახსნელად ცოდვისა და სიკვდილისგან და ცხოვრების დაუშრეტელ წყაროს აღმოსაცენებლად. ათას წლობით ქვეყანაზე მოელოდენ მის მოსვლას, როგორც ყოველთა ერთა სასოებას და ათასნივე წელნი მოუთხრობენ მის ძლიერ მეუფებას. მთელი ქვეყნის უკეთილშობილეს და უმჯობეს კაცთათვის ის არის საგანი არა მარტო უწმიდესი სიყვარულისა და უწრფელესი მადლობისა, არამედ საგანი ღვთაებრივი თაყვანისცემისა და გაღმერთებისაც. მისი სახელი ყველა სახელზე უმაღლესია, რომლის წოდებაც კი შეიძლება ცათა შინა და ქვეყანასაზედა, ეს არის ერთად ერთი სახელი, რომელშიაც ცოდვილს შეუძლიან ჰპოვოს ნეტარება. ივი არის მიზეზი ახალი ქმნილებისა, გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება. ივი არის წინასწარმეტყველი, მღვდელმთავარი და მეუფე განახლებული კაცობრიობისა; ივი არის ემმანუილი, ღმერთი ჩვენთანა, საუკუნო სიტყვა ხორცშესხმული, ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი, განუყოფელი პიროვნებით, მაცხოვარი სოფლისა.

ეს შეადგენს მთელი საქრისტიანო ეკლესიის სარწმუნოების საგანს, ბერძენთა, ლათინთა და ევანგელიელთა, განა-

თლებული ქვეყნის ყველა მხარეებში. რაც უნდა დაშორებულნი იყვნენ ერთმანეთისაგან სხვა და სხვა აღსარებანი, სხვა და სხვა საზოგადოებანი სწავლით და წესრიგით, ქრისტეს სიყვარულსა და თაყვანისცემაში ყველა ისინი თანახმანი არიან. იგინი ყრიან იარაღს, როცა უახლოვდებიან ბეთლემის ბაგას, ან ჯვარს გოლგოთაზე, საცა დაიბადა და მოკვდა ქრისტე ჩვენი ცოდვებისათვის, რათა ჩვენ მოგვანიჭოს საუკუნო ცხოვრება ზეცას. ის არის საღვთო შერიგება კაცთა ყოველგვარ სექტებისა და აღსარებისა, საზოგადო შუაგული ალაგი ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანეთა, ალაგი, საცა ერთდებიან მათნი გულნი სიყვარულით, ლოცვით და სასოებით, ივიწყებენ ყოველგვარ აზროვნულ უთანხმოებათა თეორიებს და შეხედულობებს. სწავლა-მოძღვრება და დადგენილებანი, ღვთის მსახურება და წესები მეცნიერება და ხელოვნება მთელი საქრისტიანოსი გამოსახვენ იმ წარუხოცელი შთაბეჭდილების მოწმობას, რომელიც მოახდინა ქრისტემ ქვეყანაზე. აურაცხელი სიმრავლე ტაძართა არის, აგრეთვე, ცოცხალი სამადლობელი ძეგლი მისი წმინდა სახელისა და ათასი ქებითი საგალობელნი, აღმავალნი მისდამი ქვეყნის თითეული კუთხის საზოგადო სამლოცველო ადგილებიდან და მყუდრო სენაკებიდან, მარადღე ადიდებენ მას. იგი ეხლა უფრო ძლიერია, მისი სუფევა ეხლა უვრცელესია უწინდელზე და უფრო გავრცელდება, ვიდრე ყველა ერნი მოიდრეკენ მის წინაშე მუხლს და ეამბორებიან მის ხიმარტლის და მშვიდობის სკიპტარას.

ნეტარია, ვისაც ძალუძს ირწმუნოს, რომ ქრისტე არის ძე ღვთისა და წყარო ნეტარებისა! ჭეშმარიტი სარწმუნოება არ არის ბუნების საქმე, არამედ საქმე ღვთისა, რომელიც მოქმედობს კაცის სულზე სულიწმიდით, რომელმაც გამოგვიცხადა ჩვენ ქრისტე მის ჭეშმარიტი არსებით, როგორც ქრისტემ გამოგვიცხადა მამა. „არა სისხლთა და ხორცთა გამოგიცხადეს შენ, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან“, უთხრა იესომ პეტრეს, როცა მან დაუმოწმა თვისი დიდებული

აღსარება. სარწმუნოება თვისი გამანათლებელი და მაცხონებელი ძალით არ არის დამოკიდებული მეცნიერებაზე და სწავლაზე. ის ერთნაირი სიადვილით აღენთება, როგორც მცირეწლოვანი ბავშის, ისე უმეცარ მონის გულში. განსაკუთრებული დიდება მაცხოვრისა და მის სჯულისა გამოიხატება იმაში, რომ ის ერთნაირად ეპყრობა ყველას განურჩევლად სქესისა, ჰასაკისა, ეროვნებისა და მდგომარეობისა; მისი მაცხოვნებელი მადლი ეფინება ყველა მონანულს და მორწმუნეს. „რასაც ვერ ხედავს ვერც ერთი გონება გონიერთა, ის შეითვისების ყრმის გულის სიმარტივით“.

გარნა ეს ფაქტი არ უარყოფს აზრისა და დამტკიცების საჭიროებას. განცხადება არის ზესთაბუნებრივი საქმე, რომელიც აღემატება გონებას, მაგრამ იმავე დროს ის არ არის არაბუნებრივი და არ ხდის შეუძლებლად გამოკვლევას. პირიქით, ბუნებრივი და ზესთაბუნებრივი ორივე ერთად შეადგენენ ერთ განცხადებას და ღვთის მართველობას. ქრისტიანობა ერთგვარად აკმაყოფილებს ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი კაცის, როგორც ულრმეს გონებრივ, ისე ზნეობრივ და სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს. იგი არის განცხადება ჭეშმარიტებისა და ცხოვრიბისა. სარწმუნოება და ცოდნა არ შეადგენენ ერთმანეთის მოწინააღმდეგობას, არამედ ერთმანეთის შემავსებელ ძალებს, არა მტრებს, არამედ ერთმანეთის განუყრელ მარჩბივ დებს. სარწმუნოება არა თუ მხოლოდ წინ უძღვის ცოდნას, არამედ აუცილებლად მიჰყავს კაცი ცოდნისადმი. მეორე მხრივ ნამდვილი ცოდნის ფესვი ყოველთვის დამარხულია სარწმუნოებაში, იგი დაფუძნებულია მაზე, დამხმარეა თვით სარწმუნოებისა. ცოდნას და სარწმუნოებას ასე შეერთებულად ვპოვებთ ჩვენ პეტრე მოციქულის დიდებულ აღსარებაში, როცა ის ყველა მოციქულთა სახელით აღიარებს: „ჩვენ გვრწმენა და გვიცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე“. დიახ, ისინი ისე მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი ერთმანეთთან, რომ ნეტარი აგვისტინეს, ანზელმის და

შლეერმახერის ნათქვამი: „სარწმუნოება წინ უძღვის ცოდნას„ო, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ ესრე: „ცოდნა წინ უძღვის სარწმუნოებას", რადგანაც არ შეგვიძლიან ვირწმუნოთ რამე, თუ საზოგადო ისტორიული წარმოდგენა მაინც არა გვაქვს მის ყოფნასა და არსებობაზე. სარწმუნოება თავის უმდაბლესი ფორმითაც კი, როგორც დამორჩილება ღვთაებრივი ავტორიტეტისა, ცნობა მისი განცხადების ჭეშმარიტებისა იმოდენადვე არის მოქმედება სულისა და გონებისა, რავდენადაც ნებისა და გულისა. ამიტომ სარწმუნოების უწინდელ განმარტებას შეადგენდა შემდეგი სამი მუხლი, **ცოდნა**, **თანხმობა** და **დარწმუნება**. ჩვენი სარწმუნოება მოითხოვს არა ბრმა, არამედ შეგნებულ და გონიერ რწმენას და რაც უფრო ძლიერია და მხურვალე ის, მით უფრო მეტი სიმარჯვით შეჰყავს კაცი თვის საუკუნო და წმინდა შინაარსის ღრმა შეგნებაში.

როგორც ცხოველი სარწმუნოება ქრისტესი არის სული და შუაგული ქრისტიანობის პრაკტიკული მხარისა და ყოვლისავე კეთილმსახურებისა, ისრევე ნამდვილი სწავლა ქრისტეზე არის სული და გული ყოველი საღი ღვთისმეტყველებისა. წმიდა იოანე ღვთის ძის კაცობრიობის უარყოფას ანტიქრისტეობის ნიშნად სთვლის და, მაშასადამე, ამ ჭეშმარიტების რწმენა მას მიაჩნია ქრისტიანობის მთავარ ნიშნად. განხორციელება საუკუნო სიტყვისა და ღვთაებრივი დიდება, მანათობელი მის კაცობრიობის ფარდიდან, შეადგენს დიდ თემას მის სახარებისას, რომელიც იოანემ, როგორც იესოს საყვარელმა მოწაფემ და ერთგულმა მეგობარმა, დასწერა ქრისტეს გულის გავლენისქვეშ ანგელოზის კალმით. სამოციქულო აღსარება სარწმუნოებისა, გამოთქმული პეტრეს სიტყვებში, განსაკუთრებული ძალით აწინაურებს სწავლას ქრისტეზე და აყენებს მას მამა-ღმერთზე და სულიწმიდაზე სწავლის შუა. ძველი მსოფლიო ღვთისმეტყველების განვითარება დაიწყო და გათავდა ძლევა-მოსილი დაცვით ამ სწავლის უმაღლესი წერტილისა ქრისტეს ჭეშმარიტ ღვთაებაზე

და კაცობაზე. ამ ღვთის მეტყველებამ გაუძლო ურიათა და ევიონიტთა მწვალებლობის ბრძოლას, რომლებიც უარყოფდენ ქრისტეში ღვთაებას და წარმათულ გნოსტიციზმს, რომელსაც იესო ქრისტეს კაცობა მიაჩნდა მხოლოდ მოჩვენებათ, აჩრდილათ. ღვთისმეტყველება თვისი ნამდვილი და შეუშლელი სახით არის ქრისტელოგიური ღვთისმეტყველება და წარმოადგენს სწავლას ქრისტეზე, როგორც ღმერთკაცზე; ეს იდეა არის ჭეშმერიტად წევრი, როგორც მტკიცე, ისე რღვევად ეკლესიისა. სიტყვა ქრისტესი არის ნამდვილი სარწმუნო სახელმძღვანელო ჭეშმარიტებისადმი; საქმე ქრისტესი არის ერთად-ერთი მარად მიმდინარე და დამაკმაყოფილებელი წყარო ქვეყნისა.

ქრისტეს პიროვნებაზე სწავლის მოთხრობა ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ ზევიდან, თანახმად წმ. იოანეს სახარების შესავალისა, ქრისტეს საუკუნო შობიდან, განვვლოთ შექმნა და ძველი აღთქმის მომზადებითი სახლთშენება, ვიდრე მივიდოდეთ მის განხორციელებამდე და მის ჭეშმარიტ კაცობრივ ცხოვრებამდე კაცთა ნათესავის საცხონებლად. ან ჩვენ შეგვიძლია, სხვა მახარებლებთან ერთად, დავიწყოთ ქრისტეს შობიდან მარიამ ქალწულისაგან, განვვლოთ თანდათან ერთმანეთის მიმყოლი საფეხურები მისი ქვეყნიური ცხოვრებისა, მისი სიტყვებისა, და სასწაულებისა, ვიდრე ავიდოდეთ მის შესვლამდე ზეციურ დიდებაში, რომელიც მას აქვნდა უწინარეს ქვეყნის დაბადებისა. ორივე შემთხვევაში შედეგი ერთი და იგივე იქნება, სახელდობრ, რომ ქრისტემ შეაერთა თავის პიროვნებაში სისრულე ღვთაებისა და სრული სავსება უკოდველი კაცობისა.

ძველი დროის ღვთისმეტყველები იესოს ღვთაებას მეტ ნაწილად ამტკიცებდნენ სასწაულებით, რომლებსაც ის იქმოდა, წინასწარმეტყველებით და მომასწავებელი ნიშნებით, რომლებიც მან აღასრულა, საღვთო სახელით, რომელსაც ის ატარებდა და საღვთო თვისებებით, რომლებიც მას ეკუთნიან

და ღვთაებრივი დიდებით, რომლის უფლებაც მას ჰქონდა, რომლითაც ადიდებდენ მას მოციქულები, რომლითაც ადიდებს მთელი საქრისტიანო ეკლესია დღევანდლამდე.

მაგრამ ამის (იესოს ღვთაების) დამტკიცება შეიძლება სხვა გზითაც — ქრისტეში კაცობის სისრულეთა განხილვით; ურწმუნო მხარეც თანახმაა, რომ ქრისტეს კაცური სისრულენი ისე აღემატებიან ქრისტემდე და მის შემდეგაც სრულ კაცობრივ დიდებას, რომ მათგ გონივრულად ახსნა შეიძლება მხოლოდ ღვთაების და კაცობის ჭეშმარიტ შეერთებით, თანახმად თვით ქრისტეს და მოციქულთა მოწმობისა ამის შესახებ. რაც უფრო ღრმად ვეჭვრეტთ ჩვენ მის ხორციელ ფარდას, მით უფრო ახლო ვხედავთ მხოლოდშობილი ძის დიდებას, მამისაგან აღვსილს მადლითა და ჭეშმარიტებითა.

ამგვარი პატივისცემა მაცხოვრისა არის შედეგი ახალი ღვთისმეტყველების სამსახურისა. მაგრამ ძლიერი და ვერაგული თავდასხმა თანამედროვე ურწმუნოებისა სახარების ისტორიის სინამდვილეზე სწორეთ ამიტომ ითხოვდა მის უფრო ძლიერ დაცვას და (ამ დაცვამ) მიანიჭა კიდეც ახალი გამარჯვება ეკლესიის ძველ რწმენას მისი საღთო თავისადმი.

ჩვენი გუმანისტური, კაცთმოყვარული, მაგრამ უარმყოფელი, დრო უფრო ითვისებს ქრისტეს ღვთაების დამტკიცებას კაცობიდან ვიდრე ძველ დოღმატურ მეთოდს, რომელიც სხვა გზით მიდიოდა. თომასთან ერთად, რომელიც არის წარმომადგენელი პატივსაცემი და შეგნებული იჭვისა მოციქულთა შორის, ბევრნი უარს ამბობენ უფლის ღვთაების რწმენაზე, ვითომც იმ საფუძვლით, რომ ისინი რწმუნდებიან ამაში მხოლოდ თავის გრძნობათა მოწმობით, ან საფუძვლიანი საბუთებით. მათ სურთ შეახონ თითნი თვისნი წყლულთა მათ სამსჭვალთასა და ხელნი მის გვერდებს, ვიდრე მოკრძალებით იტყოდნენ: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“-ო ისინი ადვილად არ ირწმუნებენ სასწაულებს განყენებითი მსჯელობების ან ისტორიული მოწმობების საფუძვლით; მაგრამ,

მათ რომ შეეძლოთ ერთხელ მაინც იხილონ დიდი სასწაული —პიროვნება ქრისტესი, მისი საკვირველი საქმეები სულაც არ დააბრკოლებდნენ რწმენას, რადგანაც ზეკაცობრივმა არსებამ უთუოდ საქმეებიც ზეკაცური უნდა ქმნას, არა ჩვეულებრივმა, საკვირველმა პირმა საქმენიც არა ჩვეულებრივნი უნდა ჰქმნას; წინააღმდეგ შემთხვევაში უდიდესი სასწაულიც კი არაბუნებრივი იქნებოდა. როგორიც ხეა, ნაყოფიც ისეთია. ჩვენ გვწამს ქრისტეს სასწაულები, მიტომ რომ გვწამს მისი პიროვნება, როგორც პიროვნება ღმერთ-კაცისა და შუაგული ზნეობითი ქვეყნის სასწაულსა.

ჩვენ ვეცდებით ყველასათვის გასაგებად და დალაგებით გავარჩიოთ და წარმოვადგინოთ ქრისტეს კაცური არსება. ჩვენ ვაჩვენებთ იესოს, როგორც კაცს ნაზარეთით, ვაჩვენებთ, როგორ განცხადდა ის უსწავლელ და პატიოსან გალილეველ მეთევზურთა ცნობებით, როგორ სცხოვრობს ის ქრისტიანების რწმენით და ჩვენ ვნახავთ, რომ ცხოვრების ყოველ მდგომარეობაში, როგორც საზოგადო ისე კერძო მოღვაწისა, ისე მაღლა მდგომარედ და ისე სრულად, რომ სწორეთ ეს სისრულე არა სრულ და ცოდვილ ქვეყანაზე წარმოადგენს მისი ღვთაების დაურღვეველ საბუთს.

საგნის უფრო ვრცლად განხილვისთვის საჭირო იყო განგვეხილა ქრისტე, როგორც ხაზოგადოებრივ ისე პირად მოქმედებაში: ჩვენ უნდა წარმოგვედგინა იგი, როგორც მოძღვარი, სასწაულთ-მოქმედი და დამაარსებელი სულიერი სამეფოსი, რომელიც არ განისაზღვრება არც დროით, არც სივრცით. ყველა ეს ერთსა და იმავე შედეგთან მიგვიყვანდა. მაგრამ ჩვენ აწინდელი ჩვენი მიზნისთვის ვიკმარებთ მხოლოდ იესოს პირადი ხასიათის განხილვას და ეს, იმედია, საკმარისი იქნება იმავე შედეგის მისაღწევად.

თავი პირველი.

ბავშობა და ყრმობა იესოსი.

ქრისტემ განვლო კაცური ცხოვრების ყოველი ჰასაკი ბავშობიდან კაცობამდე; ყველა მათში განახორციელა თვისი იდიალური სახე, რომ ეცხოვნებინა და გაენათლებინა კაცი მისი ჰასაკის ყველა დროში და თვითეულს მათგანში დაგვიტოვა მისაბაძი მაგალითი. ის იყო სამაგალითო ბავში, სამაგალითო ახალგაზდა, სამაგალითო კაცი მხოლოდ მოხუცებულობის უძლურება და მიხრწნილობა არ იქნებოდნენ შესაფერნი მისი ხასიათისა და დანიშნულებისა; ის მოკვდა და აღსდგა მკვდრეთით სიყმაწვილის ძალის სრულ განვითარებაში და თავისი ერის გულში მუდამ ცხოველია, როგორც სიახლე და განუტეხელი ძალა.

ყურადღებით გადავავლოთ თვალი ჩვენი მაცხოვრის ბავშობას. კაცობრიობის ისტორია იწყება უზაკველ სიყრმის სიმშვენიერით ედემის ბაღში, საცა დიდის ვარსკვლავები შემოქმედის ხილულ მსგავსებითა, მის საკვირველ საქმეთა გვირგვინის— ადამ და ევას დანახვაზე „ერთად ადიდებდნენ და ყველა ღვთის შვილები სიხარულით იშვებდნენ“. ასე გვეცხადება ახალი ადამი, მაცხოვარი დაცემული ნათესავისა, აღმადგენელი და განმაახლებელი კაცობრიობისა; გვეცხადება თანახმად სახარების მოთხრობათა, პირველად ყოვლისა, როგორც ბავშვი, გვეცხადება შობილი, თუმცა არა უმანკოების სამოთხეში, არამედ ცოდვისა და სიკვდილის სამწუხარო ნამხობთა შორის, ღარიბი ქალწულისგან, ღარიბ ბაგაში; მაგრამ წმიდა და უმანკო იგი ხდება ანგელოზების ქებითი გალობის და კაცთა თაყვანისცემის საგნად. უკვე მისი დაბადების მოლოდინმა და კრძალვამ მისი ქალწული დედა—მოხუც ხურო იოსებზე დაწინდული—გარდაქმნეს ღვთის სულით აღსავ-

სე წინასწარმეტყველად, ხოლო ნათლისმცემლის მოხუც მშობლებს, რომლებიც სულით წინადვე განიცდიდნენ მოახლოვებულს ცხოვრებას, შთაბერეს ახალგაზრდური ძალა და ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი, რომელსაც უნდა გაემზადებია გზა უფლისათვის, ელისაბედის მუცელში გამოხატავდა სიხარულს. ზეშთანაგონი ქებითი საგალობელი ელისაბედისა, მარიამისა და ზაქარიასი შეიცავს პოეზიის სიმშვენიერეს და ჭეშმარიტებას და არის მშვენიერი წინადვე განმზადება ბავშის ქრისტეს მოსვლისა სახარების გამოხსნის შესავალშივე, საცა უმაღლესი პოეზია საღვთო სიბრძნისა და სიყვარულისა ხორციელდება სინამდვილით, რომელიც უნდა აღემატოს კაცური პოეზიის უმაღლეს იდეალს. და როცა ზეციური ბავში იშვა შეიყარნენ ერთად ცა და ქვეყანა, ბეთლემელი მწყემსნი და აღმოსავლეთის მოგვნი, წარმომადგენელნი ცხოვრების მომლოდნელ ისრაილებისა და წარმართობისა—წარმართობისა, რომელიც წყვდიადში ეძიებდა „უცნობ ღმერთს“ და ყველანი ერთდებიან სამეუფო ბავშის და მაცხოვრის თაყვანისცემით.

ეს განსაკუთრებული შეერთება დამცირებისა და დიდებისა, კაცობრივისა და ღვთაებრივისა წინ გვიხვდება ჩვენ ქრისტეს ისტორიის დასაწყისშივე, რომელიც ამითია ნიშნობლივი და განირჩევა ყველა სხვა ისტორიისგან. ქრისტე ცხადდება ქვეყანაზე პირველად ყოვლისა, როგორც ბავში, როგორც საწყალი ბავში შორეულ მხარის პაწია ქალაქში, სულ უმნიშვნელო ალაგზე, გამოქვაბულში, ბაგაში, უმწეო ლტოლვილი სასტიკი მტარვალის სიცოფისაგან,—პირველ შეხედვით ძლიერი ქვაა შებრკოლებისა ჩვენი სარწმუნოებისათვის; მაგრამ მეორე მხრით გამოცხადება ანგელოზთა, ქებითი საგალობელი ზაქარიასი, ელისაბედისა და მარიამისა, საღვთო დღესასწაულობა ელისაბედისა, ანნასი და სვიმონისა, წინასწარმეტყველებანი, ღვთისმეტყველებრივი სიბრძნე იერუსალიმელ მწიგნობართა, ოროდის ბნელი პოლიტიკური იქვიც კი, ვარსკვლავი ბეთლემში, მოგვთა მოგზაურობა შორეულ აღმოსავლეთიდან, ბუნდოვანი სინათლე ასტრონომიისა და ასტრო-

ლოგიისა, წინასწარმეტყველებრივი სიზმარი და ბოლოს ღვთის ცხადება. რომელიც საგრძნობელია ყოველ გარემოებაში, წარმოადგენენ მოწმობათა ბრწყინვალე წყებას ბავშის ქრისტეს ღვთაებრივი წარმოდგომის სასარგებლოდ. ცა და ქვეყანა თითქოს ბრუნავენ ამ ბავშის გარშემო, როგორც თავისი შუაგულისა, რომელიც თვისი ძალით იშორებს ყოველსავე ბოროტს და ბნელს და იმავე ძალით იერთებს ყოველსავე ნათელსა და კეთილს. როგორი დაპირდაპირებაა! ბავში ბაგაში და იგივე მაცხოვარი სოფლისა, ბავში მოძულებული და დევნილი და იგივე კურთხეული და შეყვარებული; ბავში ღარიბი და მოძულებული და იგივე თაყვანისცემული და გაღმერთებული, გარემოცული შიშით და სასწაულებრივად დაცული; ბავში, რომელიც ამოძრავებს ვარსკვლავებს ცაზე, ქალაქს იერუსალიმს, ურიათა მწყემსებს და აღმოსავლეთის მოგვებს და უკუაქცევს თვისგან ქვეყნიურ ცუდ და დამღუპველ ელემენტებს და მიიზიდავს უკეთესებს! ეს კონტრასტი, რომელმაც შეაერთა ერთმანეთის მოპირდაპირე, მაგრამ არა ერთმანეთის საწინააღმდეგო საგნები, ფრიად ღრმაა, ამაღლებული და ფრიად მნიშვნელოვანი, ამიტომაც ფრიად საეჭვოა, რომ ორიოდე გაუნათლებელი მეთევზეების მოგონილი იყვეს.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ღვთაებრიობის ნიშნებისა, ბავში იესო მათე და ლუკა მახარებლებს წარმოდგენილი ჰყავთ ჭეშმარიტ კაცურ ბავშად, წყნარად მისვენებული და მოლიმარე თვისი დედის ქალწულებრივ გულზე, ბავშად, რომელიც ღორძინდება და იზრდება სულით, ემორჩილება წესიერი განვითარების კანონებს და განირჩევა ყველა ბავშთაგან მხოლოდ თვისი ზესთაბუნებრივი მუცლადღებით და სრული თავისუფლებით ცოდვისა და ბრალისაგან. იესო გვეცხადება უმწიკვლო ზეკაცური სიწმიდით, ჩნდება როგორც სასიამოვნო კეთილსუნელი ყვავილი სამოთხისა. ის იყო „წმიდა“, თანახმად გაბრიელ მთავარანგელოზის ხა-

რებასა (ლუკა. 135), გახდა გაკვირვების და სიყვარულის საგნი ყველასთვის ვინც კი მიუახლოვდა მას ბავშური უბრალოებით. მაგრამ ამასთანავე ბნელი ეჰვის საგნადაც სასტიკი მტარვლისა, რომლის ხახუნაც წინადვე გამოიხატნენ მისნი ყველა მდევნელნი და მტერნი.

ვის შეუძლია გამოზომოს ის გამაკეთილშობილებელი, გამაფაქიზებელი, დამამაღლებელი გავლენა, რომელიც აღეგზნება ხოლმე ყრმის და მოხუცის გულში ყოველს მხარეში და ქრისტიან ხალხში ყოველთვის ქრისტეს შობის დღეს, ქრისტეს ბავშობის გახსენებაზე. დაკარგვა პირველყოფილი უმანკოებისა უხვად ჯილდოვდება ახლად შეძენილი სამოთხის უკვდავი უმანკოების დაბრუნებით.

იესოს ყრმობიდან ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი ფაქტი ლუკა მახარებლისგან მოთხრობილი, მაგრამ საკვირველად შეთანახმებული ქრისტეს ბავშობის საკვირველ თვისებებთან და იმავე დროს მაჩვენებელი მისი საზოგადო ცხოვრების დიდებისა, რომელიც იყო ზეციური მამის განუწყვეტელი მსახურება. ტაძარში სწავლულ ურიათა შორის ჩვენ ვხედავთ თორმეტი წლის იესოს არა დიდგულ და თავგამოდებულ ბრძენად, რომელიც ასწავლის და ამაყად ეპყრობა სხვებს, როგორც ამას გადმოგვცემენ აპოკრიფული სახარებები, არამედ მსმენელად და მკითხველად და მაშასადამე, ნამდვილ მოსწავლედ, რომელიც იმავე დროს აკვირვებს მსწავლულებს თავისი ჭკუით და თავისი სიტყვებით. აქ არა არის ბრალნაადრევი, სწრაფი, ან შეუფერებელი ოესოს ჭკვიანობისთვის, პირიქით ჩვენ ვხედავთ აქ სიბრძნის ზომას და სიღრმეს სარწმუნოებრივი ინტერესისას, რომელიც ამაღლებს მისს ყრმობას ჩვეულებრივ კაცურ ყრმობაზე. „Iესო წარემატებოდა სიბრძნითა, და ჭასაკითა, და მადლითა წინაშე ღმრთისა და ჯაცთა" (ლუკ. 2—22), მოგვითხრობენ ჩვენ, ის იყო მორჩილი და ყველაფერში სათნოიანი ძე თავისი მშობლებისა; მაგრამ ამ თვისებებით ის ავსებდა ამათ წმიდა ძრწოლით, როცა ისინი ხედავდნენ თავისს შვილს

მისი მამის საქმის ერთგულად და ისშენდნენ მისს არა ჩვეულებრივს სიტყვებს, რომელთა გაგებაც მაშინ მათ არ შეეძლოთ, მაგრამ რომლუბსაც მისი დედა მჯრიამი იცავდა თავისს გულ ში, როგორც წმიდა საიდუმლოს და დარწმუნებული იყო, რომ მათ ღრმა აზრი ჰქონდათ, რადგანაც ეთანხმებოდნენ მისი ზესთაბუნებრივი მუცლადღების და შობის საიდუმლოებას.

ამგვარი სახე უდარდელი, უმანკო ციური ბავშობისა და საკვირველი ბრძნული ყრმობისა, როგორადაც ის წარმოგვიდგება ჩვენ ცოცხალი სინამდვილით სახარების ისტორიის დასაწყისშივე, არაოდეს უწინ არ მოსვლია ჭკუაში არც ერთ ბიოგრაფს, პოეტს, ფილოსოფოსს. პირიქით, როგორც სამართლიანად შენიშნულია, ყველა უმაღლესი ხასიათის პირებს ცნობილი ზომით აქვთ სიდიადე და სიმაღლე, მაგრამ ეს თვისებანი იშვიათად წარმოგვიდგებიან გარმონიულად და წესიერად განვითარებულნი ყრმობაში; ჩვეულებრივად ამისთანა ხასიათები შემუშავდებიან ხოლმე მაშინ, როცა ტემპერამენტის ზოგიერთი ნაკლულევანებანი აცილებულია, როცა მოტყუებას ზღუდავს ნდობა, ვნება ემორჩილება გონებას და ყმაწვილურ სიფიცხეს აკავებს გამოცდილება. ჩვეულებრივად სიხარულით გვითითებენ იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად ბავშური სიცელქისა და შეცდომებისა, აღრზდის შემწეობით, ბოლოს მაინც დგება დარბაისლური, სწორე გმირული ხასიათი, ღირსი გაკვირვებისა. გარდა ამისა, რომელიმე მწერალმა (რა დროისაც უნდა იყვეს) რომ მოისურვოს აღწერა არა მარტო უმანკო, არამედ ზეკაციური, ციური ბავშობისა, თუ მას თვალ წინ არა აქვს ნამდვილი ორგინალი, იგი (მწერალი) თვითონ უნდა გახდეს კაცზე მაღლა მდგომ არსებად; წინააღმდეგ შემთხვევაში ის წარმოგვიდგენდა ბევრ ტლანქ გადამეტებას, დაგვიხატავდა საგანს ისე, რომ მის მსგავსს ვერ ვიპოვიდით ვერც ცაზე და ვერც ქვეყანაზე.

ეს არა ბუნებრივი გარდამატებაა ცხადად სჩანს ზღაპარში ჰერკულესის შესახებ, რომელმაც ჯერ ისევ აკვანში, ძუძუმწოვარმა

დაახრჩო თავისი ნაზი და სუსტი ხელებით ორი საშინელი ვეშაპი; მგრამ უფრო მეტად სჩანს ეს აპროკრითული სახარებების მოთხრობებში ბავშის იესოს სასწაულებზე. ეს აპოკრითული სახარებები იგივე არიან ნამდვილებთან შედარებით, რაც ყალბი ფული ნამდვილთან, ანუ როგორც გულის ამამღვრეველი კარიკატურა მიუმსგავსებელ სინამდვილესთან შედარებით; ეს კონტრასტი გვეხმარება სახარების ისტორიის სინამდვილის დასამტკიცებლად. ეს ძლიერი კონტრასტი იხმარებოდა განსაკუთრებით შტრაუსთან დავის დროს, როგორც საბუთი მითური თეორიის წინააღმდეგ.

მაშინ, როცა მახარებლები სასწაულებს აკუთნებენ იესოს მოწიფულს ჰასაკს და მისი საზოგადო მოქმედების აღწერის დროს საკვირვლად სდუმან მის დამოკიდებულებაზე მშობლებთან, ცრუ მახარებლები უფლის ბავშობას და ყრმობას ავსებენ გაუგებარი სასწაულებით და მარიამის შუამდგომლობას დიდს ადგილს უთმობენ. მათი მოთხრობით იესო ყრმას ეგვიპტეში წასვლის და იქიდან დაბრუნების დროს, გზაზე თავს უხრიან უსულო ხეები და უტყვი კერპები; ხუთი თუ შვიდი წლის ბავში იესო მიწის პატარა რგვალ ნაჭრებს ფრინველებად აქცევს ამხანაგების სასიამოვნებლად. საშიშროებას ავრცელებს თავის გარშემო. ერთი ჩვეულებრივი სიტყვით აშრობს მდინარეს; თავის ტოლებს თხებად აქცევს, აღვიძებს მკვდრებს, ჰკურნავს რაღაც მისნური ძალით, რომელიც გამოდის მისი პირის ნაბანი წყლისაგან, ან ხელსახოციდან, რომელსაც ის ხმარობდა, ან ლოგინიდან, რომელშიაც იგი იწვა. ეს არის სიყალბე და სისულელე ანაბუნებრივი გამოგონებისა. მაშინ როცა ახალი აღთქმა წარმოგვიდგენს ჭეშმარიტებით და სიმშვენიერით უეჭველად ბუნებრივს, მაგრამ უმაღლეს ბარისხამდე ნამდვილს ისტორიას, რომელიც სრული სინამდვილით ცხადდება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ვადარებთ მას ბიბლიურ ოცნებასთან.

თავი ოცდა

ლაზარეს აღსრულება

გარდა ზემოაღნიშნულებისა, ყრმობა იესოსი და მისი მოამზადება საზოგადო მსახურებისთვის საიდუმლოებით მოცულია. მაგრამ ჩვენ ვიცით გარეგანი დამოკიდებულებანი და გარემოებანი, რომლებშიც ის გაიზარდა და რომლებიც ვერ განგვიმარტებენ ჩვენ საკვირველ შედეგს, თუ არ ვსცანით ზეკაცური და ღვთაებრივი ელემენტი იესოს ცხოვრებაში.

ის აღიზარდა იმ ხალხში, რომელსაც იშვიათად და ისიც ზიზღით იხსენებენ ძველი კლასიკები. იმ ხალხში, რომელიც მაშინ განიცდიდა მონობას და იწროებას უცხო ტომისაგან, რომის იმპერიის შორეულ პროვინციაში, პალესტინის უცნობ მხარეში, ბაწია ქალაქში, რომელიც საანდაზოდ გამხდარიყო, სიღარიბეში, რომელსაც თავი გაჰქონდა შავი მუშაობით, უცნობი ხუროს სახელოსნოში, შორს უნივერსიტეტებისაგან, აკადემიებისგან, წიგნთსაცავებისგან, სალიტერატურო და განმანათლებელ საზოგადოებათაგან, მოკლებული, რავდენადაც ვიცით, განმანათლებელ საშუალებათა, გარდა მშობლიური ზრუნვისა, ბუნების ყოველდღიურ სასწაულებისა, ძველი აღთქმის წერილებისა, ყოველკვირეულ შაბათობისა ნაზარეთის შესაკრებელში (ლუკ. 4, 16), იერუსალიმის ტაძარში ყოველწლიურ პასექობისა (ლუკ. 2, 42) და მისი სულის საიდუმლოდ მიმართვისა ღვთისადმი, ზეციურ მამისადმი. მართლაც, რა ყველა ესენი დიდი აღმზრდელები არიან სულისათვის; წიგნი ბუნებისა და წიგნი განცხადებისა უკეთესი და უდიდესი მასწავლებლები არიან, ვიდრე ყველა კაცური სამეცნიერო და ხელოვნური ნაწარმოებნი. მაგრამ ეს მასწავლებლები ერთ-

ნაირად ჯელმისაწდომნი იყვნენ თვითეულ ურიისთვის და იესოს არ აძლევდენ არავითარ უპირატესობას მის უსაწყლეს მეზობლებთა და ნათესავებთა წინაშე.

ამიტომ, სრულიად ბუნებრივია ნათანაილის კითხვა: „ნაზარეთით შესაძლებელ არს კეთილისა რაისამე ყოფა“? აქედანვე ბუნებრივია ურიების გაკვირვება, რომლებიც იცნობდნენ ყველა მის ნათესავებს და იცოდნენ მისი კაცური, ბუნებრივი დამოკიდებულებანი. მისი მოძღვრების მსმენელნი კითხულობდნენ: „ვითარ უკვე ამან წიგნი იცის უსწავლელადო“ (იოანე 7,15); მეორეჯ კიდევ, როცა ის ასწავლიდა შესაკრებელში კითხულობდნენ: „ვინა არს ამისა სიბრძნე ესე და ძალი? ანუ არა ესე არსა ხუროსა მის ძე? ანუ არა დედასა ამისსა ჰქვიან მარიამ, და ძმანი ამისნი იაკობ, და იოსე და სვიმონ და იუდა? და დანი მისნი არა ყოველნივე ჩვენ შორის არიანა? ვინა უკვე არს ამისა ესე ყოველი?“ (მათე 13, 55-56). ეს კითხვები აუცილებელია და არც ადვილად მათი გადაწყვეტა შეიძლება, თუ ჩვენ ქრისტეს წარმოვიდგენთ ჩვეულებრივ, უბრალო კაცად, იმიტომ რომ ყველა მოქმედება შესაფერ მიზეზს გულისხმობს.

ამ სიძნელეს ჩვენ სულაც ვერ ავიცილებთ თავიდან იმ გარემოებით, რომ პევრმა, ხანდახან გამოჩენილმა პირებმაც კი, ნამეტნავად ეკლესიაში, სიღარიბის წინააღმდეგ, ძლიერი და მედგარი ბრძოლით, სძლიეს ყოველგვარი დაბრკოლება და დაბალ საფეხურებიდან დაწყებული გაიკაფეს გზა გამოჩენილ სიმაღლამდე. ჩვენ სიხარულით ვაძლევთ მნიშვნელობას ამ ფაქტს; მაგრამ ყველა ამ მოვლენებში შესაძლებელია ვაჩვენოთ ან სკოლა, ან წიგნები, ან მფარველები და მეგობრები, ან რაიმე განსაკუთრებულნი გარემოებანი და გავლენა, როგორც ხელშემწყობი საშუალებანი სულიერ ან ზნეობრივ დიდების კასეითარებაში. ჩვენ, რასაკვირველია, ყოველთვის მოგვეპოვება კაცური, ბუნებრივი საფუძველი — ანუ კავშირი საბოლოო შედეგის ასახსნელად.

ლიუეტრი, მაგ., უეჭველია იყო შვილი ღარიბ მშობელთა და სასტიკი სიყმაწვილე გამოიარა; მაგრამ ის დადიოდა სკოლებში მანსფელდში, მაგდებურგში, აიზენახში და ერფურტის უნივერსიტეტში, განვლო მან მონასტრული აღზრდა, სცხოვრებდა უნივერსიტეტში პროფესორებსა, სტუდენტებსა, ბიბლიოტეკებსა შორის და, ასე ვსთქვათ, წინააღმდეგ თავისი ნებისა, განსაკუთრებულ გარემოებათა და დროის უძლეველ მოთხოვნილებათა გამო, გახდა რეფორმატორად.

ჩვეულებრივ და, უნდა გამოვტყდეთ, სრულიად სამართლიანადაც, თავის თავის განსწავლის მაგალითად მოჰყავთ შექსპირი, რომელიც არ იცნობდა სკოლურ სწავლას, მაგრამ გახდა უდიდესი დრამატურგი ყველა დროთა და ერთა. მაგრამ უკვე დიდი ხანია, რაც უარყოფილია ის სულელური აზრი, რომ შვილი ვარვიკელი გლეხისა, თუ ყასბისა, თუ მეხელთათმანესი,— რაც ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით,—იყო სრულიად უსწავლელი კაცი და ერთი გადახტომით გაუნათლებელმა (რაც ძნელი დასაჯერებელია) და გამოუცდელმა ყრმამ მიაღწია ლიტერატურულ შემოქმედების უმაღლეს ხარისხამდე. უეჭველია, რომ შექსპირმა რაოდენიმე ხანი დაჰყო შტატფორტში თავისუფალ ლათინურ სკოლაში, სადაც ალბათ შეისწავლა „რაოდენადმე ლათინური და უფრო ნაკლებად ბერძნული“. თუმცა კი ეს ცოტა იყო იმგვარ ღრმად განსწავლულ კაცისთვის, როგორიც იყო ბენ-ჟონსონი. მაგრამ მაინც კმაროდა, რომ გაეცნო მისთვის ბერძნულ-რომაული სიძველენი. ხოლო რაშიც შექსპირს აკლდა სკოლური განათლება, ის უნდა შეევსო მუდმივი კერძო შესწავლით და გულისყურიანი დაკვირვებით ხალხზე და მოვლენებზე. ამიტომაა, რომ მის დრამებში,—თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ქრონოლოგიურ, ისტორიულ და გეოგრაფიულ ნაკლულევანებებს, რომლებიც გვხვდება შემთხვევით, განზრახ, ან კიდევ ჟინიანობის გამო მის საუკეთესო ნაწერებშიც კი, როგორც „პერიკლი“ და „ზაფხულის ღამის სიზმარი“,—ცხადდება ღრმა

ცოდნა კაცის ბუნებისა ყოველს მდგომარეობაში და ტიპში— ცივ ჩრდილოეთში და ცხელ სამხრეთში, მეთხუთმეტე საუკუნეში კეისრის დროს, ქრისტიანობის, ურიათობის და წარმართობის გავლენის ქვეშ; ყველა ამის შეძენა შეიძლება მხოლოდ რკინის ბეჯითობით, სიტყვიერი და მწერლობითი შესწავლით. გარდა ამისა, შექსპირი სცხოვრებდა ლონდონში, როგორც აქტიორი, თეატრების დირექტორი და მწერალი ელისაბედის კლასიკურ ეპოქაში, ტრიალებდა გენიოს და სწავლულ ამხანაგებში, თავისუფლად შედიოდა ფრიად განათლებულ ხალხთა წრეებში, ბოლოს, ის სცხოვრობდა კაცის სულის უკანასკნელ მაღალ განვითარების ხანაში, იმ განვითარების, რომელიც ქრისტიანობის შემოღების დროიდან მარადის ამოძრავებდა კაცის აზრს მსოფლიო და საეკლესიო ისტორიაში.

ამ შემთხვევაში ქრისტეს ვერ მიუდგება ვერც ერთი ამ ბუნებრივ ახსნათაგანი. ამას ვერ დავაყენებთ, ვერც სკოლაში სწავლა მიღებულებთან, და ვერც თავისთავად განსწავლილ კაცებთან, თუ უკანასკნელებად ვიგულისხმებთ იმ ისეთანა პირებს, რომლებიც ცოცხალი მასწავლებლის უხელმძღვანელოდ, მაგრამ იმ გვარ აღმზრდელ საშვალებათა შემწეობით, რომელიც წიგნები, დაკვირვება ხალხზე და სხვა საგნებზე და სხვა ბუნებითი ნიჭის ენერგიული ვარჯიშობით და განვითარებით მიაღწევენ ხოლმე სწავლულობას და სულის დიდ ძალას, როგორიც არიან მაგალითად, იაკობ ბემი, შექსპირი, ბენიამენ ფრანკლინი. სრულიად არაფერს არ ახსნიან და მოკლებულნი არიან დამასაბუთებლობის აჩრდილსაც კი ის აზრები, ვითომ ქრისტემ იცოდა მეგვიპტური სიბრძნე და ღრმა თეორია და ყველა სხვა სწავლის წყაროები. იმას არაოდეს არ უმოწმებია სხვა წიგნი, გარდა ძველი აღთქმისა, არაოდეს მას არ უმოწმებია მსოფლიო ისტორია, პოეზია რეტორიკა მათემათიკა, ასტრონომია, უცხო ენები, ბუნებისმეტყველება, ან რომელიმე დარგი მეცნიერებისა, რომელთაგანც შესდგება კაცობრიული ლიტერატურა და მეცნიერება. მისთვის სრულიად სა-

მარისი იყო სარწმუნოება და ამ ერთი შუაგულიდან ჰფენდა ცოდნის სინათლეს კაცობრიობას. ამაში ის იყო სრულიად თავისებური და დამოუკიდებელი,—ის არ გავდა არც ერთს დიდკაცთაგანს, წინასწარმეტყველებს და მოციქულებს; ქრისტე მოძღვრიდა ქვეყანას, როგორც ერთად ერთი პირი, რომელსაც არაფერი არ მიუღია ქვეყნისაგან და არც არაფერი არ მართებს მისი. ის ამბობდა ღვთაებრივი ცოდნით, როგორც პირი, რომელმაც არა მხოლოდ იცოდა ჭეშმარიტება, არამედ თვით იყო ჭეშმარიტება, ამბობდა იმისთანა ავტორიტეტით, რომელიც მოითხოვდა აუცილებელ დამორჩილებას, რომლის წინააღმდეგობაც არ შეიძლებოდა, რომელსაც ვერ შეხედავდენ გულგრილად. „მისს ცხოვრებას და ხასიათს, ამბობს იუნგი, ჰქონდა და შეინარჩუნეს წინააღმდეგ ყველა გარემოებათა, იმგვარი ელემენტები, რომელსაც წინ ვერ აღუდგება ვერავითარი ქვეყნიური ძალა, ამიტომ მათი საფუძველი უნდა იყოს არა ჩვეულებრივ ღვთაებრივ ძლიერებაში.“.

თუ ქრისტეს პიროვნებაში ჩვენ ვიცნობთ ღვთაებას, მაშინ ძნელი არ იქნება იმის დანახვა, რომ თვისი შეურაცყოფით, უჩინო შობით და სიღარიბით, ხუროს ხელობით და საზოგადოების კანონების ღრმა მორჩილებით ჭეშმარიტი ღირსება და დიდება აღამაღლა იმ სიმაღლემდე, რომელიც უწინ არც კი უგრძნიათ, და საბოლოოდ უარჰყო და მოსპო ის ცრუ საზომი, რომლითაც ზომავდენ კაცთა და საგანთა ღირსებას და რომლითაც ზნეობრივ დიდებას აწერდენ მაღალ წოდებას, ხოლო ზნეობრივ სიცუდეს ცხოვრებაში დაბალ მდგომარეობას.

ბეოთხეული მესამე.

საზოგადო ცხოვრება იესოსი.

ხან-მოკლეობა და ძლიერება მისი საზოგადო მსახურებისა. თავი-სუფლება ქვეყნიურ დიდების ყოვლისავე სურვილისაგან.

ეხლა ჩვენ მიუახლოვდით იესოს საზოგადოებრივს ცხოვრებას. შობიდან ოც და ათის წლისა, მესიური კურთხევის შემდეგ იოანეს ნათლისღებით, რომელიც იყო მისი წინამორბედი და პირადი წარმომადგენელი ძველი აღთქმისა, როგორც კანონმდებლობითი, აგრეთვე წინასწარმეტყველებითი მხრით, შემდეგ მესიური გამოცდისა უდაბნოში, მსგავსება პირველი ადამის გამოცდისა სამოთხეში,—იგი შეუდგა თავის დიდ საქმეს.

საზოგადოებრივი ცხოვრება იესოსი გაგრძელდა მხოლოდ სამი წელიწადი და მამაკაცური ჰასაკის მიღწევამდე, ის მოკვდა სრულს სიახლეში და ძალაში მყოფი, მოხუცებულობის სისუსტის განუცდელად; მოხუცებლობის ჰასაკი უთუოდ დაარღვევდა ცხოვრების მთავრის და ჩვენი ნათესავის აღმადგენელის სახეს. მან შეინარჩუნა ყვავილი სიყრმისა; ის არ იყო ხანში შესული; მის სახეს, მის საქმეს, ყოველსავე მის ნათქვამ სიტყვას აქვთ ბეჭედი სიახლისა, ბრწყინვალებისა, სიყრმის ძალისა და მარად შეინარჩუნებენ ამათ. ყოველივე სხვა იკარგება დროსთან ერთად, ყოველი წიგნი, კაცისგან დაწერილი შეორეულ წაკითხვის შემდეგ ჰკარგავს ინტერესს; მხოლოდ იესოს სახარება არაოდეს არ ღალავს მკითხველს; პირიქით, რაც უფრო ხშირად კითხულობს კაცი სახარებას, იგი უფრო საინტერესო ხდება და ყოველ ახალ წაკითხვასთან სიღრმე მისი უფრო ღრმავდება. ამბობენ, რომ ნაპოლეონმა,

როცა ის წმიდა ელენეს კუნძულზე იყო დატყვევებული, აჩვენა ხელით სტოლზე დადებული სახარება და სთქვა: „მე არაოდეს არ ვიღლები მისი კითხვით და ყოველ დღე ერთი და იგივე აღტაცებით ვკითხულობ. სახარება არ არის წიგნი, არამედ ცოცხალი ძალა, რომელიც სძლევს ყოველსავე, რაც კი მოისურვებს მის წინააღმდეგობას. სიწმიდე სულის დამატყვევებელი სახარებისა ეკუთვნის ღმერთს და არა ქვეყანას“.

ქრისტე განირჩეოდა ყველასგან თვისი წლოვანებით, მაგრამ ყრმობის სიახლესა, ენერგიასა და შემოქმედებითს ძალასთან ის აერთებდა იმგვარ სიბრძნეს, ზომიერებას და გამოცდილებას, რომლებიც ყოველ სხვა შემთხვევაში მხოლოდ მოწიფულ ჰასაკში გვხვდება. მისი საზოგადო მსახურების სამი წელიწადი, ისტორიული თვალსაზრისითაც რომ განვიხილოთ, უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე ხანგრძლივი სიცოცხლე უკეთეს და უშესანიშნავეს კაცთა. ეს სამი წელიწადი სავსეა ულრმესი აზრით საღვთო განგებისა და დანიშნულებისა კაცთა ნათესავის შესახებ. ეს სამი წელიწადი არის მწიფე ნაყოფი მთელი წინადროისა, აღსრულება ყველა იმედებისა და მხურვალე სურვილებისა ურიათა და წარმართთა და ნაყოფიერი თესლი მომავალი თაობისა. ისინი შეიცავენ უბრწყინვალეს ფიქრთა და უკეთილშობილეს საქმეთა მიზეზებს და იმ დრომდე შეინარჩუნებენ ასეთ ძალას, ვიდრე სდგას ქვეყანა. ისინი არიან „დასასრული დაუსრულებელი წარსულისა და დასაწყისი დაუსრულებელი მომავალისა“.

როგორ ღირს-სახსოვარია, როგორ საკვირველია ეს კონტრასტი იესოს საზოგადო მსახურების ხანმოკლეობასა და განუზომელ მნიშვნელობას შორის! მაცხოვარი სოფლისა არის ჭაბუკი!

ყველა დანარჩენ ადამიანთათვის საჭიროა გრძელი ხანა, რომ თავისი სული და ხასიათი მიიყვანოს სიმწიფემდე და დასტოვოს შემდეგ თავისა ქვეყანაზე ხანგრძლივი კვალი. არიან, რასაკვირველია, გამონაკლისებიც, რომლების მნიშვნელობას არ უარვყოფთ.

ალექსანდრე დიდი ეს უკანასკნელი, უბრწყინვალმსი ყვავილი ძველი საბერძნეთის ეროვნებისა, მოკვდა სიყმაწვილეში, ოც და ცამეტი წლისა და დაიპყრო მთელი აღმოსავლეთი ინდის ნაპირამდე. მაგრამ ვინ გაბედავს შეადაროს ეს მზვაობარი მეომარი, ეს მსხვერპლი თვისთა ვნებათა ცოდვილთა უმწიკვლო მეგობარს, ან ერთის სისხლით შეღებილნი გამარჯვებანი, რომლებიც სამარცხვინო დამარცხებით გათავდხენ, მეორეს მშვიდობიან გამარჯვებას, გამარჯვებას, რომელიც ყოველთვის, ყოველწლივ დიდებულდება და ბოლოს, მხედართა უზარმაზარი ძალმომრეობაზე დამყარებული სამეფო რომელიც დაარსებისათანავე ინგრევა, შეადაროს იმ სულიერ სამეფოს, რომელიც ჰგიეს იქამომდე და ეგება უკუნისამდე? გარნა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჭეშმარიტი, ერთად ერთი მნიშვნელობა ალექსანდრეს დაპყრობათა მდგომარეობს სრულიად მის პატივის მოყვარებისა და განზრახვათა გარეშე: ბერძნული ენის და ცივილაზაციის აზიაში გადანერგვით და აღმოსავლეთ დასავლეთის ქვეყნების შეერთებით მზადდება გზა იესო ქრისტეს საყოველთაო სჯულის შემოსასვლელად. ნაპოლეონმა წმ. ელენეს კუნძულზე გენერალ ბერტრანთან საუბარში სამართლიანად შენიშნა: „აღტაცებაში მოდიან ალექსანდრეს გამარჯვებებით. აგრემც იყოს! მაგრამ არის მეორე დამპყრობი, რომელმაც მრითვისა, შეიერთა არა მხოლოდ ერთი რომელიმე ერი, არამედ მთელი კაცობრიობა. ეჰა სასწაული! კაცობრივი სული ყველა თავის ძალებით ხდება იესო ქრისტეს განუყრელ ნაწილად“. ქრისტეს ცხოვრება და საქმეები შეადგენენ ისტორიის შუაგულს, ასე რომ ძველი საუკუნეები არიან მისთვის მომზადება, საშუალო და ახალი—კი ასრულება მათი. ამიტომ ისინი შეუდარებლივ მაღალი არიან ჩვეულებრივ კაცთა საქმეებზე. არის კიდევ სხვა განსაცვიფრებელი გარჩევა ქრისტეს და ისტორიულ გმირთა შორის, რომელიც ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიხსენოთ. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ისეთი არაჩვეულებრივი პირი, რომელიც იქმს არაჩვეულებრივ საქმეებს არაჩვეულებრივსავე დამოკიდებულე-

ბებშიც ჩადგებოდა და ჩვეულებრივ, დაბალ ბრბოზე უფრო მაღალ ადგილსაც დაიჭერდა. ამ გვარი პირისგან მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო რაღაცა ურაჩვეულებრივი, განსაკუთრებული შეხედულობაში, ტანისამოსში, მიხვრა-მოხვრაში, ლაპარაკში, ცხოვრებაში, აგრეთვე მოსამსახურეებში და თანამხლებლებში.

მაგრამ აქ ჩვენ სულ წინააღმდეგს ვხედავთ. ქრისტეს სიდიადეს აქვს ბეჭედი განსაკუთრებითი თავისებური სიწყნარისა, იგი მოკლებულია ყოველივე გარეგან ბრწყინვალებას. იგი არა თუ არ აშინებს მაყურებელს, არამედ აღუძრავს მას უმაღლეს სურვილს ქრისტესთან დაახლოვებისას. მის საზოგადო ცხოვრებაში ურაოდეს არა ყოფილა სურვილი ქვეყნიური გმირობისა, რომელიც მოცულია გარეგანი ბრწყინვალეებით, პირიქით ის (საზოგადო ცხოვრება) მიმდინარეობდა ჩვეულებრივი შინაური ცხოვრების კალაპოტში შვილის, ძმის, მოქალაქის, მოძღვრის, მეგობრის მარტივ დამოკიდებულებაში. მისი „ჭეშმარიტებით და მადლით“ სავსე სახის ნამდვილი გამოხატულობაც კი არა გვაქვს. მახარებლების თვალნი მიმართულნი იყვნენ მეტ წილად ქრისტეს სულის ზეციური სიმშვენიერისკენ, ამიტომ მისი გარეგანი სახე იკარგება მისი სიტყვის და ძალის წინაშე. ქრისტე არ მეთაუროობდა ჯარს, მას არ ჰქონია სამეფო, განსაკუთრებულად, არაოდეს მას არ სჭერია გამოჩენილი ადგილი, არაოდეს არ უძებნია ქვეყნიური კეთილგანწყობილება და არავისგან არ ელოდა ჯილდოს. ის იყო სულ უბრალო კაცი, არ ჰყოლია მას მეგობრები და მფარველები არც სინედრიონში, არც ირ0დის სასახლეში. ქრისტეს არა ჰქნია მეგობრული ურთიერთობა ხალხის არც სულიერ, არც საერო ხელმძღვანელებთან, რომლებიც მან, თორმეტი წლის ყრმამ, კითხვა-მიგებით განცვიფრებაში მოიყვანა. თვისი მოციქულები მან ამოირჩია უსწავლელ გალილეველ მეთევზეთაგან და არაფერ ჯილდოს არ დაპირებია მათ, გარდა ამ სოფლის მწარე ტანჯვათა. იგი სჭამდა ცოდვილებთან და

მეზვერეებთან, ერეოდა უბრალო ხალხში, მაგრამ არაოდეს არ დამდაბლებულა ტლანქ ზნე-ჩვეულებამდე. ქრისტე ისე ლარიბი იყო, რომ არა ჰქონდა, სადა თავი მიედრიკნა. მის მცირე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება დამოკიდებული იყო ზოგიერთ ეთილ-მსახურ დედათა კეთილშემოწირულებაზე; ხოლო ბვედრუკ ებარა ქურდსა და გამცემს. იგი არ იყო სწავლული, არ იცნობდა ხელოვნებას და მეცნიერებას, ჩვეულებრივი აზრით, არა ჰქონდა მას რაიმე ძალა, რომლითაც დიდი კაცები იპყრობენ ყურადღებას და აკვირვებენ ქვეყნიერებას. საბერძნეთის და რომის ბერძნებმა არაფერი არ იცოდენ ქრისტეს არსებობაზედაც კი. მხოლოდ მისი ჯვარზე სიკვდილის რაოდენიმე წლის განვლის შემდეგ, მისი საქმის ნაყოფმა, მის მომხრეთა „სექტის“ მუდმივმა ზრდამ გამოიწვია მათი წინააღმდეგობა და საზიზღარი სახელი.

მაგრამ ყველა ამასთან ერთად, ეს ნაზარეთით უფულოთ, უიარაღოთ, დაიპყრა მილიონები, დაიპყრა მეტი, ვიდრე ალექსანდრემ, კეზარმა, მაჰმადმა და ნაპოლეონმა, უსწავლელად და უმეცნიეროდ მან კაცთა და საღვთო საქმეებს მიჰფინა მეტი ნათელი, ვიდრე ყველა ფილოსოფოსებმა და სწავლულებმა ერთად; თუმცა იგი არ იყო განსწავლული შკოლურ მეცნიერებით, მაგრამ წარმოსთქვა იმისთანა სიტყვანი ცხოვრებისანი, რომელთა მსგავსნიც არც მაზე უწინ, არც მას შემდეგ არ თქმულან და მოახდინა იმგვარი მოქმედება, რომელიც აღემატება ყველა ორატორის და პოეტის ძალას; არ დაუწერია მას არც ერთი სტრიქონი, მაგრამ აამოძრავა კალმები, მისცა თემები ქადაგებათათვის, სიტყვათა და თხუზულებათა, მეცნიერულ წიგნთა, ხელოვნურ ნაწარმოებთა, და ტკბილ ქებით საგალობელთათვის— ქმნა უფრო მეტი, ვიდრე ძველი და ახალი დროის კაცთა ნაწარმოების სიმრავლემ. ბაგაში შობილს და, როგორც დამნაშავეს, ჯვარცმულს, მას ეხლა ხელთ უპყრია განათლებული ქვეყნის ბედ-ილბალი და უფლობს სულიერ სამეფოზე, რო-

მელიც შეიცავს ქვეყნის მცხოვრებთა მესამედ ნაწილს. არაოდეს არ ყოფილა ამ ქვეყანაზე ცხოვრება ისე მარტივი და უბრალო გარეგანი მხრით და ფორმით და ისე მდიდარი შედეგებით ყველა დროთა, ერთა და კლასთათვის. ისტორიამ არ იცის მეორე მაგალითი ამგვარი სრული და გასაკვირველი გამარჯვებისა, მიუხედავად სხვადასხვა მატერიალურ, სოციალურ, ლიტერატურულ და ხელოვნურ მომხმარე საშუალებათა და გავლენათა უქონლობისა, რომლებიც საჭიროა ჩვეულებრივი კაცისთვის გამარჯვების მისაღწევად. ამ მხრივ ქრისტე განცალკევებით სდგას ისტორიის გმირთა შორის და ჩვენთვის გაუგებარ გამოცანად ხდება, თუ არ მივიღებთ, რომ ის იყო კაცზე მეტი—სახელდობრ ის იყო სამარადისო ძე ღვთისა.

ჩვენ ვეცდებით ახლა გამოვხატოთ პირადი ანუ ზნეობრივი ხასიათი ქრისტესი, როგორადაც ის წარმოგვიდგება სახარების მოთხრობაში მისი ცხოვრების დროს და შემდეგ მივაქცევთ ყურადღებას ქრისტეს მოწმობებს თავის თავზე, მოწმობებს, რომლებიც გვაძლევენ ჩვენ დამარწმუნებელ და ერთად ერთ გონიერ გადაწყვეტილებას დიდი გამოცანისას.

თავი მეოთხე.

შეცოდველობა იესოსი.

პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ჩვენზე ცხოვრება იესოსი არის სრული უმანკოება და უცოდველობა მისი ცოდვებში ჩაფლულ ქვეყნის შორის. მან და მხოლოდ მან დაიცვა უმანკო სიფაქიზე ქალწულებისა, სიჭაბუკე და კაცობა უმწიკვლოდ. ამისთვის კრავი და ტრედი მისი შესაფერი ნიშნებია (სიმბოლოები).

უეჭველია, ქრისტეს შეხვედრია განსაცდელი, გარნა იგი არაოდეს არ ძლეულა განსაცდელთაგან. მისი უცოდველობა იყო, პირველად ყოვლისა, შედარებითი უცოდველობა ადამისა დაცემამდე. აქედან ცხადია აუცილებლობა განსაცდელთა და გამოცდათა და დაცემის შესაძლებლობაც. დასაწყისიდანვე მას რომ ჰქონოდა განთვისებითი ნიჭი არ ცოდვისა, მაშინ ის აღარ იქნებოდა ჭეშმარიტ კაცად და სწორედ ამის გამო არ შეიქნებოდა ჩვენთვის მისაბაძ მაგალითად; მისი სიწმიდე არ იქნებოდა მისი საკუთარი, პირადი დამსახურება, არამედ შემთხვევითი გარეგანი ნიჭი და მისნი განცდანი ტყუილი მოჩვენებანი იქნებოდნენ. როგორც ჭეშმარიტი კაცი, ქრისტე უნდა ყოფილიყო ზნეობით თავისუფალ და ზნეობით პასუხის მგებელ არსებად; თავისუფლება კი გულისხმობს არჩევანს კეთილსა და ბოროტს შუა, გულისხმობს აგრეთვე ღვთის მცნებათა ასრულების და არ ასრულების შესაძლებლობას. მაგრამ სწორედ აქ არის ძირითადი გარჩევა პირველსა და მეორე ადამს შორის: ძირველმა დაჰკარგა თავისი უმანკოება თავისუფლების ბოროტად მოხმარების გამო და ურჩობისთვის ჩავარდა ცოდვის სამწუხარო აუცილებლობაში; მეორე ადამი კი ცოდვათა შორის იყო და დარჩა უმანკოდ, მიუხედავად ყველა განსაცდელთა.

ამ რიგად შეძრწუნებითი უცოდველობა ქრისტესი, მისი საკუთარი, პირადი, ზნეობრივი საქმისა ანუ თავისუფლების წესიერად მოხმარების, სრულ აქტიურად და პასიურად ღვთის დამორჩილების გამო თან და თან და უფრო და უფრო განთვისებითად ხდებოდა. სხვა სიტყვით, პირველყოფილი შესაძლებლობა არ ცოდვისა, რომელიც შეიცავდა ცოდვის შესაძლებლობასაც, მაგრამ გამორიცხავდა კი მის სინამდვილეს, განვითარდა ქრისტეში შეცოდების შეუძლებლობამდე, იმ შეუძლებლობამდე, რომელსაც არ შეუძლია შესცოდოს მიტომ, რომ არა სურს. ეს არის უმაღლესი ხარისხი თავისუფლებისა, რომელიც იგივეა, რაც ზნეობრივი აუცილებლობა და განთვისებითი, მუდმივი თვითგანწესება კეთილისადმი. ამ ხარისხის თავისუფლება არის თავისუფლება ღვთისა და წმიდათა ცათა შინა იმ გარჩევით, რომ წმიდანებმა მიაღწიეს ამ მდგომარეობის ცოდვის და სიკვდილის კრულებათაგან განთავისუფლებით მაშინ, როცა ქრისტემ მოიგო იგი თავისი საკუთარი დამსახურებით.

ტყუილი შრომა იქნებოდა იესოს ცხოვრებაში, როგორც ის ნაამბობია (სახარებაში), ძებნა დაგვეწყო რაიმე ჩირქისა, ან მკრთალი აჩრდილისა რომლითაც მცირედ მაინც ბნელდებოდეს მისი ზნეობრივი ხასიათი. არაოდეს ქვეყანაზე არც ერთს კაცს არ უცხოვრია ისე უმანკოდ და მშვიდობიანად, როგორც ცხოვრებდა იესო. მას არავისთვის არა უვნია რა, არც არავის მოპყრობია იგი უსამართლოდ. არაოდეს მას არ უთქვამს არც ერთი უკადრისი სიტყვა და არ უქმნია ცუდი რაიმე საქმე. მის ქვეყნიურ ცხოვრების განმავლობაში ჩვენ მუდამ ვპოებთ ერთნაირ ბატონობას ქვეყნიურ საქმეებზე, აზრებზე, სიხარულზე და მწუხარებაზე და პირუთვნელ დამოკიდებულებას სიმდიდრესა, გარეგან ბრწყინვალებასა, დიდებასა და კაცობრივს განცხრომასთან. არც ერთი ცნობილი ბიწი სულ მცირედაც არ ეთანხმება იესო ქრისტეს აზრს; თვით უაღრესი ბოროტებაც კი ვერ ჰპოვებს მასში თავმოყვარეობის სუსტ-

ნიშანსაც კი მაში; მისი ზეციური სიწმიდის წინ მგრძნობელობა სირცხვილეულყოფილი ძრწოლით ილტვის; სიცრუემ უნდა უმწიკვლოდ დასტოვოს ის, ვინც თვით განხორციელებული ჭეშმარიტებაა; უსამართლობამ უნდა დაკარგოს თავისი ძალა, შეხვდება თუ არა მის შეუცთომელს სამართლიანობას; სიძულწის და ვერცხლის მოყვარეობის მხოლოდ შესაძლებლობაც კი ისპობა მისი სახიერებისა და სიყვარულის წინაშე; ჩვეულებრავი აზრი პატივის მოყვარებაზე იკარგება მის ღვთაებრივს სიბრძნეში და თავის განწირვაში.

ერთად ერთი შემოხვევა, რომელიც თითქოს წინააღმდეგია ქრისტეს თავისუფლებისა კაცურ ნაკლულევანებათაგან არის გულისწყრომა მისი ტაძრიდან მგმობელ ვაჭართა განდევნის დროს, ერთად ერთი შეცილება, რომლის გამოყვანაც კი შეიძლება მისი ქვეყნიურ ცხოვრების მოთხრობიდან. მაგრამ, მარტო ის შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ჩვენზე ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ ეს მოვლენა სულაც არ ყოფილა შედეგი სიფიცხისა, პირ იქით გულისწყრომა იესოსი იყო კანონიერი საქმე ფრიად მორწმუნე პირისა, რომელიც სამართლიანი და წმიდა შურით იცავდა და იფარავდა ღვთის ტაძრის პატივს. ეს იყო გამოჩენა არა სისუსტისა, არამედ ღირსებისა და დიდებისა, რომელთა წინააღმდეგაც ტაძრის სიწმიდის შეურაცხმყოფელნი, მიუხედავად თავიანთი ძალისა და სიმრავლისა, უნდა გაჩუმებულიყვნენ და უდრტვინველად აეტანათ დამსახურებული სასჯელი და აღვსილიყვნენ საღვთო შიშით ზეკაცური ძალის წინაშე. უფრო ნაკლებად გამოსადეგი საბუთია ქრისტეს კაცობრივ ნაკლულევნებათა თავისუფლების წინააღმდეგ უნაყოფო ლელვის დაწყევლა, რადგანაც ის თვალსაჩინოდ გამოხატავდა სიმბოლური მოქმედებით შეუგნებელ ურიათა მდგომარეობას და საშინელს განჩინებას მათის სასჯელისას. დიახ, ორივე ფაქტი ჩვენთვის უფრო ცხადი და გასაგები იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ვცნობთ ქრისტეში ღვთის ყოფნას, რადგანაც ეს ფაქტები წარმოგვიდ-

გენენ ქრისტეს, როგორც ტაძრის უფალს და ქმნილების მეუფეს.

სრული უცოდველობა იესოსი მტკიცდება სხვათა შორის არა მარტო მით, რომ არ მოიპოვება არც ერთი მოწმობა მის ცოდვიანობაზე, რომელიც გამოიხატებოდეს მის საქმეებში ან სიტყვებში და არა მარტო სრული თავისუფლებით თავმოყვარეობისა და ქვეყნიურ გრძნობათა ნიშნებისგან, არამედ იოანე ნათლის მცემლის და მოციქულთა ერთსულოვანი მოწმობიდანაც, რომლებიც უაღრესი მოკრძალებით ქედს იხრიან მისი ხასიათის წინაშე და სახავენ მას „მართლად, წმიდად და უცოდველად“. ესევე უცხადესად დაამტკიცეს თვით ქრისტეს მტრებმაც. წარმართი მსაჯული პილატე და მისი მეუღლე, წარმომადგენელნი რომის უფლებისა და კანონებისა, შიშისგან ძრწიან და ხელებს იბანენ, რათა განიწმინდონ უმანკო სისხლისაგან; მოუხეშავი და გაუნათლებელი რომის ასისთავი უმონაწილო მაყურებელთა სახელით ჯვართან აღიარებს: „ჭეშმარიტად ძე ღვთისა იყო ესო“. იუდაშაც კი, პირადმა მოწმემ ქრისტეს მთელი შინაური და საზოგადოებრივი ცხოვრებისა, სასოწარკვეთილებით წამოიძახა: „ვსცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი“! დასასრულ, უენო ბუნებაც კი საიდუმლო თანაგრძნობით მოწმობს: ცა დაბნელებით და დედამიწა ძვრით ერთდებიან და შეუგნებლად მიაქვთ ხარკი თვისი მომაკვდავი მეუფის ღვთაებრივი სიწმიდისადმი.

ყოველსავე მნიშვნელობას მოკლებულია ის მოსაზრება, ვითომც მახარებლები სისრულით არ გადმოგვცემენ ამბებს, ან რომ მათ კარგად ვერ გაუგიათ ქრისტეს ხასიათი მიტომ, რომ გარდა მახარებელთა მოთხრობისა ჩვენ ხელთა გვაქვს საკუთარი პირადი დარწმუნება იესოსი მის სრულს თავისუფლებაზე ყოვლისავე ცოდვისა და უსამართლოებისაგან; ეს გარემოება ჩვენ შეძლებას გვაძლევს ამოვირჩიოთ და ვსცნათ ორში ერთი—ან სრული ზნეობითი სიწმიდე, ან სრული პირმოთნეობა, რომელიც უნდა ჩაითვალოს ან უდიდეს სასწაულად,

ან უდიდეს გასაოცებელ ეზნეობათ, რომელიც ჯერ ოდესმე გაგონილა ქვეყანაზე.

თვით ის ფაქტი, რომ ქრისტე მოვიდა ქვეყნად ცოდვილთა გამოსახსნელად და ნეტარსაყოფელად, მოწმობს, რომ იგი იყო პირადად უცოდველი და თვით არ საჭიროებდა გაფხიზნას; აქედან გასაგებია ის შთაბეჭდილება, რომელსაც ჩვენზე ახდენს მთელი მისი ცხოვრება და ყოფაქცევა. ის სრულებით არა ზრუნავს თავის ცხოვრებაზე, ის მუდამ სცნობს თავის თავს ზეციურ მამასთან განუყრელ კავშირში. მაშინ როდესაც ყველას დიდებულად და შთაგონებით მოუწოდებს სინანულისადმი, თვით მას არ ესაჭიროება არც მოქცევა და არც მეორედ შობა, არამედ მხოლოდ თავისი ზნეობითი ძალის წესიერი, გარმონიული და მწყობრი განვითარება. მაშინ, როცა ის თავის მიმდევრებს სამაგალითო ლოცვის მეხუთე თხოვნაში ამცნებს ყოველდღე, როგორც არსობის პური, ითხოვონ ცოდვათა მოტევებაც, თვით ის არაოდეს არ თხოულობს თავისთვის წყალობას და შენდობას, გარდა სხვათა მიტევებისა და გარდა ამისა, მხოლოდ მას ყველა კაცთაგან ნაშობთა შორის ეძლევა უფლება სხვათა ცოდვათა მიტევებისა. იმ დროს, როცა ის თავისუფლად ექცევა ცოდვილებს, ყოველთვის ექცევა მათ სიყვარულით, როგორც მაცხოვარი ცოდვილთა.

რომ ყოველთვის ქრისტე ასე იქცეოდა, ეს უდავო უეჭველობით მტკიცდება ისტორიით, თუმცა ამგვარი მოვლენის ახსნა შეუძლიანთ ისე, როგორც სურთ. მაგრამ ყოვლისავე ეჭვის გასაფანტავად ჩვენ უჩვენებთ მტკიცე და უშიშარ გამოწვევაზე ქრისტეს მიერ თავისი მტრებისა: „ვინ თქვენგანმან მამხილოს მე ცოდვისათვის?“ ეს კითხვა, რომლის პასუხიც აქამომდე ჯერ არ სმენილა, ცხად და გასაგებ ჰყოფს, რომ ქრისტე არ ყოფილა ზიარი საზოგადო ბრალისა და კაცთა ნათესავის ცოდვისა, სხვა კაცის პირში ამგვარი კითხვა გამოაჩენდა ან ღრმა პირმოთნეობას, ან იმგვარ თავისი თავის

მოტყუებას, რომელიც სიგიჟესთან ახლოა; ის მოსპობდა საფუძველს ყოველგვარ კაცურ პატიოსნებისას; იესოსპირიდან კი ჩვენ ვღებულობთ ამას ინსტიქტურად, როგორც თავის დაცვას მხოლოისას, რომელიც იდგა განუზომელად მაღლა ბრალდების შესაძლებლობისა ან საფუძვლიანი ეჭვისა.

ჩვენ არ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ქრისტე იყო ცოდვილი ან ცოდვილად სცნობდა თავს, მაგრამ სულ წინააღმდეგს კი ამტკიცებდა და იმავე დროს მეგობრებზე და მტრებზე ახდენდა უმწიკვლო უმანკოების შთაბეჭდილებას. თუ ჩვენ ამას ვიფიქრებთ, ეს იქნება მისი მხრივ დიდი და მოუგონებელი სიყალბე. იესო ქრისტე რომ ცოდვილი ყოფილიყო, ისიც ისე, როგორც ყოველი ცოდვილი კაცი, გამოტყდებოდა ცოდვაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქნებოდა ცბიერობით გაჟღენთილი ორგული. მართლაც და, როგორ შეეძლო იმას გამოეჩინა ესოდენი ღვთიური მშვენიერება ხასიათისა, დაეცვა ბრწყინვალება დაურღვეველი გარმონიისა და ზეციური სიდიადისა, თუ რომ ყოვლისავე ქმნა მოუხდებოდა აღშფოთებული გულით? ასეთი მაგალითი ცბიერობისა თავის თავად გახდებოდა უდიდეს სასწაულად, რომელიც კი ოდესმე სმენია ქვეყანას.

ამრიგად, თუ ჩვენ არ ვაფასებთ არა თუ ქრისტეს მისსიას და მის სიდიადის შესაფერს ყოფაქცევას, არამედ თუ პატივსცემთ მის ცხადს და შესაგნებელს განმარტებას, ჩვენთვის უდავო ფაქტი იქნება, რომ ქრისტე **სცნობდა** თავის თავს თავისუფლად ცოდვისა და ბრალისაგან. ამ ფაქტის გონივრული ახსნა კი მდგომარეობს იმაში, რომ ქრისტე **სულ არ ყოფილა ცოდვილი**, რასაც ხალისით ეთანხმებიან უდიდესი ღვთისმეტყველები, რომლებიც არ არიან ცნობილნი მართლმადიდებლობით. მაგრამ ეს შეგნება გვიჩვენებს, რომ ქრისტეს და სხვა კაცთა შორის იყო არა მარტო ხარისხებრივი, არამედ თვისებითი გარჩევაც. მართლაც, ვთქვათ, რომ კაცს ბუნებას შეუძლიან არა სცოდოს, რომ ის მართლა უცოდველი იყო

დაცემამდე და რომ ხელახლა უცოდველი შეიქმნა ქრისტეს მიერ ცხონებით; მაშინაც კი ჩვენ აუცილებლად უნდა ვსცნათ, რომ კაცის ბუნება **აწინდელ** თავის მდგომარეობაში არ არის უცოდველი და არაოდეს არ ყოფილა ასეთი დაცემის დროიდან, გარდა მხოლოდ იესო ქრისტესი. ამიტომ, უცოდველობა ქრისტესი შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმგვარი ზესთაბუნებითი ყოფნით მაში ღვთისა, რაგორიც არ შეიძლება ვპოვოთ არც მის მოსვლამდე, არც მის შემდეგ არც ერთ კაცში.

საღვთოწერილი, სვინიდისი და ყოველდღიური დაკვირვება სრულიად ერთსულოვნად მოწმობენ ცოდვის საყოველთაობას. ეს ფაქტი წარმოადგენს ღრმა და ბნელ საიდუმლოს ჩვენი ყოფისას, ქვას შებრკოლებისას ჩვენი გონებისთვის, გამოცანათა გამოცანას, სამწუხარო წყაროს ყველა ჭირთა და უბედურობათა. ყოველი ერისა და დროის ლიტერატურა სავსეა საჩივრით ამ საშინელ და ულმობელ სინამდვილეზე. წარმართთა ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და პოეტები სცნობენ ამას და ძლიერი სიტყვებით აგვიწერენ: „ბოროტება, ამბობს პლუტარქე, თანდაყოლილს აქვს კაცსა და არ არის გარედან მოსული და სასტიკი აღზრდა რომ არ მოგვშველებოდა, კაცი უფრო ძნელი შესაკაჭებელი იქნებოდა, ვიდრე ველური ნადირი“.

რაც შეეხება ქრისტესა და მოციქულების დროს ხნეობის ფაქტიურ მდგომარეობას, ამაზე სენეკა, ტაციტი, პერსეოსი, იობენალი წარმოგვიდგენენ ჩვენ არა სანუგეშო ცნობებს და სავსებით აშტკიცებენ იმ ბნელ სურათს, რომელიც დახატა წმ. მოციქულმა პავლემ რომაელთა მიმართ ეპისტოლეს პირველ თავში. „ყველგან ხედავ დანაშაულობას და ბიწიერებას, ამბობს სენეკა, ისინი წარმოგვიდგებიან ნილად აყრილნი და აშკარად; ულვთოება სუფევს ყველას გულში, უმანკოება კი არა თუ იშვიათი გახდა, სულაც მოისპო“. მარკოზ ავრელიო-

სი, სტოიკი ფილოსოფოსი საძეფო ტახტზე და მდევნელი ქრისტიანეთა, ჩივის, რომ ერთგულებამ, პატიოსნებამ, სიმართლემ და ჭეშმარიტებამ დასტოვეს ქვეყანა და „მიიქცნენ ზეცად“. როცა გვაქვს ამგვარი მოწმობა წარმართ ბრძენთა, რაღა უნდა ვთქვათ ჩვენ ქრისტიანებმა, რომლებსაც შეგნება ცოდვისა და ბრალეულობისა გვივითარდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შევიგნებთ ღვთის სიწმიდეს და დაკვირვებით ვრწმუნდებით მის მოწყალებაზე! ამიტომ, მთელი საქრისტიანო, მართლმადიდებელნი, ლათინნი და ლუთერანგნი თანახმანი არიან საღვთო წერილის სწავლისა კაცთა ბუნების საყოველთაო სიწამხდრეზე პირველი ადამის დაცემის დროიდან. ამიტომ ახალი დოგმატი რომის ეკლესიისა ყოვლად წმიდა ქალწულის მარიამის თავისუფლების შესახებ ცოდვისაგან არ მიიღება გამონაკლადაც კი, რადგანაც მისი უცოდველობა პაპის დადგენილებით 1854 წ., ახსნილია ღვთის მადლის სასწაულებრივი გარევით და ყველგან მომქმედი გავლენით მისი საღვთო ძის დამსახურებითაც. არ მოიპოვება უნაკლო და უცოდველი კაცი. მხოლოდ თვის ცოდვათა შეგნებით კაცს შეუძლიან იცნას თავი თვისი და დაადგეს სათნოების და კეთილმსახურების გზას. არ არის არც ერთი წმიდა, რომელსაც არ გამოეცადოს მეორედ შობა და ნამდვილი მოქცევა ცოდვისგან სიწმიდეზე და რომელსაც ყოველდღე არ ეგრძნოს საჭიროება ღვთის მადლისა. ჭეშმარიტად, თვით უდიდესმა წმიდათა შორის, როგორც მაგ. პავლე მოციქული და წმ. აგვისტინე, გამოიარეს მედგარი ბრძოლა ცოდვებთან და განიცადეს ძირითადი ცვლილება. მათი საღვთისმეტყველო მოძღვრება და სარწმუნოებრივი ცხოვრება დაფუძნებულია ღრმად ნაგრძნობ წინააღმდეგობაზე ცოდვასა და მადლს შორის.

მხოლოდ ქრისტე წარმოადგენს ერთად ერთ და განთვისებით გამონაკლს საზოგადო კანონიდან. ის ფიქრობს, როგორც კაცი, გრძნობს, როგორც კაცი, ლაპარაკობს, მოქმე-

დობს, ივნებს და კვდება, როგორც კაცი. ყოველი მხრით გარეშეზღუდული ცოდვათაგან, ის ღრმა გრძნობით გამსჭვალულია ცრდვის შეგნებით და, ულრმესი—შებრალებით ცოდვილთადმი. საზოგადოებრივს მსახურებას ის იწყებს სიტყვებით: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათე 4, 17). მიუხედავად ამისა, მას არ შეხებია მწიკვლი სოფლისა; ის არასოდეს არ ყოფილა ცოდვითი მდგომარეობაში, არასოდეს არ ულვრია სინანულის ცრემლი, არასოდეს არ ნანობს აზრსა, სიტყვასა და მოქმედებაზე; მას არასოდეს არ სჭირდება ღვთისგან შენდობა და არც ითხოვს, არამედ კადნიერად, დარწმუნებული თავის უმწიკვლობაში ღვთისა და კაცის წინაშე ეკითხება თვის აწმყო და მომავალ მტრებს: „ვინ თქვენგანმა მამხილოს მე ცოდვისათვის?“ ამის მაგივრად, ის სცხოვრობს თვალშეუდგამს ბრწყინვალებაში და ერთობაში ზეციურ მამასთან, თვისი სახელით მიუტევებს ცოდვებს, ივნებს და კვდება, როგორც წმიდა მსხვერპლი ცოდვილ კაცთა ნათესავისთვის და სიკვდილის წინ აცხადებს თავის თავს ქვეყნის მსაჯულად!

მეფე სოლომონ დიდი და ხრესილის ომი*)

I.

ალექსანდრე მეფეს დარჩა—
სამი ვაჟი დიდებული,
იოსები, სოლომონი,
არჩილ გმირი და ქებული.
იოსების ხვედრი იყო
მემკვიდრობა მეფის ტახტის,
მაგრამ, ქვეყნის ერთგულებამ
მიიყვანა ამ დასკვნამდის:
ძმას დაუთმო სოლომონსა,
როგორც ღირსსა ყველაფერათ,
სამეფო ძმას ჩააბარა,
თვითონ შედგა იგი ბერათ.
თვრამეტი წლის სოლომონი
გახდა იმერეთის მეფეთ,
გარეთ მტერთა სისხლის მღვრელათ,
შინ წყალობის მოიეფეთ.
იმერეთში მძვინვარებდა
ამ დროს თათრის დიდი ჯარი,
რამდენიმე ათას ყურუშს
ხარკსა კრებდა—უმაძღარი.
სხვაფრივ მეფეს არ უშლიდა
სამართალს და ქვეყნის მართვას,
მათი სარფა იყო, მხოლოდ
ყველას ხარკი გამოართვას.
ქუთაისის ციხეს ფაშა
კიკნა ამაგრებდა,

*) ვისარგებლე გ. წერეთლის ნაწერით.

და მის ჯარსა მეტათ ძლიერს
ამ ციხეში აბარგებდა.
ალი ბეგი ხრესილს იდგა,
ახმედ ფაშა შორაპანში,
და უსეინ ფაშა ჯარით
მძვინვარებდა მთელ ბაღდადში.
ყველა თქმული ციხეები
იმათ ხელში იყო მთელათ
და ქუთაისს ალი ფაშა
იდგა მათდა მბრძანებელათ.

II.

როსტომ, რაჭის ერისთავი

იყო ამ დროს მეტად მძლავრი,
მთელი რაჭა მორჩილებდა,
ქონდა ძალა, ყავდა ჯარი.
ამას ყავდა ამხანაგათ
აბაშიძე ლევან—დიდი,
არგვეთისა მბრძანებელი,
კაცი საბრთხო, მოსარიდი.
ლევან იყო მეფის ბიძა,
დედის ძმაი, ნათესავი,
მაგრამ მეფის სამტროთ ქონდა
მას კბილები ნალესავი.
ეს თავადნი, ალექსანდრე
მეფის იყვნენ დიდი მტრები.
და იმის დროს მოახერხეს
შამოეშვათ აქ თათრები.
სულთანს ჯარი გამოთხოვეს,
და გაუღეს ციხის კარი...
მეფობისა მსურველებმა
ეს საქმე ქმნეს საზიზღარი;

ფაშებს ცრემლით ამბავ სთხოვდენ:
„თუ ხართ ჩვენი მეგობარი,
ამოსწყვიტეთ, არ დასტოვოთ
ბაგრატიონთ მთელი გვარი.
ჩვენ მიგვიღეთ ქვეშევრდომათ
და მოხარკეთ მთელი ერი,
მით სულთანსა სახელს შესძენთ,
ჩვენც დავშთებით ბედნიერი.
ამის ნაცვლათ პირობას ვსდებთ,
რომ მივიღოთ თქვენი რჯულდ,
მთელს იმერეთს გავათურებთ
ეს იმედი გქონდესთ სრული.
მეჩითებსა ავაშენებთ
ქუთაის და ბადდადს, ხონში;
შორაპანშ, ორპირს, კულამს,
ხრესილზე და საჩინოში.
რაჭას, ნიკორწმინდის გვერდზე,
ამბრალაურს, ერთსაც ონში“
როსტომმა სთქვა: „ერთსა მეჩითს
ჩემთვის დავდგამ ბარაკონში“.
მათი ნდომა ასე იყო:
იმერეთი შუა გაყონ,
ერთმა აქეთ, ერთმა იქეთ
იმეფონ და იამაყონ!
აი ამ დროს წილათ ერგო
სოლომონ დიდს პატონობა,
მტრის განდევნა და სამეფოს
ბრძნულათ მოვლა, პატრონობა.

III.

მიწურული იყო მარტი.
ზზემა სხივი მოაფინა,

ზამთარს სული გაეპარა
და დაუთმო ზაფხულს ბინა.
დიდი მარხვა წასულიყო,
ვნების კვირაც თავდებოდა,
ყოველ სულდგმულს უხაროდა
აღდგომა, რომ თენდებოდა.
აღდგომაა, ლიტანიათ
ემზადება მთელი ერი,
კათალიკოსს წირვისათვის
მოუმზადეს ყველაფერი.
ისმის ზარის რაკა-რუკა,
ზოგის წვრილი, ზოგის ბანი,
მლოცველებით გაიჭედა
ეკლესიის გალავანი.
გარს უვლიან ეკლესიას
ერნი; სანთელ ანთებულნი,
ბატონ მეფეს მხარს უშვენებს
კარის კაცნი დიდებულნი.
გალობლებმა „ქრისტე აღსდგა“
შამოსძახეს მხიარულათ,
მთელი ერი გარდაიქცა
საღვთისნებო სიხარულად.
გალობელთა ორი გუნდი
მიმოგდებით ღაღადებდა,
კანანარხი სიტყვაობდა,
ერი ლოცვას აღავლენდა.
ტკბილი ხმები საოცნებო
ყურთა სმენას დაატკბობდა,
კანდლები და კელაპტრები
ეკლესიას შეამკობდა.
ღვდელმთავარმა, წირვა ადრე
გაათავა, ვით წესია,

ერი სახლში გაემგზავრა,
დარჩა მხოლოდ ეკლესია.
დიდებულნი სასახლეში
ფეხაკრებით დასოსავდენ,
ზრდილათ მეფე დიდებულსა
დღესასწაულს ულოცავდენ.
მეფემ ბრძანა: „ღვდელმთავარი
რათ გვიანობს ნეტაი დღეს?
კმარა, რაც რომ ვიმარხულეთ,
სუფრას რატომ არ მიკურთხებს“?!
სიგვიანის მიზეზი რომ
მოახსენოს, ვერვინ ბედავს,
თუ არა და მეფე ჩქარობს,
ტყვილსაც ვერვინ გაუბედავს.

IV.

ჯარის კაცნი თათრებისა
ოჯახებში დაღოლავდენ
და რასაც ხელს წაავლებდენ
ჭამდენ, სვამდენ, არ ზოგავდენ...
ჭზარეულმა მეფისათვის
ცხვარი შესწვა, გაამზადა,
ამ დროს, თათრის ჯარის კაცი
შამოვარდა—არამზადა;
ცხვარს ბარკალი ააცალა,
დაჯდა იქვე გადასანსლა,
როგორც მოსვლა არ უკითხავს
არც უკითხავს ისე წასვლა.
ეს ამბავი სახლთ უხუცესს
მოახსენეს ასე, მთელათ,
მაგრამ, მეტათ ძნელი იყო
მეფისათვის ეს სათქმელათ...

თამაზა მესხს დაავალეს,
როგორც ვეზირს—ეთქვა ესა,
დიახ, მეფეს მოახსენეს
სიგვიანე საუზმისა...
მეფე როგორც ვეფხვი, ისე
უცბათ ფეხზე წამოვარდა,
ცხენებიო—დაიძახა
და პარმაღზე*) გამოვარდა.
ბრძანა: „ამგვარ სიცოცხლესა
სიკვდილი სჯობს საარაკო,
ეს დღე ნუღა გამითენდეს
თუ თათრები არ გავრეკო“!
ელვის უმალ ცხენს მოახტა
და ვარციხეს გაექანა,
დიდებულნი, კარის კაცნი
ყველა უკან დაედევნა.
მეფემ მყისვე სათათბიროთ
სარდლებს თავი მოუყარა,
ეახლნენ და თაყვანი სცეს,
ყველამ მუხლნი მოუხარა.
მეფემ ბრძანა: „დიდებულნო!
იცით რაზედ მოგიწოდეთ?
არ ივარგებს ჩვენი ქვეყნის
საკეთილოთ არ ვიღვწოდეთ...
ჩვენი ქვეყნის ბედის ჩარხი
ჩვენვე უნდა გვქონდეს ხელში,
რა უნდათ ამ წუნკალებსა?..
რათ ჩავვარდით ჩვენ ამ დღეში?
მე მეფე ვარ, ჩემი ერი
ხარკს აძლევდეს უნდა სხვასა!?

---

*) პარმაღი—აივანი, ბალკონი.

ვერ ავიტან მე ამ სირცხვილს,
დასაგმობს და საკიცხავსა!
დიდებულნო, გადავწყვიტე
ან ყოფნა და ან არ ყოფნა!
თქვენ რას მირჩევთ? ამ ყოფაში
გვმართებს კიდევ მეტი ყოვნა“?
დიდებულნი ზე წამოდგენ,
ყველამ ერთხმათ მოახსენეს:
„ცხადია, რომ თქვენს სამეფოს
ესენი არ მოასვენებს.
გვიბრძანე და გვიმსახურე,
როგორც უჯობს ამ ჩვენს მხარეს,
იმედი გვაქვს მტერსა დავსძლევთ,
შევანანებთ მათს მუქარებს“
მეფემ ბრძანა, მაშ, კარგიო,
სარდლებს მისცა რიგი—რიგზე,
არ დასჭირდა დიდი ცდაი,
დაალაგა—ფიქრი ფიქრზე.
ქაიხოსრო აგიაშვილს—
ციხის ჯარის თავს და სარდალს
უბრძანა, რომ ეხლავ წადი,
მიადექი ჯარით ბაღდათს;
თვის ძმას არჩილს*) და გიორგი
აბაშიძეს დაავალა,
შორაპანის ციხე შეეკრათ,
შეემუსრათ მტერის ძალა.
უბრძანა ბერ წულუკიძეს
და პაპუნა წერეთელსა:
„ხრესილს ჯარი გადიყვანეთ,
იქ ვცთი ჩემსა საწადელსა.

*) არჩილ—სოლომონ დიდის ძმა—იმერეთის უკანასკნელის მეფის სოლომონის მამა.

მტერის ძალა იქ მეტია...
და ასე მაქვს განაზრახი,
მსურს, რომ ომში მე იქ დავრჩე,
იქ გადაწყდეს ბედის ჩარხი".
ლორთქიფანიძეს მისწერა:
„მოურაო ჩემო ბერო,
ეს ბრძანება შეასრულე
დრო და ჟამის შესაფერო.
არ დასტოვო ქუდზე კაცი,
მოიწვიე მეომარი,
თავადი და აზნაური
ფიცის კაცი ვინაც არი.
ქუთაისში დაბანაკდით,
არ გააღონ ციხის კარი,
და შიმშილით ამოწყვიტეთ
კიკნა ფაშის მთელი ჯარი".
კულაშს ზურაბ მიქელაძეს
წერილსა სწერს მეფე, ჩქარის,
უბრძანა, თუ „შემოკრიბე
დიდი ჯარი ქვემო მხარის;
თავადი და აზნაური
მოიწვიე ქუდზე კაცი
და ოჯახზე თითო გლეხი
ვინაც იყოს მხნე, მამაცი;
ეკალ მუხურს ჩაიყვანე
და იქ ყელში ჩააბარგე,
ფოთისაკენ მიმავალი
გზები მეტათ გაამაგრე.
პირნაქცევი თათრის ჯარი
ამოჟლიტე, არ გაუშვა,
და იქედან მომავალიც
საზღვარზე არ გადმოუშვა".

როსტომ, რაჭის ერისთავსა
დასახმარად თხოვა ჯარი.
დაპირდა და უღალატა,
არ იწამა ქრისტეს ჯვარი...
როსტომი და აბაშიძე
თურმე კუდსა კუდზე აბამს,
დაწვრილებით აწოდებდენ
ფაშებს ბატონ მეფის ამბავს.
და ამგვარათ მზადდებოდა
ორივე მხრით სისხლის ღვარი,
ბედის წერის გადამწყვეტი
ხოცვა, ჟლეტა საზიზღარი.

V.

სოლომონ მეფე შებრძანდა
ცხენზე, ის მირონცხებული,
მტრის მჯავრის ამოსაყრელათ
გულმწყრალი, განრისხებული.
იჩქარის, როგორც ჭაბუკი,
მკვირცხლი და საღი ჯანითა,
სიმონეთს უცთის სარდლები
მრავალ რიცხოვან ჯარითა.
მეფე მიბრძანდა, სარდლებმა
ჯარი გაშალეს წყობითა,
იჩქარის ყველა საომრათ
თათრებზე გულისწყრომითა.
მეფემ უბრძანა მხედრობას:
„დაწყნარდით, მომისმინეთო,
გვეყო რაც დღემდის ვითმინეთ,
ლაჩრობა ჩავიდინეთო.
ღვთის მშობლის წილ ხვედრს ქვეყანას
დაეპატრონა თათრები,

წაბილწეს რჯული ქრისტესი
და შეგვიგინეს ტაძრები.
ხარკს გვახდევინებს ვით მონას,
ხარობენ გალაღებული.
ჩვენ? თითქოს არაფერიო
შევყურებთ პირდაღებული!
რჯულსა და მამულს იცავდენ,
ხომ იცით, ჩვენი ძველები.
მათ სისხლითაა მორწყული
ეს ჩვენი ტყე და ველები.
„ვინც რჯულს და მამულს უმტყუნოს
იყოს უფლისგან წყეული“!
აი ეს არის ანდერძი
ჩვენი მამებისეული.
ჰა! ძმებო, მამის ანდერძი,
აჰა რჯული და მამული!
ორივე განსაცდელშია,
ხსნას ითხოვს მტრისგან ჩაგრული.
გამხნევდით, ძმებო! თუმც ვიცი,
რომ მტერი სამჯერ მეტია,
ვიბრძოლოთ მამაპაპურათ,
ჩვენს კერძო არის ღმერთია.
ვაჩვენოთ, ხმალი ქართველთა,
თუ მათი უფრო მკვეთრია.
ღვთის იმედი მაქვს, ვერა გვძლევს
თუნდ ათსაც შევხვდეთ ერთია.
მეც გვერდში ამოგიდგებით,
როგორც ძმა შენაფიცარი,
თუ რომ გიმუხთლოთ, მტრის ტყვიამ
გამიპოს გულის ფიცარი“.
ჯარმა შესძახა: „იცოცხლე
საქრისტიანოს მცველათო,

ჩვენ თუ მტერს ზურგი ვაქციოთ
„დედა შეგვერთოს ცოლათო“.
ჯარი დალოცა და იქვე
შებრძანდა მცირე კარავში,
განგებ მეფისთვის ნაკეთებ
ღამის თავ შესაფარავში.
მუხლ მოდრეკილი ლოცულობს
მთელ ღამეს, როგორც ბერია,
უფალს სთხოვს, განსაცდელისგან
დაიხსნას მისი ერია.

VI.

ვარსკვლავნი ცელქობს, ციმციმებს,
წინწკლებს ყრის მოსხივარესა,
ზეფირი ყვავილთა სუნსა
ჰფენს ტურფა არემარესა.
მინდორ — ველ — კორდებ — ბუჩქნარი
ზურმუხტობს, განაზებულა,
ახალ — ნორჩ ფოთოლ — ყვავილით
სამოთხეთ გარდაქცეულა.
მის სილამაზეს, სიტურფეს
ვერ წვდება კაცის გონება,
მხოლოდ, — ედემის წალკოტი
ყოველ კაცს მოეწონება.
განა ქართველსა ასეთი
სამშობლო არ ეყვარება?..
მისი მტრის ჟინის ამოყრა
არ უნდა, არ ეხარება?
ქართველის ხმალზე სწერია:
მტერს ხმალი მამაპაპური!
მოყვარეს კეთილი გული,
პატივი, ღვინო და პური.

ამისთვის ჩქარის ქართველთა
ჯარი მტრის შესაყარათა,
უნდა არ ზოგოს, გაჟლიტოს,
სისხლი ადინოს ღვარათა...
შუალამეა, ორივე
მზათ არის სპასალარები
ცხენოსანი და ქვეითი
მტრის ბანაკთან სდგას ჯარები.
ცხენოსან ჯარსა თაოსნობს
პაპუნა წერეთელია,
ქვეითა ჯარის უფროსათ
ბერ წულუკიძე ქველია.
მეფემ უბრძანა პაპუნას:
გაყავი შენი ჯარიო,
ამ ომში მე უნდა ვიქნე
მემარჯვნე მეომარიო.
ნახევარ ცხენოსან ჯარსა
მეფე თაოსნობს მარჯვნითა,
ნახევრით შამოუარა
მტრის ჯარს პაპუნამ მარცხნითა.
ბერ წულუკიძემ ერთის მხრით
ქვეითი ჯარი მიყარა.
შამოკრეს მტერის ბანაკი,
დაჰკრეს ბუკი და ნაღარა.
სამი მხრით მოულოდნელათ
დაესხენ მტერსა რისხვითა,
თავს დასცეს მეხი მათს ბანაკს,
სამჯერ მათზე მეტს რიცხვითა.
მედგრათ დაუხვდათ მტრის ჯარიც,
შეიქმნა ომი ფიცხელი,
ორივ მხრით იხოცებიან
ვაჟკაცნი გულის დამწველი.

განთიადი.

ილვრება სასხლი უწყალოთ,
ჯერ ძლევა არსით არ არი,
მიაწვენ მტრის ჯარს ყოველ მხრით,
უნდათ არ მისცენ სახსარი.
მეფე შევარდა ცხენდაცხენ
უცბათ მტრის ჯარის შვა გულში.
შიშველი ხმალი ხელში აქვს,
ალიბეგს იწვევს დავლურში.
თათრულათ ყივის: ალი ბეგ,
გამოდი ვაჟკაცურათო,
სად იმალები? ნუღა თრთი
ლაჩრულათ, დიაცურათო.
ალი ბეგ შეკრთა, შეშინდა,
არ მოელოდა ამასა,
მიიჭრა მეფე ვეფხვივით
მოჭრა თავი ვით ქათამსა.
წულუკიძემ და პაპუნამ
შამოამტვრიეს საფრები,
ჯარმა დასძახა ყიჟინა,
უკან იხევდენ თათრები.
მტრის ჯარი დაფრთხა ამ ამბით,
არევ დარევით ვიდოდა,
ამ დროს იმერნი მტრის მკვდრებზე
ზედაზე გარდადიოდა.
უსარდლოთ დარჩენილ თათრებს
უსარდლა აბაშიძემა,
თავისი ჯარიც მეშვლათ ყავს,
იწყო ბრძანების მიცემა.
გაგრძელდა ომი ხელ ჩართვით,
ისმის ხმლის ჩახაჩუხია,
ლევანი სარდლობს მტრის ჯარსა,
ცხენი ყავს ფერათ რუხია.

ამ დროს ხის წვერზე გასულა
მეფის ჯარიდან ვიღაცა,
თათრულათ ყივის: „ალიბეგ
მოკლეს, თათრები გაიქცა“.
თან და თან ყვირის, არ ცხრება,
რა კი ეს საქმე ირგუნა,
მართლადაც თათრები დაბრთხენ
და ჯარმა პირი იბრუნა.
ხის წვერზე კაცი შენიშნა
ლევანმა ასე მყვირალი,
მოკვლა უნდოდა ვერ ხედავს,—
ხის ირგვლივ იწყო ტრიალი.
ამ დროს ვიღაცის შაშხანმა
დასჭექა, დაიგრიალა,
და აბაშიძე ლევანი
პირქვე გადმოატრიალა.
ძირს გადმოხედვით შენიშნა
ხის წვერზე მყოფმა მყვირალმა
მინდვრათ ხტის ცხენი რახტითა,
ლევან აგდია პირალმა.
კვლავ მოუმატა ყვირილსა:
გაიქცა თათრის ჯარიო
აბაშიძე და ალი ბეგ
მოკლეს, აქ გდია მკვდარიო.
პირქვე დაეშვა მტრის ჯარი,
შეშინებული მხდალია,
ქართველნი უკან მისდევდენ
ელავდა მათი ხმალია,
იმდენი ჟლიტეს, რომ მკვდრებით
სულ გზები იყო ავსილი,
ამ გვარათ მეფე სოლომონ
შეიქმნა ძლევა მოსილი.

აქეთაც ბევრი დახოცეს,
მეფე სწუხს, აღარ უხარის,
დასტირის დაკარგულ გმირებს
და ცრემლები სდის მწუხარის.

VII.

ბაღდათს, შორაპანს, ქუთაისს
იმავ დროს იყო ომია,
როცა ხრესილზე იბრძოდა
სოლომონ, როგორც ლომია,
ქუთაისს ციხეს მიადგა
ლორთქიფანიძე ბერია,
ციხის აღება უცილოთ
ფიცის კაცების ჯერია.
აქ კიკნა ფაშა მძვინვარებს,
ციხე მას დაუჭერია,
ფაშას და მის ჯარს შიმშილით
ადევს სიკვდილის ფერია.
ფოთიდან სურსათს ელოდა,
არ მოდის არაფერია,
ეკალმუხურში ჯარი სდგას,
საზღვარი დაუჭერია.
აქ მიქელაძეს ზურაბსა,
სარდალსა ქვემო მხრისასა
ომი აქვს, სურსათს არ უშვებს,
მუსრავს მაშველ ჯარს მტრისასა.
ფიცის კაცებმა შამოკრეს
ქუთაისს ციხის ზღუდები,
სამი ათასი კიბე აქვთ
კედელზე მისაყუდები.
ჯარი აცოცდა კიბეზე,
ერთად ციხეში ჩაზღვავდა,

დაკრეს ბუკი და ნაფირი
ომი სასტიკათ გამწვავდა.
ფაშა აკუწეს, აკაფეს,
როგორც საშობო ღორიან,
ჯარი გაჟლიტეს ხმლებითა,
დადგა სისხლისა ღვარია.
მეტათ უწყალოთ დახოცეს,
ალარ გაუშვეს მთხრობელი.
ბერმა მეფესთან გაგზავნა
ამ ამბის მახარობელი.
ბატონიშვილიც*) მეფეს სწერს:
„გილოცავთ გარმაჯვებასო,
შორაპანსა და ბალდათში
მტერისა დამარცხებასო.
იკურთხოს შენი მეფობა,
გვირგვინი სვებედნიერი,
იკურთხოს შენი მხედრობა,
მტერთა მმუსრავი ძლიერი“.
ბატონი მეფის სიხარულს
ამ დროს არ ქონდა საზღვარი,
რომ მის სამეფოს მიეცა
მშვიდი ცხოვრების სახსარი.

რაც შეეხება ერისთავს,
როსტომმა რაც რომ ისარმა,
მას მწარე ბედი არგუნა
მეფის ნასროლმა ისარმა.

რ. საჯავახოელი.

---

*) არჩილ — მეფის ძმა.

ღმ. ედუკია.

(თარგმანი).

მცირე აზიის ქალაქ ილიოპოლში, იმ დროს, როცა წარმართნი სდევნიდენ და აწამებდენ ქრისტიანებს, სცხოვრობდა ახალ გაზდა, ლამაზი ედუკია, ტომით სამარიელი. სცხოვრობდა მარტოთ მარტო, თავის ნებაზე, უდედმამოთ, უთვისტომოთ, სრულიად თავისუფალი, როგორც გარეგანი ჩიტი, როგორც ცქრიალა მერცხალი.

ახალგაზდა, ლამაზი, მუდამ მხიარული, ენამეტყველი, მომღერალი, მოცეკვარი, იგი, როგორც ქარაფშუტა პეპელა დამათრობელ ყვავილთა შორის, დაბზრიალებდა ილიოპოლელ მდიდარ და მოქეიფე ახალგაზდობაში.

ახალგაზდა მოქეიფენი ბუზებივით ირეოდენ მის გარშემო, ერთი მეორეს ენაცვლებოდენ, უხვად სთავაზობდენ საჩუქრებს და ბევრი მათგანი მთელ თავის საცხოვრებელზე ხელს იღებდა, ოღონდ მისი ყურადღება დაემსახურებია.

მშვენიერ ედუკიას წელიწადი — თორმეტი თვე დღესასწაული ჰქონდა. ლხინი ლხინზე ებმოდა; მისი სადგომი მეფის სასახლეს უდრიდა; მისი სამოსელი აკვირვებდა მნახველს თავის მშვენებით; მისი სარდაფები სავსე იყო მდიდარი ავეჯით; ბეჭდების, ყელსაკიდების და სხვა ძვირფასი მორთულობის ფასი არ ითქმოდა.

ედუკია კმაყოფილი იყო თავის უზრუნველი ცხოვრებით. ყველაფერი მზათ იყო მისთვის; ყოველი მისი ჟინი დაუყონებლივ სრულდებოდა. ედუკია არ ფიქრობდა, თუ ამაზე უკეთესი ცხოვრება კიდევ შეიძლებოდა.

ასე განვლეს წლებმა. ედუკიას გულს რაღაც ნისლი გადაეფარა. განუწყვეტელი დღესასწაულობა თითქოს მობეზრდა. ედუკიას სილამაზის ერთი ხაშიც არ შეცვლია, არც ახალგაზ-

დობის ვარდი დასჭკნობია ჯერ, მაგრამ ხანდისხან რაღაც ნაღვლით ევსებოდა გული. მისი სული თითქოს სადღაც მიისწრაფოდა, რაღაცას ეძებდა, რაღაცას ნაღვლობდა, სწუხდა.

ედუკიას უყვარდა ხანდახან თავის ჩრდილოვან ბაღში მარტოთ მარტო ხეტიალი ან საღამოობით გადასულ შუადამემდი ფანჯარასთან ჯდომა და შორს სივრცეში ცქერა, თუ როგორ იწყება დღე, როგორ ქრებიან მზის უკანასკნელი სხივები და როგორ ენთებიან მაღლა- მაღლა ცაში ვარსკვლავები. ასე გავიდა გაზაფხული. ბაღი ყვავილებში იფლობოდა, წყნარ ნიავს ერთი მეორეზე მოჰქონდა სურნელების ტალღები და უხვად ატკბობდა ედუკიას გალაღებულ ყნოსვას. გაზაფხულის თბილი ჰაერი ამხნევებდა, უღვიძებდა გულში რაღაც ტკბილ, წმიდა, უცნობ, ახალ გრძნობებს.

ედუკიას კვლავ აღარ სურდა ქეიფი და დროს ტარება. იგი დაიქანცა ადამიანთა საზოგადოებისაგან და მოხარული იყო მორტო დარჩენისა.

ღამის წყვდიადი ნელნელა ეფარებოდა ქალაქს. ხმაურობა თანდისთან სწყდებოდა. ედუკია ბაღის საფეხურებზე იჯდა და ბუნების სიწყნარით სტკბებოდა. უეცრათ ბაღის გადაღმა, ღარიბ მეზობელ მუშის ეზოში გაისმა ტკბილი გალობა. ეტყობოდა, მოხუცის, სუსტი, აკანკალებული, მაგრამ წმინდა და ნაზი ხმა იყო.

— ცხოვრების მომნიჭებელო და ქვეყნიერების მპყრობელო, მჯდომარეო საყდარსა ზედა ცისათა, -გალობდა ნაზი ხმა, — შენ გმსახურებენ მზე და ვარსკვლავნი, შენ გადიდებს ქვეყანა, შენ სიტყვითა ქრისტესითა ჩვენც განგვიცხადე დიდება შენი.

ედუკიამ ყურები სცქვიტა; ასეთი გალობა ჯერ არ სმენია მის ყურს. ეზოდგან საგალობელთან ერთად რაღაც ფრთებიც მოქროდენ. ამ ფრთებმა მოიტაცეს მისი სული და ლამობდენ სადღაც გაეფრინათ. სად? ვინ იცის სად? მხოლოდ მაღლა, ძლიერ მაღლა, სადღაც შორს, შორს თვალ უწვდენელ საუცხოვო სივრცეში.

ხმა შესწყდა, შეისვენა, შემდეგ ისევ განაგრძო: „ნეტარ არს, რომელსა მწე ექმნეს უფალი, რომლისა სასოება უფალსა მისსა ზედა. უფალმა ჰყვის წყალობა დაწუნებულთათვის. უფალი იხსნის ბორკილთაგან, უფალი მისცემს ბრმათა მხედველობასა, ზრდის ქვრივთა და ობოლთა. ნეტარ არს, რომლისა უფალი არს ღმერთი. უგალობდე უფალსა, ვიდრემდის ვიყო.“

ედუკია თითეულ სიტყვას იჭერდა. მას უნდოდა თვალით დაენახა ვინ იყო ეს მომღერალი და თან განძრევისაც ეშინოდა.

ეზოში ეხლა სხვა ხმა გაისმა, გალობა შესწყდა. ლაპარაკობდა მოხუცი.

— დაჯექ, ძმაო! დამიგდე ყური და მე წაგიკითხავ რაღაცას. ყოველთვის თან დამაქვს ეს წიგნი. საუკეთესო ყავარჯენია. მას თუ დაენდობი, არასოდეს ფეხს არ წამოკრავ და ყოველთვის გამოხვალ სწორ გზაზე.

დაიწყო კითხვა. კითხულობდა მოხუცი იმავ წყნარი, ნაზი ხმით. კითხულობდა შემდეგს:

— იღვიძებდით, რამეთუ არა იცით არცა დღე და არცა ჟამი, რომლესა შინა ძე კაცისა მოვალს. ხოლო როდესაც მოვა ძე კაცისა დიდებითა თვისითა და ყოველნი ანგელოზნი მისნი მისთანა, მაშინ დაჯდება იგი საყდარსა ზედა დიდებისა თვისისასა და შემოკრბება მის წინაშე ყოველნი ტომნი და განარჩევს ურთიერთთაგან, ვითარცა მწყესმან განარჩევნის ცხოვარნი თიკანთაგან.

ედუკია ყურს უგდებს, მაგრამ არაფერი გაეგება:

— ვინაა ძე კაცისა? როდის მოვა? საიდან, რისთვის?

მოხუცი კი კითხულობს: —მშიერი ვიყავ და გამაძღეთ მე; მწირ ვიყავ და შემიწყნარეთ მე... მწყუროდა და არა მასვით მე: შიშველ ვიყავი და არა შემმოსეთ მე... რაიცა უყავთ ანუ არა უყავთ ძმასა თქვენსა, იგივე მიყავთ ანუ არა მიყავთ მეცა.

გათავდა წიგნის კითხვა. გაიმართა მუსაიფი. მოხუცი ლაპარაკობდა სიცოცხლეზე სიკვდილზე, იმაზე თუ რა მოგველის სიკვდილს შემდეგ.

იშოვნის კაცი ქესას, უვლის, უბეში ინახავს. სურათს იყიდის, — კედელზე დაკიდებს მწვირისა და მტვერისაგან იფარავს. მხოლოდ სულს არ უვლიან ადამიანები, მხოლოდ მას სტოვებენ უყურადღებოთ. მერე რას არ უშვებაინ სულს, როგორ არ ამახინჯებენ მას!

— წამოითხრის კაცი თვალს, — უბედურებაა; ფეხს იღრძობს — უბედურებაა; ხელს ან ფეხს მოიტეხს, საუკუნოთ დამახინჯდა. სული კი კიდეც მრუდდება, კიდეც კოჭლდება, კიდეც იღრძობა, — და მაინც არაფერი, არავის არ აწუხებს. რა პირით წარუდგებით ჩვენ ყველანი ღმერთს სიკვდილს შემდეგ? რით წარვსდგებით საშინელ განსჯის დროს? ღმერთმა ადამიანს ძალაც მისცა, ახალგაზდობაც, ჭკუაც, სილამაზეც. სად იხარჯება ესე ყოველი? რანაირ საქმეებში? დადის ქრისტე ჩვენ შორის და ეძებს, ვინ გაათბოს, ვინ გაახაროს თავის ცხოვრებით, ვინ გაუღოს გულის კარი!

— ოოხ, ძმაო, ბნელია, ჭუჭყიანია ჩვენი გული, ოხვრიდ ამბობდა მოხუცი.

— როგორ გინდა მოესწრო სიცოცხლეში სინათლეს? საიდან უნდა მოვიდეს იგი? როგორ უნდა დაუახლოვდეთ ღმერთს სინათლით?

— რა უცხო სიტყვებია! — კვიროობდა ედუკია, — სად უნდა წავიდეთ? რის განკითხვა?

რაღაც შიშმა აიტანა ედუკია. — ვინ არის რომ ჩვენ შორის დადის? აბა ჩემ ახლოსაც ყოფილა? ყველაფერიც უნახავს! — ფიქროობდა ქალი.

ედუკია აეხთო, გული გაუცივდა და სისხლი სახეზე მოაწვა. ერთ თვალის დახამხამებაში მას წარმოუდგა მთელი თვისი ცხოვრება. მისი განვლილი ცხოვრების სურათებმა, ძეწკვის რგოლებივით ერთი მეორეზე გადამბულებმა, სწრაფად

გაირბინეს მისი გონების თვალწინ. ედუკია თავის გონზე აღარ იყო. მან პირველად იგრძნო სირცხვილი.

გათავდა მუსაიფი, მოსაუბრენი ადგენ და წავიდნ, ედუკია კი იჯდა. მის თავში სულ ახალ-ახალი, ჯერ კიდევ არ განცდილი აზრები, ტრიალებდენ:

— რისთვის განმიკითხავენ? რა უნდა უპასუხო?.. რა უნდა უჩვენო?..

— რა ვაჩვენე ადამიანებს? მოხუცი სურათზე ლაპარაკობდა... ჩემთვისაც არა ერთხელ უწოდებიათ სურათი... საიდგან არის ჩემი სილამაზე?

— საიდან? რა თქმა უნდა, ღვთისაგან! სჩანს, მე ღვთის სურათი ვარ. ღმერთმა გამომგზავნა, რომ ცხოვრება დავაშვენო.

ედუკია გაჩუმდა. რაღაც ჟრუანტელმა დაურბინა.

— რა სისაძაგლეა! სირცხვილი! და ეს ყველაფერი იყო?

ედუკია შევიდა ოთახში, მაგრამ ძილი არ ეკიდებოდა. მთელი ღამე ფიქრებში გაატარა. დილით მხევალი გაგზავნა, რომ გაეგო, ვინ იყო მეზობლისას და ეთხოვა მოსულიყო. მხევალი მალე დაბრუნდა და ამბავი მოუტანა.

— მგზავრია, სადღაც უდაბნოში მიდის, გერმანეს ეძახიან, შემპირდა მოვალო.

გერმანე მალე მოვიდა. — მითხარ, მამაო, რა წიგნია ის, რომელსაც შენ კითხულობდი და რა განკითხვაა, რომელზედაც ლაპარაკობდი? გავიგონე გუშინ შენი საუბარი და აღმაშფოთა. — კეთილია შენი აღშფოთება, უთხრა გერმანემ. სძინავს ადამიანთა სულებს, სძინავს და არა ესმის რა, არაფრისთვის არ შფოთავს. ამიტომ მოსვენებულათაც არიან. მოსვენებით იყავ შენც, მაგრამ სული ღვთისა შეგეხო შენ, დაქროლა შენ სულს და შენ იწყე შფოთვა. გიხაროდეს ამისთვის, ხოლო წიგნი, რომელმაც შენ გაგაღვიძა დიდებული წიგნია... იცი რა გითხრა: სიცოცხლე უცნაური რამაა... ადამიანებმა სრულებით არ იციან, როგორ მოიხმარონ იგი. არეულობაში

სულ ერთიანათ დაჰკარგეს ჭკუა. როგორც მაგალითად ცეცხლის გაჩენის დროს, სულ უბრალო ნივთს წამოავლებენ ხოლმე ხელს და თვით უძვირფასესი კი ავიწყდებათ, ეძებენ კატის კნუტებს და ბავშები კი ავიწყდებათ. ასეა ცხოვრებაშიაც. უბრალო რამეზე ხარჯავენ ჭკუას, შრომას და დროს, ხოლო უმთავრესი კი ავიწყდებათ.

— რაღა უნდა იყოს ეს უმთავრესი? ჰკითხა ედუკიამ და სმენად გადაიქცა.

— უმთავრესი ღმერთია, ისევ ისე მშვიდათ და რწმენით განაგრძო გერმანემ. ღვთაებამდის უნდა ავმაღლდეთ, ღვთაებამდის უნდა გავიზარდოთ, მას უნდა დავემსგავსოთ. სჩანს, ცხოვრება კიბეა. ერთი საფეხურიდან მეორეზე უნდა შევდგეთ და ამ რიგათ სულ მაღლა მაღლა უნდა მივდიოდეთ: ჰქენი ერთი სიკეთე, ჰქენი მეორეც. ჰპოვე კარგი, ეძიე უკეთესი. ხოლო როგორ უნდა ავაშენოთ ეს კიბე, რაზე უნდა დავაფუძნოთ? ადამიანებმა ნაკლებათ იციან. წიგნი კი ყველაფერს გვასწავლის.

„მაშენებელია“ ეს წიგნი. მთელი ჩვენი ცხოვრების საშენებელ მასალის, მთელი ჩვენი მოქმედების ღირებულების მაჩვენებელია ეს წიგნი; გვეუბნება, რა რათ ღირს, რა არაფრათ არ ღირს: იცავს სულს, რომ არაფერი დაჰკარგოს. ,,ბევრი აქვს მიცემული ადამიანსა“ ამბობს იგი, მაგრამ ბევრიც მოგეთხოვებაო“, მეც მომთხოვს და შენც მოგთხოვს ღმერთი, ქალბატონო! სიკვდილს შემდეგ მიგიწოდებს შენ ღმერთი და გეტყვის: მხევალო ჩემო, ედუკია! მე შენ შეგამკვე სილამაზითა და ყველაფრით გამოგაწყვე ცხოვრებისათვის; მითხარ, რა იმოქმედე ცხოვრებაში? მიპასუხე, სად დაფანტე შენი ახალგაზდობა, სილამაზე, სულის მშვენება? რას ეტყვი შენ მაშინ, ჩემო ქალბატონო, რა პასუხს მისცემ ღმერთს?

— ვინა ხარ შენ, ქალბატონო? ჰკითხა გერმანემ ედუკიას. რა სარწმუნოებისახარ? გყავს თუ არა ქმარი? საიდგანა გაქვს სიმდიდრე და როგორ ცხოვრობ?

ედუკიამ თავი ჩაღუნა.

—სარწმუნოებით და ტომით სამარიელი ვარ. ქმარი არა მყამს... ხოლო როგორ ვცხოვრობ და საიდგან გავმდიდრდი, —ამაზე უნჯობესია არ ვილაპარაკოთ.

— არა—, მიუგო გერმანემ,—სწორეთ შენ გეკუთნის, რომ ილაპარაკო. ავათ მყოფი თავის ავათმყოფობაზე ფიქრობს, მწუხარე—მწუხარებაზე, ხოლო შენ ავათმყოფიცა ხარ და მწუხარეც. სული შენი ავათმყოფია. მთელი შენი სიცოცხლე მწუხარებაა, მთელი შენი სიმდიდრე კეთროვანებაშია და კეთროვანებაში ილევა მთელი შენი სიცოცხლე. როგორ უნდა წარუდგე ღმერთს?

— მე დავეხმარები გლახაკებს,—მორცხვათ უპასუხა ედუკიამ, ვასაზრდოებ მშიერთა, შევმოსავ შიშველთა, მივხედავ და მფარველობას გაუწევ ქვრივთა და ობოლთა.

— ეგ სულ ის არაა,—ნაღვლიანად გაიქნია თავი გერმანემ. თვით ის შენი სიმდიდრე ბილწებითაა შეძენილი და რა-ნაირათ ფიქრობ, რომ იმით განიწმიდო სული. ვისაც გაწმედა უნდა, იგი არ ითხუპნება უწმინდურ ჭაობში. შენ თითონ შენი თავი გახადე ღვთისათვის ძვირფას განძათ, სულიერი სიმდიდრე მიართვი ღმერთს სხვერპლად. ასეთი სხვერპლია საუნო ღვთისა.

მოხუცის სიტყვებმა ნოყიერი ნიადაგი ჰპოვეს ედუკიას გულში.

— გთხოვ, მამაო, ბოლომდე დაასრულო, რაც დაიწყე. გამაგებინე, რით შემიძლია ავმაღლდე ღვთაებამდე.

— მე სავანეში მივიჩქარი, მხოლოდ რამოდენიმე დღე შემიძლია დავრჩე. მოუწოდე რომელიმე ქრისტიან მოძღვარს, ის მოგცემს დარიგებას და მოგვამზადებს ცხოვრებისათვის.

— განა ჩემთან მოვა ვინმე? ხომ ხედავ მე როგორი ვარ!

— მოვა,—დაამშვიდა გერმანემ.—ჩვენმა მოძღვარმა უფალმა იესო ქრისტემ დაგვავალა მოვიძიოთ ყოველი დაკარგული ცხოვარი, შენ კი თითონ გვეძახი.

ედუკიამ გაგზავნა მხევალი ქრისტიანების მოძღვართან.

მოვიდა მოხუცებული ღვდელი. მშვიდმა კეთილსახიერმა. გძელ ჭალარა წვერიანმა. მოხუცმა სიყვარულით მოიკითხა ედუკია:

— მშვიდობა შენთანა და სახლისა შენისათანა, შვილო. ჩემო, უთხრა მოხუცმა.

ედუკიას ტირილი აუტყდა:

— როგორ? იგი შვილად უწოდებს მას, მთელ ქალაქში ცნობილ მოქეიფე ედუკიას?

იგი ჩაუვარდა მოხუც მღვდელს ფეხქვეშ და ფეხებზე კოცნა დაუწყო.

— მომიტევე, მამაო! მომიტევე მე უხმარს!

— ღმერთს სთხოვე, ღმერთს მოტევება, ეუბნებოდა მოხუცი და თან აყენებდა,—ის მოგიტევებს, ის გიხსნის; ცა მთელ დედამიწას ფარავს ყველა თავის უსამართლოებით, ხოლო ღვთის მოწყალება უვრცელესია ცაზე.

დიდ ხანს და ბევრი ელაპარაკა მოხუცი ედუკიას. ედუკია კი ყურს უგდებდა და ხან სტკბებოდა სულით და ხან შიშით კანკალებდა.

— არა ვიცოდი რა, არა გამეგონა რა, მამაო! ასე ვფიქრობდი,— ღმერთმა სილამაზე მომცა და უნდა მოვიხმაროთქო. ყველაფერი ჩემი მეგონა.

— შენი მხოლოდ ის არის, რასაც შენ იქმ: შენი აზრები, შენი გრძნობები, შენი საქმეები—უმარტავდა მოხუცი. მხოლოდ ამით წარუდგები ღმერთს, ამათ აჩვენებ მეუფესა და მსაჯულს, სხვა კი ყველაფერი ღვთისაა და მოცემული გვაქვს დროებით. ამაზედაც ანგარიში უნდა მივსცეთ ღმერთს.

ახალმა, უცნობმა და უცხო აზრებმა გააშტერეს ედუკია. მას ძლივს ესმოდა მათი მნიშვნელობა. მოიხმო მსახურნი და ბრძანება მისცა ერთი კვირის განმავლობაში არ მიელოთ არც ერთი მისი წინანდელი ნაცნობთა და მეგობართაგანი, არც ქალი და არც კაცი.

— უთხარით შორს სადღაც წავიდათქო.

— დიახ, მე მგონია, მაინც ძალიან შორს დავცილდი წინანდელ ცხოვრებას—ფიქრობდა ედუკია.

* * *

ედუკიას ოდესღაც მხიარული სახლი მიწყნარდა. სამკაულები დავიწყებას მიეცა. ახალგაზდა ედუკია მთელ დღეებს მოხუც გერმანესთან მუსაიფში ატარებდა, რომელიც კვლავ დაბრუნდა უდაბნოდან.

— მითხარი, მამაო, რათ მიდიხართ უდაბნოში შენ და შენი მსგავსნი, რათ გარბიხართ ადამიანთაგან? ყველაფერი ღვთის მოცემული ჩვენ გარშემოა. მაშ რაღათ თაკილობთ?

— ღვთისას კი არაფერს ვთაკილობთ, გვეშინია მხოლოდ კაცობრივისა, უპასუხა გერმანემ. ღმერთმა ყოველივე წმიდა მოგვმადლა, ადამიანებმა კი შებილწეს. აი სწორეთ ამ კაცობრივ ჭუჭყს ვერიდებით ჩვენ. დამპალი საქმლის მიღებას ექიმებიც უკრძალავენ ადამიანს. გადამბედ სენისაგან ურჩევენ დაიხიზნონ. ხოლო ცხოვრებაში რამდენი გადამდები ცოდვაა ყოველ ნაბიჯზე. ერთი ახელებს, მეორე აცთუნებს, მესამე ბოროტებისკენ იტყუებს, ჩვენ კი სუსტი ვართ, ადვილათ ვსცთებით. როგორ დავდგეთ ახლო. ჩალაც ძნელი დასაცავია დაწვისაგან, როცა იგი ცეცხლთან ახლოა. უმჯობესია მოვაცილოთ იგი. ასე ძნელი დასაცავია ადამიანიც საცთურებისაგან. აი როდესაც ჩვენ განვმტკიცდებით, მაშინ სხვა საქმეა. მაშინ ჩვენ თითონ მივდივართ ადამიანებთან და ცოდვის საცთურებას წინ უყენებთ მადლის სიხარულს და სიტკბოებას.

— კარგი, ეთანხმებოდა ედუკია, მაგრამ უდაბნოშიდაც რათ უნდა მოვიკლათ თავი, ან შევიწუხოთ მარხვით? ნუ თუ ღვთის მოცემული არ არის ახალგაზდობაც და სხეულის სილამაზეც?

— რა თქმა უნდა, ღმერთმა მოგვცა, მაგრამ რისთვის? —უპასუხა გერმანემ. მისთვის რომ ვემსახუროთ მას, მის საქმეს ვემსახუროთ. აი, მაგალითად, რა უქენი შენ შენს სხეულს?

გაანაზე იგი. ანებივრებ შენს ხორცს, უვლი მას, კაზმავ. როგორც დედოფალს, ისე ემსახურები მას, მას ეკუთვნის მთელი შენი გონება. მაზე დაგიდებს ყოველი ზრუნვა. სხეული კი არ ემსახურება შენ სულს, არამედ სული ემსახურება ბატონ — სხეულს. ხორცი ღმერთათ გაიხადე. ამ ნაირათ მთელი შენი ცხოვრება ხორცით განისაზღვრება. ახლა ძალიან გაგიჭირდება თავის დაჭერა. აგიშვია თავი. ერთბაშათ ველარ დაიჭერ თავს.

— ვსინჯავ.

— სინჯე. იბრძოლე. თუ ძნელი იქნეს, იმედს ნუ დაკარგავ. თუ ერთბაშათ ვერ სძლევ, მოერევი შემდეგ.

გერმანემ დალოცა ედუკია, და გაუდგა თავის გზას, თან ღმერთს მადლობდა, რომ მან მისცა მის სუსტ ძალას შეძლება მოეძია დაკარგული ცხოვარი.

ედუკია ჩაიკეტა თავის საწოლ ოთახში, შვიდი დღე მკაცრ მარხულობაში და ღვთის ვედრებაში გაატარა. ძალიან ძნელი შეიქნა მისთვის ეს მოღვაწეობა. დაიბადენ ეჭვები: „რათ უნდა ვაწამო ჩემი თავი?“ საკთურება ძველი ცხოვრებისაკენ იტყუებდა. მეხსიერება უხატავდა მას გარდავლილ ლხინ-ქეიფთა ნათელ სურათებს. ედუკიას რამდენჯერმე აღეძრა სურვილი ისევ თავის ძველი მეგობრების მოწვევისა. მაგრამ აქ თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე მას გერმნესა და მოხუც მღვდლის სახე, აგონდებოდა მათი სიტყვები და ედუკია ხელახლა ლოცულობდა და თანდისთან მტკიცდებოდა ბრძოლაში. ის თითქოს ორათ იგილიჯებოდა, ხან ერთ მხარეზე გადადიოდა და ხან მეორეზე. თითქოს ორი მოწინააღმდეგე ძალა კეთილისა და ბოროტისა იბრძოდა მის გარშემო და იგი ამ ბრძოლის სხვერპლი ხდებოდა. ბრძოლა დასრულდა კეთილის გამარჯვებით. ედუკიამ გაუძლო განსაცდელს...

ერთი კვირის შემდეგ მან ხელმეორეთ მოუწოდა მღვდელს და ის ბევრი ელაპარაკა მას იესო ქრისტეზე, მის მოძღვრებაზე, მის ვნებაზე და ცოდვილი კაცისადმი სიყვარულზე.

ედუკიას წინ იშლებოდა ახალი ქვეყნიერება. წინანდელი ცხოვრება ანაზდათ დაბნელდა, ედუკიას შერცხვა თავის წინანდელ ცხოვრებისა და შეეზიზღა იგი. მას სული ეხუთებოდა მდიდარ სასახლეში. მას უნდოდა, რაც შეიძლებოდა ჩქარა, მოეშორებია ყოველივე ეს თავიდან, ჩამოერეცხა ეს საზიზღარი ტალახი.

ედუკია წავიდა ეპისკოპოსთან და სთხოვა ნათლისღება. ნათლისღების შემდეგ, დაბრუნდა თუ არა შინ, დაიბარა მოსამსახურეები, ქალი და კაცი, და უთხრა მათ:

— მომიტევეთ, მე თითონ დღემდი ცოდვას ვემსახურებოდი და თქვენც მას გამსახურებდით. ამიერიდგან თავისუფალი იყავით ჩემგან და ახალ მდგომარეობაში ახალ ცხოვრებას შეუდექით. თავისუფალი გახდით არა თუ მხოლოდ ცუდი ქალბატონის ბატონობისაგან, არამედ ცუდი განძრახვის ბატონობისაგანაც. ემსახურეთ საზოგადო მეუფეს, უფალ ღმერთს.

ედუკიამ დაასაჩუქრა ყველა მოსამსახურეები და განათავისუფლა. შემდეგ შეკრიბა თუ რამე ძვირფასეულობა გააჩნდა და ეპისკოპოსს გადასცა ღარიბთათვის დასარიგებლათ, თითონ კი უდაბნოში წავიდა საცხოვრებლად.

გერმანემ მიიყვანა იგი შორეულ მიყრუებულ დედათა სავანეში.

— დარჩი აქ, განმტკიცდი სულიერათ, და შეეჩვიე ახალ ქრისტიანულ აზროვნებას.

ედუკია დარჩა მონასტერში, დაიწყო ახალი ცხოვრება: ლოცვა, მოღვაწეობა, მარხვა, მოთმინება, სამღვთო წერილის შესწავლა. ახალგაზდა მონაზონი აკვირვებდა უფროს დებს თავის ერთგულობით.

— ედუკია ჩვენ ღარიბ ტაძარში კი არ არისო, — ღმერთთან მუსაიფობს მისი სულიო, მთელი ძახე უბრწყინავს ზეციური ნათლითო, — ამბობდენ ხოლმე დები, როცა უყურებდენ მის ხანგრძლივ მხურვალე ლოცვას მაცხოვრის წინაშე.

მუშაობაში ედუკიამ მოსვენება არ იცოდა. მუშაობდა ხმა ამოუღებლათ; გაათავებდა ერთ საქმეს, მიადგებოდა მეორეს, გაათავებდა თავისას, მიეშველებოდა სხვას.

— დაისვენე, გენაცვალე, თავს მოუარე—ეტყოდენ ხოლმე დები.

— კმარა, რაც ვაპატივე ჩემი თავი, უპასუხებდა ხოლმე ედუკია და უფრო მედგრად შეუდგებოდა საქმეს. მთელ თავისუფალ დროს საღვთო წერილის კითხვაში ატარებდა.

— რამდენი დრო დამიკარგავს ტყვილა,—სწუხდა ედუკია.—რა სიმართლეა საღვთო წერილის ფურცლებში და რაზომ დაშორებული ვართ შაზე! გვინდა, რომ სიცოცხლე ყვაოდეს სიხარულითა და ბედნიერებით და არ ვრწყავთ მას ცხოველი წყლით, რომელსაც მხოლოდ შეუძლია იმის აღმოცენება, რაც ჩვენთვის საჭიროა. ჭეშმარიტების წყარო გვერდში ჩაგვიდის და ჩვენ კი არ ვხმაროობთ.

და ედუკია კითხულობდა საღვთო წერილს, კითხულობდა ყოველ თავისუფალ წუთში, ფიქრობდა წაკითხულზე მუშაობის დროს, და რასაც ვერ გაიგებდა, დებს სთხოვდა განმარტებას.

— როგორც ნაკადული ისე მუშაობს ედუკიას სული,—ამბობდა ილუმენია ხარიტინა, ისწრაფის ღვთის სინათლეზე გამოსვლას, ხვრეტს, ბჟრღვავს ყოველივე დაბრკოლებას. ღმერთი შეეწიოს!

ამ დროს ედუკიას ყოფილი შეგობრები და თაყვანის მცემლები კვირობდენ, თუ სად წავიდა ედუკია, სწუხდენ, რომ ვერ ხედავდენ მის ლამაზ სახეს, მის მოხდენილ ტანადობას, მის კრიალა სიმღერას და ვნებების აღმძვრელ ცეკვას. ჯერ ელოდენ მის დაბრუნებას. შემდეგ, როცა გაიგეს, რომ სახლი გაყიდულია და მონები გათავისუფლებული, დაიწყეს გამოკითხვა: სად არის? სად წავიდა? რატომ არავის აცნობა?

განსაკუთრებით ედუკიას ამბის გაგებას ცდილობდა მისი მუდმივი სტუმარი, ჭაბუკი ფილოსტრატი, ის ნახულობდა მის

ყოფილ მონებს და მოსამსახურე ქალებს და იძიებდა მათგან ედუკიას დაკარგვის მიზეზს. გაიგო, რომ ედუკიას რაღაც გული გადუბრუნდა; მთელი დღეები ღრმად დაფიქრებული იჯდა, მიატოვა ფუფუნება, გასცა ყველაფერი.

— რატომ? იმტვრევდა თავს ფილოსტრატი.

გაიგო გერმანეს ამბავი.

— ვინ უნდა იყოს იგი? გაიგო ვინ იყო. ნუთუ ედუკია ქრისტიანი გახდა?—ფიქრობდა ფილოსტრატი.—შეიძლება.

მან ახლა ამის გამოძიება დაიწყო და გაიგო, რომ ედუკია მონასტერში წასულა. მაშინ მან გადასწყვიტა მოეძებნა იგი და გამოეტყუებია მონასტრიდან.

— როგორ უნდა დაიკარგოს ასეთი მარგალიტი სადღაც უდაბნოში,—ამბობდა ფილოსტრატე.

ფილოსტრატემ წამოისხა განდეგილის მანტია, ბლომათ წაიღო ოქრო-ვერცხლი და წავიდა უდაბნოში ედუკიას საძებრად, რამდენიმე დღე იარა, სანამ ედუკიას სავანეს მიაგნებდა.

ბოლოს მიადგა სავანის კარებს. დარეკა. მეკარე ქალმა ჭიშკრის სარკმლადან გამოიხედა და უთხრა:—არ შემიძლია მიგიღოთ. აქ დედათა სავანეა და მამაკაცებს არ ღებულობენ! განსაკუთრებით თუ არ იციან, ვინ არის და საიდგან მოსულა.

ფილოსტრატე ბევრი ეხვეწა მეკარეს შეეშვა მონასტერში. ტირილიც მოიგონა, თავიც მოიკატუნა, მონანულ ცოდვილათ ეჩვენა, ლოცვა და ნუგეშისცემა მჭირდებაო, უთხრა, უამისოთ დავიღუპებიო, მაგრამ მეკარემ მაინც არ შეუშვა მონასტერში. შეებრალა კი ძალიან და უთხრა:

— აქ ახლოს მამათა მონასტერია, სადაც მოხუცი გერმანე ცხოვრობს, წადი, იქ მიიღებ ნუგეშს, ის განუგეშებს.

ფილოსტრატემ გზა ისწავლა მეკარისაგან და ადვილათ მოძებნა მოხუცი გერმანეს სავანე.

— მაკურთხე, მამაო, და დამილოცე გზა ჩემი უდაბნოში მოღვაწეობისა. სწყურის სულსა ჩემსა განდეგილება და ლოცვა.

— ვინა ხარ შენ? საიდგან შოდიხარ? რა ცხოვრებას ატარებდი ადრევე? — ჰკითხა გერმანემ.

ფილოსტრატემ თავი დახარა და მოუხსენა: — მე — ერთათ ერთი შვილი ვარ ჩემი მშობლებისა. ბავშობიდგანვე მიზიდულება მქონდა ღვთისადმი. მე ან მახალისებდა ამხანაგებთან თამაში და მხიარულება. მხოლოდ ერთი რამ მაკავებდა სოფლად — მშობლები. ეხლა მშობლები დამეხოცა და აი მეც წამოვედი და გთხოვ, მიმიღე შენ ხელმძღვანელობის ქვეშ.

სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი მოხუცი ჩაუკვირდა ფილოსტრატეს სახის გამომეტყველებას და მალე მიხვდა, რომ შეხედულება სხვას უმტკიცებდა, თვალთაგან ღმერთი არ მოუჩანდა.

— ცოტა მოგეთმინა, მეგობარო, უთხრა გერმანემ. ჯერ კიდევ პატარა ხარ ულმობელ უდაბნოსათვის. შენი ძალღონე ვერ აიტანს ბრძოლას. ნათქვამია: „უმჯობესია არ მივიღოთ აღთქმა, ვიდრე მივიღოთ და არ აღვასრულოთ“.

— მართალს ბრძანებ, მამაო, უთხრა ფილოსტრატემ, მაგრამ განა შენ თითონ არ იკი მაგალითები? აიღე თუ გინდ ედუკია. როგორი იყო მისი ცხოვრება? რა სიმდიდრეში და ფუფუნებაში ატარებდა იგი თვისთა დღეთა? გარნა სად არის ახლა იგი? როგორია მისი ცხოვრება? მისმა ცვლილებამ მეც უფრო გამამხნევა. არა, მამაო, ნუ კი მიშლი, გამამხნევე მომეცი ნება მოველაპარაკო ედუკიას. ვიხილავ მე მის შრომასა და სიმდაბლეს, მოვისმენ მის დარიგებას და ეს უკანასკნელათ გამამხნევებს მე.

დაენდო მოხუცი ფილოსტრატის ვერაგულ სიტყვებს და გაისტუმრა იგი მხლებლითურთ ედუკიას სავანეში. გერმანეს სიტყვამ გაუღო სავანის კარები ფილოსტრატეს. ჯაბუკი შეუშვეს სავანეში და უჩვენეს ედუკია. ედუკიამ არ იცოდა ვისთან მიდიოდა. უბრალო ტლანქს ტანისამოსი ფარვიდა ოდესღაც მის ნაზ სხეულს, რომელიც ეხლა ძალზე გამხმარიყო. სიწით-

ლე აღარ ეტყობოდა მის პირისახეს. მხოლოდ დიდრონი თვალები უფრო გალამაზებოდა.

— რით შემიძლია გემსახუროთ მე უძლური?—თავდახრით უთხრა ედუკიამ.

ფილოსტრატემ რომ ედუკია მარტო დაიხელა, დაუწყო არშიყულათ ლაპარაკი:

— მშვენიერო ედუკია, შენა ხარ? ძონძებში? განა აქ არის შენი იდგილი? შენ, ჩვენი ნადიმების მეფა და სადღაც უდაბნოში! დაბრუნდი საჩქაროთ და გამობრწყინდი ვარსკვლავივით შენ მეგობართა შორის. ჩვენ კვლავ აგავსებთ ოქრო ვერცხლითა და თვალმარგალიტით, აგივსებთ სასახლეს მონებმხევლებით, შენ სიცოცხლეს ერთ განუწყვეტელ სადღესასწაულო ნადიმათ გარდავქმნით. ნახე, როგორ გვიყვარხარ! და მან უამბო ედუკიას, თუ რა ტანჯვა-წამებით მოძებნა იგი მან, რამდენი სიცრუე, რამდენი ვერაგობა, ფარისევლობა და მლიქვნელობა დასჭირდა მას, რომ ედუკია სამუსაიფოთ ეშოვნა.—შეიბრალე შენი თავი და ჩვენც!—ევედრებოდა მაცდური. დავბრუნდეთ უკან. დაუბრუნდი სამარიდან სიცოცხლეს.

ედუკიას თავ-ზარი დაეცა. ის არ ელოდა არც ასეთ სტუმარს და არც ასეთ სიტყვებს სავანის კედლებში.

შენ?.. შენ... ფილოსტრატე?.. აქ... როგორც ვერაგი, მაცდური გველი შემოძვერი აქ,— წარმოსთქვა ბოლოს ედუკიამ.—რამდენი შრომა მიგიღია! რამდენი ჭკუა დაგიხარჯავს! და განა რისთვის? რომ შეგეცდინე, მოგეტყუებიე. სჯობდა ერთი მეათედი მაინც მაგ შრომის დაგეხარჯა, რომ რამე სიკეთე გექნა, ვინმე დაგერიგებია, რაიმე ჭმიდა, კეთილი გესწავლებია. რაზე ხარჯავ შენ სიჭაბუკეს, ჭკუას. სილამაზეს, სიმდიდრეს? სოფლად ბიწირებაში გამხვიეთ და აქაც შემოგაქვს სიბილწე?

ედუკია გაიმართა; მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდა; ეს ნადიმთა მეფა ედუკია კი აღარ იყო, ეს იყო ცოცხალი

სინიდისი. და ეს სინიდისი არეტიანებდა, მეხს აყრიდა ფილოსტრატეს თავზე, ცეცხლის ალში ხვევდა მას.

როგორც შენ გინდოდა მაცთურებით ჩემი კბენა და მოშხამვა, დაე, ეგრეთვე გკბინოს და გშხამოს შენ სირცხვილით შენმა სინიდისმა. დაე, ლოდივით დაგაწვეს გულზე ცოდვა და გახრჩობდეს, სანამ არ შეინანო, სამარე აქ კი არ არის, არამედ იქ, სადაც შენ მეპატიჟები. და თვით შენ მკვდარი ხარ და მკვდარი იქნები, სანამ არ მოიქცევი ცხოველი ღვთისადმი.

ფილოსტრატე გულით ცუდი ყმაწვილი არ იყო. იგი მხოლოდ სულიერათ არ იყო აღზრდილი. არ უნახავს და არ გაუგონია არაფერი კეთილი, საღვთო, წმიდა. თუ ურჩევდა ედუკიას სოფლად დაბრუნებას, იგი ფიქრობდა, რომ შეჰყავდა იგი ნამდვილ ცხოვრებაში. ედუკიას სიტყვებმა თავზარი დასცა მას. გული საშინლად აუძგერდა, სისხლი თავში აუვარდა და თითქოს ჩაქუჩებს სცემდა ყვრიმლებში. მას მოეჩვენა, რომ მიწა სწვავს ფეხებს. იგი დაბურბუსალდა, რეტი დაესხა და დაეცა.

ედუკიას შეეშინდა და დებთან გაიქცა. მოვიდენ. ყველას ეგონა, რომ სტუმარი მოკვდა. ედუკია ძირს დაეშვა და მხურვალე ლოცვაში ღმერთს ემუდარებოდა, დაებრუნებია ჭაბუკისათვის სიცოცხლე და მით საშუალება მოეცა ცოდვათა მონანებისათვის.

ფილოსტრატემ ამოისუნთქა! მოვიდა გონზე და წამოდგა.

—ღმერთმა აღგადგინა, უთხრა ედუკიამ. ღმერთმა დაგიბრუნა სიცოცხლე, შოგცა ახალი ცხოვრება, გაუბრთხილდი და ახალი ცხოვრება ახლად გაატარე.

ფილოსტრატე დიდ ხანს ემუსაიფა ედუკიას. გამოთხოვებისას თაყვანისცა მას, შენდობა სთხოვა და დაბრუნდა შინ.

ედუკია განახლებული ძალით შეუდგა კვლავინდელ მოღვაწეობას.

უფალო, —ლოცულობდა იგი,—რაზომ დიდია შენი ქვეყანა, რაზომ აურაცხელია ხალხი ქვეყანაზე და რაზომ ცოტას

ვფიქრობთ ჩვენ შენზედაც და ჩვენ თავზედაც. შეეწიე შენ სუსტ ლამპრებს, რომ უფრო გააძლიერონ შენი ნათელი.

გავიდა კიდევ ხანი. ეხლა სხვებმაც შეიტყვეს ედუკიას ბინა. ბევრი ეცადენ დაებრუნებიათ სოფლად, მაგრამ ვერ მოახერხეს ვერაფერი დიდების დაპირებით. ბოლოს ნანობდენ კიდეც, რომ ამდენი აურაცხელი სიმდიდრე გადაატანეს თან და იგი კი მონასტერში წავიდა, გაეცალა, გაექცა მათ.

მოვიდა ახალი მთავარი. ედუკიას ყოფილმა მეგობრებმა შეაგონეს იგი, რომ ედუკიამ აურაცხელი სიმდიდრე გაიტაცა უდაბნოში. ის საუნჯე, რაც ედუკიამ წაიღო, ხაზინასაც კი გაამდიდრებდა, ეუბნებოდენ იგინი, და ამით აქეზებდენ ვერცხლის მოყვარე მთავარს.

მთავარმა დაიჯერა მათი სიტყვა. მან გაგზავნა კაცები ედუკიას მოსაყვანად. გაგზავნილებმა ბევრი ეძიეს ედუკიას სავანე, მაგრამ ვერ ნახეს და ხელ ცარიელი დაბრუნდენ. თან ამბავი მოიტანეს—ედუკია კუდიანი ყოფილა, გზა დაგვიბნია და ბევრი გაჭირვება გაგვარონიაო. გამდიდრების სურვილმა სძლია კუდიანობის შიშს. მთავარმა ხელმეორეთ გაგზავნა მეომართა გუნდი. ედუკია მონახეს, დაიჭირეს და წარუდგინეს მას.

— შენ დიდი საუნჯე გაგიტაცნია უდაბნოში, უთხრა მთავარმა, უნდა ეხლა მთლათ დაგვიბრუნო.

— დიდი სიამოვნებით,—წარმოსთქვა ედუკიამ—აქ, ამ ქალაქში ღმერთმა თავის მონის გერმანესა და სხვების საშუალებით განაახლა ჩემი გული, დამიბრუნა სულის სიწმიდე და მომანიჭა მეცნიერება ჭეშმარიტებისა თვისისა. დაუფასებელი განძია ყველა ეს. ესენი წავიღე მე უდაბნოში, იქ მოუარე მათ, ძალისაებრ ჩემისა გავამრავლე და ეხლა სიამოვნებით და სიხარულით გადმოგცემ შენც და ყველასაც, მთელ შენ საბრძანებელსაც, ბატონო ჩემო!

ედუკიას სიბრძნემ და კეთილშობილურმა პასუხმა მეტათ

გააკვირვა მთავარი. მან დაუწყო გამოკითხვა და რაც მეტს უსმენდა მით უფრო მეტ განცვიფრებას ეძლეოდა.

— რა უბრალო და ცხად პასუხს იძლევი შენ ცხოვრების თვით უძნელეს საკითხებზე! წარმოსთქვა მთავარმა.

— საიდგან იცი შენ ყველაფერი ეს? ვინ მოგცა შენ, სუსტ ქალს, სულის ასეთი ძლიერება და სიბრძნის სიღრმე? მე წამიკითხავს ჩვენი სახელოვანი პოეტები, შემისწავლია ქვეყნის ფილოსოფოსები და ესენი ყველა ბავშვებია შენ წინაშე.

— მე მხოლოდ სარკე ვარ, რომელიც სუსტათ აჩვენებს იმ ნათელს, რომელსაც ჰფენს დედა მიწაზე იესო ქრისტე, მხსნელი სოფლისა—მშვიდათ უპასუხა ედუკიამ.

მთავარმა ედუკია ოჯახში მიიწვია, სადაც მან დაიწყო ქადაგება და წრთვნიდა მთავრის ოჯახობას ქრისტეს სარწმუნოებაში.

— იესო ქრისტე არის გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება, ამბობდა ედუკია, მხოლოდ მან იცის ღმერთი, ვინც იცის და სწამს იესო ქრისტე, ძე ღვთისა.

მთავარი და მისი ოჯახობა სიამოვნებით უსმენდენ ედუკიას, უკვირდებოდენ მის ქადაგებას და მალე ირწმუნეს ქრისტე და ნათელ-იღეს.

ედუკია ისევ სავანეში დაბრუნდა, თუმცა მისი ასულიერნ შვილები ეევედრებოდენ ქალაქში დარჩენილიყო.

— არ შემიძლია აქ დარჩენა, ეუბნებოდა ედუკია მთავარს. ქალაქის ქუჩებში პური არ ხაროობს, მოსრესენ. მუშები კავ-სახნისით და ხორბლით ყანებში მიდიან. იქ სთესენ, მკიან და ლეწავენ, თქვენთან კი მზა ხორბალი მოაქვთ. ჩვენც ასე ვართ, საღვთო მუშაკები ქრისტეს ყანაში, ქრისტეს მოძღვრების წმიდა რჩეულ ხორბალს ვკრებთ, ვზრდით და ვკვებავთ ჩვენ გულში და შემდეგ მზამზარეულს თქვენ მოგართმევთ ხოლმე აქ. თქვენი სიყვარელი ღებულობს ჩვენ ნაკლულევანებას და აღავსებს ხოლმე მას. დიდება უფალსა, ყოვლისა განმგებელსა!

მთავარმა დიდძალი შეწირულება გაგზავნა სავანეში ტაძრის ასაგებათ, თავის საბრძანებელში ხელს უწყობდა ქრისტიანობის გავრცელებას. თუმც წარმართები უკმაყოფილო იყვნენ ამით, მაგრამ არას ამბობდენ, რადგან მთავარი მეტათ კეთილი და მართლმსაჯული ადამიანი იყო.

ახალმა მთავარმა დევნა დაუწყო ქრასტიანებს და ედუკიაც გამოიწვია სავანიდან, როგორც უმთავრესი დამნაშავე ქრისტიანობის გავრცელებაში. ედუკიამ კარგათ იცოდა, რაც მოელოდა, მაგრამ მან გადასწყვიტა თავის წამებით დაემტკიცებია, რომ ქრისტე მისთვის ყველაფერია, რომ იგი ცხოვრებაა და სიკვდილი—სარგებელი.

ედუკია წარუდგინეს სამსჯავროს. მთავარმა შეხედა მას და შეკრთა. მისი სახე ღვთაებრივი ნათლით გამოსჭვირდა ღარიბულ ტანსაცმელში.

ეს ღმერთქალია და არა ადამიანი, –სთქვა მთავარმა.

— კუდიანია! მაგან თავის კუდიანობით მოაჯადოვა შენი მოადგილე,—უთხრეს მთავარს, გეშინოდეს მაგის და ერიდებოდე.

დაიწყეს დაკითხვა.

— რათ დასტოვე ქალაქი? რათ წაიღე და დამალე უდაბნოში შენი სიმდიდრე და სილამაზე? რათ წარტაცე სიხარული შენ აურაცხელ მეგობრებს?

— ის სიხარული ბიწიერი სიხარული იყო, უპასუხა ედუკიამ. ეს ის სიხარულია, რომელსაც მოაქვს შერცხვენა და მწუხარება. მე სხვა სიხარული ვირჩიე, სიხარული წმინდა, სამარადისო, სიხარული სულისა. აქ, ქალაქში არ შემეძლო მეპოვნა ასეთი სიხარული. წავედი უდაბნოში, როგორც მიდიან უდაბნოში ოქროსთვის, ან ზღვის პირებზე მარგალიტისთვის და ეს სიხარული ვპოვე მე, ვპოვე უდაბნოში, მთავარო! უდაბნოდან მოსულმა მომიტანა მე ეს სიხარული და გამაცნო პირველათ, მან მომიტანა ამბავი ჭეშმარიტ ღმერთზე.

— წარმოიდგინე, მთავარო, განაგრძო ედუკიამ, მე

ვცხოვრობდი ქალაქში, მთელ აქაურ ბრწყინვალებაში და არც ღმერთი ვიცოდი და ვერც თავი შევინახე. იქ კი, უდაბნოში ვპოვე ღმერთი ჩემი და დავიბრუნე უმანკო სული ჩემი. შენ შკითხავ, რასთვის წავედი, რისთვის გაგექეცით? რა მოგეცით თქვენ მე? რა უყავით ჩემი სიჭაბუკის სილამაზეს?

მთავარი სდუმდა. მაბეზღარნი კი ეჩურჩულებოდენ:

— ნუ დაემონები მაგის კუდიანობას. მაგის სიტყვები ჯადოქრობაა. შოლტი განდევნის მაგისგან ყოველ კუდიანობას.

დაუწყეს შოლტით ცემა. კანი სკდებოდა და სისხლი ღელესავით სდიოდა. ხორცი ლუკმა ლუკმათ იგლიჯებოდა და სცილდებოდა ტანს. მოწამე ითმენდა, არც კი კუთავდა.

— ბევრი სიბილწე ეცხო ამ სხეულს, დაე, სისხლმა განბანოს იგი, ჩურჩულებდა ედუკია თავისთვის. მაცხოვარმა თავისი სისხლი სხვებისათვის დაანთხია. მე დავღვრი ჩემ სისხლს სადიდებლად მისი მოძღვრებისა და ჩემი საკუთარი ბიწიერების განსაწმედად.

გრძნობა—მიხდილი მიატოვეს ედუკია, ყველას ეკვირვებდა ამ უძლური დედაკაცის სიმტკიცე.

— დიდი უნდა იყოს, როგორც სჩანს, ძალა ქრისტეს მოძღვრებისა, ასეთი ტანჯვის ატანა თუ შესაძლებელია მისი გულისათვის ამბობდენ მხედრები.

გამოჩნდენ ადამიანები, რომლებმაც ედუკიას ქადაგების მიხედვით მიიღეს ქრისტიანობა და მოინათლენ.

მთავარმა გაათავისუფლა ედუკია. მან ვერ გაბედა მისი სიკიდილით დასჯა.

— წადი მშვიდობით და იცხოვრე უდაბნოში. უთხრა მან.

ედუკია დაბრუნდა უდაბნოში.

— ღმერთში ვპოვე ძალა, ბჭობდა იგი გზაში, და არ არის ქვეყნად ისეთი უბედურება და განსაცთელი, რომელიც კაცს არ შეეძლოს აიტანოს ღვთით.

დიდხანს იმოღვაწეა კიდევ ედუკიამ უდაბნოში. ბოლოს

მოახლოვდა მოხუცებულობაც და მასთან სიკვდილიც. 56 წლის ედუკიას ახალმა მკაცრმა ქრისტიანების მდევნელმა მთავარმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ედუკიას თავი მოჰკვეთეს.

— მივალ ღვთისა ჩემისა—აი მისი უკანასკნელი სიტყვები. — ღმერთო, მიმიღე! აი უკანასკნელი ლოცვა.

ქრისტეს კვალზე.

(იარგმანი რუსულიდან).

ი ა კ ი ნ ი რ კ ე ლ ი.

გამოფხიზლება:

პასტორი გენრი მექსუელი ძალიან აღელვებული იყო. უკვე პარასკევი იყო და მას კვირისათვის ჯერ კიდევ ქადაგების ნახევარი არ ქონდა მზათ. მთელი კვირის განმავლობაში არ ჰქონდა მოსვენება: ხან ერთი მოდიოდა მასთან, ხან მეორე სხვა და სხვა საჭიროებისთვის და საქმისთვის. ბოლოს, მექსუელმა გადასწყვიტა აღარავინ მიეღო, სანამ მთლად არ მოამზადებდა ქადაგებას.

ის შევიდა ცალკე თავის ოთახში, ჩაიკეტა კარი, დაიწყო სიარული და ჰფიქრობდა, რა დაეწერა; ის ამზადებდა ქადაგებას პეტრე მოციქულის სიტყვებზე: „რა დიდება გექნებათ, უკეთუ სცოდავთ და იქენჯნებით და ითმენთ? არამედ უკეთუ კეთილსა იქმოდეთ და გევნებოდესთ და მოითმენდეთ, ესე არს სათნო ღვთისა. რამეთუ ქრისტემანცა ივნო ჩვენთვის, და ჩვენ დაგიტევა მაგალითი რათა შეუდგეთ კვალთა მისთა“ (ა. პეტრ. 2, 20—22).

მექსუელს ქადაგებაში ის აზრი უნდა გაეტარებია, რომ იესო ქრისტე არა მარტო ჯვარზე ეწამა, არამედ მთელი მისი სიცოცხლე, მისი ქვეყნად მოღვაწეობის მთელი წლები

მთლად ტანჯვა იყო. ამიტომ მორწმუნე ქრისტიანი, რომელიც ცდილობს ხალხში ღვთის სასუფეველი დაამყაროს, ვალდებულია მიჰყვეს ქრისტე—მაცხოვრის მაგალითს. სიმართლისათვის მსახურების გზა ქრისტეს მოწაფისა აგრეთვე აუცილებლივ ეკლებით დაფენილი იქნება. მსხვერპლი ძისა ღვთისა, ხალხის გულისთვის შეწირული, ჩვენგანაც მოითხოვს მსხვერპლს ღვთის საქმისთვის.

მექსუელი მივიდა უკანასკნელ აზრამდის და ახლა უნდოდა ეჩვენებია გზები ქრისტეს მიბაძვისა,—ამ დროს უცებ გაისმა კარებში გაუბედავი რეკა.

მექსუელი მივიდა ფანჯარასთან გასაგებად, თუ ვინ არის, გადმოიხედა ძირს ქუჩაზე და დაინახა, რომ კარებთან სდგას ღარიბად ჩაცმული, ავადმყოფი, შუახნის კაცი.

—რა გნებავთ თქვენ?—კითხა მექსუელმა.

— მე მინდოდა მენახა პასტორი.

— პასტორი მე ვარ.

— მე ვეძებ სამუშევარს,—მოკრძალებით უპასუხა საწყალმა და მოიხადა ქუდი. ვიფიქრე, იქნება თქვენ შემეწიოთ და მაშოვნინოთ რამე.

— სამწუხაროთ, არაფერი არ შემიძლია გიშოვნოთ,—უთხრა მექსუელმა.—ეხლა, საზოგადოთ, სამუშაო ძალიან ცოტაა.

— ვიცი,—დასთანხმდა მთხოვნელი,—მაგრამ მთელი კვირაა უპურო დავდივარ. თქვენ სადღეგრძელოთ, იქნება შემეწიოთ და სთხოვოთ ვინმეს, რომ რამე ადგილი მომცენ. მე ძალიან მიჭირს და პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი; აღარ ვიცი რა ვქნა,—ეუბნებოდა საწყალი და თან ხელში თავის გაქონილ ქუდს ატრიალებდა.

— არა მგონია, რომ ჩემმა თხოვნამ გიშველოს რამე,—უთხრა პასტორმა,—და ამას გარდა მე სრულებით არ მცალია. ნურას უკაცრავად, მე ახლა კვირისთვის ქადაგებას ვამ-

ზადებ. თქვენ თითონ მოძებნეთ. იმედი მაქვს, იშოვით რამე სამუშაოს.

პასტორმა დახურა ფანჯარა, ხოლო ის საცოდავი წავიდა ქუჩა-ქუჩა და დარდით თავზე ქუდის დახურვაც კი დაავიწყდა.

მისი საბრალო სახე მოწმობდა მის მეტის მეტ გაჭირვებას, ნაკლებულობას და უსახლკაროობას. მექსუელი ცოტა ხანს შეჩერდა, მერე დაუბრუნდა მაგიდას და დაუწყო ქადაგებას წერა.

მექსუელს აღარავინ უშლიდა, და საღამოსთვის ქადაგება უკვე მზათ ქონდა. მხოლოდ კარგად დასწავლა-ღა უნდოდა, მაგრამ ამისთვის ხომ შაბათიც საკმაო იყო.

კვირას რაიმონდში საუცხოვო მშვენიერი დარი დადგა. ხალხი ბლომათ მიდიოდა ეკლესიაში. როდესაც თერთმეტ საათზე წირვა დაიწყო, ტაძრის ვეებერთელა შენობა გაჭედილი იყო რაიმონდის ფერადად მორთულ ხალხით. ეკლესია, სადაც მსახურებდა მექსუელი, განთქმული იყო თვით-საკრავით, პასტორის მშვენიერ ქადაგებებით და საუცხოვო მგალობელთა გუნდით.

დღეს ფსალმუნები და ლოცვები შეფერებულნი იყვნენ ქადაგების შინაარსთან. საუკეთესო მგალობელმა ქალმა რახიელ ვინსლოუმ ზედ ქადაგების წინ იგალობა გულის სასალბუნო საგალობელი:

შენებრ, მხსნელო, მეც ვიქნები ჩემი ჯვარის მტვირთველი,
დავივიწყებ ყოველივეს, რისიც ვარ მქონებელი
და შენ მხსნელსა, სადაც წახვალ, უკან გამოგიდგები.

რახიელის ხმა ტკბილ-სასიამოვნოდ ვერცხლივით ჟღერდა, და მისმა-გალობამ მშვენივრად მოამზადა მსმენელები ქადაგებისათვის. გენრი მექსუელი ავიდა ვათედრაზე. ეკლესიაში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხს ძალიან უყვარდა თავისი პასტორის ქადაგების მოსმენა. ის ლაპარაკობდა ცოცხლად, ფონიერულად და ღამაზად, ხმა მშვენიერი ჰქონდა და მასთან ლაპარაკის დროს საუცხოვო მიხვრა-მოხვრა. როგორც ჩვეულე-

ბრივ ყოველთვის, დღესაც მექსუელის ქადაგება მეტად ცოცხალი და საინტერესო გამოდგა; იგი სავსე იყო მოსწრებული სიტყვებით. ხალხი სულ-განაბული ისმენდა პასტორის სიტყვას. უცებ საყოველთაო ყურადღება დაირღვა. ძლივს გაათავა მექსუელმა თავის ქადაგება, და ჯერ კიდევ არ ჩამოსულიყო კათედრიდან, უკანა წყებიდან გაისმა ხმაურობა, და სანამ მლოცველები გონს მოვიდოდნენ, მოსაუბრე კათედრასთან გაჩნდა, მობრუნდა ხალხისკენ და უთხრა:

„მაპატიეთ, მე მთვრალი არა ვარ, არც გიჟი ვარ; მე მშვიდი და უწყინარი კაცი ვარ. მე უბრალო მუშა ვარ, ხელოსანი ვარ უმუშევრად დარჩენილი. მე ძალიან გაჭირვებული ვარ. მე შემოვედი აქ სალოცულოთ, და, რაც ხანი აქა ვდგავარ, მიკვირს, რაც აქ ვნახე, ან გავიგონე. მე ვგრძნობ, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია ამ ქვეყნად, რომ ჩემი დღეები დათვლილია; ამიტომ მე მინდა საკვდილის წინ მაინც გავიგო, რას ნიშნავს აქ ჩემ მიერ გაგონილი მოწოდება: „გავყვეთ ქრისტეს გზას, მის კვალს“!...

გენრი მექსუელი შეკრთა. მოლაპარაკეში მან იცნო ის კაცი, რომელიც პარასკევს მოვიდა მასთან. შემწეობის სათხოვნელად, და ეხლა ეს საწყალი კაცი თავისი შესაბრალისი სახით იდგა მის წინ, როგორც ცოცხალი მაყვედრებელი. ზარდაცემულმა მექსუელმა აღარ იცოდა, რა ექნა; მოლაპარაკე მუშა-კი, რომელიც თითქოს არც-კი გრძნობდა იმ არა ჩვეულებრივ შეშფოთებას, რომელიც მან მოახდინა ეკლესიაში მსახურების დროს, განაგრძნობდა:

„მთელ ამერიკაში სხვადასხვა მრეწველ ამხანაგობათა და ცალკე მექარხნეთა შორის წწარმოებს ბრძოლა. დიდი ფულის პატრონებმა შეადგინეს მრავალმილიონიანი კავშირები. და გადასწყვიტეს გასრისონ კერძო მაწარმოებელნი, საშინლად დასცეს საქონლის ფასი, რის გამოც ბევრი წვრილი ფაბრიკები დაიხურა. მუშაობა შესდგა და მუშები ათასობით ულუკმა-პუროთ დარჩენ. მე, ერთი ამ მრავალ საწყალ მუშათაგანი,

მთელი გაზაფხული და ზაფხული დავდივარ უმუშაოთ. მე მყავდა ცოლი და ორი პატარა ბავში. ძუძუ-მწოვარა ბავში მაშინვე მომიკვდა, როცა უმუშაოთ დავრჩი. ექიმი მეუბნებოდა, ამისი მიზეზი დედის ცუდი საზრდოობა არისო. ცუდი საზრდოობა?! ჩვენ კი ხშირათ რამდენიმე დღე პურის ნატეხიც არ გვქონია ხოლმე სახლში. მე ხომ ერთი არ ვყოფილვარ. ასეთ გარემოებაში ბევრნი იყვნენ. მე არ ვჩივი, არ ვიმდურვი. არა, მე მხოლდდ იმას გადმოქცემთ, რაც იყო. როდესაც მე ყურს ვუგდებდი ამ ეკლესიაში თქვენ გალობას და პასტორის ქადაგებას, ვფიქრობდი, თუ რამდენად შეესაბამება ჩვენს ნამდვილ ცხოვრებას ის, რასაც თქვენ ეძახით ,,ქრისტეს მიმართ შედგომას''. რას მოითხოვდა მაცხოვარი, როცა ამბობდა: ,,შემომიდეგით, მომყევით მე''? პასტორმა სთქვა, ქრისტეს მოწაფე უსათუოდ მის კვალს, უნდა მისდევდეს და ამის გზებიც დაასახელა: მორჩილება, სარწმუნოება, სიყვარული და მიბაძვა. მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, რას გულისხმობს იგი ამ უკანასკნელი სიტყვით — „მიბაძვა". რას ეძახიან ქრისტიანები „ქრისტეს შედგომას"? ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ იტანჯებით, უარს-ჰყოფთ თქვენ თავს, და ღებულობთ თქვენ თავზე მთელი კაცობრიობის ტანჯვას, როგორც ეს ქრისტე მაცხოვარმა ჰქნა? მე, დიდი ხანი არ არის, რაც მოვედი აქ შორი ქვეყნიდან სამუშაოდ. აქ, თქვენში, თქვენივე ღარიბები, უმუშაოდ ხუთას კაცზე მეტია ჩემნაირ მდგომარეობაში. ბევრი იმათგანი ოჯახის პატრონებიც არიან. მითხარით: რაღას ნიშნავს მაშინ თქვენი სიტყვები: ,,იესო, ჩემო ღმერთო, მაცხოვარო, მე ვიღებ ჯვარს, რომ ყველაფერი დავტოვო, და შენ შემოგიდგე? მაცხოვარი უდაბნოში ჰკვებავდა მშიერთ. მაშ თქვენში, ამოდენა პურის-საცავ ბელლების, ამოდენა ხორცეულობის, მწვანილეულობის და ხილეულობის ბაზრის მქონებლებში, რატომ იხოცებიან შიმშილით თქვენი ძმები?... ორი თვის წინათ გარდაიცვალა ჩემი საცოდავი ცოლი. ჩვენ გამოგვრეკეს სახლიდგან ქირის მიუკემლობის გამო; და სახლის-

პატრონი ხომ ქრისტიანი იყო? მითხარით: განა ქრისტე გამოაგდებდა თავის სახლიდგან გარეთ უსახლ-კაროს? ჩვენ პატარა ბავშვით ორი დღე და ღამე დავხეტიალობდით გარეთ, წვიმაში, ცის ქვეშ, სანამ სახლში არ შეგვიყვანა ამხანაგმა — მუშამ, რომელმაც წვიმაში დაყრილი გვნახა. ჩემი ცოლი მაშინვე ჩავარდა ლოგინად და მესამე დღეს სული განუტევა. ბავშვი ამხანაგთან დავტოვე, მე-კი ეხლა აქ ვფიქრობ სიკვდილს; ვიმეორებ, მე არავის თქვენგანს არ ვაყვედრი, არავის არ ვემდური! მე კარგათ მესმის, რომ თქვენ არ შეგიძლიათ მოსპოთ სიღარიბე, შიმშილობა, მაგრამ მაინც მითხარით ღვთის გულისთვის, რას ეძახით თქვენ ქრისტეს მიბაძვას? მე გავიგონე, როგორ გალობდით:

„ყოველივე იესოს, ყოვალივე იმისთვის,
მთელი ჩემი არსება, მის მიერ მოსყიდული,
მთელი ჩემი აზრები და ჩემი საქმეები,
ყველა დღენი, საათი ჩემი სიცოცხლისანი.
ყოველივე იმისთვის, ქვეყნის გამხსნელისთვის!“.

და მე კვლავ დამაფიქრა ამისმა მოსმენამ, — რას გულისხმობთ თქვენ ამ სიტყვებში? მე მგონია, ეს ქვეყანა ცრუმლის ველად არ გადაიქცეოდა, რომ ის ხალხი, რომელიც ასეთ საგალობლებს მღერის, ცხოვრებაშიც ატარებდეს ამ საუცხოო სიტყვებს. და თუ ასეთ საგალობელთა და ქადაგებათა სიტყვები არ სრულდება, მაშ რაღათ ვგალობთ? ვიღას ვატყუებთ: ჩვენ თავს, ერთმანეთს, თუ ღმერთს? იქნება ვცდებოდე, მაგრამ მე მწამს, რომ თუ ჩემს გვერდზე ქრისტე ყოფილიყო იმ ადამიანთა სახით, რომელნიც ქრისტიანად უწოდებენ დავის თავს, დღეს ჩემი ცოლი და შვილები საფლავში არ იწოლებოდენ და მე ეხლა არ შევენატრებოდი მათ მყუდრო მოსვენებას. ამიხსენით მაშ, თუ შეგიძლიათ, არეულობა ჩვენის ცხოვრებისა, შემიმსუბუქეთ ქრისტიანულად სულის ტანჯვები. ყველაფერი ის, რაც მოხდა, იქნება ასეც უნდა მომხთარიყო, მაგრამ მე არ მესმის თქვენი აღთქმა

ქრისტეს მიბაძვისა, მის ჯვალზე სიარულისა; მე გთხოვთ.

მოლაპარაკეს ჯერ არ გაეთავებია, მაგრამ უცებ გული შეუწუხდა და უგრძნობლად ძირს დაეცა.

გენრი მექსუელი ჩამოვიდა კათედრიდან, მივიდა წაქცეულთან და მუხლებზე დაეშვა მის წინ. ეკლესიაში აღმოჩნდა ექიმი. ის მოვიდა, გაშინჯა წაქცეული და სთქვა, რომ საბრალო კოცხალია, მხოლოდ გულ-წასულიაო. ავათმყოფი პასტორის სახლში წაიყვანეს.

ამ წუთიდგან გენრი მექსუელის ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა. მაგრამ ჯერ არც თვითონ მას, არც ვინმე სხვას, არ ეგონა, რომ ეს შემთხვევა მოახდენდა გავლენას მის მსოფლ-მხედველობაზე, ყოველ მის რწმენაზე, მის ცხოვრების ვითარებაზე.

მლოცველები წავიდ-წამოვიდნენ ერმად ჩაფიქრებულნი. ამ ამბავმა ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მთელი კვირის განმავლობაში მთელ სამრევლოში ავათმყოფ სტუმარზე-ღა იყო ლაპარაკი, რომლის მდგომარეობაც ექიმმა უიმედოთ გამოაცხადა.

მექსუელი და მისი მეუღლე მეტი გულსმოდგინებით უვლიდნენ ავათმყოფს. ესენი არ შორდებოდნენ მის ლოგინს, არც დღე და არც ღამე; მაგრამ ავათმყოფი სულ უარ-ეყო. ის ხანდახან უგრძნობლად ხდებოდა, თავდავიწყებაში ვარდებოდა და ეძახოდა თავის ქალს, მუშა ამხანაგთან დატოვებულს ქალი ტელეგრამით დაიბარეს, და ერთი კვირის შემდეგ იგი ავათმყოფ მამის ლოგინთან იჯდა. ავათმყოფს სიყვარულით ეჭირა თავის ქალიშვილის ხელი და მადლობის ცრემლებით ეუბნებოდა მექსუელს:

„მე ვიცი, რომ მოვკვდები და მოვკვდები მალე; მეგრამ ეხლა ეს მე არ მაშინებს, და მეტად აღარ მაწუხებს. მე დამშვიდებული ვარ; დამშვიდებული ვარ ჩემთვისაც და ჩემი ქალიშვილისთვისაც. ქალიშვილი არ დამეღუპება თქვენთან; თქვენ დააბინავებთ მას და მე ამიტომ დამშვიდებული ვარ.

მე ვხედავ, რომ ქრისტეს სიყვარული ყოფილა კიდევ ქვეყნად. თქვენ კეთილად მომექეცით მე, ძალიან კეთილად; მე ვგრძნობ, რომ ასე მოიქცეოდა იესო ქრისტეც. მე დავრწმუნდი თქვენის მაგალითისაგან, რომ ხალხმა რო მოინდომოს, მას ყოველთვის და ყველაფერში შეუძლია მიბაძოს ქრისტეს, გაჰყვეს მის კვალს“...

ავათმყოფი ხანდაზმით და სუსტათ ლაპარაკობდა. სუნთქვა უძნელდებოდა. აღსასრული მისი მოახლოვებული იყო.

„ძვირფასო პასტორო, — განაგრძო ავათმყოფმა, — ოხ, რომ იცოდეთ, რა ადვილია სიკვდილი, როცა გრწამს ქრისტე, როცა გრწამს ძლიერება მისი სიყვარულისა და სიმართლისა ქვეყანაზე... უთხარით მათ, ვინაც მე ველაპარაკე ეკლესიაში... მოუწოდეთ მათ ქრისტესადმი... მისდიეთ ქრისტეს... მოუწოდეთ სხვებსაც, რომ იმის კვალზე იაროს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ადამიანთა შორის ძმობის დამყარება... მხოლოდ ამით შეიძლება მოპოვება.. სულის სიმშვიდის... და ცხოვრების შვებისა.

ავათმყოფი თრთოლვით გაიზმორა; თვალი გადაავლო ოთახს, ოდნავ შეჩერდა ჯვარ-ცმაზე და წყნარად სამუდამოდ დაიძინა. პასტორმა დაიჩოქა და დიდხანს ლოცულობდა. ის ამ კვირის განმავლობაში შესამჩნევად ჩამოხმა, რაღაც ჩაფიქრებული სახე მიიღო; ეტყობოდა, რაღაც ჯზრს შეეპყრო მისი არსება.

ავათმყოფი გარდაცვალა კვირას, განთიადისას. მშვენიერი დილა თენდებოდა. მექსუელი ფანჯარაში იყურებოდა და ამომავალი მზის დანახვაზე, გარეშემორტყმულ ბუნებასთან ერთად, იმასაც გული, თითქოს თანდათან უნათლდებოდა

— განისვენე მშვიდობით, — წარმოსთქვა მექსუელმა, — ჩემო მიცვალებულო ძმაო. შენ უნაყოფოთ არ მომკვდარხარ. შენი სიკვდილით ჩვენ ცოცხლები მივიღეთ ახალ ძალას სულის განახლებისას, აღდგომისას. შეუძლებელია, რომ შენმა უკანასკნელმა სიტყვებმა და სიკვდილმა უმნიშვნელოდ ჩაიაროს ჩემთვის. შენი ტანჯვა, როგორც ტანჯვა ათასის სხვა

შენისთანა ლატაკებისა, ჩვენი ქრისტიანული სინდისისათვის დიდი საყვედურია. ჩვენ წინათ არც-კი ვფიქრობდით თქვენს ტანჯვა-წვალებაზე, თვალებს ვიხვევდით, რომ არ დაგვენახა იგია; გვესხა ყურები და არ ვისმენდით, თვალები—და არ ვხედავდით. ეხლა ფარდა ჩამოიხსნა. შენი სიკვდილი სიღარიბისა გამო, შიმშილისა გამო, ჩვენში, შენ მაძღარ ძმებ-შორის, არის მკაცრი მაყვედრებელი ჩვენი სულიერი სიღატაკისა. ქრისტიანობა სიტყვებში ხომ არ მდგომარეობს, არამედ მოქმედებაში, ცხოვრებაში ქრისტეს სწავლის თანახმად. ჩვენ ბევრ საგალობლებს უგალობთ ქრისტეს, ხოლო მისი ნამდვილი გალობაა ცხოვრება, აღსავსე მისი სიყვარულითა. შენ კარგი გაკვეთილი მოგვეცი ჩვენ. ჩვენ არ დავივიწყებთ მას... მე მაინც არ დავივიწყებ,—მტკიცედ და გარდაჭრით წარმოსთქვა მექსუელმა და გაჩუმდა.

ეკლესიაში წასვლის დრო იყო. ამ კვირას მლოცველები გაცალებით მეტი მოსულიყვნენ ეკლესიაში, ვინემ როდისმე სხვა დროს, და ყველას ეტყობოდა პირისახეზე ჩაფიქრებულობა. ყველანი თითქოს გრძნობდენ, რომ დღეს არა ჩვეულებრივი წირვა იქნებოდა, რომ დღეს რაღაც განსაკუთრებითი რაღაც მოხდებოდა.

დადგა ქადაგების დრო.

ამ დღეს საუცხოვო ქადაგება იყო. არავის არ ახსოვდა, რომ პასტორს ქადაგება ზეპირათ ეთქვას. ყოველთვის კითხულობდა ეხლა კი ის ამბობდა ქადაგებას ზეპირათ და შესამჩნევათაც მღელვარებდა. ცხადად სჩანდა, რომ რაღაცა აზრი უნდა გამოეთქვა, მაგრამ არ იცოდა, როგორ გამოეხატა. ქადაგების გათავების შემდეგ მან დაჰკეცა ბიბილია, დადგა კათედრის ნაპირას და დაუწყო მსმენელებს ლაპარაკი—იმ შემთხვევის შესახებ, რომელიც მოხდა ამ ერთი კვირის წინათ.

— ჩვენი ძმა,—სთქვა მან,—დღეს დილით გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა, მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა, მისმა აქ მოსვლამ და ლაპარაკმა, ამ ეკლესიაში გასულ კვირას,

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მათ აღმიძრეს მე ისეთი კითხვა, რომელსაც მე არასოდეს არ ვაძლევდი ჩემ თავს: „რას ნიშნავს ქრისტეს კვალზე სვლა?“ მე არ მინდა არავის გაკიცხვა, არ შევალ იმის განხილვაში, თუ როგორ მოვექეცით ჩვენ განსვენებულს მუშას, ან როგორ ვექცევით მათ, რომელთა წარმომადგენელიც იგი იყო. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ იმ კაცის სიტყვები შეადგენენ ჩვენთვის მწარე და სამართლიან მხილებას; რომ ჩვენ ან უნდა მივსცეთ პასუხი მისგან დასმულ კითხვაზე, ან არა და მივიღოთ ჩვენს თავზე განჩინება, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ ქრისტეს მიბაძვაზე, მაგრამ ვცხოვრებთ, ვმოქმედებთ მისი ნების და სწავლის წინააღმდეგ. მე მთელი კვირის განმავლობაში ამაზე ვფიქრობდი და გადავწყვიტე, გაგიზიაროთ ჩემი ფიქრები თქვენ; ეს ფიქრები იმის პასუხი იქნება, რაც წარსულ კვირას ითქვა აქ.

გენრი მეექსუელი გაჩუმდა და თვალი გადაავლო თავის მსმენელებს. ყველას მკაცრი და ღრმა დარბაისლური დაფიქრება ეტყობოდა. აქ იყო ედუარდ ნორმანი, გამომცემელი რაიმონდის გაზეთისა: „დღის ახალი ამბები“, იყო ალექსანდრე პაუერი, მთავარი უფროსი რკინის გზების დეპოებისა, დონალდ მარტე, დირექტორი ლინკოლნის კოლეჯისა, ვილიამ გობსონი, ცნობილი ხელოვანი (მხატვარი) რომლის ბრწყინვალე ბეწვის კალამმა შექმნა შესანიშნავი სურათები: „ვაკხანკების ნადიმი“, „დიონისეს დღესასწაული“ და „ამაზონელთა თამაში“. კიდევ იქ იყვნენ რიჩარდ სტოკსი,—შესანიშნავი ვექილი, ოლივერ კოული,—თეატრის დირექტორი, მილტონ რაიტი,—ერთი მდიდარი მოვაჭრეთაგანი რაიმონდისა, რომელსაც ათასზე მეტი მოსამსახურე ჰყავდა მაღაზიებში და საწყობებში; იყვნენ კიდევ ექიმი ვესტი,—ჯერ კიდევ ახალგაზდა კაცი, მაგრამ კარგა სახელგანთქმული; ჯესპერ ჩეზი,—ავტორი წიგნისა, რომელმაც დიდი სახელი მოუხვეჭა; აქ იყო ქალი ვირჯინია პეჯი, რომელსაც ამ ცოტა ხანში, მამის სიკვდილის შემდეგ, მიეღო მრავალ მილიონათ ღირე-

ბული მემკვიდრეობა, იყო მისი მეგობარი ქალი რახიელ ვინ-
სლოუ—სიამაყე საეკლესიო მგალობელთა გუნდისა, მქონე
იშვიათი მშვენების წკრიალა ხმისა.

როცა გენრი მექსუელი დღეს ამათ პირისახეს ჩასცქე-
როდა, იმაზე ჰფიქრობდა, თუ რამდენი მათგანი მიიღებდა
იმ წინადადებას, რომელიც ეხლა უნდა მიეცა მათთვის. ის
განაგრძეობდა თავის სიტყვას დინჯათ, სიტყვების რჩევით
რამაც მსმენელებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორიც
მათ არ განუცდიათ იმ წუთებშიაც-კი, როცა პასტორი მეტად
აღფრთოვანებული ყოფილა ხოლმე. თითქოს პასტორი თი-
თეულ თავის სიტყვას გულში ლურსმანივით ასობდა მსმე-
ნელებს.

„ის, რაც მე მინდა გითხრათ, არ უნდა გეჩვენოთ რაიმე
არა ჩვეულებრივად ანუ ვერშესაძლებლად,—სთქვა მექსუელმა.
—მაგრამ მე მაინც ვეჭიბ, რომ ბევრი თქვენგანი ასე შეხე-
დავს საქმეს. რომ ყველასთვის ადვილი გასაგები ვიქნე, მე
ვიტყვი გადუხრელად, პირდაპირ. მე შოუწოდებ მსურველებს,
ვინც მთელი წლის განმავლობაში არა სახუმროდ, არამედ
დარბაისლათ და პატიოსნად მიიღებს თავის თავზე ვალდებუ-
ლობას, ისე არაფერი მოიმოქმედოს, რომ წინათვე არ დაეკი-
თხოს თავის თავს: „როგორ მოიქცეოდა ქრისტე? როგორ
მოიქცეოდა იგი ამ შემთხვევაში ჩემ ადგილზე? აკურთხევდა
იგი ჩემ საქმეს, თუ არა? ვმოქმედებ, თუ არა, მე მისი მაგალი-
სამებრ?“ და შემდეგ მკაცრად დაიცავს ამ მიცემულ აღთქმას
და არ მიაქცევს ყურადღებას მოსალოდნელ შედეგებს. რა
თქმა უნდა, მე პირველი ჩავეწერები, ასეთ წრეში... წირვის გამო-
სვლის შემდეგ, ვინც ასეთი წრის დაარსების მომხრეა, ვთხოვ, მო-
ბრძანდეს ჩემთან საეკლესიო სამკითხველოში იქ დაწვრილებით
მოვილაპარაკებთ ამ საგანზე. ჩვენი დევიზი იქნება: „ქრი-
სტეს კვალზე“. ესე იგი, სხვანაირათ რომ ვსთქვათ, ჩვენ ვივ-
ლით იესოს კვალზე, სწორეთ ისე მოვიქცევით, როგორც თი-
თონ იგი ასწავლიდა თავის მოწაფეებს. იგინი, რომელნიც

მიიღებენ თავის თავზე ამ ვალდებულებას, ძმანაირათ უნდა მოიქცნენ დღიდანვე დაწყებული მთელი წლის განმავლობაში, მიუხედავათ სხვადასხვა დაბრკოლებისა."

გენრი მექსუელი კვლავ შეჩერდა და გადახედა თავის მსმენელებს. ძნელია აწერა იმ მოქმედებისა, რომელიც იქონია ხალხზე ამ უბრალო წინადადებამ. მსმენელებმა ერთი-მეორეს გადახედეს. ქრისტეს სწავლის ასეთი განმარტება, მისი ცხოვრებაში გატარება ჯერ-კიდევ ერავის მოსვლია თავში. ყველა შეეჩვია თავის თავი ქრისტიანად მიეჩნია, ხანდახან სახარებაზე ელაპარაკნა, დღესასწაულებში მოესმინა ქადაგება ქრისტეზე და მის სწავლა-მოძღვრებაზე, მაგრამ არავის არასოდეს აზრადაც არ მოსვლია, რომ თავისი ცხოვრება მოეწყო ამ მოძღვრებეს თანახმად, დესრულებია ქრისტეს მცნებები ცხოვრების ყველა შემთხვევებში.

წინადადებამ საურთო განცვიფრება გამოიწვია. მექსუელის სიტყვა ყველამ კარგათ გაიგო, მაგრამ იგი იყო მეტად უცხო, მეტად არა ჩვეულებრივი.

მექსუელი საკურთხეველში შევიდა, და, სანამ ის იქ შესამოსს გაიხდიდა, ეკლესია კიდეც დაიცალა. გამოვიდა თუ არა იქიდან, მაშინვე გაეშურა სამკითხველოში, და რომ შევიდა, მის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, იმოდენა შეგროვილ ხალხის დანახვაზე. მას არ ეგონა, რომ ამდენი კაცი მოიწვიდინებდა, მიეღო ფლოქმა ქრისტეს მიბაძვისა, ეთახში შეგროვილიყო ორმოცდაათ კაცამდის. აქ იყვნენ: რიჩარდ ვინსლოუ, ვირჯინია პეჯი, ნორმანი, დონალდ მარტე, ალექსანდრე ბაუერი, რიჩარდ სტოკსი, ექიმი ვესტი და ჯესპერ ჩეზი.

მექსუელმა მიხურა სამკითხველოს კარები და გაჩერდა შეგროვილ საზოგადოების წინ. ის გაფითრებული იყო, და მეტი შღელვარებისაგან ლაფშები უთრთოდა.

— ეს ღვთის საქმეა, — სთქვა მან. — აქ თითონ უფალმა შეგვაგროვა ჩვენ. შევეეედროთ, რომ მან მოგვცეს ძალა მის

გზაზე სიარულისა, — გზაზე სრული სიყვარულისა და წმიდა სიმართლისა.

ლოცვის გათავნვების შემდეგ რამდენიმე წამს სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მსმენელთა თავი ძირს დახრილიყო. გერნი მექსუელის სახე ნაკადულივით მომსკდარ ცრემლებს დაელტო. ზეციდან რომ მოსმოდათ მაღალი ხმა, განმწმედელი მათის აღთქმისა, მაინც ამაზე მეტათ ველარ იგრძნობდნენ ღვთიურ კურთხევას. ამნაირად დაიწყო ყველაზე უდიადესი მოძრაობა ყველა მოძრაობათა შორის, რომელნიც კი როდისმე დაწყებულან რაიმენდის საზოგადოებაში.

— ჩვენ ყველას გვესმის, — დაიწყო მექსუელმა, — რა აღთქმაც დავდევით. ჩვენ ვალდებულნი ვხდებით ჩვენს ყოველ-დღიურ ცხოვრებაში ყოველივე საქმეს შეუდგეთ კითხვით, თუ როგორ მოიქცეოდა იესო ქრისტე, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას. როდისმე მე თქვენ გიამბობთ იმ სასწაულებრივ ცვლილების შესახებ, რომელიც მოხდა ჩემს ცხოვრებაში წარსულ კვირის განმავლობაში. ეხლა-კი არ შემიძლია; მე ჯერ კიდევ კარგათ არ მიმიცია ჩემი თავისთვის ანგარიში, რა მოხდა ჩემში. მხოლოდ ამას-კი ვგრძნობ, რომ შემდეგში ისე ცხოვრება, როგორც აქამდის ვცხოვრობდი აღარ შემიძლია; იმ გრძნობამ, რომელიც მე გამოვცადე წარსულ კვირაში, ცხად-ჰყო სრული უვარგისობა ჩემი წინანდელი წარმოდგენისა და ქრისტიანობრივი შეგნებისა, და ეხლა იძულებული ვარ, დავდო ახალი აღთქმა. ცალკე ამ საქმის დაწყება მე ვერ გამებედნა. უფალი ჩვენ ყველას გვიწოდს გარდაცვალებულ უსახლკარო მუშის პირით. მე ამისათვის ყველას მივმართე წინადადებით. თანახმანი ხართ თუ არა დაიცვათ თქვენი აღთქმა!

— მე თანახმა ვარ, — სთქვა რახიელ ვინსლოუმ, — მაგრამ აქ ერთი გაუგებრობა მხვდება. კარგათ არ მესმის წყარო ჩვენის ცოდნისა, თუ როგორ მოიქცეოდა იესო ჩემს ადგილზე? ვინ გამაგებიებს მე, როგორ მოიქცეოდა იგი თვი-

თოეულ შემთხვევაში? აკურთხევდა იგი ჩემ საქმეს, თუ არა? ეხლა ხომ ცხოვრება მეტად გართულდა. ბევრი რამ თანამედროვე ჩვენის ცოვრებიდგან არ ყოფილა მაცხოვრის დროს. მაშ როგორ შემიძლია მე ვსთქვა, როგორ მოიქცეოდა ის? რას აკურთხევდა და რას არა?.

— მაშინ როგორღა იქნება, რომ ჩემს მოქმედებაზე ვინმემ მითხრას, ქრისტე ეგრე არ მოიქცეოდაო?— იკითხა ნორმანმა, გაზეთის გამომცემელმა.

— შეიძლება ესეც მოხდეს, რომ საზოგადოების ერთმა წევრმა იფიქროს, ქრისტე ამნაირად მოიქცეოდაო, მეორემ კი უარჰყოს ასეთი აზრი. რა შეათანხმებს ჩვენს ყოფა-ქცევას და ჰყოფს მას ერთნაირ ქრისტიანულად? შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე დასკვნა ყოველ შემთხვევას შეუფარდოთ?— იკითხა დონალდ მარტემ.

გენრი მექსუელი ცოტა ხანს შედგა და შემდეგ მიუგო:

— მე არა მგონია, რომ მოსალოდნელი იყოს გაუგებრობა, ან და უთანხმოება. ვინც პატიოსნად, გულწრფელად და შეგნებით შეუდგება ქრისტეს, მე შესაძლოთაც არ მიმაჩნია იჭვნეულობა არც ჩვენ საკუთარ გონებაში, არც სხვა ადამიანების მსჯელობაში. რადგანაც იესო ქრისტე შეადგენს მთელი ქვეყნის მაგალითს, ამისთვის უეჭველია, რომ ჩვენთვისაც შესაძლებელია მისი შედგომა და მიბაძვა. განა ასე არ არის?

ყველანი დასთანხმდენ. რამოდენიმე გამოთქმულ მოსაზრების შემდეგ, დაადგინეს ყოველ ორ კვირაში ერთხელ მართონ ხოლმე კრებები, რომლებზედაც განიხილავენ სხვადასხვა შემთხვევებს ქრისტეს მიბაძვის საქმეში. გენრი მექსუელმა კვლავ წაიკითხა ლოცვა და კვლავ, როგორც წინათ, ყველანი გრძნობდნენ ღვთის კურთხევას. ყველა დამსწრეებმა უხმოთ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და წყნარად დაიშალენ, ღრმა ფიქრით გარემოცულნი.

ქრისტიანული გაზეთი.

ორშაბათ დილით ნორმანი, რედაქტორ-გამომცემელი რაიმონდის გაზეთისა „დღის ახალი ამბები“-სა, იჯდა რედაქციაში, თავის სამუშაო კაბინეტში. მის წინ იდგა გორა საკარექტურო სტატიებისა. ის ემზადებოდა დაეწერა მოწინავე სტატია „დღის ახალი ამბები“ საღამოობით გამოდიოდა, და ამიტომ სტატია შუადღისას უნდა გათავებულიყო. ნორმანი საზოგადოთ თავისუფლათ და კარგათ სწერდა, ჩვეულებრივ ორ-სამ საათს ანდომებდა სტატიის დაწერას. ეხლა-კი იჯდა და არ იცოდა რა, ან როგორ დაეწერა. გუშინდელმა აღთქმამ სრულიად გამოცვალა მთელი მისი შეხედულება გაზეთის შესახებ.

— მე აღთქმა დავდევი ყველაფერში ქრისტეს კვალზე ვიარო, ჰფიქრობდა ნორმანი, — წავიყვანო ჩემი საქმე ისე, როგორც წაიყვენდა მას მაცხოვარი. ეკურთხევდა, თუ არა, იესო ქრისტე ჩემი გაზეთის თითოეულ სტატიას? შეამოწმებდა მათ თუ არა თავის ხელის მოწერით? მოიწონებდა ჩვენი ლიტერატურული მუშაობის მიმართულების ხასიათს, თუ სასტიკად განკიცხავდა? თავისთავათ ცხადია, შესაცვლელი გახდა გაზეთის ხასიათი. ახალ ნიადაგზე შეიქნა დასაყენებელი გაფართოებული და დამყარებული საქმე. ვაი თუ შეცდეს და ყველაფერი გააფუჭოს! ნორმანი ყოყმანობდა და ისეთ გრძნობას განიცდიდა, რომელიც ახლოს იყო შიშზე. ის ადგა, მაგრათ დახურა კარები და ჰქნა ის რაც მრავალ წელთა განმავლობაში არ ექნა. დავარდა მუხლებზე და დაიწყო ლოცვა. ის სთხოვდა ღმერთს შემწეობას, სწორ გზაზე დაეყენებია მისი დაეჭვებული გონება.

კარებში კაკუნი მოისმა.

— შეიძლება შემოვიდე?

ნორმანი ადგა, მივიდა სტოლთან, დაჯდა და დაუძახა:

— მობძანდით.

შემოვიდა კლარკი, მეორე რედაქტორი, ნორმანის თანაშემწე, მდაწოდა ახალი კორრექტურის ფურცელი და უთხრა:

— ეს არის ეხლა ტელეგრაფიდან მივიღე. ჩინებულათ დაწერილი სტატიაა. ყოჩაღია ჩვენი თანამშრომელი ტომ საუერი. მე გავგზავნე ის რიზორტში. იქ ვუშინ დიდი კრივი იყო. იბრძოდენ საუკეთესო ამერიკელი მოკრივენი. აი ანგარიში ამ კრივისა, ამაში სამ ნახევარი სვეტი გამოვა; ვგონებ, მთლად გავიდეს, ჩვენი ანგარიში საუკეთესო იქნება.

ნორმანმა გამოართვა სტატია და გულდადებით გადაიკითხა იგი. შემდეგ დაალაგა ფურცლები სტოლზე, ჩაფიქრდა და ბოლოს სთქვა:

— ეს არ გვიშვება.

— კლარკი განცვიფრდა:

— როგორ?.. რა სთქვით თქვენ?

— დასტოვეთ ეგ ანგარიში. ჩვენ მაგას არ დავბეჭდავთ.

კლარკი იშვიათად თუ შეებმოდა გამომცემელს. ნორმანის სიტყვა რედაქციისთვის კანონი იყო და მას იშვიათად მიჰქონდა ხოლმე უკან თავის სიტყვა, მაგრამ ეს გარემოება ისეთი არა ჩვეულებრივი იყო, რომ კლარკს არ შეეძლო გაჩუმებულიყო.

— მაგრამ თქვენ ფიქრობთ, რომ გაზეთის გამოსვლა შეიძლება ისე, რომ ყოფილ კრივობაზე არაფერი იქნეს მოხსენებული?

— დიახ! სწორეთ მაგას ვფიქრობ.

— ეს ხომ შეუძლებელია! ყველა სხვა გაზეთები მოათავსებენ ამის შესახებ სტატიებს. რას იტყვიან ჩვენი ხელის

მრმწერნი? და უამისოთაც, რა მიზეზით არ გნებავთ?—ცხარობდა კლარკი.

ედუარდ ნარმანმა ჩაფიქრებით შეხედა კლარკს: მისი თანაშემწე სხვა საეკლესიო ჯგუფს ეკუთვნოდა და ამიტომ მათ თითქმის არასოდეს არ აღუძრავთ ლაპარაკი საღვთისმეტყველო კითხვებზე, თუმცა დიდი ხანია ერთად მუშაობდენ.

ეხლა ნორმანი დიდხანს ფიქრობდა, და შემდეგ აჩქარებით ჰკითხა:

— კლარკ! ქრისტე რომ გაზეთს სცემდეს, როგორ გგონიათ თქვენ მოათავსებდა გაზეთში კრივობის ანგარიშს, რომელსაც სამ ნახევარი სვეტი უნდება? ნუ თუ ცხოვრებაში აღარაფერი დარჩენილა ამაზე საინტერესო?

კლარკი გაქვავდა მეტი განცვიფრებისაგან. ბოლოს უპასუხა:

— მე ვფიქრობ, ქრისტე ამას არ მოათავსებდა...მაგრამ რას ნიშნავს ეს კითხვა?

— იმას ნიშნავს, რომ სწორეთ ამ მიზეზით მე არ მინდა გაუშვა თქვენ მიერ მოტანილი სტატია,—უთხრა ნორმანმა. მე გადავწყვიტე, მთელი წლის განმავლობაში ჩემ გაზეთში არ დავბეჭდო ისეთი რამე, რასაც არ აკურთხევდა იესო ქრისტე, რაც მას არ მოეწონებოდა.

— უცნაური აზრია,—უნებლიეთ წარმოსთქვა კლარკმა.

— ჩემი აზრით-კი, უფრო უცნაური ის არის, სთქვა ნორმანმა, რომ ჩვენ, ქრისტიანებს, უცნაურად გვეჩვენება ქრისტიანული გაზეთის გამოცემა.

კლარკი განცვიფრებული იდგა. მას აღარაფრის მოსაზრება არ შეეძლო. მას მოეჩვენა, რომ ნორმანი ჭკუაზე სცდება; მაგრამ მეორე მხრივ-კი, მიუხედავად თვისი სიახლისა, ცხადი იყო, რომ ეს აზრი არც ისე მაინცა და მაინც ველური იყო.

— ეგ კარგი, მაგრამ არ გიფიქრიათ, რა გავლენას იქონიებს ეს გაზეთზე?—შეშფოთებით ჰკითხა ბოლოს კლარკმა.

— რა გინდათ სთქვათ? ჰკითხა თავის მხრით ნორმანმა, და სწრაფად შეხედა მას.

— მე ვფიქრობ ეს დაღუპავს გაზეთს, — ცოცხლად უპასუხა კლარკმა. — საქმე იმაშია, რომ გაზეთის წარმოება ასეთ ნრადაგზე ხელსაყრელი არ იქნება. ეს ძალიან მაღალი აზრია. ქვეყანა ჯერ მომზადებული არ არის ამისთვის. ეს მაგრე რიგათ არ ეინტერესებათ. ჩემთვის სრულიად ცხადია, რომ თუ არ გავუშვით გაზეთში ეს სტატია, ჩვენ ბევრ ხელის-მომწერლებს დავკარგავთ. არ არის საჭირო, წინასწარმეტყველი იყო, რომ ეს წინასწარ იცოდე. ქალაქის საუკეთესო საზოგადოებას სწყურია მომხდარ ბრძოლაზე ამბის გაგება, მან იცის, რომ მეზობლათ იყო გამართული კრივი, და მოელის ამაზე დაწვრილებით ცნობებს საღამოს გაზეთში. ასეთი ბრძოლის შედეგი ყოველთვის აინტერესებს საზოგადოებას არა ნაკლებ ქალაქის არჩევნებისა, ან თვით პრეზიდენტისაც-კი. თქვენ გინდათ უგულებელს-ჰყოთ საზოგადოების სურვილი. ჩემი აზრით, ეს დიდი შეცდომა იქნება.

ედუარდ ნორმანი ცოტა ხანს გაჩუმდა, და შემდეგ მშვიდად, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა:

— მე ვფიქრობ, რომ ამისთანა სტატიის ეხლა დაბეჭდვა ჩემს გაზეთში უფრო მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. თქვენ მეუბნებით, საზოგადოება მოითხოვს ანგარიშს იმაზე, თუ როგორ რვა სახელ-განთქმული მოკრივე, რვა ხორცის ბელტი რვა კაცის სახით იბრძოდენ და მუშტით სცემდენ ერთმანეთს, და როგორ უცქეროდა ხუთი ათასი კაცი ამ სანახაობას. კანონიერია ეს მოთხოვნა? საკადლებულია ჩვენთვის? რა არის გაზეთი? გიფიქრიათ როდესმე, კლარკ, მის დანიშნულებაზე? გაზეთი ხომ ხელმძღვანელია აზროვნებისა. ის უნდა უკარნახებდეს საზოგადოებას გონივრულ მოთხოვნილებებს, სინიდისის გულის და გონების მოთხოვნილებებს და არა აკმაოყფილებდეს ბრბოს ყოველ-გვარ მოთხოვნილებებს.

როგორ გგონიათ თქვენ, კლარკ, სად შეიძლება ვიპოვოთ ჭეშმარიტი სახელმძღვანელო ადამიანის ყოფაქცევისაგ განა იგი არ იმყოფება ქრისტეს მოძღვრებასა და ყოფაქცევაში? განა თქვენ თანახმა არა ხართ, რომ ხალხი ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა მისდევდეს ქრისტეს მაგალითს? რომ ეს მაგალითი სავალდებულოა გაზეთისთვისაც, და თუ ბრბოს მოთხოვნილება, მკითხველების გემოვნება, ეწინააღმდეგება სახარების მოთხოვნილებას, მაშინ ჩვენ არ უნდა მივცეთ მათ უპირატესობა?

კლარკი გაწითლდა, და სანამ ნორმანს პასუხს მისცემდა, სკამზე შემოტრიალდა.

— მე ვფიქრობ, რომ უკეთესი სახელმძღვანელო ყოფაქცევისთვის არ შეიძლება, მაგრამ კითხვა იმაშია, შესაძლებელია მისი განხორციელება თუ არა? არის თუ არა ამის მოთხოვნილება საზოგადოებაში? გაიღებენ, თუ არა, ამისთვის ფულს. თუ გვინდა, რომ გაზეთს გასავალი ჰქონდეს, ჩვენი მოქმედება საზოგადოების პირობებს და მოთხოვნილებებს უნდა შეუთანხმოთ; ჩვენ არ შეგვიძლია ისე ვიმოქმედოთ, ვითომ იდეალურ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ.

— თქვენ გგონიათ, რომ ქრისტიანულ საზოგადოებაში ჩვენ არ შეგვიძლია ვაწარმავოთ გაზეთი სუფთა ქრისტიანულ ნიადაგზე?

— დიახ, მე სწორეთ ამას ვფიქრობ. ეს შეუძლებელია. ერთი თვის შემდეგ ჩვენ ცარიელზე დავრჩებით.

ედუარდ ნორმანმა მაშინვე არ უპასუხა ამაზე. ის დიდხინს ღრმად ჩაფიქრებული იყო.

— სხვა დროს ჩვენ კიდევ მოვილაპარაკოთ ამაზე, კლარკ, ეხლა-კი მე მგონია, რომ ჩვენ ერთმანეთის აზრი კარგათ გივიგეთ. მე პირობა დავდე, გაზეთი მთელი წლის განმავლობაში ისე ვაწარმავო, რომ ყველა სტატიაზე შეიძლებოდეს იესო ქრისტეს სახელის მოწერა, ისე რომ მას (სახელს) ჩირქი არ მოეცხოს. ყოველივე დინარჩენს მე შეუბრალებლად

გავდევნი გაზეთიდგან. აი, მაგალითად, ავიღოთ თეატრის განყოფილება. მე შევამოკლე იგი სამი მეოთხედით. ეს საშინელებაა, რომ ჩვენ ყოველ დღე გაზეთის ფურცლებს ვავსებთ თეატრის ამბებით, თითქოს თეატრს, კონცერტებს და ლიტერატურულ საღამოებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდესთ ცხოვრებაში. ყველა ეს სანახავები და გასართობები — შექცევა-მხიარულებაა; ხალხური სიბრძნე კი ასე ამბობს: „საქმეს მთელი დრო, გართობას — ერთი საათი.“ არ შეიძლება გართობა ცხოვრების არსებით საკითხად ჩაითვალოს. ესეც უნდა ვთქვათ, გაზეთს კითხულობენ ორა მარტო ადგილობრივი ქალაქის მცხოვრებნი; გაზეთი მიდის სხვადასხვა ქალაქებში, სოფლებში და მივარდნილ — მიყრუებულ ადგილებში. რა საქმე აქვსთ იქაურ მკითხველებს ჩვენ ადგილობრივ თეატრის ახალ ამბებთან? იმათ თავიანთი ცხოვრება აქვთ, ცხოვრება თვისი სამარადისო საკითხებით, სულის განხეთქილებით, ათასნაირი ჭირ-ვარამით, მუდმივი შინაგანი ბრძოლით და უკმაყოფილობით სავსე. მიეცით მათ შემწეობა, რომ ეს ცხოვრება კეთილათ გაატარონ, კარგათ შეასრულონ თავისი როლი ამ ცხოვრების პიესაში; თქვენი რჩევა — დარიგებაც, გულწრფელი ძმური სიტყვა ამ შემთხვევაში მათთვის გაცილებით უფრო ძვირფასი და სასურველი იქნება, ვინემ დაწვრილებითი განხილვა თეატრის და კონცერტების საქმეებისა. მართალი უნდა გითხრათ, მე რაც უფრო სერიოზულად უფიქრდები გაზეთის დანიშნულებას, მით უფრო მრცხვენია ჩემი თავისათვის, როგორც რედაქტორ-გამომცემელისა, ისე ჩემი თანამშრომლებისთვისაც. მის მაგივრათ, რომ მკითხველები გამოვაფხიზლოთ, დაუყენოთ და გაუნათოთ პრინციპიალური საკითხები, საზოგადოთ ვიყენეთ მასწავლებელნი საზოგადოებისა, ხელმძღვანელნი მისთა აზრთა, გემოვნებათა და მისწრაფებათა, — ჩვენ, მეგაზეთეები, ჩვენისავე ნებით ვიღებთ ჩვენს თავზე დამამცირებელ როლს მასხარაობისას, ვცდილობთ ხალხის გართობას, მისი გემოვნების გაგებას და ყოველნაირათ მის სიამოვნებას

დაე, მოხდეს, რაც მოხდება! მე შევაბრუნებ ჩემი გაზეთის მიმართულებას, დავადგები ახალ გზას. მგონია, ცხოვრებაში მოიპოება საყოფი ძვირფასი მასალა, გარდა გასართობებისა; ჩვენ მხოლოდ მით ვისარგებლებთ.

კლარკი ყოყმანობდა:

— თქვენ ახსნით რითამე ,,გაზეთში" კრივზე ანგარიშის მოუთავსებლობას?

— არა. დაბეჭდონ გაზეთის ნომერი ისე, თითქოს კრივი არ-კი მომხდარიყოს; მე-კი ამ დღეებში გაზეთში მოვათავსებ წერილს, რომლითაც გამოვაცხადებ გაზეთის მიმართულების შეცვლას.

კლარკი გამოვიდა ოთახიდან, მეტად გაკვირვებული, დაფანტული და ძალზე გაჯავრებულიც.

— შუადღისას რედაქციაში და სტამბაში უკვე ყველამ იცოდა და ლაპარაკობდა არა ჩვეულებრივ ამბავზე: გაზეთი უნდა გამოსულიყო, მაგრამ შიგ ერთი სიტყვაც არ უნდა ყოფილიყო გუშინდელ შესანიშნავ კრივზე.

საღამოს გამოვიდა გაზეთი ,,დღის ახალი ამბები", რომელშიაც მართლა გამოტოვებული იყო სტატია კრივზე; მაგრამ ამ გარემოებამ უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინა, ვინემ სტატია რო მოთავსებულიყო. ასობით, როგორც შემთხვევითი მსყიდველები, ისე მუდმივი ხელის—მომწერლები, ხირბათ ფურცლავდენ გაზეთს და ეძებდენ შიგ სტატიას კრივზე და რადგან ვერ პოულობდენ, საჩქაროთ გარბოდენ კიოსკისაკენ სხვა გაზეთის საყიდლათ. გაზეთის დამტარებლებმა არაფერი იცოდენ ასეთი ნაკლის შესახებ. ერთი მათგანი კიდეც ყვიროდა: გაზეთი „დღის ახალი ამბები',! დაწვრილებითი ანგარიში რიზორტის კრივზე! ,,ახალი ამბები! ,,იყიდეთ!''

ქუჩის შესახვევში ვიღაც კაცმა იყიდა გაზეთი, საჩქაროთ გადაათვალიერა მისი ყველა ფურცლები და გაჯავრებით დაუყვირა მეგაზეთეს: ჰეი შენ გესმის! რა დამართვიჯ თქვენ გა-

ზეთს. აქ არ არის მოთავსებული ამბავი კრივზე! თქვენ გეტყობათ, გაზეთის ძველ ნომრებს ჰყიდით!

— ძველ ნომრებს არა! — წყენით უპასუხა მეგაზეთემ. — ეს დღევანდელი ნომერია. რა გნებავთ თქვენ?

— მე მნებავს ანგარიში კრივზე და სწორეთ ის-კი არ არის აქ! აბა ნახეთ!

მსყიდველმა დაუბრუნა გაზეთი ბიჭს. ამანაც საჩქაროთ თვალი გადაავლო გაზეთს და გაჩუმდა. სამდურავი ნათლათ იხატებოდა მის პირი-სახეზე. დაინახა-რა ახლოს მიმავალი მეგაზეთე ამხანაგი ბიჭი, მიაძახა მას:

— სიმო! აბა ვნახო შენი აბგა!

მსწრაფლ გადაათვალიერა ამის გაზეთებიც, მაგრამ დარწმუნდა იმ საკვირველებაში, რომ ამ გაზეთის ყველა ნომრებში გამოტოვებული იყო ანგარიში კრივზე.

— მომეცით სხვა გაზეთი, სადაც მოთავსებულია ეს ანგარიში!! მოითხოვა მსყიდველმა.

ვაჟბატონმა გაზეთი მიიღო და თავის გზას გაუდგა; ბიჭებმა კი გაზეთებს თვალიერება დაუწყეს და უკვირდათ, რომ კრივის ანგარიში არ იყო შიგ მოთავსებული.

შემდეგ გაჯავრებულები გაიქცნენ „დღის ახალი ამბების“ კანტორაში. იქ იყვნენ კიდევ რამდენიმე გაზეთის დამტარებლები. ყველანი ჯავრობდენ, უკმაყოფილებას აცხადებდენ. გაზეთის კანტორის გამგეს ბევრს მკვახე საყვედურს ეუბნებოდენ. ამ ხმაურობაზე ნორმანიც გამოვიდა კანტორაში.

— რაშია საქმე? — იკითხა მან.

— გაზეთი სრულებით აღარ იყიდება, — შესძახეს ბიჭებმა — იქ არ არის მოთავსებული ანგარიში კრივზე.

— დააბრუნეთ გაზეთის ნომრები უკან. მე განკარგულებას მოვახდენ, თქვენი ფული უკან დაგიბრუნონ.

ნორმანი გამოვიდა კანტორიდან და წავიდა სახლში. გზაზე ფიქრობდა იმ უსიამოვნო ბრძოლაზე, რომელიც მოუხდებოდა მას მკითხველებთან გაზეთის გამო. მკითხველები

უკვე შეეჩვივნენ გაზეთის წინანდელ მიმართულებას, ხოლო ჩვეულებიდგან გადაჩვევა ადვილი არ არის. თამბაქო და არაყი უეჭველად მავნებელნი არიან, მაგრამ ხალხს მაინც არ უნდა მათი მიტოვება. რაღა ქმა უნდა, ხალხი უკმაყოფილო იქნება ეგრეთვე გაზეთის მიმართულების წამოცვლით.

— ბევრი ხელის-მომწერი დაგვეკარგება — ამბობდა თავისთვის ნორმანი — რა ვუყოთ? ან უნდა ეარი ითქვას ქრისტეს კვალზე სიმართლის ალთქმაზე, ან ხალხის გაფუჭებულ გემოვნების სამსახურზე. ვნახოთ, შეიძლება, თუ არა, ქრისტიანებთან ქრისტიანული ბეჭვდითი სიტყვით ლაპარაკი?

მეორე დღეს მრავალი საყვედურის წერილი მოუვიდა რედაქციას კრივის ანგარიშის დაუბეჭდაობის გამო.

შენიშვნას აძლევდნენ რედაქტორს, რომ ის არა ადგას თავის მოწოდების სიმაღლეზე, რომ მან გამოტოვა შესანიშნავი ამბავი. სხვები ემუქრებოდენ გაზეთის გამოწერაზე ხელის აღებას. ზოგი ამბობდა, გაზეთს, შეიძლება, მკითხველი ორც-კი გამოუჩნდესო.

— გაზეთის მთელ უკანასკნელ ნომერს აქვს რაღაც თავისებური მიმართულება, ფითქოს სულ ახალი სურნელება შეეუშხვეფებიათო. კარგია ეს? საზოგადოებას თავისი გემოვნება და მოთხოვნილება ჰქონს. მიეცით მას ის, რაც უყვარს, და თქვენ წარმატება უზრუნველყოფილი იქნება, — სწერდნენ მეოთხენი.

ნორმანის განსაკუთრებითი ყურადღებაა მიიქცია ერთმა წერილმა. სწერდა მდიდარი თამბაქოს ქარხნის პატრონი ის ათავსებდა ხოლმე გაზეთში დიდრონ განცხადებებს. შეკვეთილი განცხადებების ვადა თავდებოდა, შემდეგში მეექარხნე ალარ აპირებდა თავის განცხადებების მის გაზეთში მოთავსებას.

— თქვენ გაზეთს, აუცილებელია, შეუმცირდება ხელის მომწერლები, — სწერდა ის, — ჩემთვის ხელსაყრელი არ იქნება, თქვენ გაზეთში მოვათავსო ჩემი განცხადებები.

განცხადებებს დიდი შემოსავალი შემოჰქონდა. ამ მხრივ

ნორმანი არ მოელოდა ზარალს. ეს უსიამოვნო ანაზღეულო საჩუქარი იყო, მაგრამ ნორმანი არ შედრკა. მან მხოლოდ საზოგადოდ განცხადებების ხასიათს მიაქცია ყურადღება. წინათ მას არც-კი ჩაუხედნია გაზეთის უკანასკნელ ფურცლებში, სადაც განცხადებები იბეჭდებოდა. მაგრამ, ეხლა რომ გადათვალიერა გაზეთი, ნახა რომ ბევრ იქ მოთავსებულ განცხადებებს ქრისტე გამორიცხავდა.

— აბა, — მაგალითად როგორ მოექცეოდა ქრისტე-მაცხოვარი ამ გძელ განცხადებას — მაგალი სასმელების შესახებ?

ქვემოთ გაზეთის გვერდები აჭრელებულ ყო განცხადებებით შესახებ რესტორანებისა, ლუდხანებისა, ახალ-საბილიარდოებისა, კონიაკებისა, უცხო ქვეყნებიდან მოტანილ სიგარეებისა, სხვადასხვა შალატანურ წამლებისა, მიმზიდველ, მყვირალა, მაგრამ ბინძურ სათაურიანი წიგნებისა. ყველა ეს დახატული იყო, იდიდ ასოებით დაბეჭდილი, პირდაპირ თვალში ეჩხირებოდა. როგორ უნდა მოქცეულიყო?

ყველა ამ განცხადებებს დიდძალი ფული შემოჰქონდა. რა მოუვა გაზეთს ესენი რომ გამორიცხოს? შეუძლია გაზეთს უამათოთ არსებობა?

მაგრამ რისლა მაქნისია მაშინ კითხვა: „როგორ მოექცეოდა ქრისტე ჩემ ადგილზე?“ — ჰფიქრობდა ნორმანი. განაგრძო აკურთხევდა ქრისტე გაზეთში ასეთ განცხადებების მოთავსებას, როგორიც არის მაგ. განცხადება ღვინოზე, თამბაქოზე, ან აი ამ მაცთურ სათაურიან წიგნზე? ნორმანმა პატრონსნათ დააყენა ეს კითხვა, სთხოვა ღმერთს სიმტკიცე და გულისხმიერობა და შამოიხმო კლარკი თავის კაბინეტში; კლარკი გრძნობდა, რომ გაზეთი განსაცდელში იყო ჩავარდნილ და ამისთვის ორშაბათის შემდეგ ყველაფრისთვის მზათ იყო. ეს დღეს ხუთშაბათ იყო.

— კლარკ, — დაიწყო მშვიდობიანათ ნორმანმა, — მე გადავათვალიერე ჩვენი გაზეთის განცხადებები და გადავწყვიტე გამოვრიცხო ზოგიერთი მათგანი, როგორც-კი ვადა გაუთავ-

დებათ. თქვენ გამოუცხადეთ პატრონებს, რომ ეს განცხადებები აღარ დაიბეჭდება. მე აქ დავნიშნე ის განცხადებები, რომლებიც აღარ მიიღება.

მან მიაწოდა კლარკს გაზეთი შენიშვნებით. კლარკმა მეტი გულდადებით გადაათვალიერა.

— ეს დიდ ზარალს მისცემს გაზეთს. გაზეთი ვერ შესძლებს ასეთ გარემოებაში მოქმედებას.

— რატომ? — დამშვიდებით ჰკითხა ნორმანმა

— რატომ?.. — იმიტომ, რომ გაზეთის შემოსავალი ველარ დაჰფარავს გასავალს, — უპასუხა, ეხლა-კი გაჯავრებით, კლარკმა. თუ ამნაირათ მოვიქცევით, ჩვენ დავღუპავთ გაზეთს.

— თქვენ ეგრე გგონიათ? — დასვა ნორმანმა კითხვა, რომელზედაც პასუხს არ მოელოდა და განაგრძო.

— ასე ინებეთ განკარგულება, როგორც მე გითხარით. მე დარწმუნებული ვარ, ქრისტე აკურთხევდა ჩემ საქციელს; მე უკვე მოგახსენეთ, კლარკ, რომ აღთქმა დავდე, მთელი წლის განმავლობაში ვიმოქმედო ქრისტიანულად, რა შედეგიც უნდა მოჰყვეს ასეთ ჩემ მოქმედებას.

— მართლა, მოახსენეთ მისტერ გარკოტს, რომ მისი სტატია გუშინდელ ლექციის შესახებ ლიტერატურულ კლუბში არ დაიბეჭდება, და სთხოვეთ მას, როცა მოვა, ჩემთან შემოვიდეს.

— როგორ არ დაიბეჭდება!? — გაკვირვებით ეკითხა კლარკმა. — თქვენ არ გინდათ დაბეჭდოთ სტატია საუკეთესო ჩვენი მეფელეტონესი? და წაიკითხეთ-კი ჯერ იგი? ეს ხომ მჭერმეტყველების შუშხუნაა. იგი ცხვირში სცემს და იფხაჭნება, როგორც შამპანიური. გარკოტის ჯალამი საკვლა შხამით და მახვილია, როგორც ხანჯლის წვერი.

— აი სწორეთ ამისთვის არ დავბეჭდავ მის სტატიას გუშინდელ ლექციის შესახებ; მე მინდა ვთხოვო, რომ მან საზოგადოდ გამოსცვალოს ხასიათი თავის მწერლობისა, თუ სურს თანამშრომლობა გაგვიწიოს გაზეთში. მე ვხედავ, რომ ჩვენ, გაზე-

თის მომუშავენი, მეტის-მეტი ენა შეუკავებელი ვართ. გარეგნული წარმატებისა და ბრბოს უშნო სიცილის ძებნაში ჩვენ გვავიწყდება ნამდვილი საქმე, აღარ ვზოგავთ ადამიანის უძვირფასეს განძს—მის პიროვნებას, არ გვინდა თვით მცირე ელემენტარული თავაზიანობა ვიქონიოთ ერთმანეთში და სხვასთანაც, თუნდ იგი ჩვენი პრინციპიალური მოწინააღმდეგეც იყოს. ლამაზი სიტყვის გულისთვის მამასაც აღარ ვინდობთ. აიღეთ, მაგალითად, თუნდა თქვენი სანაქებო სტატია. ის თავისებურად სამაგალითოა. თქვენ ამბობთ, ის მახვილ-გონიერების მფრქვეველია, სავსეა დაფარული შხამით. მე თითონ ასე ვფიქრობდი წანათ გარკორტის მწერლობის მანერაზე. ეხლა-კი გამოვიცვალე შეხედულობა. ჩემი აზრით, სტატია მთლათ თავიდან ბოლომდი საცინლად აგდებაა ბედშავ ლექტორისა, მსუბუქი, მოთამაშე, შემაქცევარი... მაგრამ იგი ამასთანავე მასხრად აგდებაა, არ ვიცი-კი უფრო მომეტებულად რომლისა, ლექტორისა, თვით ავტორისა, თუ გაზეთისა, რომელიც დაჰბეჭდავს ამ დაცინვას დამარცხებული ლექტორის შესახებ. მე თითონ რომ გაზეთის მკითხველი ვიყო, გარკორტის სტატიის წაკითხვის შემდეგ შემეძლო მეთქვა გაზეთისთვის: „გუშინ ვიღაცა სადღაც სისულელე სთქვა, თქვენ შემთხვევითი ლექტორის ამ სისულელეზე სწერთ გაზეთში სამ-ოთხ სვეტს, სწავთ თქვენი ტვინის ფოსფორს, ვარჯიშობთ გესლიან დაცინვაში, ჰკარგავთ დროს, და მეც მაკარგვინებთ. დაანებეთ თავი **სხვის სისულელეს**, სთქვით **თქვენი გონივრული** სიტყვა, თუ შეგიძლიათ“. მგონია მე, ამის მთქმელი მართალი ვიქნებოდი.

მე არ მინდა ამით ვთქვა,—ფანაგრძობდა ნორმანი,—რომ საჭირო არ არის პოლემიკა. სიტყვისა შებრუნება არა, იგი საჭიროა, იგი შველის ჭეშმარიტების გამორკვევას და ყოველ მხრივ განათებას, მაგრამ ყოველი პოლემიკა უნდა იყოს ნამდვილი ლიტერატურული. ჩვენი ჩვეულებრივი პოლემიკა-კი ლიტერატურული არ არის, იგი წარმოადგენს კერძო კინწლაობას, შეჯიბრებას, თუ ვინ უფრო მეტს აწყე-

ნიებს და უკბენს მოწინააღმდეგეს, აღძრული ზადაო კითხვა უკან რჩება, პირველ ადგილს-კი პირადი ნაკბენი თავ-მოყვარება იჭერს. გამიგონე, რა საქმე მაქვს მე თქვენ პირად ანგარიშებთან, წვრილმან თავმოყვარეობასთან, — გეტყვით მე, — როგორც გაზეთის მკითხველი? მე ვიკვეთ ჟურნალს ან გაზეთს იმიტომ, რომ იქ ვნახო ახსნა ამა თუ იმ კითხვისა, და ამის ნაცვლად-კი ლანძღვა-გინების, უშნო დაცინვის და შეურაცხების წუმპეში ვითხუპნები. გაასწორეთ თქვენი პირადი ანგარიშები კერძოთ, პირად შეხვედრის დროს, ან არა და, კერძო მიწერ-მოწერით, ბეჭდითი სიტყვაში-კი შემაძლებინეთ გამოვერკვე ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენაში, შეძლებისდაგვარად ამიხსენით ბნელი, დაპუწული საკითხი, და, უმთავრესად, მასწავლეთ სხვისი პიროვნების პატივისცემა. ცნობილ სურათში „მაკოვსკის ხუმარეები“ გამოყვანილია, როგორ დასცინიან მედუქნე ბიჭები ქუჩაზე მიმავალ ღვინით გალეშილ საწყალ ჩინოვნიკს. ეს თქვენ გწყინსთ, თქვენ გებრალებათ საწყალი ჩინოვნიკი. მაშ რატომ არა გწყინთ, თუ-კი ამის მსგავსი რამე ლიტერატურის მზარეშიაც ხდება? ან იქნება, რაც დამამცირებელია უბრალო მედუქნისა, ის ტალანტად და მახვილ-გონების ნაწარმოებათ უნდა ჩაეთვალოს მწერალს? ყველა ეს ჩვენში როგორღაც გადამახინჯებული, არეული და დაბნელებულია. პიროვნება ყოველთვის და ყველგან უნდა იყოს ხელ-შეუხებელი. საჭიროა ბრძოლა სიცრუის, ცდომილების, სირეგვნის წინააღმდეგ, მაგრამ ადამიანის შეურაცხყოფა არ შეიძლება. ადამიანი ადამიანისთვის არის sacra res, — სიწმინდე, მას პატივისცემა უნდა. თუ მწერალ-პოლემისტი იქონიებდა სახეში, რომ მისი მოწინააღმდეგე არის მისი საკუთარივე „მე“, რომ იგი პოლემიკას უწევს თავის თავს, მხოლოდ სხვა აზრზე მდგომარეს, — მაშინ ის იქნებოდა უფრო სასტიკი თავის წინააღმდეგ და უფრო ლმობიერი თავის მოპირდაპირის მიმართ. მწერალმა რომ თავის თავი წინანდელ ცოდვებში დაიჭიროს, ხომ მასხრად არ აიგდებს თავის თავს. აგრეთვე არ უნდა და-

სკინოს სხვასაც მისი აწინდელი შეცდომებისა და გაუგებრობისათვის. დარბაისელი გაზეთი არა ლაზღანდარობისა და მასხარობის სცენაა, არამედ ტრიბუნაა, კათედრაა საზოგადო აზროვნებისა. აქ ჩინბაზობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ამაზე მე კიდევ მოვილაპარაკებ ყველა თანაშრომლებთან, მანამ-კი თქვენ აუხსენით ბარკორტს, რატომ ბარ იბეჭდება დღეს მისი სტატია.

კლარკი გაოცებული წავიდა თავის კანტორაში; ის გრძნობდა, რომ რაღაც გაუგებარი რამ ხდებოდა. მას ვერასგზით ვერ გაეგო ეს ამბავი ის მუტათ აღელვებული და გაჯავრებული იყო. იმისთვის ცხადი იყო, რომ გაზეთი დაილუპებოდა, როგორც-კი ხმა გამოვიდოდა, რომ რედაქტორს უნდა იხელმძღვანელოს ამისთანა მოსაზრებით.

— რა მოხდებოდა, რომ ყველამ ასეთი კანონი, ასეთი მოსაზრება მიიღოს? — ამით მოისპობოდა არსებული ჩვეულებები, ეს შეიტანდა ცხოვრებაში ათასნაირ არეულ-დარეულობას. ეს სისულელეა! მთლად სისულელეა! — იმეორებდა კლარკი თავისთავს.

ნორმანი-კი მაინც ყოველ მხრიდან საზრავდა თავის საკითხს. პარასკევს იგი შევიდა კანტორაში და მოითხოვა შინაარსი კვირის გაზეთისა. კვირა საღამოობითაც გამოდიოდა მისი გაზეთი და ეს გარემოება დიდ სარგებლობას იძლეოდა. გამოცემა შეიცავდა ლიტერატურულ მასალას, ბევრ ადგილს უთმობდა ვარჯიშობას, თეატრს, ჭორებს, მოდას, საზოგადოებას, პოლიტიკას და სხვადასხვა სადავიდარაბო საგანს. ყველა ეს ერთად წარმოადგენდა საინტერესო საკითხავ მასალათა კრებულს და ამიტომ დიდი გასავალი ჰქონდა და ყველგან პატივისცემით ღებულობდენ.

ედუარდ ნორმანი დაეკითხა თავის თავს, ეთანხმება ყველა ეს ქრისტეს მოძღვრებას, თუ არა?

ნორმანს კარგად ესმოდა, საკვირაო გაზეთის გამოცემის მიზეზები: საზოგადოებას, მთელი კვირის განმავლობაში საქმე-

ებში გართულს, ესაჭიროება კვირაობით, როგორც ერთადერთ მოცლილ დღეს, საინტერესო, მსუბუქი საკითხავი რამ. გაზეთებიც ხომ ასეთი რამ მსუბუქი ყოველდღიური ჭირვარამის კრებულია, მაგრამ ნუთუ კვირაობით ქრისტიანებისთვის სხვა რამ უფრო ძვირფასი საკითხავი მასალა არ მოიპოვება? თანაც გაზეთის მუშების დასვენება? თანამშრომლებს არ გააჩნიათ უქმე დღეები, უნდა სწერონ, განუწყვეტლივ სწერონ, ხოლო ასოთ-ამწყობებმა ასოები აწყონ და აწყონ. გაუგებარი არეულობაა. სხვებს ვარიგებთ, რომ თითეული ნაბიჯი თავიანთ მოქმედებისა კარგათ ასწონ-დასწონონ, და ჩვენ-კი როგორც ციყვი ბორბალში დღითი-დღე ვტრიალებთ მოუსვენარ მუშაობაში. კვირის განმავლობაში ერთი დღე მაინც დაგვესვენა და ჩავფიქრებოდით ცხოვრების ვითარებას. ფიზიკურათაც კი შეუძლებელია მუდამ მოქმედება, გაზეთის ქვაბში ხარშვა, ზნეობრივ მხარეზე რომ აღარა ვთქვათრა. მეორე მხრით, ხელის მომწერლებმა შემოიტანეს ფასი შვიდი ცალი გაზეთისთვის. გაზეთის პატრონს განა უფლება აქვს იმაზე ნაკლები მისცეს, რასაც ისინი მოელოდნენ? ნორმანმა აღარ იცოდა, რა ექნა. იმდენ კითხვებს იწვევდა კვირა დღით გაზეთის მოსპობა, რომ პირველში ის თითქმის მზათ იყო ამ შემთხვევაში ხელი აელო აღთქმაზე შესახებ ქრისტეს კვალზე სიარულისა. მაგრამ მოიფიქრა და გადასწყვიტა ბოლომდის მტკიცეთ დაიცვას თავის აღთქმა. მან მოიწვია რედაქციაში ელარკი და სხვა თანამსახურნი და უთხრა:

— მე მოგიწვიეთ აქ მისთვის, რომ გამოგიცხადოთ ჩემი აზრი გაზეთის გამოცემის შესახებ. მე უნდა მოვახდინო რამდენიმე სხვადასხვა საჭირო ცვლილება. ვიცი, ზოგიერთი ცვლილება ხალხს უცნაურად მოეჩვენება, მაგრამ მე მაქვს საბუთი, ასე მოვიქცე. მე გადავწყვიტე, შევცვალო გაზეთის ხასიათი და წესრიგი მისი გამოსვლისა. კვირა დღეობით გაზეთი აღარ გამოვა. ამით არც გაზეთის ხელის-მომწერნი საკითხავ მასალის რაოდენობაში, არც თანამშრომელნი დაკარგო-

ამწყობნი სამუშაო ხელფასში არაფერს იზარალებენ. შაბათობით გაზეთის ნომერი გამოვა გდიდებული ფორმატით. პირველ ნახევარში იქნება მოთავსებული მიმდინარე საქმეები და სტატიები დღის ჭირ-ვარამზე, მეორე ნახევარი დაეთმობა ზნეობრივ ხასიათის სტატიებს. მე ვგონებ, ამისთანა სტატიები, ერთხელ მაინც კვირაში, ფრიად საჭიროა გაზეთის მკითხველებისთვის. ჩვენ, გაზეთის პატრონები, ტყვილა ვტოვებდით ასეთ განყოფილებას; ვფიქრობდით, რომ ხელის მომწერს უნდა სუბუქი ყმედობა პოლიტიკაზე, თეატრზე და დღის ჭირ-ვარამზე. მე-კი მაინც სხვანაირათ ვფიქრობ; შესაძლებლად მიმაჩნია საქმე ისე ვაწარმავო, როგორც გადავწყვიტე.

— თქვენ, ბატონებო,—ვიმეორებ,— არ იზარალებთ. თუ ჩემი საქმე ვერ შეიძლებს არსებობას, მე ამას წინათვე შეგატყობინებთ, ამის პასუხის გებას მთლად მე ვღებულობ ჩემ თავზე, და თქვენ გთხოვთ სიყვარულით ხელი შემიწყოთ. შემწეობა გამიწიეთ, რომ შევიძლო ქრისტიანულ საზოგადოებაში გაზეთი ქრისტიანულ ნიადაგზე დავაყენო.

რედაქციის წევრებმა და მოსამსახურეებმა ყურადღებით მოისმინეს ნორმანის ლაპარაკი და ღრმად ჩაფიქრებულები წავიდ-წამოვიდნენ, ერთმანეთში აზრების გაცვლა გამოცვლით, რედაქტორის ასეთ არა ჩვეულებრივ განძრახვისა გამო.

ნორმანი რა მარტო დარჩა, იდაყვებზე დაეყრდნო და ღრმად ჩაფიქრდა:

მექნება იმოდენა ძალა, რომ შევასრულო ეს საქმე?! განზრახული გაზეთი შეიძლება გამოვიდეს, და ასეთი გაზეთი უნდა კიდეც იყოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა შესაფერი დიდი ძალა, საჭიროა კარგად ცოდნა ქრისტიანობრივი სწავლა მოძღვრებისა, საჭიროა კაცი ყველაფერს სახარების თვალსა-

ზრისით უყურებდეს, საჭიროა დიდი ნიჭი, რომ ცხოვრების სამარადისო კითხვები გაირჩეს და აიხსნას არა მწიგნობართა მკვდარი ენით, არამედ ცოცხალი გულითა და უნით. რა ვქნა, რომ ვერ მოვახერხო? ხალხმა ვერ გაიგოს! დამარცხების მიზეზი ჩემში იქნება, და ხალხს-კი ეგონება, რომ ჩემგან განზრახვა უბრალო ოცნება იყო, რომ ისე, როგორც მე მოვინდომე, გაზეთის გამოცემა შეუძლებელია.

— არა, შეიძლება, შეიძლება! აიმედებდა თავის თავს ნორმანი—შეიძლება და კიდეც უნდა შესრულდეს! მხოლოდ ძალა მეყოს. უფალო, შენ შემეწიე!

მლვდ. ი. ლუკიანოვი.

მზეთუნახავი გული *)

(ლეგენდა)

წყეული მარტის საღამო რაღაც უბედურობას უქადდა ქვეყანას. უზარმაზარი, ნამით დატვირთული შავი ღრუბლები ჩამოაწვა ცის კიდურებსა, ქარმა ძირ-ძირს ჩამოიტანა, და ჩამოაბნელა შავი ზღვის მიდამონი.

ელვა გველივით გაიკლაკნა ღრუბელთა შორის, ზედ მოჰყვა საშინელი გრგვინვა და ქარიშხალი. აღრიალდა შავი ზღვა; ზვირთი.ზვირთს მისდევდა, ეხეთქებოდა ზღვის კლდიან კიდესა, ზვირთის ხმა, კლდისაგან გამოცემული, ლომის ყვირილს მიაგავდა. ეს გამოძახილი შორს-შორს გაისმოდა და ადამიანს მყუდროებას უშფოთებდა. კლდეზედ მიხეთქებულ ზვირთთა წინწკლები, თითქოს მტვრად ქცეული, ადიოდა მაღლა-მაღლა და ნამავდა ზღვის სიახლოვეს ამართულს ციხე-დარბაზსა.

წინწკლები ისე ძალუმად ეხეთქებოდნენ ციხე-დარბაზის მინიანს ფანჯრებს, თითქო მიჯნური მოპარულა და თავის გულის სატრფოს ფანჯრის მინას უკაკუნებსო.

მიჯნურზე ბედნიერნი იყვნენ იმღამინდელი წინწკლები. ისინი უკაკუნებდნენ მზეთუნახავის ფანჯრებსა, ისინი უნამავდენ სახეს, ეკალივით ესობოდნენ, ჰკოცნიდნენ, ეკონებოდნენ, იმ არსებას, ვისაც არავისი ხელი, არავისი კოცნა ჯერეთ არ მიჰკარებიყო.

თავადის ასული **გული** იყო პატრონი ამა ციხე-დარბაზისა. შავი ზღვის ფთხვივნა, მისს ზვირთთა ლომებრ ღრიალი, ზვირთთა ჯირითი, მიმართული გულის ციხე-დარბაზის კლდეებზე, გულის ახარებდა. ახარებდა მას ყოველივე დაუდეგარობა, ყოველივე უცნაური მოძღვენა ბუნებისა.

თვით გულიც, როგორც იმღამინდელი ბუნება, დაუ-

---

*) ეს მოთხრობა გაზეთ „დილაში" იბეჭდებოდა, მაგრამ რადგან გაზეთი უდროოთ დაიხურა, არ დასრულებულა. რედ.

დეგარი და უცნაური იყო; გული დედაკაცად არ იყო დაბადებული, იგი ვაჟკაცი იყო.

ბუნებას შეემკო იგი უცნაურის მშვენიერებით: როდესაც გული გადმოდებოდა ციხე-დარბაზის ბანზე, არე მარე გაბრწყინდებოდა მისის სიტურფე და სინატიფითა. მთელი დღე ქვეყნის მანათებელი მზე და ღამით მთვარე სხივითა შარავანდედში ახვევდენ გულის, მზე და მთვარე წასვლის ჟამს იქვე სტოვებდენ თვის სხივსბს, რომ სხვა ვინმე არ დაჰპატრონებოდა მისს მშვენიერს სახესა, მის ნაკვთიანს ტანსა. გულიც არ ერიდებოდა მანათობელთა სხივებს, სცურავდა და ბანაობდა ამ სხივებში. ფორთოხლის, ლიმონის, დაფნის ხეები, რომელნიც სამ კუთხივ შემოსჯაროდენ ციხე-დარბაზს, კეთილ სუნელებას უკმევდენ; წამის-წამ ზღვის სიოს მიმობერვით ფოთოლნი ამ ხეთა შეფრფინვდებოდნენ, შეთამაშდებოდნენ, ტაშს უკრავდნენ, გულისაგან აღევლებულ და გულ-აძგერებულნი ხენიც კი ეალერსებოდნენ და ფიანდაზად უშლიდენ თავისს ფოთლებსა.

გული კი ვერ ამჩნევდა მისდამი ამ ხეთა ფოთლების გამიჯნურებასა, გულის უყვარდა ეს ხეები, ყოველ დილით თავის რიდის წვერით დასწმენდდა ხოლმე ფორთოხლის და ლიმონის ნაყოფებსა, შესრესდა ამ ხეების ფოთლებს და იყნოსდა იმათგან გამოცემულს საამო სუნსა.

გულის გამზდელი იასამანიც გულმოდგინედ სწმენდდა ფოთლებსა, რომელიც სასიამოვნოდ დახასხასდებოდნენ ხოლმე.

გული ზაფხულის საღამოებს დიდკაცის ვახშმობამდე ციხე-დარბაზის ბანზე ატარებდა, მიეცემოდა ფიქრსა და ოცნებასა, მაგრამ მისი დაუდეგარი ბუნება არ ებმოდა ოცნებათა ქსელში, მალე ციდამ, ოცნების სამეფოდან, ძირს დაეშვებოდა, წამოავლებდა ხელს ფანდურს, აბრეშუმის სიმებს დასჭიმავდა და ჩამოაწკრიალებდა ანგელოზურს ჰანგებსა. ხშირად გულიც ააყოლებდა ხმას სიმებსა, იგინი იწოდნენ, კვნესოდნენ გულის ანგელოზური, წკრიალა, ლმობიერი ხმითა.

ეს შეწყობილა აკორდი ეფინებოდა მიდამოს: ზღვაც კი შესდგებოდა, შესწყვეტდა ზვირთთა ღრიალსა. ფოთლები გარეშემოზღდულ სუნელოვანი ხეებისა გაიშლებოდნენ გაიკმინდებოდნენ, რომ თვისი ჩურჩულით არ დაერღვიათ კეთილხმოვანება შეწყობილის და ხმაშეტკბილებულის აკორდისაცის. მნათობნი ვარსკვლავნი, მსმენელნი ამ კეთილ ხმოვანი სიმღერისა, სიხარულით აციმციმდებოდნენ, თითქო დაბლა-დაბლა ეშვებოდნენ, რათა დაჰკონებოდნენ იმ ტურფა-მარჯან ბაგესა, რომელიც გამოსცემდა ზეაღმტაც სიმღერასა.

გულის სიმღერა ავთანდილისებური იყო, ავთანდილის „ხმასა ტკბილისა“ ვერ შეედრებოდა ბულბულის ხმაცაო. სულმნათი შოთა ასე გვისურათებს ავთანდილის „ხმასა ტკბილსა“.

„მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა...
რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მივიდიან;
მისვე ყმასა სიტკბოსგან წყლით ქვანიცა გამოხდიან;
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი ხდიან“.

მაგრამ გულის სიმღერა, მისი ხმა ტკბილი საბრალო ლექსებს არ ამღერდა ფანდურის სიმებზე, ეს სიმღერა არ იწვევდა ცრემლის ღვარსა.

გული იწვევდა ცას, დედამიწას, სულიერს თუ უსულო ქმნილებათა, უყივოდა და უძახდა გმირებს, ემუდარებოდა ყველას სამშობლოს დახსნას მდევთა და ქაჯთაგან.

გულის სიტურფე და სიმშვენიერის ამბავი მთელ ხმელეთს მოეფინა; შავი ზღვიდან გურგენის ზღვამდე გულზე ლაპარაკობდენ. ბევრი ჭაბუკის გული აბორგდა, აღელდა, სისხლი მათი ტალღად სცემდა გულ-მკერდსა, გზები დაქსელეს თავადის ასულის ციხე-დარბაზისაკენ. ყოველ-დღე გულის მამას ვარდენს სტუმარი არ აკლდა, სტუმარი, მოსული გულის მოსაგებად, მასთან შეუღლებისათვის.

მაგრამ გულის გული ვერვინ მოინადირა, ვერვინ შეა-

ტოკა, ვერვინ აამოძრავა სამიჯნუროდ მისი წმინდა, უმწიკვლო გული, ალბად გული სხვა ტოლს დაეძებდა, სხვა გმირსა, სხვანაირ ვაჟკაცსა. რამდენმა მშვენიერმა ახალგაზდამ, სახელგანთქმულმა ვაჟკაცობისა და გულადობითა დევის სამფლობელოშო ეძია გულის ნება შეუღლებაზე, უტრიალა მის კიხე-დარბაზს, მაგრამ ამაოდ. მამა გულისა ვარდენი ამაყობდა ამ შემთხვევითა, მაგრამ თან სწუხდა თავის ასულის წუნიანობასა. მაინ რითი მოხიბლა გულიმ აუარებელი ვაჟკაცნი?

გული ყო მაღალი ნაკვთიანი ტანისა, თავიდამ ბოლომდე თითისტარივით ჩამოსხმული; სახე ბადრი თხუთმეტი დღის მთვარესავით, შუბლიც ეგივ ბადრი მაღალი; ამ ბადრს ბრწყინვალე სახეს თითქო რაღაც მძიმე ფიქრი დასწოლიაო, თითქმის მუდამ ჩაფიქრებული იყო. თვალები შავი და მსხვილი, ირგვლივ მოჯარული გძელი წამწამებით, რომლებიც ძილის დროს ლოყის თავებს აბრეშუმის ხაიათი ძაფივით დაეფინებოდნენ ხოლმე, მოღუნულნი და ძალე შემორტყმულნი თვალებზე.

ეს შავი ნაწნავი კოჭებამდე სცემდა.

სხვა ძე არ ესვა თავად ვარდენსა „მარტოდენ მარტო ასული“, ამ ასულს **გული** უწოდა.

— ეს ჩემი გულია, ჩემი სულია! მაგის მეტი შვილი არ მომცა უფალმა, — იტყოდა ხოლმე თავადი ვარდენი — ჩემი გული დამიწდება ოდესაც იქნება, ჩემობას გასწევს ჩემი **გული**.

ხალხმა კიდევ მზეთუნახავი დაარქვა.

— მას შემდეგ რაც მზე ანათებს ქვეყნიერებას, ამ მნათობს მაგისთანა ტურფა, მშვენიერი ადამიანის ასული არ ენახვება და ვერცა ნახავსო, — ამბობდა ხალხი.

დილდილაობით გულის ჩაუწნავი თმა ისე იშლებოდა, იქმუჭნებოდა, ღელავდა მის ბეჭებზე, სადღაც უფსკრულისაკენ ჩარბოდა, მიქანაობდა, თითქო მთის ანკარა ნაკადული ჩამორბისო. დიდრონი შავი თვალები მუდამ წყლიან და მო-

კამკამე როგორც ვარსკვლავნი მოწმენდილ ცაზე, ისე ბრწყინავდნენ შავი ზღვის გაჩერებულ, მდორე წყალში, კრთოდენ, ზედ ციმციმებდენ. ამ დროს ეს თვალები ივსებოდნენ ცეცხლითა, დარაღაც უზენაესადმი ტრფიალითა, მისი ბორკვი ვით შემალლებულა, გულმკერდი ამაივ-ჩადებოდა, ვითარცა ტალღანი შავი ზღვისანი.

ვინც კი ერთხელაც არის წახავდა გულის ცეცხლ მფრქველს შავს თვალებსა, მის ბადრს, ჩაფიქრებულს სახესა, მასს გულმკერდსა, მისს გამოქანდაკებულს სალი კლდესავით მაგარს და მკვრივ სხეულს და ტანადობასა, ის თავის დღეში ვერ დაივიწყებდა, თუნდ მთელი საუკუნე უცოცხლა, იმის მომხრეშლავს სანატრობასა.

თავად ვარდენს რაკი ძე არ ესვა, ასულს გულის ვაჟკაცურად ზრდიდა. გადა იასამანმა ასწავლა წიგნი, ზღაპრები, შაირ-ლექსები და ზეპირ-გადმოცემანი სამშობლოს გმირებზე, ხოლო ვარდენის შინა ყმებმა—ჯიბრაილმა შვილდ-ისრის ხმარება და მიზანში სროლა, საყვარელამ ხმალ-ხანჯლის ხმარება, ალდგომელმა ჯირითი და საზოგადოდ ცხენზე ჯდომა და მართვა.

გული პატარაობითვე გამოიჩეოდა ვაჟკაცურ საქმეებში. შიში რა იყო, მისმა გულმა არ იცოდა, ჯირითის დროს რაც უნდა დაბრკოლება დახვედროდა, ზედ ატუნებდა ცხენს, ბევრჯერ ცხენი ჩაიჩეხებოდა ხადმე, მაგრამ გული ისკუპებდა ცხენიდან, როგორც ქურციკი კლდიდან, და რხევით გაირბენდა რამოდენიმე მანძილს.

იმ წყეულს მარტის დღესაც, როდესაც ისე საოცრად აბობოქრებული ეყო შავი ზღვა და მთლად გარემო ბუნება, გული ჩვეულებრივად თავის ციხე-დარბაზის ბანზე იჯდა, მის წინ, როგორც ხელის გულზე, გაშლილი ეყო შავი ზღვა. მოწმენდილ დღეს ცის იერამდე, სადამდისაც-კი ადამიანის თვალი დასწვდება და ჯასჭვრეტს მანძილს, ყოველივე სჩანდა

და თვალით დასთვლიდა ყოველივე მიმავალ-მომავალს გემებს, ხომალდებს, ფილუკებს და ნავებს.

გული ჩვეულებრივად აწკრიალებდა ფანდურსა და დაძახოდა საგმირო სიმღერებსა. მაგრამ ბუნებამ არ დაანება. გ ნეგრძო სიმთა ჟღერა და ტკბილი დაძახილი, ფანდური ბინ. ზე მისდო.

ცა ელავს სჭექავს გრიალებს....

— ღმერთებო, დაგვიხსენით განსაცდელისაგან — აღაპყრი ხელნი იასამანამ ცათაკენ და ტუჩებს ცმაცური დაუწყო.

— იასამან ჩემო, ნეტა ეხლა ამფიბიათ მაქციან, რომ გადავეშვა და გაჭირვებულნი დავიხსნა, — წარმოსთქვა მტკიცედ და უშიშრად გულიმ. ბანის ბივანთან მიდგა და გახედა ალრიალებულს ზღვასა.

— რა სთქვი გენაცვალე? რად მაქციან? ჩაეკითხა იასამნი.

— ამფიბიათ, ამფიბიათ!.. შენ ერთს ზღაპარში არ მასწავლე, არის ისეთი ღმერთიო, რომელიც ადამიანს მისცემს ძალას, რომ წყალში და ხმელეთზე ერთნაირად გასძლოსო; ეს ღმერთი ამფიბიაო, ასე მასწავლე შენა...

— ეი, შენ კი გაიხარე, ჩემო მშვენიერო გული, რაღა მახსოვს, სულ გამოვჩერჩეტდი.... არა, გენაცვალოს ჩემი თავი, რაღა ეგ გინდა, ისედაც არ გაკლია ვაჟკაცობა, შენ რომ ჯირითს ისვრი ხოლმე, ან ისარს სტყორცნი, მთლად ჰაერი იძვრის და ზუზუნებს, შენს ჯირითს რამდენი თავ-მოგმწონე თავადი ჩამოუგდია ცხენიდამ...

— არა მიშავს-რა იასამან, წყალისაც არ მეშინია, ხომ იცი, როგორა ვცურავ... მაშ ღმერთებს უკვდავების საჭმელს მაინც გამოვთხოვ... წადი იასამან, დააღვიე საკმეველი, ილოცე, ღმერთებმა უკვდავების საჭმელი გამომიგზავნონ...

— ჰი, ნეტავი არ იქნება, შენის სიცოცხლითა... მაგრამ არ მგონია, ღმერთებმა ის საჭმელი ადამიანისთვის

გამოიმეტონ, ჩემო სიცოცხლე, ხომ ყველა ღმერთებათ დავ-ხდებით...

— არა, იასამან, ღმერთები მართლმსაჯულები არიან, მითხოვე, მითხოვე, ჩემო იასამან, დროებით მაინც მაძლიონ თავიანთი საჭმელი, იმ დრომდე, მინამ მე ჩემს საწადელს შევასრულებდე.

— რასა, ჩემო გული?—განცვიფრებით შეეკითხა იასა-მანი.

— ეს ჯერ საიდუმლოა, მარტოდ მარტო ჩემი... მეც ჩამოვალ სალოცავად, მაგრამ გული რაღაც უცნაურად მი-ცემს, მარცხენა თვალი საშინლად მითამაშებს, აი აქ ახლო-მახლო თითქო ადამიანის მწუხარე ზუზუნი მესმის... დაუგდე ყური, ქარს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოაქვს...

იასამანი წავიდა სალოცავად, გულმა თმის ნაწნავები თავ-ზე შემოიხვია. თეთრი აბრეშუმის ყაბალახით შეიკრა თავი, თხელი ნაბადი წამოიგდო და გადაეყუდა ზღვისაკენ მოაჯირს. მისმა სახემ გააბრწყინა არე, თითქო რაღაც ვარსკვლავი ჩა-მოსულა ქვეყნადო. მიაპყრო მთლად თავისი გულისყური ზღვის ხმაურობასა, ქარს ნაწყვეტი სიტყვები მოჰქონდა ადა-მიანისა.

ბოლოს მკაფიოთ გაარკვია.

— აქეთ მოუსვი ნიჩაბს, აქეთ! აი ვარსკვლავივით მაღ-ლა ციცაბოზე რაღაც ანათებს, უთუოდ ადამიანთა ბინაა.

ნავს ზღვის ტალღები ნაფოტივით ათამაშებდა, ჩააგდებს სადღაც უფსკრულში, მაგრამ, ვნახოთ, ნავი იხვივით ამოცურ-დება; ორი მენავე ტკიპისავით არიან ზედ მიკრულნი, აშფო-თებულმა ტალღებმა ვერ ააგლიჯა ისინი ნავიდან.

— მარჯვედ იყივ, ხოსრო, მარჯვედ, ერთი ჩაყურყმე-ლავება კიდევ და იმ შუაგულ ვარსკვლავის წინ გავჩნდებით, ანუგეშებდა ამხანაგი, რომელიც ლომივით ებრძოდა ტალ-ღებსა და ნიჩაბს ნიჩაბზე ელვის სისწრაფით უსვამდა.

— ნუ გეშინიანთ, ძმობილებო, გადასძახა მაღლიდან

გულიმ, ჩვენმა ღმერთებმა უხიფათო ადგილას მოგიყვანათ! ძმობილო, ძმობილო! ცოტა ზემოდ დაიჭი ნავი, აი ტალღა გაბრუნდა, ნავი მდორეზე მიაგდე... აი თოკი მოჰკიდე ხელი მარყუჟში, ეგ კლდე კიბესავით არის; ფეხები დაბუხული გექნებათ, მაგრამ თავს ნუ დაჰკარგავთ.

მენავენი განცვიფრდნენ, ნუ თუ ადამიანი გველაპარაკება?! ასე ბადრი, ასე მანათობელი შავბნელ ღამეში სახე ვის გაუგონია, ვის უნახავს?!. ჰკვიროობდენ მენავენი.

— ფარნავ, ჩასჩურჩულა ხოსრომ ამხანაგსა. ეს რალაც მოჩვენებაა, ეშმაკი არ იყოს და სულები არ ამოგვხადოს".

— გმადლობთ, შესძახეს მენავეებმა. აქ გავითენებთ ღამესა, აქ ტალღა ვერას დაგვაკლებს, მგონი.

— ნუ ჩურჩულებთ, ღმერთებს ვფიცავ, მე კაცი ვარ, ადამიანი, როგორიც თქვენა. აი მე თვით გამოვალ თქვენთან! თოკის კიბითა... მე სხვაც ბევრნი გადამირჩენია განსაცდელისაგან, აი სწორედ ამ ალაგასა... იასამან! შესძახა გულიმ გამდელსა, მომეცი ჩქარა თოკის კიბე.

— კარგი, თქვენ ნულარ გაირჯებით, ვენდობით თქვენს სიტყვასა, გადმოაგდე თოკი.

იასამანი ამ დროს ქაქანით ამოიჭრა.

— შენ გენაცვალოს შენი გამდელი! მტერი არ იყოს, მდევს ქაჯები არ გამოეგზავნოს შენს შესაპყრობლად, არ გაბედო, არ გაბედო იმათი ამოყვანა.

— ჯერ ერთი, ორი კაცი რას მიზამს, ეს ხომ შენც იცი, მეორეც ესა, ქაჯსაც და მდევსაც სახეზე ვიცნობ, გავაქანებ თოკსა და ისეთის ძალით დავცემ ტალღებზე, რომ ზღვის ზედა პირზედვე განუტეევოს სული.

ფარნამ ხოსრო აგზავნა... თვით ფარნა ერთობ ბრგე ბიჭი იყო, ტანადი, თვალადი; ის იყო ოდნავ აღმოსცენებოდა საულვაშეზე აბრეშუმივით რბილი ბალანი.

გულიმ და ფარნამ ერთმანეთი თვალით გაზომეს, ერთის სიმაღლისა, ერთის ტანისა, სწორედ ჩალა-გადავლებულნი იყვნენ,

მხოლოდ ფარნა ბეჭებში უფრო განიერი იყო და ხელიც ჭლანქი ჰქონდა.

— ნუ თუ ეს ადამიანი ვაჟკაცია?! ასე მშვენიერი, ასე ყველაფრით შეზავებული?!. გაიფიქრა ფარნამ და თითქო ეჭვი შეეპარა მის ვაჟობაზე.

გულის გულმა შემოჰკრა. იგი შეძაგძაგდა; აგერ თვრამეტი წელია იმის გულს ასე არ გაუფართხალნია თავის ბუდეში.

ერთხანად ხელი გაშალა გულიმ, უნდა ჩაჰკონებოდა მშვენიერს ვაჟკაცს ფარნასა, მაგრამ ხელები ჩაუშვა, თავი დაიკავა, ჩამოჯდა სამფეხაზე და თითქმის მიიბნიდა.

II.

გულიმ უბრძანა დაღალულ-დაქანცული, მთლად დასვეტილული მენავენი მოესვენებინათ თბილად.

გულის გონებიდან არ გადეყარა მენავე ფარნას სახე და ტანადობა; სულ თვალ-წინ ედგა, გულში უჯდა, უფუთფუთებდა შიგ ყაჭის ჭიასავითა, დახუჭდა თვალებს, წინ აებლანდებოდნენ სხვა და სხვა ფერის სახეები, სურათები და შიგ გამონაკვთული იყო ბრგე ბიჭი—მენავე ფარნა. ააბელდა თვალებსა და კვლავ მისი სახე ეჩვენებოდა, ზედ წამწამზე ეკიდა.

ბანზე აჩქარებით დაიწყო სიარული, რომ მოძრაობისათვის ბეეყოლებინა მოუშორებელი ფიქრები ფარნაზე; დაიწყო ოცნება თვის სანეტარო საგანზე, რომელიც ერთხელ ოდნავ გაბეზიარა თავის აღმზრდელს იასამანს, მაგრამ ჯერედ საიდუმლოდ დასტოვა. თითქოს ცოტა გადეყარა ფიქრები, თითქოს ცოტა მიეფარა მისგან, ცოტა ჩამოშორდა მას სახე ფერისა.

ქარი კვლავ ზუზუნებს, ტალღა ღრიალებს და ეხეთქება ბლდეებსა; ძირიდან ამოტყორცნილი წინწკლები გარს გულის ეკვლებიან...

აგერ წვიმამ და ქუხილმა ცოტად იკლო...

ქარიშხალი დაარბევინებს ღრუბლებს ცის წიაღში.

ჰგლეჯს იმათ და ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ღრუბლებს დაასრიალებს ჰაერში.

აი ერთგან აიმართა ოდნავ შეთეთრებული ღრუბელი, იალბუზის მთასავით აელუზა სამხრეთ დასავლეთით გულის ციხე დარბაზსა, აიმართა, აიწია მაღლა-მაღლა და უფრო და უფრო თეთრი ფერი მიიღო. აღმოსავლეთის შავი ღრუბლებიდან გამოკურდა ღამის გუშაგი—მთვარე, მიაშუქა თეთროსან ღრუბელსა, სხივებმა ააბდღვრიალა ღრუბელი. გულიმ შენიშნა ეს ბუნების მოვლენა, ზეაღიტაცა გაჩაღებულმა ღრუბელმა და წამოიძახა:

— ოჰ, ღმერთებო!.. რა სანახაობაა!... აგერ ღრუბლიდან გადმოიყურება ვილაც ჭაბუკი... იქნებ ღრუბელმა აღიბეჭდა სახე ფარნასი?!.

გულის შემოჰკრა გულმა. თვალები მოისრისა, ააბელს, კვლავ ხედავს მოჩვენებასა; კარგად გრძნობს, რომ მოჩვენება არ უნდა იყოს, მაგრამ რა ჰქნას, როგორ არ დაუჯეროს თავის გამჭრიახ თვალებსა! ზღვაში ქვიშა არ ღაემალებოდა მის გამჭრიახ თვალებსა და ცაზე ვარსკვლავი! ახსოვდა ყველა ვარსკვლავის მიმოსვლა ცის სივრცეში... დღეს კი თვალნი ღალატობენ გულისა.

მოტრიალდა და მოჩვენებას თვალი შეარიდა, მაგრამ სულმა კვლავ დასძლია, კვლავ ქეშედ გაიხედა და მოეჩვენა, რომ ჭაბუკი შუბ-გაწვდენილი დროშა, გაშლილი დაეშვა დედამიწისაკენ და გაჰქრა სადღაც ჰაერში.

— ოო, ეს ღმერთებმა მომაჩვენეს!.. ეს ჭაბუკი, რომელიც დღეს ჩემს სახლს შემოიხიზნა, ჩვენ მხსნელად მოგვევლინება...

გული ფეხ აკრებით ჩავიდა სტუმართა საძილე ოთახში.

სტუმარ მენავეებს ტკბილად ეძინათ. ფარნას ტუჩზე ღიმი უქროდა; ღიმი ტუჩს დაჰკდომოდა, მიდი-მოდიოდა ზედ ელექტრონის მოძრაობით და დაუყონებლივ ათამაშებდა; ღიმმა ბაგენი გაუხლიჩა და ფარნამ ძილში წამოიძახა:

- ჩემო ვარდო, მალე გნახამ!.. ნუ თუ ჩვენი მასპინძელი ვაჟკაცია?!.

ფარნას ღიმს კაეშნური აჩრდილი გადაეფარა, ტუჩები აუთამაშდა, თითქო სატირლად დაემზადაო, მერე ნელნელა გადაბრუნდა, ძილმა კვლავ მოიცვა და სახე დამშვიდებულად ამუშავა ფშვინვა.

გულიმ მკერდზე წაივლო ხელი, მაგრად მოიწია ხორცი და დააშტერდა ფარნას, რომელიც ვეშაპივით გაჭიმულიყო საოცელზე.

გულის აუდუღდა გული ბოდმა ნარევი შურითა, ბრაზი აღრჩობდა. ელვასავით გაურბინა თავში აზრმა, მოესპო ეს ვარდოს მხსენებელი; პირველი მეორე აზრმა შესცვალა—მოესპო თვით ვარდო, რომლის სახელს ძილშიაც კი იგონებდა ფარნა, და თვით დაესაკუთრებინა იგი.

მაგრამ აზრთა ქოთიალში დაუდეგარი გული სხვა უფრო დიადს აზრს წააწყდა, რომელმაც განძრახულ ბოროტებისაგან შეაყენა...

ეს ხომ ამ წამს ჩემგან ნახული მოჩვენებაა!.. ის მოჩვენება ხომ ფარნაა!!. ეს არის, ეს, მხსნელად მოვლენილი... მე გული მეუბნება ამას, გული!.. ჩამომეხსენ სევდავ, კაეშანო!.. გულს ნუ მიმურავთ, ქვენა გრძნობანო!.. შორს ჩემგან, შორს, ფიქრო ბოროტო!..

ღიმილით გადახედა ფარნას და ფეხ-აკრებით გავიდა აივანზე...

ღამე კარგად გატეხილიყო; მიჰხედ-მოჰხედა გულიმ ცის სამყაროს; ვარსკვლავთა მიმოსვლას შეატყო, რომ შუაღამე გადასულიყო, მაგრამ მის თვალებს ჯერეთ რული არ მოსდიოდა.

ქარმა იკლო... ფოთლები ნელ ქარზე ფარფატებდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, ერთმანეთს გულის შესახებ თვალს უშვერებოდნენ. ხის კენწეროზე მოქცეული ფოთლები გადადიოდ-გადმოდიოდნენ, თავს უკრავდნენ გულის, ულოცავდენ გრძნო-

ბის აშლას. ფოთლების უცნაურს თამაშში, მათ ერთმანეთს შორის ჩურჩულში, გულიმ საიდუმლოება მათი აღმოკითხა:

— აი, თქვე კუდიანებო! თქვენ მე დამცინოდით, განა! მეც კაცი ვარ, ადამიანი; მეც გული მაქვს; ყველა გული ტოლს დაეძებს. თქვენც ხომ ეგრე ხართ, თქვე კუდიანებო!.. მაგრამ იქნებ ფოთლები ჩემს ბოროტს განძრახვას ჰკიცხავენ და თავის ქნევით აღნიშნავენ ამ კიცხვას?!

ქარმა საკმარისათ იკლო; ციხედარბაზის გადაღმიდან ნაკადულის ჩხრიალი მოისმა. ამაღამ ძალიან მხიარულად მოჩახჩახებდა, უშველებელ ქვებს მიაგორებდა რახა-რუხით ძირს, ზღვის პირისკენ.

— ჩემი საყვარელი ნაკადულიც ამაღამ სხვა გუნებაზეა, სულ სხვანაირად მიიმღერის ზღვისაკენ, იქნებ სურს, ამცნოს ზღვასაც ჩემი ბოროტი განზრახვანი!.. ღმერთნო ჩემნო, გადმიყარეთ გულიდან ავი ფიქრები!.. მე შევეწირები მსხვერპლად ჩემს აზრსა და ვაი იმას, ვინც მაშინ წინ გადმომეღობება... არ დავზოგავ არავის, გინდ იგი მშობელი იყოს. გინდ თვით ეს ფარნა, რომელმაც ასე ანაზდეულად შებოჭა ჩემი გული.

III

გული რომ წამოიზარდა, გახდა ესე თუთხმეტ-თექვსმეტი წლისა, გამოდიოდა ხშირად ხალხში, არ აკლდებოდა ეროვნულ შეკრება-გართობასა, ეროვნულ დღეობებსა, გამოდიოდა არა ქალურად გამოწყობილი, არამედ ვაჟურად იარაღში ჩამჯდარი. ხალხმა იცოდა მისი ვინაობა, შეეჩვია ხალხის თვალი მის ჩაცმულობას და აღარ ეხამუშებოდათ.

გული აკვირდებოდა ხალხის ცხოვრებას და მის გულის ფიცარზე, როგორც სუფთა ქაღალდზე, იწერებოდა ხალხის ჭირი და ვარამი, კირთებას ქვეშე მოღუნული და გაქელილი მისი არსება.

მდევთა და ქაჯთა ნაშენებთ, გადმოხვეწილთ ინდოს მხრით, დაეუფლათ ეს ხალხი, წალკოტი მისი, მშვენება და თვალი მთელის ქვეყნიერებისა ვერანად და პარტახად ექციათ.

ხალხის გულიდამ ამორეცხილიყო ყოველივე მშობლიური, ისმოდა მწარე კვნესა, დაფარული სიძულვილი, მაგრამ ძალა ქადილს ვერ შესწევდა, ხალხი თავის წუხილს ზღაპრად ჩამოასხამდა და შვილიდან შვილზე გადადიოდა. ზღაპრული გმირები სათაყვანებლად ჰყავდათ, მაგრამ არც ერთს არ შესწევდა ძალა ამ ზღაპრული გმირისთვის ერთიბეწოდ მაინც წაებაძათ.

გულმ ბევრი ზღაპრები იცოდა, იასამანისაგან დასწავლილი; ზღაპრულ გმირებს ათაყვანებდა; ყველაზე ძლიერ ამ გმირებში ყარა-ბარძიმი უყვარდა თვის იდეალად ჰყავდა იგი დასახული.

გულის სწამდა, რომ, როდესაც რომელიმე ერი მონობა-კირთების უღელ ქვეშ კნინდება სულითაც და ხორცითაც, ველარა შლის თვის ძალას და ენერგიას, თვით-მოქმედება უკვდება, ბოღმას და სევდას, რომლებიც მის გულსა და სულში იბადებიან, გულშივე იკლავს, მაშინ მთელი ერის ბოღმა, სევდა და მთლად მისი სულის ძალა ერთს ადამიანში გროვდება, ასეთი ადამიანი გამოდის წინამძღვრად ერისა, ხალხის ტალკვესად ხდება; აკვესებს ხალხის გულში ნაპერწკლებს, რომელიც ნელ-ნელა ღვივდება და გაჩაღებულ ცეცხლად იქცევა.

— ჩვენი ხალხი ერთობ დაკნინდა, სულით ხომ დამახინჯდა, ტანითაც კაცუნები გახდნენ.

იშვიათია ფარნასთანა ვაჟკაცი, ფიქრობდა გული,—მხოლოდ მთებს თუ შერჩა ამგვარი ბრგე ბიჭები. დიდ-კაცობა, რომელიც უწინ სათავეში სდგომია ხოლმე ერსა და უწალმართებია მისი საქმეები, დღეს გადაგვარდა, მისი იმედი აღარავის აღარ უნდა ჰქონდეს...

ასე მწარედ ფიქრობდა გული, მხედველი თავის დაბეჩავებული ხალხისა.

— ხალხნო, —დაუწყო ერთხელ გულიმ ლაპარაკი მრავ-

ლად შეკრებულს ხალხსა, — ერთს ზღაპარს მოგაგონებთ; უეჭველია, თქვენც გაგეგონებათ ყარა-ბარძიმის ვაჟკაცობა.

— როგორ არა, შენი კვნესა მე! — წარმოსთქვა ხალხმა მომაკვდავის კილოთი.

— მაინც ყური მიგდეთ... ერთხელ, ძველის-ძველ დროში, გველ-ვეშაპს ეპყრო თურმე ჩვენი ქვეყანა, სალტასავით იყო შემორტყმული ქვეყნის გარშემო; სანსლავდა და სთქვლეფდა ყველაფერსა, ვერაფრით ვერ ამოიყორებოდა მისი გაუმაძღარი კუჭი... ხალხი გალატაკდა, გაისრისა... წყალი რა არის, წყალი!.. წყალსაც კი ვერ მოიტანდა კაცი სახლში უხარჯოთ... აგერ-აგერ სულსა ლევდა მთელი ერი... ამ დროს სად იყო და სად არა, გაჩნდა გმირი ყარა-ბარძიმი, დედის ერთა შვილი ერთი ქვრივი დედა-კაცისა, რომელმაც შალვით და პარვით ერთს უღრან ტყეში აღზარდა თვისი ძე; დედა, ის ძუძუ-ტკბილი დედა, მუდამ უამბობდა თავის მშობელი ხალხის ჭირ-ვარამსა. ყარა-ბარძიმი გაივსო და გაიბადრა, მისი შავგვრემანი სახე შავისავე გრუზა წვერ ულვაშით შემოსილი, ელეთ-მელეთს ჰგვრიდა მნახველსა. ამ ყარა-ბარძიმმა გააკეთებინა ას ლიტრიანი ლახტი, ორმოც და ათ ლიტრიანი ისარი, შეიბა წელს იარაღი და ჩამოიარა ხალხი, შეიტყო მისი ჭირ-ვარამი... ჭაბუკს სისხლის ცრემლი მოადგა, ველარ შეიკავა თვალის ბუდემ და ლაპალუპით წამოვიდა ცრემლთა ღვარი: „შემომფიცეთ, რომ გამომყვებით მტრის წინააღმდეგ, თქვენი არა მინდარა, გვერდში ძმასავით ამომიდექით, ჩემთვის ეგეც დიდი იმედი იქნება. მე გაუმკლავდები გველ-ვეშაპსაო“... ყარა-ბარძიმი გადააჯდა ფასკუნჯსა, აჰკიდა ლახტი და ისრები და გაუდგნენ გზასა. გველვეშაპი გარს შემორტყმოდა ერთს ქალაქს, ხარჯს ჰკრებდა და თან ადამიანის ხორცს აყრიდნენ ხახაში... აგერ გადაადგა ქალაქს ყარა-ბარძიმი... შენიშნეს ყარაულებმა, გავარდა ხმაურობა უცნაური კაცის დანახვაზე და მის თავხედურ გამბედაობაზე; ყარა-ბარძიმის სანახაობამ, უზარმაზარმა ლახტმა და ისრებმა, უცნაურმა ფრინველმა გააოცა

ყველა, კაცუნების ჯარმა კი არავის ყურადღება არ მიიქცია.. გველ-ვეშაპმა გააღო ხახა და წამოვიდა ყარა-ბარძიმისაკენ მის ჩასასანსლავად... ყარა-ბარძიმმა სტყორცნა ერთი ისარი და ჩაუსო შიგ ხახაში, მიაყოლა მეორე და ყბა შეაგლიჯა. გველ-ვეშაპი მაინც მოდის, ეფართხუნებს კუდს და მტვერს ადენს ყოველივეს... სტყორცნა მესამედ ისარი, შეაგლიჯა მეორე ყბა და დაატორტმანა გველვეშაპი. იგი მაინც, როგორც იყო, დაუახლოვდა ყარა-ბარძიმსა. ჭაბუკი უნძრევლად სდგას.. ჯარს აფრთხილებს, მანამ მე არ გიბძანოთ, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთო. დაბეჩავებული ხალხი, მხილველი ჭაბუკის ვაჟკაცობისა, ცეცხლად აინთო, გადაედო მას ჭაბუკის ვაჟკაცობა და იწევდა მტრისაკენ... მაგრამ ჭაბუკის ნიშანს ელოდა... აი მოხოხდა გველვეშაპი, მაშინ ყარა-ბარძიმმა აიღო დინჯათ ას ლიტრიანი ლახტი, დაჰკრა თავზედ და მიწაზე მიუჭეჭყა. ახლა მომყევით, შესძახა კაცუნათა ჯარსა. იშიშვლა ხმალი, შუა წელში გადასჭრა გველეშაპი, და მერე მისდგა გველეშაპის ურდოსა, მისს ერთგულს ყმებსა. კაცუნათა ჯარი ფრინვლად იქცა; ძველმა სისხლმა გაიღვიძა... მტერი მოსრისეს.

— ჰაიდა-ჰაააა! შესძახა ხალხმა... სად არის ეხლა იმისთანა ჭაბუკი?!.

— არის! უთხრა მტკიცედ და დამშვიდებით გულიმ... მე ორი ხმისთანა ჭაბუკი ვიცი... გაჰყვებით, ხალხნო, ამ ჭაბუკებს, დევთა სინსილის გასაწყობად ჩვენს ქვეყანაში, ისე, როგორც ყარა-ბარძიმსა?!.

— დედა შეურთავს ცოლადა იმას, ვინც არ გაჰყვება...

გულიმ იცოდა ხალხის ცხოვრება, მისი აზრი და მისწრაფებანი, იცოდა იმისი სიდუხჭირე, უძალობა, მისი მუწუკი; ისიც იცოდა, რომ ხალხი დღეს თუმცა ცხვრის ფარას წარმოადგენს, მაგრამ გამბედავი წინამძღოლი ამ ფარას აამოძრავებს... სწორედ იმ მუწუკს ჰკრა გულიმ ნეშტარი...,

IV.

— გამოიძინეთ, ჩემო სასურველო ტუმრებო? ჩაეკითხა

მეორე დილით გული თავის სტუმრებს... მე კი ღამე გამიტყდა!.. თითქმის მთელი ღამე ბანზე გავატარე...

— ნუ გაგვიწყრები ჭაბუკო! ვინ ხართ ასეთი მოწყალე და გულუხვი მასპინძელი!.. ჩვენთვის წუხანდელი ღამე არ ახალია, ძველია, ბევრჯელ ვუკოტრიალებივარ ზღვის ტალღებსა, მაინც გადავრჩენილვარ, მაგრამ წუხანდელმა თქვენმა თანაზიარობამ გულს უსალმუნა... მერე ამისთანა დროში, როცა კაცი კაცთან ველარ მისულა უშიშრად...

— თუ ჩემს ამმავს იკითხავთ, მე ვარ გული, ვარდენის პირმშო ძე...

— გული!? გაოცებით წამოიძახა ფარნამ, წამოიჭრა ფეხზე და მიაშტერდა...

— ჰოო!.. რა იყო?

— ის გული, რომელიც ხალხში დაიარება, დაწყლულებული გულის მალამოს ჰპირდება დაჩაგრულს ერსა და განუზრახავს თავის განწირვა მისთვის?

— დიახ, მე ვარ ვარდენის ძე...

— ღმერთებო, ღმერთებო! თქვენ გადმოგვხედეთ!.. შეჰღაღადა ფარნამ ცას ხელგაპყრობილი... დიდი კაცის ძე, ძე მისი, რომელიც არის ყურმოჭრილი ყმა ცხრათავიანი დევთა მეფის დევკაჟიანისა...

— ტყუილი გაგიგონია!.. იგი არის განრისხული ყმა, ყმა შემჩნეული, მხოლოდ დღეს უძალო და უღონო მოხუცი... დიდი ხანია ისიც, ჩვენი ერივით, გულში ატარებს შურის ძიებას, მაგრამ უძალოა, ღონე არ შესწევს... შენ ვილა ხარ?..

— მე ვარ ფარნაოზ გაურჯელაძე... დედ-მამა არ მახსოვს; გამოზრდილი ვარ ულრან ტყეში, ხევ-ღრანტეებში... ჩემი მშობელი ასე მეუბნებოდა: რა ვიცი ვისი შვილი ხარ: შენ იალბუზის მთის გულს დაუბადნიხარ, ირემს ძუძუ უწოვებია და კანჯარასა და ქურციკს ზურგით უტარებიხარო... რაკი თავი შევისწავლე, შვილდ-ისარი ღმერთად გავიხადე,

ვერ წამივიდოდა წალმა-უკულმა მოსიარულე ნადირი, დათვებზე და მგლებზე ვყრილობდი ჯავრსა; იმდენი იცოცხლეთ და ვიცოცხლო, რამდენჯერ მე მგელი, გინა დათვი, ყბა და ყბა გამეგლიჯოს... მიყვარს იალბუზის ფერდობებზე ნადიროობა, იქ დავეძებ ხოლმე მიჯაჭვულს ამირანსა... ერთს დიდს მღვიმეშია მიჯაჭვული, მაგრამ ადამიანი ვერ უდგება... რამდენჯერ ვცადე მისვლა, მაგრამ მაშინვე ადგება უცნაური ქარიშხალი და ნაფოტივით ამიტაცებს ხოლმე... დიდება ბუნების ძალასა! რა დაუდგება წინა!.. მაგრამ ძერაება კი, რომელნიც მიჯაჭვულს ამირანს გულღვიძლს სწიწკნიან და უფლეთენ, ბევრჯელ ჩამომიგდია ისრითა... ნისკარტებს ქვაზე დაუნაყავ ხოლმე იმ წყეულებს... აი იმ მთის შვილი ვარ მე... ხალხმა გაურჯელაძე დამარქვა... შენ ქვეყანაზე დედ-მამის გაურჯელად მოსულხარო...

გულიმ ამირანის ხსენებაზე ღელვა დაიწყო, ელექტრონის ჟრუანტელმა გაუარა ტანში, შეამცივნა, სახე შეულურჯდა და სიცივის ბუსუსები დაასხდა... თვალით გაზომა ჭაბუკი ფარნა. აღეძრა უზომო სურვილი გასტეხიყო ფარნას, გამოეცხადებინა თვისი ქალი-შვილობა, შეუღვლოდა და ერთად, ერთ დროშის ქვეშ, გაელაშქრათ დევკაჟიანის წინააღმდეგ, მაგრამ კვლავ თავი შეიკავა: გამჟღავნება ხვაშიადისა საქმეს წაახდენდა.

— როგორ გაჩნდი აქეთ? ჩაეკითხა გული.

— ჩვენც დავდივართ სოფლითი-სოფლად ხალხის ჭირვარამის და აზრის გასაგებად: შემოვლეთ ზღვის პირი; ამას წინად გავსცურეთ ფაზისი, ყვირილა, ჩხირიმელით სურამს ვუწიეთ და მერე მტკვრით უფლოსის ციხეს ვეწვიეთ, იქიდან მცხეთოსის ქალაქს გიახელით, იქით მტერი განდევნილია, მხოლოდ ჩვენს უღრანს ტყეს, ხევებს, ხეობებს შეჰბუდებია დევკაჟიანი თავის ქაჯებითა, ქაჯების ხელშია ყოველივე ავლა-დიდება ხალხისა, სწოვენ სისხლსა, ხალხი ძალა გამოცლილია თვით დევკაჟიანი ადამიანის ხორცის მჭამელია... ხალხის

მუწუკი მომწიფებულია, მხოლოდ გამოცდილი დოსტაქარია საჭირო, რომ მარჯვედ დაჭკრას ნეშტარი და დიდის ხნის დაგუბებული ბალღამი გამოუშვას...

— მეც აგრე ვფიქრობ! დაურთო გულიმ.

— დიახ, დოსტაქარია საჭირო!..

— მე ვიცი ასეთი დოსტაქარი!

— მეც ვიცი!.. იგი გულია!..

— არა, იგი, ფარნაა!!.

— მაშ ორივენი!.. გავიფიცნეთ.

— აი ჩვენი ფიცი!..

გაშალა გულიმ ხელი და ორი ჭაბუკი ერთმანეთს ძმურად გადაეჭვდნენ, ერთს წამს იყვნენ შეწებებულნი და ურთიერთის მხარზე ედოთ თავები.

გულიმ ამ დროს ორნაირი ნეტარება იგრძნო, ორნაირად იყო ბედნიერი; გადაეჭდო იმას, ვინც პირველად მის გულში აღბეჭდა თვისი სახე და სალ-კლდე გული დაიმონა; გადაეჭდო იმავე დროს იმასაც, რომელსაც იმასთან ერთად ქვეყნის ხსნისათვის თავი ჰქონდა განწირული.

V.

თავად ვარდენის სასახლეში დიდი ფუს-ფუსია: შინ ყმანი შედი-გადიან, ამზადებენ ნადიმისათვის ყოველნაირ სანოვაგესა. სახლის აივნები და მოაჯირები სტუმრებით ზიმზიმებს; სტუმრები თავს იყოლებენ ნადიმამდე სხვა და სხვა თამაშით — ზოგი ჭადრაკით, ზოგი ნარდით, ახალგაზდები კი მშვილდ-ისრის ნიშანში სროლითა.

მოხუცებულ თავად ვარდენს სიხარულისაგან ანთებული ჰქონდა სახე; ფრინველივით დაფრინავდა ოთახიდან ოთახში, აივნიდან აივანზე, აძლევდა ბიჭებს განკარგულებასა, ირჩევდა ადგილს, სად გაეშალა სუფრა სანადიმოდ. ბოლოს გადასწყდა, ასწლოვან ცაცხვის ქვეშ გაიშალოს სუფრა.

სტუმართა შორის **გულის** მოტრფიალენიც იყვნენ, გამოჩინებულნი დევ-კაჟიანის სამსახურითა. მოსულიყვნენ ერის-

თავნი საქართველოს ყოველ კუთხიდან; თვითოეული მათგანი ცდილობდა დაეპყრო გული, დაჰპატრონებოდა იმის გულსა. ბევრნაირი ანგარიში ჰქონდათ სასიძოებსა: ლამაზი, მზეთ-უნახავი გული, დიდი კაცის დამოყვრება, მისი ავლა-დიდება, მამულ-დედული, უთვალავი სიმდიდრე —ყველა ეს იყო მზითევი ერთად-ერთი გულისა, ვარდენის ასულისა.

გაიშალა აგერ ცაცხვ ქვეშ დიდებული სუფრა, ვარდენმა დიდებულნი მიიწვია სუფრაზე და უჩვენა ყველას თვისი ადგილი. აგერ გამობრძანდა **გულიც**, რომელსაც გარს ეხვივნენ ბანოვანნი კეკლუცნი. გაბრწყინდა მიდამო: ბანოვანთა ტანისამოსი თვალსა სჭრიდა, თვალმარგალიტი ათასფეროვნად ციმციმებდა მზის სხივებზე. ვინ ვის სჯობდა, ვისი სამკაული უმჯობესი იყო, ფას-დაუდებელი—ადამიანის ხარბი თვალიც კი ვერ გადასწყვეტდა.

გულის ახოვანებამ, სიტურფემ თავადნი მოხიბლა, ყველა სულ-განაბული იყო, ქვეშ-ქვეშ ავლებდნენ თვალს გულისა. გულის თვალები ხშირად ხვდებოდა ქართლის ერისთავის თვალებსა. არ იყო, რომ მოეწონა ბრგე ვაჟ-კაცი, მთვარესავით გაბადრული ერთისთავი, სიცოცხლით სავსე ახალგაზდა.

გაჩაღდა ნადიმი; სიმღერა-გალობას საზღვარი არ ჰქონდა; საკრავები დროზე ატკბობდა სტუმრებსა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ზმით კამათი დაუსრულებელი გახდა.

ნადიმს შემდეგ მოიწადინეს მარულისა და ჯირითის გამართვა... სტუმართა შორის ხმა გაისმა, თავადი ვარდენი იმას მიათხოვებს თავის პირმშო გულისა, ვინც ვაჟ-კაცობაში გულის დასძლევს, ან პირის-პირობას გაუწევსო.

თავადი ვარდენი აღტაცებული იყო ქართლის ერისთავის სანახაობით, სიმარჯვით, ვაჟ-კაცურის სილამაზით, მისი ჩამომავლობითა. ადამიანის თვალი იმაზე უკეთესს ვერას ნახავდა. გულში ჩაეჭრა ეს ვაჟ-კაცი ვარდენსა და თავის სიძედ დაისახა.

— იასამან ჩემო, მიხმე აქ ასულსა ჩემსა! — უთხრა ნადიმს შემდეგ მოახლესა.

გულიმ არ დააყოვნა მამასთან მისვლა.

— გული ჩემო, ასულო ჩემო, საყვარელო! დავლიე დღენი ჩემნი — სიბერე მახლავს. ჩემ წინ პირ-ღია დგას სამარე, დღეს თუ ხვალ მიმიწვევს იგი წიაღსა თვისსა და შევუერთდები მამა-პაპათა აჩრდილებსა. მყავხარ ერთად-ერთი ასული, სიცოცხლეში დამატკბე შენის ქმარ-შვილიანობითა. ასეთია წესი ბუნებისა: რიგი მიდის, რიგი მოდის ამ წუთი სოფელში. მე აგერ მივდივარ, შენ კი მოდიხარ. მაჩვენე, მაღირსე, შენი ბედნიერება... აგერ ზღვა ხალხი მოსკდა ჩემთან ნადიმზე. ყველა დაეძებს შენს გულსა...

— მამა ჩემო, საყვარელო! ჯერ ჩემს გულს არა სცალიან. იმას სხვა საქმე აქვს, სხვა სატრფო ჰყავს.

— ვინა? — ხელების შლით ჩაეკითხა მამა გულის.

ვარდენი გაიტაცა ორნაირმა აზრმა: იქნება მის ასულს მართლა სატრფო ჰყავს სადმე აჩენილი და მის მისვლას ელის, ან იქნება ჯერ მომწიფებული არ არის საპატარძლოდ; იქნება ჯერ ხნობით დედობას ვერ გასწევს.

— ვინა?!.. — სამშობლო ჩემი!.. იგია ჩემი სატრფო, იგი ელის ჩემგან უსჯულოთა მონობის უღლიდან დახსნას... ქართლის ერისთავი თვით მონაა უსჯულო თათრისა, იმ ცხრა-თავიანი დევ-კაჟიანისა, რომელმაც მონობის ქვეშ გასრისა ჩვენი ერი და ჩვენი მშვენიერი წალკოტი გაახმო და გააშრო.

— საოცარს რასმე მეუბნები, ასულო ჩემო, შვილო ჩემო!.. მე დიდი ხანია გატყობ, რაღაც კაეშანი არტყია შენს სახესა. სახე შენი აღარ ღიმის, თვალნი შენნი ყმაწვილურის ეშხით აღარ ციმციმებენ, აღარ უღიმიან იგინი მოხუცებულს ვარდენსა... ვის ძალუძს შერყევა ცხრა-თავიანისა.

— ერსა!..

— ჰმ!.. ერსა!.. სად არის იგი? იგი განადგურებულია.

— ნაკვერჩხალს ნაცარი აყრია, ერთი შებერვა და გაღვივდება...

— ვინ გაბედავს მერე ამ შებერვას? ვინ არის გამღვიებელი ნაკვერჩხლისა?

— მე!.. ჩემთან სხვა ჩემისთანანიც... შესძლებს მონა, ქართლის ერისთავი, გამომყვეს მე ამ დიად საქმეში?!.

— იასამან! მობძანდეს ქართლის ერისთავი ნუგზარ.

— ასულო ჩემო, ძეო ჩემო... შენ ჩემთვის ასულიცა ხარ და ძეცა... შენზე ამომდის მზე და ჩამდის მთვარე... შენ თავდაპირველად ქალი ხარ, დე, მოვალეობანიც ქალისა უნდა გქონდეს, მოვალეობანი დედა-კაცისა უნდა შეასრულო: შენ უნდა გახდე დედად. გაიგონე, ასულო ჩემო საყვარელო! მზეო და მთვარეო ჩემო!.. შენ უნდა აღადგინო ოჯახი ჩემი!..

— ძვირფასო და ყოვლად საყვარელო მამა-ჩემო!.. ჩემი სამშობლო არას დაჰკარგავს, რომ ერთი მის კეთილდღეობას მტლად დაედოს... მე ქალი ვარ, მართალია, მაგრამ თქვენ თვით არ მასწავლეთ ცხოვრება გამოჩენილის ქალებისა, რომელნიც თავსა სდებდნენ ქვეყნის სიკეთისათვის? თქვენ თითონ... შენ, მამა ჩემო, და გამდელი ჩემი იასამანი არ მიამბობდით ხოლმე ზღაპრებსა გმირთა ცხოვრებაზე, რომელნიც ისხნიდნენ ხოლმე დევთა და გველეშაპთაგან დამონავებულს და დაბეჩავებულს ხალს?.. არა, მამაო, მე ღმერთებმა ჩამაგონეს ხსნა ქვეყნისა: მე ეს აზრი განმიმტკიცა ზღაპრულ გმირთა ცხოვრების შესწავლამა.., მართალია, ქალი-შვილი დედად უნდა გახდეს, იგი უნდა იყოს დედა ოჯახისა, მან ოჯახი უნდა შეჰქმნას, მაგრამ მე უფრო დიდი ოჯახის დადგენა მწადიან... მე მწადიან აღდგენა დანგრეულის ოჯახისა... განა ქალი რომ ვარ, არ ძალმიძს მამაკაცური საქმიანობა?!.. განა ჩვენი **ამორძლები** ვაჟკაცებთან ერთად არ იბრძოდნენ?!.. იმათი სახელი ზღაპრად არის დარჩენილი... ყოფილან, მამა ჩემო, ძველადაც გმირები. ხალხის აღფრთოვანებულს გონებას მოურთავს და მოუკაზმავს მათი სახელები, გაუდიდებია

მათი საქმენი საგმირონი დაბეჩავებულის ერის სანუგეშოდ და გასამტკიცებლად მათის სულისა...

— ოოჰ, ღმერთებო!.. შეძლება მიეცით ასრლსა ჩემსა!.. ღირსეული შვილი ხარ ღირსეულ წინაპართა... რაც მე ვერ შევასრულე, რაც მე დღემდე გულში მქონდა დასახული, სწორედ შენ, ასულო ჩემო, იმას მოჰკიდე ხელი... მე არ შეგიშლი ხელს, მაგრამ...

— რა მაგრამ?—აღფრთოვანებული ჩაეკითხა გული მამას.

— მაგრამ მტერი მძლავრია... მმმ!..

დაჭოჭმანდა. კიდევ უნდა შეკამათებოდა თავის გულს, მაგრამ შესდგა! გულის ზეკას მიეპყრო თვალნი, ოცნებას გაეტაცნა, სახე მზეებრ გაბრწყინებოდა და სხივთა-კონა თავს ევლებოდა.

თავადმა ვარდენმა ხელი არ შეუშალა გულის ოცნებას. გამოცდილი ჰყავდა, არა ერთხელ ჰქონია თვის ასულთან ამნაირი ბაასი, მაგრამ იგი ულმობელი იყო: თავის აზრს, დასახულს იდეას, მედგრად ადგა, საწადელის შესასრულებლად მზად იყო.

ცაცხვ ქვეშ ლხინს, სიმღერას, ცეკვა-თამაშს საზღვარი არ ედვა. ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი სტუმრები. ახალგაზდებმა, რომელნიც-კი გულის შეუღვლას დაეძებდნენ, გაფაციცებით დაუწყეს ლოდინი იმას, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა თავად ვარდენისაგან თავის ასულის ცალკე გახმობასა. რაღაც გამოურკვეველი უსიამოვნობა, რაღაც დარდი აკვნესებდა თვითეულის გულსა. ყველა მათგანს ალღო ჰქონდა აღებული, რომ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო ბედი და უბედურობა მათი. უნდა გადაწყვეტილიყო ბედი მხოლოდ ერთისა

ჟრიამული და ჩურჩული ჩამოვარდა მონადიმეთა შორის, როცა ია-ამანმა იხმო ვარდენთან ქართლის ერისთავი ნუგზარ.

VI.

მონადიმეთა შორის ჩურჩული შეიქნა, გახმობ-გამოხმობა, ყველა სმენად გადაიქცა, ყველა ცნობის მოყვარეობამ გაიტაცა, თუ რად იხმო თავისთან ქართლის ერთისთავი ნუგზარ თავადმა ვარდენმა. ბანოვანნი კეკლუცნი შურმა და იჭვმა შეიპყრო. მაძიებელნი **გულისა** ღელავდნენ და შურით ივსებოდნენ ნუგზარისადმი.

აბძანდა მაღლა აივანზედ ერისთავი. მისმა გულმა იგრძნო, რისთვისაც იყო მიწვეული.

— აჰა, ასული ჩემი და აჰა თქვენ, თავადო!.. ჩემი ქალი პირობას სდებს, თუ შეასრულებთ.

— რა იქნება ისეთი პირობა,—გააწყვეტინა ერისთავმა ვარდენს სიტყვა,—რომ ვაჟკაცმა ვერ შესძლოს მისი შესრულება, და მრავალ-მნიშვნელობით გულზე დაირტყა ხელი.

— არის ერთი რამ, რომელსაც, თავადო, ვერ შეასრულებთ,—მტკიცედ უთხრა გულიმ.

ერისთავი ერთ წამს ფიქრს მიეცა, თავის წინ ვერაფერს ჰხედავდა იმისთანას, რომ შესრულება არ შესძლებიყო. ჭმუნვა გადიყარა სახიდან, ტუჩზე სიამოვნების ღიმი გაუციმციმდა და წარმოსთქვა:

— თავადის ასულო! ბრძანეთ, რა არის ის ერთი რამ.

— თავადო, თქვენ მონა ხართ...

— რად ვიქნები მონა,—იწყინა ერისთავმა.

— სამოსელი თქვენი და ნიშნები ამტკიცებენ თქვენს მონობასა...

— ჰო, ახლა კი მესმის!—წარმოსთქვა ერისთავმა და გადაიხარხარა.

— საცინელს მე არა-რას ვხედავ... კარგად ჩაიხედეთ გულსა და გონებაში...

დუმილი ჩამოვარდა. გულიმ თვალები შიაშტერა ერისთავს. ეს თვალები რაღაცას კითხულობდნენ ერისთავის გულ-

ში. ერისთავს ფერი შეაკრთა, სისხლი ყელს მოებჯინა, პირში ნერწყვი გაუშრა. ერთ ხანს იდგნენ ორნივ, ერთმანეთზე მიშტერებულნი. ვინ რას გრძნობდა ამ ორში ურთიერთისადმი, ძნელი სათქმელი არ არის: გული ზიზღს მონისადმი, ხოლო ნუგზარმა თვისი გრძნობა გადახარხბრებით გამოსთქვა.

— სისხლ-ხორცთან გაქვთ შეზელილი, თავადო, მონობა, მონობაში დაიბადა და მონობაში აღიზარდა თქვენი სული და გული... თქვენ ამ უღელს ვერ მოიშორებთ... და მე ვერ გავყვები მონას...

— მე რად ვიქნები მონა!.. მონა ჰქვიან ხალხს, რომელიც დაჰმორჩილებია მტერს და ყოველივე მისს ნებას ასრულებს.

— დიაღ, სწორედ ბრძანეთ, თავადო! ერთი იმათგანი თქვენცა ხართ.. უკუაგდე მონობა შენი და გამომყე მე, უფხრა გულიმ... მაშინ შენ ქმარი და მე ცოლი.

— ესე იგი?

— ესე იგი: დავიხსნათ ჩვენი საშშობლო კირთებისაგან.. გალეწა ჩვენი ხალხი შუა აზიიდან მოწოლილმა მტერმა.

ნუგზარმა პირი გააღო; თვალები შეშლილივით მიდამოს მოავლო; მთლად შეირხა მისი სული და გული.

— მოფიქრების ნებას ვითხოვ...

ამ დროს გაისმა ყიჟინის ხმა: მართლა და ჯირითი გაჩაღებულიყო. მობაასენი მივიდნენ მოაჯირთან და დაუწყეს ცქერა.

აგერ ანაზდათ მხედარმა გამოაჭენა თეთრი ტაიჭი. ცხენი ბდღვინავდა, ტორებს სცემდა მიწასა, ამაყობდა, რომ მას მართავდა გამოცდილი და გულადი მხედარი. მხედარმა გაუტია ცხენი და ყველანი უკან დიდს მანძილზე ჩამოსტოვა. შემდეგ ჯირითში ყველანი ცხენიდან გადმოჰყარა: თავზე გადაფრენილი ფრინველი არ გაუშვა მისმა ისარმა, დაუჩაგრა თავად ვარდენს სტუმრები.

— პაატა, გადასძახა ერისთავმა თავის ბიჭს, მომგვარე ჩემი ქურანი.

ერისთავმა გამოითხოვა თეთრ ტაიჭოსანი.

მეხივით გავარდნენ მათი ცხენები, მათმა ფეხის ნატერფალმა, ზე აყრილმა მტვერმა მზე დააბნელა. შეუტიეს ერთმანეთს. ჯირითის ზუზუნისაგან ყურთა სმენა არ იყო. მგლებსავით წასწვდნენ-წამოსწვდნენ ერთმანეთს. არ იქნა, ვერ მოახვედრა ერისთავმა ჯირითი თეთრ ტაიჭოსანსა, იგი ერისთავისაგან ნატყორცნ ჯირითს ჰაერში იჭერდა და სროლითვე უკან უბრუნებდა.

— ჰაი, ჯირითიც ამისთანა უნდა, გაიძახოდა ხალხი.

— ტაი, ტაი, ტააა?—დასწვდა თეთრ ტაიჭოსანი. დასწვდა და ჯირითი შიგ კეფაში დაუღერა, ჰყვიროდა მოცქერალი ხალხი.

ერისთავი გაჭირვებაში ჩავარდა; თუმცა კეფაში დაღერებული ჯირითი აიცდინა, მაგრამ თეთრ ტაიჭოსანმა მეორე მიაყოლა და ერისთავს ზურგში მოახვედრა. ერისთავი ცხენს გადაეკიდა, გადავარდნაზე იყო, მაგრამ ძალა მოიკრიბა და კვლავ უნაგირს მოექცა, აუკრიბა ცხენს სადავე და მიეტია თეთრ ტაიჭოსანსა იგი ანაზდეულად შემოტრიალდა და ცხენი მიუტია ერისთავის ქურანსა; ცხენები ყალყს შესდგნენ, ერთმანეთს დაჰხვიხინეს და ტორები დაჰკრეს. უცნობმა თეთრ ტაიჭოსანმა, რომელსაც ნიღაბი უფარავდა პირსა, შეუტია ცხენსა, იმის მათრახის ტკრცალმა ჰაერი შეარყია. ცხენმა ჰკრა მკედრი ერისთავის ქურანსა და ცხენი ბრწყინვალე მხედრითურთ გადიჩეხნენ.

დამარცხდა ნუგზარი, ლელო უცნობმა გაიტანა.

გული ამ დროს გატაცებით ადევნებდა თვალ-ყურს ორ ბუმბერაზთა ხანგრძლივ ბრძოლასა; მოეწონა უცნობი და მისი ცხენი. აიტაცა სურვილმა, გაეგო ვინაობა იმ უცნობსა, ან თვით გამკლავებიყო.

— აბა, აჰკაზმეთ ჩემი ლურჯა... მე ვცდი იმ უცნობსა..

სწრაფად მოახტა ლურჯას, შეახურა იგი ადგილობრივ მათრახით, პირს ბადე ჩამოიფარა, იახლა თან ჯირითის მიმწოდებელნი, და ესროლა პირველი ჯირითი თეთრ ტაიჭოსანსა.

სროლა ორივ მხრივ დაუსრულებელია. არც ერთს ერთი ჯირითიც არ წასვლიათ დაუჭერელი, გულიმ ხერხი იხმარა: ერთი ესროლა პირდაპირ უცნობსა, სწრაფად მეორე ცხენს დაუმიზნა, მოხვდა ჯირითი უნაგირის ტახტას და მთლად მილეწა იგი. უცნობი შეირყა ცხენზე, პირი აქცევინა ცხენს და პირდაპირ მიესია გულის ლურჯასა, სურდა ერისთავის დღე დაეყენებინა იმისთვისაც, მაგრამ ამ დროს გულიმ მოასწრო ელვის სისწრაფით ჯირითი და ცხენს შუბლში ჰკრა. ცხენი უკანა ფეხებზე ჩაჯდა, მხედარმა მაგრა ჩაკიდა ფაფარში ხელი, შემოჰკრა მძლავრად მათრახი და ცხენი წამოაყენა. ამასობაში გული მიესია უცნობს, ცხენი სწრაფად მიაგდო ზედ, წასწვდა პირ-ბადის ჩამოსაგლეჯად. უცნობმა გულის ცხენს მძლავრად ამოჰკრა ხელი, ცხენმა უკან გაიწია და გულის ხელში შერჩა უცნობის პირ-ბადე და თვითც გადიძრო პირ-ბადე. ორმა გალომებულმა მხედარმა პირის-პირ დაინახეს ერთმანეთი.

კაი ხანს უცქირეს ურთი-ერთს. გული ასდივ-ჩასდიოდათ. ნელ-ნელა დამშვიდდენ და ძმურად გაუწოდეს ერთმანეთს ხელი.

უცნობი აღმოჩნდა ფარნა გაურჯელაძე.

გულიმ და ფარნამ დაატყეპეს ცხენები და წამოვიღნენ ღიმილით მონადიმეთაკენ.

ბრბო ხალხისა გარს ეხვევოდა მხედრებსა, ახალგაზდანი წინ მიუხტოდნენ და თვალით ზომავდნენ.

აქეთ-იქიდან ისმოდა ვაშა და ბარაქალა. მონადიმენი წამოიშალნენ და დუმილით ელოდნენ მხედრებს. ერისთავი ფერდაკარგული, გულ-ხელდაკრეფილი იდგა უძრავად და შურით შესცქეროდა მხედრებს.

ბედნიერი მხედარი, თეთრ-ტაიჭოსანი ვერა ვინ მონადიმეთაგანმა ვერ იცნო.

—მამა-ჩემო, თავადო ვარდენ! აი ჩემი ტოლი... ჩემი გული უკვე იცნობს ფარნას გულს და მისი ჩემსას.

სიჩუმე და სიწყნარე ჩამოვარდა მონადიმეთა შორის. დაჰკაოგეს სასოება. ქართლის ერისთავი ქანდაკებად იქცა...

ბუნება მხიარულობდა: მზემ უხვად გადმოაბნია სხივები და შარავანდედად დაადგა ორს მხედარსა; ნაკადული შხუილ-შხუილით და გრიალით გარბოდა ზღვისაკენ; ხის ფოთლები გაჩქარებით ჩურჩულობდენ. ასწლოვანი ცაცხვი ირხეოდა და ტოტებს ფიანდაზად უშლიდა.

კუდრაჭა ჩხიკვმა კი კუნლის ბუჩქებიდამ სიცილ-ხარხარი დააყარა მონადიმეებსა.

VII.

დილა ადრიან, ჯერ ისევ ბინდ-ბუნდზე, **გული** სახლის აივანზე ავიდა, ზღვის მხარეზე. მთელი ღამე მისს თვალებს რული არ მრსვლია. ფიქრებმა გადიყოლიეს...

— მისი გული დაჭერილი ყოფილა!.. სხვა დაჰპატრონებია...—ამ სიტყვებს იმეორებდა გუნებაში...

არ შორდებოდა ეს აზრი, მოსვენებას არ აძლევდა..

ცისკარმა სალამი მისცა გულისა, სხივები დააკონა მის ღაწვებსა, აფერადდენ იგინი ღაწვის თავებზე, მიმოჰქროდნენ, თავს ევლებოდნენ.

ფოთლებმა თამაში მოართეს, მოხვდათ რა სხივი გულის სიმშვენიერისა; თავდაბლა უკრავდნენ მას ხეები თავსა და ფიანდაზად უშლიდნენ ტოტებსა.

ძირს, ციხე-დარბაზის გვერდით, ჩვენი ნაცნობი ნაკადული სიმღერით მირბოდა; მის ანკარა წყალში აღბეჭდილ სახეს გულისას წმინდა წყალს ასხურებდა, ათასფეროვნად აციმციმებული წინწკლები თავს ევლებოდნენ გულის სახესა და დამარგალიტებულ ნამით ნაკერ ჩარჩოში სვამდენ მას.

ბულბულმა, ვარდის მოტრფიალე ჩიტმა, ქებათა-ქება შეასხა გულის, რანაირ კრიმანჭულებში არ ჩამოასხა თვისი სიმღერა, რა ტკბილად, რა ალერსით არ უტკბობდა სმენას...

მაგრამ გული გაყრუმუნჯებული იყო. ბუნების სალამი, ალერსი, ბულბულის ტკბილი რაკ-რაკი არ ესმოდა; ჩვეულებრივად ყველა ეს მის სულს არ ახარებდა, მისს გულს ოდნავადაც არ ატკბობდა...

იმ ადამიანმა, რომელმაც პირველად **გულის გულში** სიყვარულის ტახტი დაიდგა, პირველმავე ჰკრა ხელი ამ ტახტს და დაანგრია. ფარნას გულში სხვას ჰქონია დადგმული სიყვარულის ტახტი.

გულის გულმა პირველად იგრძნო შური; თესლი შურისა ჩაისახა მისს გულში და უკვე ანაზდეულად ფესვი მოიკიდა. გაიზარდა იგი, იქცა შურისძიებად. ლამოდა გზიდან ჩამოეცალნა ის არსება, რომელსაც შეუბოჭავს ფარნას გული, დაუპყრია ამ უებრო ვაჟ-კაცის მთელი არსება.

ალბად, ფიქრობდა გული, დანაშაული რამე მიმიძღვის ღმერთებთან, მომივლინეს ფარნა, შემაყვარეს იგი, მზე იმაზე ამომდის და ჩამდის, ჩემ სალოცავად გამიჩინეს; ჩემს გულს ტოლი აპოვნინეს და ახლა მწარედ დამსაჯეს... იგი სხვას ეკუთვნის... ის სხვა ალბად უმჯობესია ჩემზე... ალბად ამ სხვას, ჩემთვის უცნობს, მეტი ძალა შესწევს, მეტი სიმხნევე შესასრულებლად იმ გეგმისა, რომელსაც მე და ფარნა ვადგივართ... თუ ასეა, მე პირველად მოვიხრი მის წინ თავს და გულიდან ამოვიგლეჯ შურის-ძიებასა...

მზემ კარგად ამოიწია და ზურგი შეუხურა გულის... მის გაშლილ შავ თმაში მძივებად დაბნეულიყო მზის სხივები. მოიკრიბა გაშლილი თმა და ნაწნავებად დაწვნა დაუწყო.

გულის გამზედელი გულ-გახეთქილი ამოვარდა.

— თავს შემოგევლოს იასამანი! ულროო-ლროს რად გინებებია ამოსვლა აივანზე? მზეზე რად ზიხარ, დაგთენთავს...

— მე ისეც დათენთილი ვარ!.. მთელი ღამე არ მიძინია...

— რა კაეშანი შემორტყმია შენს ბადრ სახესა?.. რატომ არ გიცინის კვლავინდებურად სახე, ნეტარებავ ჩემო?!.. გულ-

ში ჩაგეჭრა ვინმე?.. სწორედ ვილამაც დაისადგურა შენს გულში, ნეტარებავ ჩემო!.. ასეა ხოლმე: ახალ-გაზდას რომ გულში ჩაეჭრება სასურველი ვინმე, მთლად მოიშლება, ტანში ლერწვით არის... მისი გული ეჩქარება შეერთებასა... უჰ, რამდენი ტკბილი წამებია ამ დროსა?..

გულის პირს ღიმი მოადგა და უთხრა:

— იასამან ჩემო, გამოგიცდია?!.

— უიმე, გენაცვალე, ჩემს ხოსროზე რომ დავინიშნე, სამი კვირა ძილ-ღვიძლში ვიყავი... სულ გულში მიჯდა, თვალებში მელანდებოდა... მითხარ, მითხარ, გენაცვა, ვინ გახდა შპყრობელი შენი ნორჩი გულისა?

— იყო იგი და ამ ჟამად აღარ არის, ნაღვლიანად წარმოსთქვა გულმა.

სულელი ყოფილა... შენს გულს ჰფლობდა და თავი დაანება? მრავალ მნიშვნელოვანად ჩაეკითხა იასამანი.

— მე დამიუფლა იმან, მე კი ვერ... იმის გული დაუფლებული ყოფილა სხვისგან... ფარნამ ჩემს სიყვარულს ძმურად და მეგობრულად შეხედა... მე კი მიჯნურად გავიხადე იგი... ჩემი გული აჩქარდა...

— ვინ არის იგი ბედნიერი?

— ჩემგან უცნობი... ვილაც აბდულას ქალი-შვილი თინა-ხანუმი...

— ფარნა რა გუნებაზე დადგა, როცა შენ შენი ხვაშიადი განუცხადე.

— მანაც განმიცხადა თვისი ხვაშიადი და შემდეგ უხმოდ გამშორდა; მის ნელს უგულო ნაბიჯს ეტყობოდა სულის რყევა.

— ბატონი ჩემი ვარდენი?..

— სწუხს, რომ გადავეკიდე მისგან უცნობს ფარნასა... ვინაობა მისი არც მე ვიცი კარგად, არც მამა ჩემმა... ვიცი მხოლოდ, რომ იგი თავდადებულია, მამულიშვილია, რომ მე და მას კისრად გვიღია დიდი ვალი ქვეყნის ხსნისა... მე სხვას

არას დავეძებ... მე მსურდა ვალის მოხსნის შემდეგ მას შე-ვუღლებოდი... გათავდა, მე აღარა მახარებს-რა ამ ქვეყნად... მხოლოდ ერთად-ერთი ჩემი სატრფოა ჩემი ქვეყანა, მას მტლედ დავედები... მისთვის ვიცოცხლებ...

მაგრამ გულის ქალური ბუნება თავს არ ანებებდა. სწადდა შეექმნა ოჯახი...

— არა, სასოწარკვეთილება საკადრისი არ არის ადამიანისათვის. გაჭირვებაში გაკაჟებაა საჭირო... მე შევძლებ ფარნას შეპყრობასა... მე შევძლებ ჩამოვაცალო თინა-ხანუმა, შევძლებ ჩემსა და ფარნას შუა დადებული ზღვარი ჩავშალო.

— იასამან, ამომიგზავნე ჯიბრაილი!

იასამანი დაფაცურდა.

ჯიბრაილი მოხერხებული მსახური იყო და ერთობ მალე შიკრიკი. გულიმ ჯიბრაილი დაარიგა და აირჩია მიმსვლელ-მომსვლელად თვისსა და ფარნას შორის.

— ჯიბრაილ! ხომ გესმა წუხელ ჩემი საუბარი. ისე მოიქეცი, როგორც დაგარიგე... აი ეს უსტარი გადაეცი ფარნას. **წადი, ჯიბრაილ, არ ნახო იგი, უთხარ მოვიდეს***).

VIII.

ფარნა გაურჯელაძეს საშინელი დღე დაადგა: იგი პირველ ნახვაზედვე მიხვდა, რომ გული ქალიშვილი იყო. მაშინვე გულს ჩასწვდა მისი სახე, მაშინვე გული აუტოკდა. მაგრამ გული მისი უკვე დაუფლებული იყო: თინასთვინ როგორ ეღელატნა. თინამ იცოდა ფარნას ყოველივე აზრი, მისი მისწრაფებანი, მისი იდეალი; თინამ ისიც იცოდა, რა კავშირი დაიჭირა მისმა ფარნამ გულისთან.

თინა სხვა რჯულისა და თოხუმისა იყო. შეუყვარდა ბრგე ვაჟკაცი ფარნა და იმისათვის არაფერს არა ზოგავდა.

ჩავარდა ფარნა საგონებელსა: თინას ამოგლეჯა გული-

*) ე. ი. არ ნახო ფარნას თინა, ფარნას ვი უთხარ, მოვიდესო.

დამ შესაძლებელია, დაუკავშირებს თავის გულს გასაოცარ მშვენიერებას, გასაოცარ ქალს-ვაჟკაცს გულისა, მაგრამ თინამ იცის მისი გეგმა, ყველა ძაფის წვერები მას უჭირავს ხელთა. ერთი ღალატი თინასადმი, და ყოველივე დაღუპულია; იგი დასცემს, მტერს ჩაუგდებს ხელში როგორც თვით მას, ფარნას, ისე გულისა და ქვეყანას აღგვის პირისაგან დედამიწისა.

მოჰკლას თინა,—მაგრამ რა ვაჟკაცობაა დიაცის მოკვლა, ფიქრობდა ფარნა. თუნდაც მოჰკლას, დაჰბრალდება ფარნას მომხრეებს, თვით ფარნას; თინას მამა აბდულა მხედართ მთავარია და მაშინვე შურს იძიებს ფარნას სამშობლოზე.

ამ ფიქრებში გართული, იდგა ფარნა მაღლობზე, მთის კალთაზე, ორ დიდ ცაცხვს შუა.

არც დაღალავს გრძნობდა, არც ძილი მოსდიოდა, გულზე ლოდივით შემოაწვა ვარამი, სახეზე ალმური ასდიოდა.

ჩამოჯდა ცაცხვ ქვეშ სალი კლდის ტახტზე, თავი იდაყვებ დაბჯენილ ხელებში ჩაიდო და დიდხანს იყო თავჩაკიდებული, გარინდებული. თავში აზრი აზრს სცვლიდა, გაურბოდნენ იგინი ფარნას და ვერ მოახერხა ერთს რომელიმეზე შემდგარიყო.

იჯდა ასე უძრავად... ამასობაში ღამემ ბინდი ჭკრა, ცაცხვ ქვეშ ჯოჯოხეთური სიბნელე ჩამოწვა, გაკაშკაშებული ციდან ვარსკვლავთ სხივი ცაცხვის ხშირ ფოთლებს ვერ ატანდნენ და ზედა პირზე დასრიალებდნენ.

მახლობელ ციხიდან ჭოტმა შემოსძახა...

— ოჰ, საშინლად ამოიგმინა ფარნამ ჭოტის ხმაზე.

— ოხრობა შენი! მიაძახეს ჭოტს ფარნას ამხანაგებმა, რომლებიც ფარნას შორი-ახლოს უსხდნენ.

ჭოტის ძახილმა ცოტა არ იყოს ყველანი გამოარკვია.

ფარნას ამხანაგებიც მუნჯად ისხდნენ, იმათაც თითქო გადაედოთ ფარნას დარდი და ვარამი. კვლავ დასძახა ჭოტმა თვისი სიმღერა.

ფარნას შეაჟორჟოლა. ამხანაგებიც შეიშმუშნენ და წამო-

იშალნენ—რაღაც ცუდ რამეს შოასწავებს ჭოტის ძახილი, სთქვა ერთმა.

— გულს არ იამება მყუდრო ღამეში უცნაური ხმა... სხვას არაფერს მოასწავებს—ჩაურთო ფარნამ, წამოდგა, გაიჭიმა და ბოლთა ჰკრა ცაცხვ ქვეშ.

ჭოტმა მესამედ შემოსძახა...

— ეგ ბაიყუში, ეგა! გაიმეორა იმავემ... უბან-უბან იცის მოფრენა. დღეს რომ ერთს უბანში იძახის, ხვალ მეორეში, ზეგ მესამეში... რომელ უბანსაც ჩააცივდება, უთუოდ ამოიჭამს ვისმეს... ბიჭი არ ვყოფილვარ, რომ ემ წუთში არ დავიჭირო, ან ისარი არა ვკრა ბდღვრიალა თვალებში...

— საშინელება დამემართა, ძმებო!.. თქვენც მოწამე იყავით, რომ თავად ვარდენის ასულმა მზეთუნახავი გულიმ ჩემი ქმრობა ინდომა... იმან ჩემს გულს ადრევ დაასვა დაღი... ხოსროა ამის მოწამე...

— დიდსულოვანი ვინმეა ვარდენის ასული, დიდს განსაცდელს გადაგვარჩინა ერთს შავბნელ ღამესა, გვისტუმრა და მეგობრულად გაგვათბო და დაგვაპურა... ვაჟკაცის სახით მოგვევლინა ის მადლიანი—სთქვა ხოსრომ.

— სწორედ იმან დაჰკოდა ჩემი გული... ვაჟ-კაცს არ შეშვენის ღალატი... მე თინას უწინ მივეცი სიტყვა... დიაღ! უწინ... თინა საჭიროა ჩვენი საქმისთვის...

— გული უფრო საჭიროა, დაურთო ხოსრომ.

— ეე, ჩემო ძმებო!.. დედა-კაცს ნუ ენდობიო... ერთსაც ხელი უშვი, ფარნა ჩემო, და მეორესაც... ერთია ჩვენი დამმონავებელის ქალიშვილი; მეორე მონა-თავადისა... ჩვენ ჩვენად ვეცადოთ ჩვენს საქმესა... სთქვა ერთმა ამხანაგ-თაგანმა.

— დედა-კაციც არის და დედაკაციცა!—ჩაერია ხასრო... გული დედა-კაცი არ არის; იგი ნამდვილი ვაჟ-კაცია; მართალია ბუნებას ქალად დაუბადნია, მაგრამ გული ვაჟ-კაცისა მიუცია.

ფარნა ისევ ისე ფიქრებს მიეცა. ოცნებამ გაიტაცა. ორ ცეცხლ შუა იყო, რომელი აერჩია, ვინ აეყვანა თავის ტოლად: მტრის ბანაკი აერჩია, თუ მოყვრისა. ეინა ხომ მტრის ბანაკიდან არის, ადვილი წარმოსადგენია, რომ ერთ უბრალო რამეზე გამყიდოს, დამგმოს, სასიკვდილოდ გამიმეტოს, ჩემი საიდუმლონი განაცხადოს. გული კი მოყვრის ბანაკიდან ირის, ჩემთან ერთად იბრძოლებს, არავიზედ არ გამცვლის, მის გულში ღალატი არ დაისადგურებს...

ცხენის თქარა-თქურმა გამოაფხიზლა ფარნა. მხედარი თამადად მოადგა ცაცხვსა. სალამი მისცა ფარნას და უსტარი გადასცა.

ფარნას იბარებდა თავის თინა, ემუდარებოდა მისვლასა.

ამ დროს ამხანაგმა მოიტანა მოკლული ჭოტი და დაანარცხა ცაცხვ ქვეშ ფარნას ფეხთ წინაშე.

— ასე დაგიმარცხდეს მტერი, როგორც ამ ბაიყუშს მოვუღე ბოლო!

— ეგ არ კმარა!.. უფრო უარესი ბაიყუშია მოსაკლავი და ამოსაგდები ძირიან-ფესვიანად...

ს. მგალობლიშვილი.

(შემდეგი იქნება).

მოკლე საუბარი ჰიგიენიდან.

წინასიტყვაობა.

,,ოხრავს გოგონა ნინუა, ქმარიც ავად ჰყავს, შვილიცა,
რა ქნას მარტოკამ, უკვნესის მოხუცი დედამთილიცა''...
რ. ერისთავი

ვინც ჩვენი ხალხის ცხოვრებას დაჰკვირებია, ვისაც მისი გაძაღლებული სიცოცხლისათვის თვალი გადაუვლია, ის უსათუოდ შეამჩნევდა, რომ ჩვენი პოეტის ზემო მოყვანილი სიტყვები თვით ხალხის გულიდგან არის ამოგლეჯილი, რომ ამ ხალხში ყოველ წამში ან ქმარია ავად, ან შვილი, ან და მოხუცი დედამთილი და საერთო კვნესა-მწუხარება გაისმის სამშობლო ქვეყნის ჰარეში, რომელიც თითქმის ერთ უზარმაზარ საავადმყოფოთ გადაქცეულა. სხვა და სხვა ადგილობრივი და არა ადგილობრივი ავადმყოფობა მაგრათ ჩაჰკვრია ჩვენს ხალხს და მუსრს ავლებს და ასუსტებს, როგორც მის ჯიბეს, ისე ჯანმრთელობას. დაუჯერებელია, მაგრამ სამწუხაროთ თითქმის მთელს სოფლებს საშინელი სენი — ჭლექი მოსდებია, მკვიდრად მოუკალათნია იქ, მამიდგან შვილზე გადადის, შვილიდგან შვილიშვილზე და ანადგურებს მათ. ამას ზედ დართვია ჭაობის, დამპალი ციებ-ცხელება (მალარია), ათას ნაირი სახით და მიმდინარეობით გაბჯენია იგი ჩვენი ხალხის სხეულს, ასუსტებს, აავადებს მას და უმრავლებს ერს უძლურ-უსარგებლო შვილთ. მათთვის მეგობრულად ხელი ჩაუკიდნია ჩვენში კარგათ ცნობილ ქრონიკულ შიმშილს და ათასგვარ მოარულებს, რომლნიც ყველა ერთათ სამშობლო ქვეყნის მიდამოებში მხიარულად და ძლევა-მოსილათ დაბრძანდებიან

და ამრავლებენ ეკლესიის ეზოში დამკვიდრებულთა რიცხვს. ყველგან, სადაც არ გაიხედავთ „სისხლი და ლალვა, და საჭურველი, და განსაცდელი, სიყმილი და შემუსვრილება და წყლულება“ წამოსკუპულა და „კვნესის ბეჩავი ნინუა“, და ამ ოხვრა-კვნესას დასასრული არა აქვს, რადგან „აწსაით უჩანს მკურნალი“.

ყოველივე ამაში საერთო მიზეზთა გარდა ჩვენი გონებრივი სიბნელეცაა დანაშაული. ხშირად ჩვენში არა თუ უბრალო მშრომელმა ხალხმა, რომელიც მუდამ უღელშია გაბმული „შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა პურისა“ არაფერი იცის მაზედ, თუ რას წარმოადგენს ჩვენი სხეული, როგორ არის იგი მოწყობილი, რა დამოკიდებულებაა თვითეულ მის ასოთა შორის, რა მოვალეობა აქვს ამ ასოებს ბუნებისაგან დაკისრებული და სხვა მრავალნი, არამედ თვით განათლებულთაც კი, ამ მარილთა და მნათობთა ამა ქვეყნისათა, ბევრი არაფერი გაეგებათ ამ მხრით, ხშირათ მათ გული კუჭისაგან ვერ გაურჩევიათ და ცრუ-მორწმუნეობა-უმეცრების ათასფეროვან ბადეში გახვეულნი, ბევრ ისეთ შეუსაბამო საქციელს ჩადიან, რომ კიდევ უფრო ასუსტებენ ტანმრთელობას და სხეულის ძალებს. მერმე და ყოველივე ამის ცოდნა ძლიერ საჭიროა ყველასათვის!

თუ საზოგადოთ ევროპაში ჯანმრთელობის შესახებ საკითხებს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, თუ იქ ბეჯითათ ცდილობენ მდაბიო ხალხში მეცნიერულ ნიადაგზე აღმოცენებული და დამკვიდრებული ჭეშმარიტი შემეცნება შეიტანონ, რომ ამით ამ ხალხის ჯანმრთელობას ათასნაირი საფრთხე აეცილონ და ეროვნული სიმდიდრის და სიმტკიცის დაგროვებას ხელი შეუწყონ, მით უფრო საჭიროა ეს ჩვენთვის, ჩვენისთანა პატარა ერისათვის, რომელიც ახლა გერათ არის მიჩნეული და მრავალი მტრები გარე მოგვადგეს ჩვენ და სიხარულით ქვეყნის პირიდგან აღგვას გვიქადიან! ამიტომ ყველა შეგნებული პირის ვალია, ვისაც ჩვენი ხალხის მომავალი

სწამს და აინტერესებს, და ვინც ჩვენ მტრებთან ერთათ მზათ არ არის მას „სულთათანა“ უგალობოს, ეცადოს ჯანმრთელობის შესახებ ჭეშმარიტი შემეცნების შეტანით და გავრცელებით ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხის აღორძინებას და მის ხორციელ თუ სულიერ სისაღეს და ძლიერებას. ასეთი ღვაწლი სწორეთ დროული იქნება. ჩვენ ხალხს ხომ დღესაც სწამს „ბატონები“, „ავი თვალი“, კუდიანები, ჭინკები, მღვდლის შეხვედრა და ათასი ამისთანა სისულელე და ცრუ-მორწმუნეობა. ეს ცრუ-მორწმუნეობა და გონებრივი სიბნელე არის მიზეზი, რომ ხშირათ ჩვენს ოჯახებში, ერთი ანდაზისა არ იყოს, სურდო სნებათ იქცევა ხოლმე და მრავალ ჭირს და მწუხარებას გვაყენებს. ბევრჯერ არც კი იციან, თუ რა ღუპავს ამა თუ იმ ოჯახის წევრს და თვითონ ამ ოჯახსაც. „მოკვდა თავის დღითაო“ დასწერს მღვდელი; ფათერაკის ბრალიაო იტყვის ჭირასუფალი და მორჩა და გათავდა! ცოდნა კი ძლიერ შეამცირებდა უბედურებათა რიცხვს და ფათერაკი და კუდიანიც გაჰქრებოდენ, ვითა სიზმარი ღამისა!..

გამოვდივართ რა ამ მოსაზრებებიდგან, ჩვენ განვიზრახეთ დრო გამოშვებით მოკლე საუბრები გავმართოთ **ჰიგიენიდგან** ჟურნალ „განთიადის“ ფურცლებზე“, რომ ამით მცირეც არის დავეხმაროთ მათ, ვისაც ასეთი საკითხები აინტერესებს, და დაინტერესებით კი ჩვენის აზრით ყველას უნდა აინტერესებდეს, რადგან „არავინ ხორცი თვისი მოიძულა, არამედ უვლის და ფუფუნებს მას“, ჯერ კიდევ ადრე უთქვამს დიდ მოძღვარს. და სწორეთ ამ ხორცის მოვლას უმეტეს შემთხვევაში ჯანმრთელობა და დღეგრძელობა მოჰყვება, ამას კი, თუ კაცი სულ მცონარებას და ბედოვლათობას არ მიეცემა სულის გაწვრთნა და გონების განვითარება, რაც ასე სასურველია როგორც კერძო პირის, ისეთ მთელი ერისათვის.

ჩვენ იმედი გვაქვს ჩვენი სოფლის ინტელიგენციის: სამღვდლეობის და სოფლის მასწავლებლების, რომელთაც ბედმა

უმადური, მაგრამ დიადი მოღვაწეობა არგუნათ, ჩვენის სურვილის განხორციელებაში დაგვეხმარებიან და, რასაც ჩვენ ჟურნალის ფურცლებზე მათ გადავცემთ, ისინი ხალხს წაუკითხავენ, განუმარტავენ, შეაგნებინებენ და ამ ნაირათ ხელიხელ ჩაკიდებით იქნებ განხორციელდეს ის დიადი საქმე, რომ ჭელსაც ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ეწოდება. შეგნებული თანხმობით კიდეც განხორციელდება, — ,,თანახმობითა დაეშენნეს სახლი შვილთაო", ტყვილა არ უთქვამთ ძველებს.

ჰ ი გ ი ე ნ ა.

შესავალი.

,,სიმთელე და ძლიერება უმჯობეს არს ყოველსა ოქროსა და ხორცი მთელი ვიდრეცა სიმდიერესა ურიცხვსა. არა არს სიმდიდრე უმჯობეს სიმთელესა ხორციელსა, და არა არს შვება უფროს სიხარულსა გულისასა''.

ისუ ზირაქი.

[თავი ლ: მუხლი იე, ივ.].

ჩემო მეგობარო! წინასაუბრებში*) შეძლებისა და გვარათ ვეცადე გამეცნო შენთვის ადამიანის აგებულება, მისი ასოების ადგილმდებარეობა და შენობა (ანატომია), თვითეული ასოს დანიშნულება და ბუნებისაგან მაზე დაკისრებული მუშაობა, მისი ფუნქციები (ფიზიოლოგია), ახლა დროა შევისწავლოთ ისიც, თუ რა პირობებია საჭირო, რომ ადამიანის

*) იხილე 1912 წ. „განათლება'' №№ 1—12.

სხეულის ყველა ძალები კარგათ განვითარდეს, მისი დანიშნულება საუკეთესოთ სრულდებოდეს, რომ მის ჯანმრთელობას ყოველ ფეხის გადადგმაზედ საფრთხე არ ელოდეს და არ ირღვევოდეს. ყოველივე ამას ის მეცნიერება გვასწავლის, რომელსაც „ჰიგიენა“ ქვეან. ჰიგიენა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სწავლას ჯანმრთელობის შესახებ. ჰიგიენა ჯამრთელობისთვის საუკეთესო გზას გვიჩვენებს და გავივლით თუ არა მაზე, ჩვენი საქმეა. გავლით კი უსათუოთ უნდა გავიაროთ რადგან განათლებული ქვეყნების მაგალითმა ახლა ყველა დაარწმუნა, რომ ჰიგიენის მოთხოვნილობების ასრულებას ხალხისათვის დიდი სასიკეთო შედეგი მოჰყვება, კიდევ უფრო მეტი, ვინემ მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებულ ექიმობას—მედიცინას. ექიმობას კერძო პიროვნება აქვს მხედველობაში, ის მხოლოდ მის მორჩენას და გადარჩენას ცდილობს. ჰიგიენა კი მარტო კერძო პიროვნებით არ კმაყოფილდება, იგი ამა თუ იმ მხრის, ამა თუ იმ ერის და მაშასადამე, მთელი ქვეყნის, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობაზე ფიქრობს და სარგებლობა მოაქვს ათასი და ათიათასი ბევრეული ერისათვის, ქმნის რა მათვის საუკეთესო მერმისს. მან დაგვანახვა, რომ ავადმყოფობა და სიკვდილი ასეთ ქვეყნებში შემცირდა და ხალხის დოვ ათმაც იმატა. სნეულება ხომ ხალხის ჯიბეს აცარიელებს და აღარიბებს! ჰიგიენა გვეუბნება, რომ ადამიანს ქვეყნათ ესაჭიროება: ჰაერი. რომ ისუნთქოს, წყალი რომ სხეულის მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, საჭმელი, რომ მას საარსებო ძალა მიეცეს, დედა მიწა—ნიადაგი, რომ ზედ დაემკვიდროს, სახლი, რომ შიდ თავი შეაფაროს, ტანსაცმელი, რომ ტაროსის ცვალებადობას გაუძლოს და შეეგუოს და სიტიტვლეც დაიფაროს, სინათლე და სითბო, რასაც მზისაგან ღებულობს და რასაც აგრეთვე ხელოვნურათ ქმნის. შემდეგ თვითეულ ამას განსაკუთრებულ მოთხოვნილებას უყენებს. ჩვენც ამისდა მიხედვით შევუდგეთ იმის შესწავლას, თუ როგორი უნდა იყოს ჰაერი ან დანარჩენი პირობები, რომ

ადამიანს ქვეყნათ ცხოვრება სიმწარეთ და ვაი-უბედურობით არ გადაექცეს.

დავიწყოთ ჰაერიდან.

ჰაერი.

ადამიანის ქვეყნათ არსებობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჰაერი. ჰაერს, რომელიც მთელ დედამიწასთან ერთათ ჩვენც გარშემო გვარტყია, სხვა ნაირათ ატმოსფერას უწოდებდენ. ეს ატმოსფერა ერთნაირი ნივთიერებისაგან კი არ შესდგება, მასში რამოდენიმე შემადგენელი ნივთიერებაა. ყველაზედ საჭირო და უპირველესი ამათში მჟავბადია. მჟავბადი ქვეყნათ სიცოცხლის წყარო და დასაბამია. უმისოთ არც ერთ ცხოველს, არც ერთ მცენარეს ზრდა და არსებობა არ შეუძლია. უმჟავბადოთ სხეული მოიწამლება, მოიგუდება მოკვდება. მისი რაოდენობა ჰაერში $^1/_5$ ან 20% უდრის. იგი უსუნო და უფერული ჰაერგვარი, ანუ, როგორც მეცნიერულ ენაზე ამბობენ, გაზია. ჩვენს სხეულს მჟავბადი სულთქმის დროს მიუდის. პირველათ ის ფილტვებში ჩადის. აქ იგი სისხლის წითელ სორსლებს უერთდება, ახალისებს მას, უვლის ჩვენს აგებულებას, და აძლევს მას მუშაობის და შემოქმედების ძალას და ენერგიას. ადამიანის სხეულის უჯრედები სისხლისაგან მიტანილ მჟავბადს თითონ იტოვებენ და ნაცვლათ, მათთვის უვარგისს, ნახშირის სიმჟავეს აძლევენ. ეს უკანასკნელი სხეულის შემოქმედებისა და საჭმელის მონელებისა გამო გროვდება. ამიტომ არტერიების, გულიდან მიმავალი, სისხლი ყოველთვის ღია წითელი ფერისაა (მჟავბადი ღებავს იმას) და ვენების, უკან მოქცეული და გულისკენ მიმავალ კი შავი (გაჟღენთილია ნახშირის სიმჟავით). დღე და

ღამეში საშუალო რიცხვით ადამიანისათვის 800—1000 გრამ-მი ან ორ გირვანქა ნახევარი მჟავბადია საჭირო. ტყვილა ყოფნის დროს ცოტა ნაკლები, მაგრამ გარჯისა და მუშაობის დროს კი ბევრათ უფრო მეტი. ამონასუნთქი ჰაერში დაახლოებით 5,30/0 ნაკლებია ჩანასუნთქზე, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ადამიანს გარდა ცხოველები და მცენარენიც მრავლად ხარჯვენ მას, ჰაერში მისი რაოდენობა მაინც არ კლებულოს, ვარ ილევა და ადამიანსაც არავითარი საფრთხე არ მოელის ამის გამო. ეს იმიტომ რომ მჟავბადი ისევ მალე გროვდება ჰაერში. მას აგროვებენ და ჰაერსვე უბრუნებენ მცენარეების მწვანე ფოთლები და მზის სინათლე, აგრეთვე თვით ჰაერის მოძრაობაც.

როდესაც მჟავბადის რაოდენობა ჩვენს გარშემო ჰაერში იკლებს, სხეული თითონ ცდილობს დანაკლისი გამოასწოროს ღრმად მოჩქარებული სულთქმით და ენერგიული გულის ცემით. ცუდი დღე ადგება ადამიანს თუ რომელიმე ადგილებში, მაგ. სარდაფებში, მჟავბადის რაოდენება 12-11% დავიდა და კიდევ უარესი, თუ იგი 7% შეიქნა. ამას კი ველარ უძლებს ადამიანი და დაუყონებლივ კვდება.

მჟავბადის მონათესავეა და მასთან ახლოს დაგს ერთი ჰაერგვარი, რომელსაც ოზონი ეწოდება. იგი მჟავბადის ცვალებადობას წარმოადგენს, თითქმის შესქელებული მჟავბადია და უფრო მეტი ძალა აქვს, ვინემ პირველსა, თუმცა მჟავბადის მაგივრობის გაწევა არ შეუძლია. იგიც უფერულია და განსაკუთრებული, თავისებური სუნი აქვს. ჰაერში იგი მაინცდამაინც ბევრი არ არის, უფრო მეტია გაზაფხულზე და ზაფხულში ვინემ სხვა დროს. სოფელში მეტია, ვინემ ქალაქში ტყეში ხომ მეტია და მეტი. წვიმა, ქუხილი, თოვლი, ნისლი ამრავლებს ოზონს. უკანასკნელ ხანებში ოზონს სასმელი წყლის დასასუფთავებლათ ხმაროობენ. ფიქრობენ, ამის გამო წყალი მიკროორგანიზმებს დაჰკარგავს და ჯანმრთელობისათვის უვნებელი გახდებაო.

მჟავბადს და ოზონს გარდა ჰაერში ნახშირის სიმჟავეც ურევია. ნახშირის სიმჟავე უფერული და უსუნო ჰაერგვარია. ეს გაზი მზადდება ვულკანებში, მიწის ზედა პირზედ სხვადასხვა ნივთიერების ლპობისა და გახრწნისა გამო, ადამიანის და ცხოველების სუნთქვის დროს, და შეშისა და სანთლების წვის დროს, მაგრამ მაინც მისი რაოდენობა ჰაერში მაინცდამაინც დიდი არ არის. ჰაერის 1000 ნაწილზე სამი მეათეული (0,3) ნაწილი ნახშირის სიმჟავე მოდის სოფლებში და ოთხი მეათედი ქალაქებში. მისი რაოდენობა ვერ იმატებს, რადგან ბუნებაში ყოველივე გონივრულათ არის მოწყობილი. მცენარეების მწვანე ფოთლები დღისით თავისკენ იზიდავენ ნახშირის სიმჟავეს, იჟღენთებიან მით და ანთავისუფლებენ მჟავბადს. ღამით კი წინააღმდეგს სჩადიან. მჟავბადს ისვამენ და ნახშირის სიმჟავეს ანთავისუფლებენ.

ნახშირის სიმჟავე ადამიანთა საცხოვრებელ ბინებშიაც ჩნდება. აქ მას ზემო თქმულ გარემოებას გარდა (ადამიანთა სულთქმა, შეშის და სანთლების წვა) მტვერის, ნაგვის და სხვა და სხვა ნივთიერების ლპობა და გახრწნა აჩენს. მართალია, ბინებში ჰაერი ისე მალე ვერ იწმინდება და ახლდება, როგორც გარეთ, მაგრამ ნახშირის სიმჟავე მასში ძვირად გროვდება იმდენი, რომ ამით ადამიანი მოიწამლოს, თუმცა არის ასეთი შემთხვევებიც. საზოგადოთ მიღებულია, რომ, როდესაც სუნთქავ, თუ ჰაერში ნახშირის სიმჟავე 1% აღემატება, —ჰაერი ცუდ და მავნებელად უნდა ჩაითვალოს. ასეთ ჰაერში ადამიანს გულზე ეზიდება, თავი ტკივა, გრძნობა ეკარგება და ასეთი შემთხვევები თუ დიდ ხანს გაგრძელდა ადამიანის სხეული თანდათან სუსტდება და ველარ უძლებს სხვადასხვა მავნებელ ავადმყოფობას და უძლურებასა...

არის კიდევ ჰაერში ერთნაირი ჰაერგვარი, რომელსაც აზოტი ეწოდება. იგი ძლიერ გავრცელებულია ბუნებაში. მას ადამიანის ჯანმრთელობისათვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა როდი აქვს. იგიც უფერული და უსუნო გაზია.

ზემო ჩამოთვლილ ჰაერის შემადგენელ ნაწილებს გარდა, ატმოსფერაში მუდამ გაფანტული, გარეულია წყლის ორთქლი. ორთქლს აჩენენ ზღვები, ტბები, მდინარეები და მდიდარი მცენარეულობით შემოსილი ადგილები. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ ადგილების ახლო ჰაერი უფრო ნესტიანია, ვინემ იქ სადაც ასეთები არ მოიძევა, მაგ. უდაბურ და ხრიოკ ადგილებში. მაგრამ სინესტით ჰაერის გაჟღენთვასაც თავისი საზღვარი აქვს, რომელსაც ის ვერ გადაცილდება. რაც უფრო თბილია ჰაერი მით უფრო მეტი წყლის ორთქლი, სინესტე შეუძლია დაიტიოს მან, და რაც უფრო გაცივდება—ამ თვისებასაც თანდათან ჰკარგავს იგი. წყალი ამ დროს ორთქლის სახეს ჰკარგავს და ჩნდება ნისლი და ღრუბლები. კიდევ მეტი,—გაცივების შემდეგ წვიმა, თოვლი, სეტყვა და სხვანი. ჰაერის სინესტეს, მის წყლის ორთქლით საკმაოთ დაყურსვას, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ჯანმრთელობისათვის. უნდა შევნიშნოთ, რომ სხეულის ზედაპირზე მუდამ ამოდის ორთქლათ ქცეული წყალი. ამას გარდა ესეთივე წყალი, ორთქლის სახით, ამოგვაქვს ყოველ ამოსუნთქვის დროს. ამ ორივე გზით წყნარათ ყოფნის დროს ამოგვაქვს გარეთ 900 გრამი ან 2¼ გირვანქა წყალი. აქედგან 600 გრამი ამოგვაქვს კანის საშვალებით და 300-კი ფილტვების. კანს წყალი საოფლე ჯირკვლების საშვალებით ამოაქვს. ამ ჯირკვლების მოქმედება დამოკიდებულია გარეთ ჰაერის ტემპერატურასა და სხვადასხვა შინაგან მიზეზებზედ. როცა სითბო მეტია, როცა ბეჯითათ და გამალებით ვმუშაობთ, როცა სულიერ მღელვარებას განვიცდით, როცა მაგარს, ან უფრო ხშირათ, როცა ცხელს წვნიან საჭმელს ვღებულობთ, ოფლის დენა იმატებს. წყნარათ ყოფნის დროს, თხელ ტანისამოსში იგი იკლებს; როდესაც გარეთ ჰაერის სინესტე იმატებს ოფლის დენა გრძელდება, მაგრამ სამაგიეროთ მისი ორთქლათ ქცევა კლებულობს, რის გამოც ოფლი ამ დროს ცვარა-ცვარა გადგება, რასაც ძლიერ კარგათ

ვგრძნობთ ჩვენს ტანზე და ტანსაცმელზე. როცა ჰაერი მეტათ მშრალია, ოფლი ბლომათ გამოდის, და მალე ორთქლად იქცევა, ამის გამო კანი შრება, ხმება და სკდება. აეევე ემართება ადამიანს ძალიან თბილ ოთახში. დიდი სიცხის დროს, ოფლისა და წყლის ჩქარი აორთქლების გამო ადამიანს წყურვილიც აწუხებს... ზომიერათ ნესტიანი ჰაერი ნელნელა თბება და ნელნელათვე ცივდება. ჰაერის ამ თვისებისა გამო შესაძლებელი ხდება დღე და ღამის ტემპერატურის ცვალებადობა. ზედმეტ ნესტიან ჰაერში მიწის ზედა პირი სველია, რის გამოც მტვერი ნაკლებათ დგება. ეს უმნიშვნელოა, როდის ჩვენი ჯანმრთელობისათვის. ნესტიანი ჰაერი ხელს უწყობს მცენარეულობის გავრცელებას, მის სიმდიდრეს და მრავალ ფეროვნებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰაერის და ნიადაგის საღყოფაში. მაგრამ გადაჭარბებულ სინესტეს თავისი უარყოფითი მნიშვნელობაც თან სდევს, რასაც შემდეგი საუბრების დროს დავინახავთ.

მაგრამ ყოველივე ზემო თქმული ნაწილები ჰაერში საჭირო და თითქმის აუცილებელია. ესევე არ ითქმის იმ ნივთიერებაზე, რომლის ჰაერში გარევა და არსებობა მხოლოდ აბინძურებს იმას და უმეტეს შემთხვევაში აფუჭებს, მავნებელად ხდის. ასეთია ის სხვადასხვა ჰაერგვარი, ან გაზები, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ ჩვენს ჯამრთელობასთან დაასუსტებენ, სწამლავენ მას ხანგრძლივი ზედმოქმედების შემდეგ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევათ ისეთ ჰაერგვარებს რომელნიც ჰაერში გარევის შემდეგ აძლევენ მას ჩვეულებრივ სუნს. იგინი აღიზიანებენ ჩვენს ყნოსვას და მისი საშვალებით ნერვებსაც—ტვინში. ასეთ არა სასიამოვნო სუნს ჩვენ ვხვდებით ქარხნებში, ზარულებში, საცხოვრებელ ბინებში, სადაც სისუფთავე მაინცდამაინც ვერ არის ჯეროვნათ დაცული და სადაც ხალხიც მჭიდროთ ცხოვრობს. ეგი წარმოსდგება სხვადასხვა ნივთიერების გახრწნისა და ლპობის გამო და იწვევს თავის ბრუალს, უმადობას, კუჭ-ნაწლევების

ა'ბლილობას, სისხლ ნაკლულევანებას და საერთო მოდუნებას. თუმცა ზოგიერთი ყოველივე ამას ისე ეჩვევა, რომ ველარც კი გრძნობს შემდეგში.

მაგრამ არც ამით თავდება ჰაერის გაბინძურება. ხშირათ მასში ურევია მტვერი და მიკროორგანიზმები. მტვერი შეიძლება იყოს ორგანიული და არაორგანიული*). ეს უკანესკნელი ჩნდება, მიწის, ქვების ნაფხვენების, სახლის სახურავების და კედლების ჩამოშლისა გამო. იმ ადგილებში, სადაც ქარხნებია ბლომათ ჰაერში მოიძებნება მური და კვამლი. ქვანახშირის მაღაროებში ნახშირის, მარგანეცისაში (შავიქვა) მარგანეცის მტვერი. ლითონების დასამუშავებელ ქარხნებში ამ ლითონების მტვერი და სხვა...

ორგანიული მტვერის წყაროა და დასაბამია ადამიანთა და ცხოველთა განავალი: შარდი, ნაფურთხი, ტანისამოსი, საჭმელი და საზოგადოთ მცენარენი და ყოველი საგანი, რომელთაც კი შეუძლიათ პატარ-პატარა, თვალით უხილავი ნაფხვენ-ნაწილაკები დაჰყარონ.

როგორც ზევითაც ვთქვით, ჰაერში ბლომათ არის გაფანტული ბაკტერიებიც. ისინი ეკუთნიან მცენარეთა და განვითარების სულ დაბალ საფეხურზე მდგომ ცხოველთა. მათში უფრო ხშირათ ჰაერში ობის სოკოები მოიპოება. ჰაერიდგან იგინი მათთვის სასარგებლო ნიადაგზე დაედინებიან და აჩენენ ობს. ობის გარდა ჰაერში ლპობის და რძის დამმამჟავებელი სოკოები და აგრეთვე სხვადასხვა გადამდებ სენთა წარმომშობი მიკროორგანიზმებია.

საზოგადოთ ჰაერის ძირა ფენები უფრო გაჟღენთილია მტვერით და მიკროორგანიზმებით, ვინემ ზევითა. ეს იმიტომ რომ დედამიწის ნიადაგი წარმოადგენს მტვრის წყაროს და

*) ორგანიულს უწოდებენისეთ ნივთიერებათ, რომლებშიაც ბლომათ არის ნახშირმბადი, და შეუძლიათ წვა, რადგან ამ ნივთებისაგან შენდება უმთავრესათ მცენარეულობის და ცხოველების სხეული. არაორგანიული კი ისეთებს, რომლებიც უმთავრესათ საამისოთ ვერ გამოდგებიან.

დასაბამს. რაც უფრო მშრალია ჰაერი, მით უფრო შრება მიწის ზედა პირი და მეტიც კეთდება მტვერი. როცა ასე არ არის მტვერი იკლებს. ზღვის ჰაერი თითქმის სულ თავისუფალია მტვერისაგან. სოფელში უფრო ნაკლებია მტვერი, ვინემ ქალაქში, ეს იმიტომ რომ ქალაქში განუწყვეტელი მოძრაობაა, რაც მტვერის წარმოშობას ხელს უწყობს.

რა მნიშვნელობა აქვს მტვერს ჩვენი ჯანმრთელობისათვის? მტვერი აბინძურებს ჩვენს გარშემო მყოფ ჰაერს, ამ ჰაერს ვისუნთქავთ და სუნთქვასთან ერთათ ჩაგვაქვს მტვერად მიკროორგანიზმები ცხვირში, პირში და ფილტვებში. არაორგანიული მტვერი კაწრავს და აღიზიანებს ჩვენი სასუნთქავი ორგანოების ლორწოიან გარსს და იწვევს იქ დაფარულს, მაგრამ გვარიან მავნებელ ცვლილებებს, რითაც ნიადაგი უმზადდებდა სხვადასხვა ავადმყოფობას. შენიშნულია, რომ ზოგიერთი ხელობის (პროფესიის) დროს მტვერი ტენის, ავსებს ფილტვების ნახვრეტებს, (ქვის მტეხელები, მაღაროებში მომუშავენი და სხვანი) და მშვენიერ ნიადაგს უმზადებს ჭლექს. ზოგჯერ მტვერი კიდეც წამლავს ადამიანს.

ორგანიულ მტვერს სხვა თვისებაცა აქვს. იგი, როგორც გარეთ ჰაერში, ისე ჩვენ აგებულებაში ჩასული წყებულობს ლპობას და ხრწნას, რითაც ჯერ სასუნთქავ ჰაერს აფუჭებს და მერმე თვით სხეულსაც სწამლავს... ამ ორივე დარგის მტვერზე ჩვენი ჯამრთელობისათვის უფრო საშიშარი და მავნებელი მიკროორგანიზმებია; ამათში განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც ჩვენ სხეულში ჩათესლების შემდეგ იქ სხვადასხვა ავათმყოფობას იწვევენ. ამის შემდეგ მე მგონია მიხვდები, საცხოვრებელ ბინებში დაგროვილი მტვერი რავდენათ ვნებს ჩვენს სისაღეს, ჩვენს ჯანმრთელობას. ხშირად იგია პირდაპირი მიზეზი ჭლექის გაჩენის და გაძლიერებისა. სადაც საცხოვრებელი ბინების ჰაერი გაჟღენთილია მტვერით, იქ ჭლექი მკვიდრათ ეკალათება და ვაგლახათ გამოსვლას აღარ აპირობს.

საზოგადოთ ჰაერის მნიშვნელობა ჩვენთვის და ჩვენი ჯანმრთელობისათვის ყოველივე ზემოთქმულითაც არ თავდება. ჰაერი მუდმივ მოძრაობაშია. ეს მოძრაობა მზის სხივებისაგან მისი ფენების გათბობა-გახურებაზეა დამოკიდებული. ჰაერში გავლილი მზის შვეული სხივები უტოვებენ მას სითბოს. შემდეგ მიწაზე ეცემიან, მიწა მზისგან მიღებულ სითბოს უკან აბრუნებს და ჰაერის ძირა ნაწილებს აძლევს. ჰაერი თბება. თბილი ჰაერი თავის წონით მსუბუქია, ცივი კი მძიმე. ყოველი მსუბუქი რამ მაღლა-მაღლა იწევს. ასე ემართება ჰაერსაც, იგიც ზევით მიდის და მის ადგილს ცივი ჰაერი იჭერს. ამ ნაირათ ჰაერი განუწყვეტელ მოძრაობაშია, მაგრამ ამას ჩვენ ხშირათ ვერც კი ვტყობილობთ. ზოგჯერ კი ჰაერის მოძრაობა უფრო ძალოვანია, ადვილი შესანიშნავი. ამას ქარს ვეძახით. ქარი სხვადასხვა ნაირია: სიო, როდესაც ჰაერი მოძრაობა ერთ წუთში 1—2 არშინის მანძილს უდრის. ამ დროს მცენარეულობის პატარ-პატარა, ფოთლები მოძრაობენ. საშვალო ქარი, ხეების პატარა ტოტებია მოძრაობაში, ჰიერი 6—12 არშინს გარბის ერთ წუთში. ძლიერი ქარი, ხეების მოზრდილი ტოტები და ხის ტანიც ირხევა, 20-30 არშინს; ქარიშხალი, ქარი ხეებს ამტვრევს, სახლებიდან სახურავებს გლეჯავს, გარბის 45-50 არშინს, და გრიგალი, ხეებს ძირიანა გლეჯავს, 60 არშინს გარბის ერთ წუთში. ქარი წმინდავს ჰაერს, მიაქვს იქიდგან შორს სხვადასხვა გაზები, მტვერი, მიკროორგანიზმები და კვამლი. სამაგიეროთ ზღვებიდგან, ტყეებიდგან და მთა-გორებიდგან სუფთა ჰაერი და ყვავილთა სუნნელება მოაქვს. ამის გამოა, რომ მჟავბადის რაოდენობა ბუნებაში არ კლებულობს, ყოველგან ერთნაირია. ქარის მაგივრობას საცხოვრებელ ბინებში ასრულებს ჰაერის გაწმენდა კარების და ფანჯრების დაღების. საშვალებით. ქარსავე მოაქვს ჩვენკენ ღრუბლები, წვიმა და თოვლი. საზოგადოთ მისგან სწარმოობს ტაროსის ცვალებადობა. ქარზედვეა დამოკიდებული სხვადასხვა ქვეყნების ჰავა და ტაროსი; ჩრდილოეთის

ქარს სიცივე მოაქვს, სამხრეთისას სითბო. აღმოსავლეთისას სიცხე და გვალვა, და დასავლეთისას კი ნესტი და წვიმა. ზაფხულში ქარი სიცხის გადატანას გვიადვილებს, ზამთრობით კი სიცივეს აძლიერებს. უქაროთ 15 გრადუსიანი ყინვა უფრო ადვილი გადასატანია, ვინემ 5 გრადუსი ქარში. გვალვის დროს ქარი მტვერის კორიანტელს აყენებს და მიაქვს შორს. მტვერი კი ჰაერს აბინძურებს.

ჰაერის მოძრაობის გარდა ჩვენი ჯანმრთელობისთვის მის სითბოსაც ან მის ტემპერატურასაც მნიშვნელობა აქვს. ტემპერატურას ტყობილობენ განსაკუთრებული იარაღით, რომელსაც სიცხის საზომს ან ტერმომეტრს ეძახიან. ტერმომეტრის გასაკეთებლად სარგებლობენ სპირტის ან ვერცხლის წყლის ერთნაირის თვისებით, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ აღებული ნივთიერება სითბოში მოიმატებს, გრძელდება, და სიცივეში იკლებს, იკუმშება. ვერცხლის წყალს, გინდა სპირტს ასხამენ მინის ვიწრო მილში, რომელსაც ძირა თავი უფრო დაწვრილებული და მომრგვალებული აქვს, ზევითა კი გადალესილი. ამ მინის მილზე ხაზები, ეგრედწოდებული გრადუსებია აღნიშნული, რასაც ალაგ-ალაგ მოწერილი ციფრები გვამცნევს. ამ იარაღით ზომავენ სითბო-სიცივეს. სიცხის დროს მილში ვერცხლის წყლის სვეტი გრძელდება, ზევით-ზევით მიცურავს, და ხაზი სადაც ის გაჩერდება გვიჩვენებს რამდენი სითბო ან სიცხე აქვს ამა თუ იმ ცხოველს და ნივთებს. ტერმომეტრის მოსაწყობათ, მის გრადუსებათ დასაყოფათ საჭიროა წყლის გაყინვის და მისი დუღილის წერტილის, საზღვრის ცოდნა. ეს ისეთი წერტილებია, სადამდიდაც დადის სპირტი ან ვერცხლის წყალი, თუ ტერმომეტრს მდნობარ თოვლში ან მდუღარე წყალში მოვათავსებთ. ამ ორ წერტილს შუა მყოფი მანძილი არსებულ ცელსის ტერმომეტრში, რომელიც თითქმის ყველგან იხმარება, გაყოფილია 100 ნაწილად, რეომიურისაში 80-ათ და ფარენგეიტისაში კი, რომელიც ინგლისშია ხმარებაში, 180 თანასწორ ნაწილად, ან როგორც

უკვე ვთქვით, გრადუსებათ. იმ დროს როდესაც ცელსის ტერმომეტრი 10 გრადუსით სიცხის აწევას გვიჩვენებს, რეომიურის ტერმომეტრით ეს 8 იქნება და ფარენგეიტისათი კი 18. ცელსის და რეომიურის ტერმომეტრებში გაყინვის წერტილზე ზის 0 (ნოლი). ამას ზევით დაყოფილი ნაწილები სითბოს გვიჩვენებენ, რის გამოსახატავათაც ხმარობენ შემდეგ ნიშანს (+), ამას ქვევით კი სიცივეს, მისი ნიშანია (—). ფარენგეიტის ტერმომეტრზე ამ ადგილას 32 გრადუსია, ასე რომ დუღილის წერტილი იქ 212 გრადუსს უდრის. გრადუსის შემოკლებით გამოსახატავათ ხმარობენ (°) ნიშანს და უმატებენ დასაწყისს ასოს იმ ტერმომეტრისას, რომლითაც გაზომეს ტემპერატურა. მაგალითად 38 გრადუსი სითბო ცელსის ტერმომეტრით გაზომილი შეიძლება მოკლეთ გამოვხატოთ ასე +38° C. 13 გრადუსი ყინვა რეომიურის ტერმომეტრით ასე—13° R.

ჰაერის ტემპერატურა უმნიშვნელო როდია ჩვენი ჯანმრთელობისათვის. თვით ადამიანის სხეულის სითბო ცელსის ტერმომეტრით 37° უდრის. სხეულში სითბო საჭმლის მიღებისა და მონელებისაგან წარმოსდგება, ჩნდება, მაგრამ ერთსა და იმავე დროს იგი კიდევაც იხარჯება. უმთავრესად კანი და ფილტვები ხარჯავს მას. ჩვენი ჯანმრთელობისათვის ის არის კარგი თუ სითბოს დამზადება და მისი დახარჯვა სხეულში თანაბრად სწარმოებს, თორემ მისი მომატება ძლიერ მავნებელი შეიქნება ჩვენთვის. რაც უფრო ცხელია გარეთ ჰაერი მეტ სითბოს კარგავს სხეული სულთქმის და კანის საშვალებით, ოფლის დენით. ამით სხეული თვითონვე ცდილობს საშიშროებას თავი დაახწიოს. ზედმეტი სითბოს დაგროვება ადამიანის სხეულში, მისი გახურება ძლიერ მავნებელია ჯანმრთელობისათვის.

როდესაც მზე ან სხვა რაიმე სითბოს წყარო ძალზე ახურებს ადამიანს, შეიძლება მას წვეთი დაეცეს. ამ დროს მას

პირისახე უწითლდება, თავის ტკივილი უვარდება, იგი იგუ-
დება, გრძნობას კარგავს, და მოწყვეტილივით ძირს ეცემა.

ასე მოსდით ხშირად ჯარის კაცებს გამალებული მოძ-
რაობის დროს. ამიტომ დიდ სიცხეში ყოველთვის უნდა ერი-
დოს კაცი ზედმეტ მოძრაობას და გამალებულ მუშაობას. სიც-
ხეზე უფრო ადვილად ადამიანი სიცივეს იტანს, თუ მას შე-
საფერი ტანისამოსი აცვია, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ზო-
გიერთი ადგილები, ფეხები, ხელები, ყურები, ცხვირი, მოე-
ყინვება, და შესაძლებელია სულაც გაიყინოს სასიკვდილოთ.
სიცივის დროს სხეული მეტ სითბოს კარგავს და ამიტომ მე-
ტიც უნდა შეიმუშაოს და დააგროვოს. ამისთვის კი საჭიროა
მეტი სასმელ-საჭმელი და მოძრაობა, ვინემ ჩვეულებრივ.

საცხოვრებელ ბინებში ჩვენთვის სასარგებლო სითბოთ
14-15 გრადუსი უნდა ჩაითვალოს. ზამთრობით ასეთ ოთახიდ-
გან გამოსულნი ხშირად გვარბიან სიცივეს ვიტანთ, მაგ. 8-15
გრადუსამდე ჩვენში და 20-30 გრადუსამდე, და კიდევ მეტს
რუსეთში. აქიდგან ცხადათ სჩანს, რომ ჩვენს სხეულს ჰაერის
გვარიანი ცვალებადობის ატანა შეუძლია. მთელ სხეულში
მრავლად მოქცეული სისხლის სადენი მილები ფართოვდებიან
სიცხეში და ვიწროვდებიან სიცივეში. გაფართოებულ მილებში
ბლომათ მოსცურავს სისხლი და აძლევს გარეთ ჰაერს სითბოს
კანის საშვალებით და საოფლე ჯირკვლებს სითხეს ოფლის
შესამზადებლად. ორთქლად ქცეული ოფლი ანელებს სითბოს
და აგრილებს სხეულს. ამნაირათ სიცხის დროს ენერგიულად
ვკარგავთ სითბოს კანის საშვალებით. სამაგიროთ სიცივის
დროს სისხლის სადენი მილები ვიწროვდებიან და უნახავენ
სითბოს ჩვენს სხეულსა. ამ სისხლის სადენ მილების გონივ-
რულ მოქმედებას, როგორც ეს წინა წერილშიაც გითხარით,
განაგებენ განსაკუთრებული ნერვები. ეს ნერვები და მილები,
მათი ასეთი თვისება, შეიძლება ამ საქმეში განგებ გაივარ-
ჯიშოს კაცმა, შეიძლება მიაჩვიო იგინი ტემპერატურის,
სითბო-სიცივის სხვადასხვაობას და ამით უზრუნველჰყო

სხეული გაცივებისაგან. ამისთვის საჭიროა ყოველ დღიურათ ცივ წყალში დასველებული ტილოთი ტანის დაზელვა და ამავე წყლის ტანზე გადავლება, სუფთა, გრილ ჰაერზე სეირნობა, ოთახში მსუბუქ ტანისამოსით ყოფნა და იქაური ჰაერის განახლება. სხეულის ძალზე დათბუნვა და გასათუთება საჭირო და სასარგებლო არ არის.

ჰაერს ყველა ამ თვისებებთან ერთად აქვს კიდევ თავისი სიმძიმე ან წონა, დედამიწას ჰაერის გვარიანი სქელი რკალი არტყია გარშემო (70 ვერსტი) და ჩვენც გვარიანი სიმძიმით გვაწვება ყოველის მხრიდგან, მაგრამ ჩვენ ვერა ვგრძნობთ ამასა. ეს იმიტომ, რომ ჰაერი ყოველი მხრიდან თანაბრათ გვაწვება და ჩვენს ფილტვებში და კუჭშიდაც შედის, სხეული მის გამო არ ბრტყელდება და არ იმჩნევს ამ სიმძიმეს.

დაბოლოს, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს წვიმას და თოვლსაც, რომელიც იმავე ჰაერის ცვალებადობისაგან წარმოსდგება. წვიმის წყალს და დამდნარს თოვლს ისვამს მიწა, იჟღენთება მით, აგროვებს მას და ჩნდება წყაროები, რომლებსაც ჩვენ ვხმარობთ, წყაროები აჩენენ ნაკადულებს და მდინარეებს. ასველებს ნიადაგს და ქმნის მცენარეულობისათვის საჭირო სინესტეს. წვიმა წმინდავს ჰაერს, აშორებს რა იმას მტვერს და მიკროორგანიზმებს, რეცხავს სახლის სახურავებს, ქუჩებს, მიწის ზედა პირს, მიაქვს მტვერი და ტალახი. სიბინძურე, ნაგავი და მრავალი ბაკტერიები და აშორებს ყოველივე ამას ხალხთა მოსახლეობის ალაგს.

ჰაერის ყოველივე ზემოთქმულ ცვალებადებისაგან და მთლად მისი თვისებებისაგან ვღებულობთ იმას, რასაც ჩვენ ტაროსს ვეძახით. ჰაერის თვისებების საერთო წლიური ჯამისაგან კი ჰავას ან კლიმატს. დედამიწის სხვა და სხვა ადგილებს ან კუთხეებს თავისი ჰავა ან კლიმატი აქვს. დედამიწის პოლიუსებთან ცივი ჰავაა. ეკვატორზე ცხელი, ტროპიკული. ამათ შუა კი ზომიერი. არჩევენ აგრეთვე ზღვის ჰავას ზღვების ახლოს, მატერიკისას—ხმელეთზე და მთებისას—მთებზე.

ზღვის ჰავა მსუბუქი და თანაბარია. იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი ჰავაა, ზამთარი მაინცდამაინც მკაცრი არ იცის. ზაფხული ცხელი როდია. ბევრი იცის წვიმა და ღრუბლები. მატერიკის, ხმელეთის ჰავა სულ სხვანაირია, იქ ზამთარი ძლიერ ცივია, ზაფხული ძალიან ცხელი და ტაროსიც მოულოდნელათ იცვლება.

ასე ჩემო მეგობარო! ჩვენი ქვეყნათ არსებობისათვის აუცილებლათ საჭიროა ჰაერი, თავის მეავბადით, მაგრამ ჩვენ და სამწუხაროთ ეს ჰაერი ზემოდასახელებული სახით არის ხოლმე გაბინძურებული და სიკეთესთან ვნება და მწუხარებაც ბევრი მოაქვს ჩვენთვის. ჰიგიენის დანიშნულებაა სწორეთ ისეთ ზომების გამოძებნა და სწავლება, რომ გონიერ და შესმენილ ადამიანს ვაი და მწუხარება სიხარულათ შეცვალოს. როგორ და რანაირათ ამას შემდეგი საუბრებიდან დავინახავთ.

ექიმი ევსევი გ. ლოსაბერიძე.

შინაური მიმოხილვა.

ქართველების დიდი დაბეჩავება, განუზომელი სიღარიბე ისეთი დიდათ-დიდი სატირელი, სავალალო საგანია ყოველი წრის, ინტელიგენციის ყველა მიმართულების, ქალისა და კაცის, ჭაბუკისა და მოხუცისთვის, რომ, ჭეშმარიტად, აღარ იცი, საიდან მოუარო ამ საგანს, რომელ მხრიდან დაუწყო მას კვლევა, რომ გულ დაჯერებული სამოთხის კარების გასაღებად ნამდვილ, ჭეშმარიტ კლიტეს მიაგნო.

წინათ თუ ამ საგანს საქართველოში, ერთი ან ორი გამწარებული მამულიშვილი შეეხებოდა, მის სტატიას, ან იმის საუ-

ბარს ორი ქართველიც არ წაიკითხავდა, არ მოისმენდა. არ მოისმენდა, იმიტომ რომ ქართველების გულის და კუჭის ტკივილიც ჯერ იყო მაინცა და მაინც ისეთი მწარე და ღრმა, და ქართველობაც სულ ერთიანა ღვინით შეზარხოშებული, „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტის“ უდარდელი შვილი მუდამ კარგ, მოსაწონებელ გუნებაზე ბრძანდებოდა, ხშირად მრავალ ჯამიერს მღეროდა და სურდა ნამდვილ აზიურ ლხენის და ქეიფის დაუსრულებელ წუთებში განეტარებია სიამენი სოფლისანი.

მაგრამ გავიდა დრო. ამ ათი წლის განმავლობაში ჩვენ თვალის წინ, შორს რომ არ წავიდეთ, აქვე, ჩვენშივე მოხდა დიდ-დიდი ისტორიული ამბები: რუსეთ-იაპონიის ყოვლის მხრით შესანიშნავი, დიდი ომი, რომელსაც მოჰყვა რუსეთსა და ჩვენში დიდი მოძრაობა, მთელი აღმოსავლეთის, აზიის და აფრიკის ხმელეთზე ამტყდარი რევოლიუციები. შეინძრა და ფეხზე დადგა დიდი ინდოეთი, ისტორიული ეგვიპტე, სპარსეთი, ოსმალეთი და უზარმაზარმა, აქამდის ერთს წერტილზე გაყინულმა ჩინეთმა რესპუბლიკის დაარსებით ხომ მთელი ქვეყნიერება გააოცა...

ჩვენი ქვეყანა იმ თავითვე, ისტორიის დასაწყისიდანვე, აზიის და ევროპის გზად და ხიდად იყო გამხდარი და ყოველი დიდი მოძრაობა ხალხებისა, ცხოვრების ცვლილება და მთელი მსოფლიოს ისტორიული მოვლინება უზედმოქმედოთ არ რჩებოდა ჩვენს ქვეყანას. ახლაც ეს ჩვენი ტურფა ქვეყანა პატარა, ლამაზ ნავივით, გადაბმულია დიდ საკაცობრიო გემზე და ყოველი ჭირი და ლხენა, რომელსაც განიცდის ეს დიდი გემი უსაზღვრო ზღვის ღელვის დროს, ამ პატარა, ლამაზ ნავსაც არ რჩება განუცდელი. რასაკვირველია, ყველა ეს დასახელებული ამბები ტრიალ მიდორში ავარდნილ ქარიშხალივით დიდი ზარით და ღრიალით ჩვენს ძველს გიგანტ კავკასიასაც მოხვდა გულში და მთელი საქართველოც ძალზე შეარყია.

ქართველის გრძნობა-გონება, მთელი იმისი არსება ძლიერად შეინძრა, ამიერიდან ფრთხილად დაიწყო მან ყურება და იმისი იდეალებიც გაფართოვდა, გამდიდრდა. უწინ თუ ქვეყნის გამდიდრების, დიდი დოვლათის შეძენაზე გადამკვდარს მამულიშვილს დაცინვით „მილიონებზე მაღლა მყვირალთ“ ეძახდენ და ჩვენს საზოგადოებაში სახელს უტეხდენ, დღეს ათასი, ათი ათასი და ასი ათასი ქართველი მზათ არის გულ დასმით მოგისმინოს, ყური დაგიგდოს, თუ ჭკვიანს რასმე ეტყვი მას საქვეყნო სიღარიბის თავიდან ასაცილებლად და ოდნავ მაინც დაუხატავ სამერმისო მოქმედობის გზებს და ბილიკებს.

წერილის დასაწყისშივე მოგახსენეთ, რომ მთელი ქართველობის დიდს სიღარიბეს დღეს ყველა ცხადათ ხედავს. ქართულ პრესას გამუდმებული საერთო ტირილი აქვს გამართული, რომ ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი, ჩვენი საზოგადო მოღვაწეები, მწერალნი, მეცნიერნი, მსახიობნი, მხატვარნი, მომღერალნი, მასწავლებელნი, ნასწავლი მეურნენი და ტეხნოლოგი ინჯინერნი, სტუდენტნი, მოსწავლენი და სხვებიც, ყოველი წრის და წოდების, კლასის ქართველობა აუტანელს უმწეობას, სისაწყლეს, დიდს სიღარიბეს განიცდის...

დღეს ეს დიდი და ნათელი ჭეშმარიტი ფაკტი უკვე გამორკვეულია და ყველასგან უცილობლად დანახულია.

ამ ჟამად ამ ჩემს წერილში მე გულწრფელად მსურს ჩემი მკითხველის ყურადღება მივაქციო ერთს საგანს, იმის და მიუხედავათ, თუ საითკენ არის მიმართული ჩემი პირადი სიმპატიები. ჩემს საკუთარ სიმპატიებს და ანტიპატიებს იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს, სადაც მშობელი ქვეყნის გამწარებული მდგომარეობა დიდ გამჭრიახობას თხოულობს მთლად ქართველობისგან. მე უნდა განვსაზღვრო აღებული საგანი დღეს აქ იმის მიხედვით, თუ რას თხოულობს ქვეყნის აუცილებელი საჭიროება და მომენტი.

ქართველობას რომ ეროვნული კაპიტალისტური ბურ-

ჟუაზია არა ჰყავს, ამაში ყოველი პარტიის კაცი დარწმუნებულია ჩვენში. დარწმუნებულია, რა თქმა უნდა, ამაში მეზობლებიც და უცხოელებიც. და ამის დაგვარად ზოგი არაფრადაც გვაგდებს და სიცილადაც არ ყოფნის, როცა ვისმე ქართველს ხილად სადმე დაინახავენ დიდ-დიდ საალებ მიმცემო, სავაჭრო საქმეში გაბმულს, ზოგს კი გულით ვებრალებით და იგინი საცოდავ „წარმავალ ხალხად“ *) გვთვლიან.

ახლაც ბერლინის ერთს გაზეთში დაუსტამბავთ ფრიად საყურადღებო მეთაური წერილი, რომელიც ბ-ნ. აკაკი მდევარისთვის გადაუთარგმნია გერმანელ ქალს ანიტარიბ ბეკის ახულს. წერილის ავტორს შემდეგი მაგალითი მოაქვს: „კავკასიის ერთ მხარეს მდებარეობს კარგა მოზდილი მთა, რომელიც შედგება წმინდა ბუნებრივ ზავისაგან (цементъ). დიდმა ხანმა განვლო, მაგრამ ვერც ერთმა კავკასიელმა ვერ მოიფიქრა, რომ ეს დიდი სიმდიდრე მოეხმარა, რომელსაც გამოღებაც კი არა სჭირია, საკმაოა მხოლოდ მისი გადმოზიდვა. მხოლოდ გერმანელმა მწარმოებლებმა მოიფიქრეს შედგომოდენ ამ საქმეს და ჩინებულადაც შეასრულეს; სიმდიდრე, რომელიც ამ მიდამოებში მოიპოება, გამოულეველია. გერმანელ ვაჭრების ჩამომავლობა ისარგელებს იმ ნაყოფით, რომლის მოსაპოებლათ ადგილობრივ მცხოვრებთ მხოლოდ ხელის წაწევა სჭირდებოდათ, და რაც მათ არა ქნეს. ბევრი რამ არის ამ ქვეყანაში (საქართველოში) სასწაულებრივი, რომელიც სხვა ერების შემოსავლის წყაროთ ხთება და რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ვერც კი ამჩნევენ. ყველა ესენი (ქართველებიო) დღემდისაც კი იარაღში ჩამჯდარი დადის. თითქოს მთელი საუკუნის განმავლობაში დრო ოდნავათაც კი არ წაწეულა წინ, და თითქოს ჩვენი დროის ცივილიზაცია ადგილს აძლევდეს ყოველგვარ მოუხეშავ გრძნობებს, ყაჩაღურ

*) ასე გვიწოდა ფრანცუზმა მოგზაურმა ამ 25-28 წ- წიხათ.

თავდასხმა და ქართულ ვერაგულის სისხლის ძიებას და სხვ. ასეთი მაგალითებიჩ ამართლებს იმ რუს პოლიტიკოსების სიტყვებს; რომელნიც მოელიან კავკასიის აყვავება აღორძინებას მხოლოდ უცხოელ მწარმოებელთა და უცხო კაპიტალის ძალით".

აი, ასეთი აზრის არიან ქართველებზე უცხო ევროპელნი, რომელთა ქვეყნეფშიაც, კაიხანია, დამკვიდრდა რთული და ძლიერი კაპიტალიზმი.

თვით ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია, რომელიც თითქმის სულერთანა თავად-აზნაურობის და ზოგიერთი შეძლებული საღვდელოთა შვილებისგან შესდგებოდა, ყოველთვის ზიზღით და დაცინვითაც უყურებდა გამდიდრებულს, „ლიპიან ვაჭარს", დიდი დოვლათის პატრონს მოქალაქეს. ამ ინტელიგენციის იდეალი, რა დასაფარავია, წინათაც და ახლაც სოფელში იყო და ახლაც იქარის და ამ აჩემებულმა ძველებურმა სოფლურმა მეურნობამ სულ ერთიანად დასცა და გაანადგურა მთლად საქართველო. ქართველი სოფლის ხალხიც მტრულად უცქერის ვაჭრობას და აღებ-მიცემობას, როცა ამბობს: დაილოცა ქართველის გუთანი და სომხის დუქანიო.

როცა სომხეთის ძლიერი სამეფო აზიის ბარბაროსობამ შეუბრალებლად დალეწა, სომხეთის შვილნი ლტოვლილიქნენ და შეეხიზნენ საქრისტიანო სახელმწიფოებს: პოლონეთს, რუსეთს, საქართველოს და სხვებს. ეს შეხიზნული სომხობა დღეს ბედნიერად ცხოვრობს ამ ქვეყნებში, იმიტომ რომ გამდიდრების, დიდი დოვლათის შეძენის ნიჭი ძლიერად განივითარეს. ვაჭრობა, აღებ-მიცემობა საქართველოში, სპარსეთში, ოსმალეთში, ინდოეთში, პოლონეთში, რუსეთშიაც კი, ასე გაშინჯეთ, თუ იყო წინ წასული, სომხების ძეცადინეობითა და გამჭრიახობით იყო ეს და ურიებთან ერთად იმათაც შეჰქონდათ დიდი სიცხოვლე ამ სახელმწიფოების ეკონომიურ ცხოვრების ვითარებაში.

ამიტომ სომხობამ ამ ასპარეზზე ყოველგან ისეთი ძლიერი კაპიტალისტური ბურჟუაზია შექნა, რომლითაც შეუძლია დღეს თამამად იამაყოს ყოველმა კულტურულმა სახელმწიფომაც კი... არა თუ სომხობამ. სომხებსაც ამით სამართლიანად საქვეყნოთ თავი მოსწონთ. ეს ძლიერი და მდიდარი კაპიტალისტური ბურჟუაზიაა, რომ სათავეში უდგას სომხის ნიჭიერს, მშრომელს ერს და ამხნევებს ჭირსა და ლხინში. ეს საქვეყნოთ სახელგათქმული სომხის ბურჟუაზიაა, რომლის წრიდანაც გამოდიან ოსმალეთსა, სპარსეთსა, ინდოეთსა, რუსეთსა და სხვაგანაც შესანიშნავი მინისტრები, სახელმწიფო მოღვაწენი, მსწავლულნი, ლიტერატორნი, ადვოკატნი, მკურნალნი, მასწავლებელნი, მოძღვარნი და ბერები, კომერსანტები, აგრონომები, მხატვარნი და მსახიობნი, აგრეთვე ხელოსანნიც. ამ ბურჟუაზიამ შექნა მეცნიერება, სომხური მწიგნობრობა, გაამდიდრა ლიტერატურა და თეატრი. ამ კაპიტალისტური ბურჟუაზიის მეოხებით და მადლით მდიდარია დღეს სომხეთის საარაკო, მრავალტანჯული ეკლესია და შკოლები. ერთი სიტყვით, რომელი სფერო გინდა. რომელი მხარე ცხოვრებისა, სომხებში, რომ ამ უძლიერესი, უმდიდრესი და უმოწყალესი მარჯვენა ხელი არ ერიოს და სომხეთის ერს არ ამხნევებდეს, არ უნერგავდეს გულში უკვდავების დიდსა და სამარადისო იდეას...

ჩემი აზრის საილუსტრაციოთ შემეძლო დამესახელებინა აქ პოლონეთის და ფინლიანდიის კაპიტალისტური ბურჟუაზიაც, რომელთაც ისტორიის ქარტეხილი აღარც კი აშინებს, რადგან იქ იმათი ეროვნულ კაპიტალისტური ბურჟუაზია პირდაპირ დიდ დიდ სამრეწველო საქმეებს, წმინდა ევროპულ ფაბრიკებსა და ზავოდებს აწარმოებს.

აი, ეს არის უმთავრესი, დიდი მიზეზი იმისა, რომ მრეწველობით ისეთი ჩამორჩენილი ხალხი, როგორც რუსობა, იმისი ახალგაზდა ბურჟუაზია ასე გამწარებით ებრძვის პოლონეთს და ფინლიანდიას, რადგან ამ უკანასკნელებს. ფავიანთ

საქონელი უფრო იაფად შეუძლიათ გაყიდონ ხოლმე ბაზარზე, ვიდრე რუსეთის ბურჟუაზიას. იმის მაგივრად, რომ რუსის ბურჟუაზიამ თანამედროვე საწარმოვო ძალები თვით განივითაროს და შექნას საკუთარი ძალებით ღონიერი სხვილი სამრეწველო განვითარება, იგი გამწარებით ებრძვის და ეომება ამ-ნიადაგზე პოლონეთს და ფინლიანდიას. მაგრამ ამით იგი შორს ვერ წავა. მეც ეს საგანი აქ ძალიან შორს წამიყვანდა ახლა და ამაზე როდისმე ცალკე ვისაუბროთ.

ქართველობამ გაიარა ფეოდალური ხანა და ამ ნაირად იგი კულტურულ ერებს არ ჩამორჩენია იმ დროს, რადგან, მაშინდელ საზოგადო პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობების თანახმად, ავითარებდა თვის ცხოვრებას. დღესაც, თუ ქართველობას სიცოცხლე უნდა, მიუკილებლად, ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ შექნას მან დღეინდელი ცხოვრების პირობა, ესე იგი ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზია, რომელსაც საზოგადო მეცნიერებაში უკვე დამტკიცებული თვისი საკუთარი სამრეწველო ვითარების ტიპის კანონები აქვს აღიარებული ერის ცხოვრების ასაღორძინებლად.

ჩვენ'ში ამ ფაკტს, ესე იგი, ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიის უქონლობას, ყველა საქართველოში არსებული პარტია შეურიგდა და არც არავინ არაფრადაც აგდებს მას, რადგან ყველანი არხეინად დარწმუნებული არიან, რომ ყბად აღებული ინტელიგენცია და ხალხი, დემოკრატია გაუძღვება ერის ცხოვრების მრავალგვარ საჭიროებას უიმისოდაც...

ამაზე უდიდესი თავის მოტყვილება და უმწარესი დაცინვა თავის თავზე მე მეორე ამბავიც ალარ ვიცი სწორეთ.

ყოვლად მართალია, ინტელიგენცია ბედნიერ ვარსკვლავზე გაუჩნდა ქართველობას და მიაი მეოხებითაც მას მიენიჭა ყველა ის კულტურული და განმათლებელი დაწესებულება, რაც კი დღეს ქართველებს გააჩნია: სხვა და სხვა გვარი ბანკები, წ. კ. საზოგადოება, დრამატიული და ეტნოგრაფიული საზოგადოება, თეატრი, ჟურნალ-გაზეთობა და მწიგნობრობა,

სტამბები და საეროვნო გიმნაზიები, სკოლები, სახალხო უნივერსიტეტები, ფილარმონიული საზოგადოება და სხ.

ვინ ამბობს, ჩვენმა ინტელიგენციამ, საერთოდ, დიდი, ფას დაუდებელი სამსახური გაუწია და დიდი ღვაწლიც დასდო მშობელს ქვეყანას, რამდენადაც მას გარემრება ხელს უწყობდა. ინტელიგენცია დაუზარებლად თესავდა კარგს, საღს, შვენიერს თესლს საქართველოს ნაყოფიერს ნიადაგზე, თავის თვალით ხედავდა კიდეც ამ ლამაზი თესლის ამოსვლას, მის საამურად გარდაშლილს ჯეჯილს, რომელიც ჩვენი ქვეყნის არე მარეზე თვალის დასატკბობლად მწვანედ ბიბინებდა.

მაგრამ ქართულმა ინტელიგენციამ ვერ დაინახა ის, რაც ყველაზე უფრო საჭირო იყო საქმისთვის, სახელდობრ ის, რომ ცოტათ გამოფხიზლებულს ხალხს, დემოკრატიას ჭირნახულის მოსაწევად და სახლში მოსაზიდავად ნივთიერი იარაღების შეძენა და მოსავლის შენახვა ესაჭიროებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისე იგი, თუ ეს ნივთიერი საჭირო იარაღები ქართლოსიანთა ერს ხელში მაგრად არ ეჭირებოდა, მთელი ღვაწლი და მუშაობა ინტელიგენციისა სრულიად დაიღუპებოდა სწორედ ისე, როგორც იღუპება ხოლმე გაზაფხულის პირველი ნათესობა და ვაზის კვირტი ვენახში, თუ ზამთრის სუსხი და ყინვასავით ცივი ქარი მოხვდა...

ამას, სამწუხაროდ, დღესაც, როცა ასე საჭიროა ნივთიერად ჩვენი გაღონიერება, ვერ ხედავს ჩვენი ინტელიგენცია, ათას შეუფერებელ უტოპიებს გაუტაცნია იგი და იღწვის სასახელოდ სწორედ ისე, როგორც იღვწოდენ ოდესღაც ჩვენი საქრისტიანო ერის დიდი მოწამენი და თვისი წმიდა, დიდ
ნგარო მაგალითით ფიქრობენ გამარჯვება მოუპოვონ იმ
რომელსაც ასე თავდავიწყებით და ფანატიზმითაც ემ-
დიდება და სახელი იმათ, რომ სიკვდილითაც
მიმზიდველის და მეტად მომხიბვლელის, შვე-
კვდებიან და ამით ეს პატიოსანი ინტე-
ავლობას ჩვენებენ ცოცხალ მაგალითს, თუ

რა ძლიერი, ღონიერი სულის და ხასიათის პატრონი ყოფილან ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელნი.

მაგრამ უნდა გამოვტყდე და ვთქვა აქ, რომ ცხოვრება ამ ინტელიგენციამ არც წინათ იცოდა ხეირიანათ, არც დღეს იცის... რას ითხოვდა, რა გვარ უფრო საჭირო საკითხებს უყენებდა იმას წინ ცხოვრების ყოველდღიური ბრძოლა, ცხოვრების უფლებისთვის თავის გაწირვა, რა დამარაგებას, რა ნაირის იარაღებით შეჭურვას ითხოვდა იმისგან ჩვენი თანამედროვე კაპიტალისტური ცხოვრების პირობანი, რომ ხალხის მტერი მართლაც გაენადგურებინათ და მოესპოთ, ჩვენს ინტელიგენციას სრულიად გაურკვეველი, შეუსწავლელი დარჩა.

ამნაირად, სულით და გრძნობა-გონებით ძლიერი, თითქმის გმირიც, პატიოსანი სურვილებით აღტაცებული, გამხნევებული ჩვენი ინტელიგენცია იყო სრულიად გლახაკი, მათხოვარზე უარესი ნივთიერის ძალებით, მატერიალურად.

თუ ნივთიერი ძალა, ამ შემთხვევაში ვთქვათ, საბუთელი, ან ნავთი ლამპარში წინდაწინვე არ არის დამზადებული, წუნწუბით მოკიდებული, სინათლეც ხომ ძალე გაქრება და კვლავ წყვდიადი გამეფდება არე-მარეში. თუ ნივთიერი ძალა, ორთქლივით არ ამოძრავებს ყოველგვარ კულტურულ და განმანათლებელ საერო დაწესებულებას, ეგი, მიუცილებლად, გაქრება „ვითა სიზმარი ღამისა“.

და აკი მართლაც, ყოველი ქართული საერო საქმე, ჩვენდა სასირცხვლოთ და თავმოსაჭრელად, კვდება, ქრება, „ვითა სიზმარი ღამისა“.

სომხებსავით ძლიერი, დიდი და მდიდარი კაპიტალისტური ბურჟუაზია რომ ქართველობას გააჩდეს, მაშინ საქმე ასე დაღუპული და ძირგავარდნილიც არ იქნებოდა ჩვენში.

ამიტომაცაა, რომ ქართველ ინტელიგენციას ათასი ძვირფასი, ქვეყნისთვის სასარგებლო სურვილებიც, რომ ქონდეს, პრაკტიკულად მაინც განუხორციელებელი რჩება, რადგან

ინტელიგენაცია, როგორც შვილი, სისხლი და ხორცი გაღარიბებული თავად-აზნაურობის და ღვდლებისა, ხელცალიერი, უკეთა ვთქვათ, ჯიბე ცალიერია, ნივთიერად საშინლად ღატაკია.

ეს გარემოება კი ისეთი დიდი უბედურობაა, ისეთი ძლიერი შხამია, რომ ყოველივე პრაკტიკული საერო საქმე ძირშივე ისპობა ჩვენში.

ეროვნულ პროგრესისკენ, ნაციონალურ დიდებისკენ ქართველობას წასწევდა მხოლოდ და მარტო ეროვნულივე კაპიტალისტური ბურჟუაზია, იმისი ნივთიერი ძლიერება სისხლ-ხორცს შეასხამდა ინტელიგენციის საიმედო სურვილებს, შემოქმედების ძალას...

როგორც წყალს შეერთებული ცეცხლი ქმნის ორთქლს, უძლიერეს ძალას, რომელიც იმორჩილებს და ამოძრავებს უშველებელ მეხანიზმებს, ისე სწორეთ ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიის ნივთიერი დოვლათი სულს ჩაუდგამდა ყოველ დიდ საქვეყნო საქმეს.

ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიის დიდს საჭიროებას რომ აღვიარებ აქ, ამით მე სრულიადაც არ ვებრძვი უცხო, წმინდა ევროპულ კაპიტალს. ევროპულ კაპიტალის დიდი დატრიალება რომ პროგრესისკენ წასწევს მთლად ქართველობას, ამაში ეჭვი მე არას დროს არ შემიტანია და ამის შესახებ ახლა ხან მოკლედ სტატიაც მქონდა დასტამბული ამ სათაურით „კიდევ ავტონიაზე“ (იხ. გას. წლის „იმერეთის“ № 2). პოლიტიკურ ეკონომიაში დღეს აქსიომად არის აღიარებული ის, რომ საზოგადოთ კაპიტალი ცხოვრებაში უდიდეს პროგრესიულ ძალას წარმოადგენს და მწარმოებელ ძალებს ანვითარებს. კაპიტალიზმის მთელი ფილოსოფიაც სწორედ ამაშია.

მაგრამ, როგორც ამას წინათ ბ. თევ. ღლონტი სამართლიანად წერდა „სახალხო გაზეთში“ უცხო კაპიტალის შემოსავალი, ზედ-მეტი ღირებულობა მხოლოდ უცხოეთში გადისაქართველოდან, იქაურს ბანკებსა და კანტორებში ტრია

ლებს და, მაშასადამე, უცხოეთის სიმდიდრეს კიდევ უფრო მეტს ქონს მატებს. გარდა ამისა, ევროპული კაპიტალი დიდ-დიდ სამრეწველო საქმეებში ჩვენებურ, ქართველ კაცს როდი გააჭაჭანებს, მხოლოდ საკუთარ, უცხოურს ძალებს მოუყრის თავს და გააბატონებს. მართველებად, სოვდაგრებად, ინჟენერებად, ტეხნოლოგებად, ტეხნიკებად და სხვა მოსამსახურეებსა სულ უცხოეთიდან მოიყვანს. მხოლოდ უბრალო შავ მუშად იყვანს ჩვენებურს, ადგილობრივს მუშას. ეს ასეა და ეს წმინდა ბურჟუაზული ანგარიშებიც არის სწორედ.

მაგრამ ეს ანგარიშებიც არ შეადგენენ მთელი ქვეყნის არსებით ინტერესებს. მთელი ჩვენი ერის უდიადესი ინტერესი მწარმოებელ ძალთა განვითარებაშია, რომლის გამო იღუპება დღეს ჩვენი ინტელიგენციის ძალ-ღონე და გრძნობა-გონება, მთლად ქართველობის ნაჭირნახულევი და ნამუშევარი.

ერთ დროს ქართველობა გაიტაცა სოფლის, ტეტიათა მეურნობამ. მაგრამ აქაც ფეხი წინ ვერ წავდგით, რადგან კაპიტალის უქონლობით, წარმოებრივ ძალთა განუვითარებლობით, ცოდნაც რომ გვქონებოდა, მაინც ჩვენს ცხოვრებაში სასურველი ძირითადი ცვლილება ვერ შეგვქონდა და ევროპულად მომზადებული მეურნენი, საზოგადო პოლიტიკური მიზეზებისა გამოც, ასპარეზს ტოვებდა, სცლიდა და სახელმწიფო, ან საზოგადო დაწესებულების სამსახურში შედიოდა.

და სამრეწველო შრომა ხომ მაინც სრულიად განუვითარებელია დღეს ჩვენში...

„განა სასაცილო არ არის, რომ ჩვენ რძიდან კარაქსაც ვერ ვაკეთებთო“, ამბობს ბ-ნი თ. ღლონტი და, აი, მეც ამიტომ შევტრფი, დიდი ხანია, სხვილი კაპიტალის ევროპიდან შემოჭრას საქართველოში, სადაც იგი დიად რევოლიუციონერ დანიშნულებას შეასრულებს ქართლოსიანთა ერის გამდიდრების, განვითარების და გალონიერებისთვის.

რა თქმა უნდა, კაპიტალის განვითარებისთვის საჭიროა მოეწყოს სოციალური წეს-წყობილება, სამოქალაქო ცხოვრება და მაშინ ხელშეუშლელად, თავისუფლადაც გაშლიდა ფრთებს მწარმოებელნი ძალნი, მრეწველობაც, მეურნობაც, აღებ-მიცემობაც და ჩვენმა საკუთარმა ქართველმა კაპიტალისტურმა ბურჟუაზიამ ყველა ამას უნდა გაუმაგროს ღონივრად ზურგი, უნდა შექნას ძლიერება ამ სფეროებში და მთელი ქართველობა ღრმად დააინტერესოს დიდის ენერგიითა და მღვიძარებით.

მე მოგაგონებთ აქ იმ დიდ ამბავს, რომელიც მოხდა 1864 წ. პოლონეთში. როცა პოლონეთის გამწარებულ შვილებს თვისი სათაყვანებელი მამულის პოლიტიკურად აღდგენის იმედი გაუცრუვდაო, საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეს ტიერს მიმართეს და შეეკითხენ, თუ რა გავაკეთოთ ამას შემდეგო, რომ ცხოვრების ასპარეზზე გავმაგრდეთოთ? ტიერმა უპასუხა: „Enrichisset vous"! ესე იგი, გამდიდრდითო.

„პოლონელებმა ეს პასუხი, — ამბობს პროფ. ლ. ბერნგარდი, — გაიხადეს მომხიბლავ სიტყვად, რომელმაც გამოიწვია პოლონეთში ახლანდელი ძლიერი, დიადი ეკონომიური მოძრაობა" *).

ტიერის სიტყვების შემდეგ, რომელიც ლ. ბერნგარდმა გრიგალივით გადაიარა და მაშინდელი ლოზუნგი გამდიდრდითო პოლონეთის ძლიერმა ერმა დიდებულად განახორციელა გაცხოველებულის საქმიანობით და დიადს, უძლიერეს ნაყოფსაც იმკის.

დღეს პოლონეთისთანა უძლიერესი, უმდიდრესი კაპიტალისტური ბურჟუაზია ბევრ იმაზე უდიდეს ქვეყნებსაც ენატრება.

---

*) იხ. ლიუდოვიგ ბერნგარდი — „ბრძოლა არსებობისთვის პოლონელებისა პრუსიასთან". გვ. 66, ნაწ. II.

დღეს პოლონეთის ამაყი შვილი თავ-აღებული, გულადი მხნედ გაჰყურებს იმედით სავსე მომავალს და გმირულად მღერის:

„ჯერ პოლონეთი არ დაღუპულაო“...

ამას წინადაც ერთმა სახელგათქმულმა პოლონელმა საქვეყნოთ ყველას გასაგონათ განაცხადა: „ნურავის ავიწყდება, რომ ევროპის ხმელეთზე პოლონეთს დღეს მეექვსე ადგილი უჭირავსო...

კაპიტალისტურ ბურჟუაზიას ორი ერთი მეორის ვითომც წინააღმდეგი ძალა ამოქმედებს: ეგოიზმი და ალტრუიზმი. ეს ორი ღრმა და ძლიერი ძალა უნდა თანასწორად შეერთდეს, შედუღდეს ახალი საქართველოს მომავალ თავისუფალ მოქალაქის სისხლსა და ხორცში. ეს ორი ჰარმონიულად შეერთებული ძალა ქართველი ინტელიგენციის უნიადაგო ალტრუიზმის მაგივრად გაამაგრებს, გააძლიერებს ნივთიერად და აამოძრავებს შემოქმედს, მკვდრეთით აღმდგენელ ეგოიზმს მთელი ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიის კლასისას, რომელიც ახალ ემბაზში დიდის სათუთობით ლა მოწიწებით მონათლავს ახლად შობილს საქართველოს და ადზრდის დიდსა და მდიდარს, ძლიერსა და ბედნიერს ქართლოსიანთა ერის შვილებს.

ალტრუიზმის იდეალები და სურვილები მაშინ რეალურადაც ცოცხლად გახორციელდებიან შემოქმედებით ძლიერს, მდიდარს ეგოიზმში, რომელიც თავშეიმწონეა, ძლიერი და საოცარიც ამ საერთო ისტორიულ კაპიტალისტურ ხანაში. იგი გადასწყვეტს იმ დიდ ბრძოლასაც, რომელიც ახლა სწარმოებს ჩვენში თითოეულს ფეხის გადადგმაზე ყოველს ძველსა და ახალს შორის: გრძნობა-გონების, ზნეობის, სწავლა-აღზრდის, მეურნეობის, ვაჭრობის და მრეწველობის ასპარეზზე. იგი შექმნის საქართველოს პოლიტიკურს დიდებასაც.

ჰი, ასეთი ჯადოქარი. ასეთი დიდი თილისმის უხილავი ძალა უჭირავს ხელში იმაე, ვინც ძლიერია და დამოუკიდებელი დღეს ნივთიერად, მატერიალურად.

ამ დიადი შესანიშნავი მიზნით გამხნევებული დღეინდელი ქართველი უნდა ენერგიულად, მხნეთ შეუდგეს პირად მატერიალურ ქონების, დიდი დოვლათის შეძენას, გამდიდრებას, წელში გამაგრებას, ვაჭრობისა და მრეწველობის ასპარეზზე გამოსვლას, რადგან ეს ერთი საგანია ერთად ერთი უტყუარი, მაგარი საძირკველი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის გაძლიერებისა, მკვდრეთით აღდგენისა დღეინდელ ისტორიულ პირობებში.

ხომლელი.

უცხოეთის მიმოხილვა.

ორ თვეზე მეტია, რაც ბალკანეთის ახალგაზდა პატარა სახელმწიფონი: ბულგარეთი, სერბია, საბერძნეთი და შავმთიელეთი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ამხედრდენ და იქ საშინელი სისხლის ღვრაა დღეს ატეხილი.

დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც ევროპის სამხრეთის სლავიანები და ბერძნები პირველ ხარისხოვან დიდი სახელმწიფოთა დიპლომატებს თვალ-ცრემლიანი შესტიროდენ, უჩვენებდენ და უთვალისწინაბდენ თავიანთი გამწარებული ცხოვრების აუტანელი მდგომარეობის სიმძიმეს. მაგრამ ევროპის დიდ-დიდკაპიტალისტურ იმპერიების აუჩქარებელი, გულ-ცივი, ენა წყლიანი დიპლომატები ყოველთვის ურჩევდენ სლავიანებს და ბერძნებს „მოქცეულიყვენ გონიერათ“, ესე იგი, მოეთმინათ და არ აეტეხათ ახალი შფოთი, სისხლის ღვრა, რომელსაც, შესაძლებელია, გამოეწვია ისეთი დიდი, მთელი სოფლიოს ომი, რომლის თავზარდამცემის საშიშროებით მდი-

დრულად მართულ კაბინეტებში მსხდომ დიპლომატებს დიდი შიშის კანკალი ჰქონდათ ავარდნილი.

მაგრამ სლავიანებს და ბერძნებს დაუსრულებელმა ლოდინმა მოთმინების ფიალა აუვსო, მორიგებით და თხოვნით რომ ვერას გახდებოდენ, ამაში მწარეთ დარწმუნდენ და, სასოება წარკვეთილნი, იძულებული შეიქნენ იარაღისთვის მიემართათ და ომი გამოეცხადებინათ თავიანთი ძლიერი ისტორიული მტრის, დიდი ოსმალეთისთვის. ტელეგრაფს ეს ერთ ხანია ზედი-ზედ მოაქვს სენსაციური ამბები, რომ ბალკანეთის ოთხი სახელმწიფოს შეერთებული ჯარები თავბრუ დამხვევის სისწრაფით და საარაკოთ საშინლად ამარცხებენ ოსმალთა საანაქებოდ გაწვრთნილ კორპუსებს და დიდის ძლევა მოსილის იერიშებით მიდიან პირდაპირ სტამბოლისაკენ.

მაგრამ, სანამ მკითხველს წარვუდგენდე ახლო აღმოსავლეთში ამტყდარ დიდი ამბების სრულს სურათს, ფრიად საჭიროა ქართველმა კაცმა უსათუოთ იცოდეს, თუ საიდან, ან როდის გაჩდენ ოსმალები იმ მიწა-წყალზე, საცა იგინი ახლა ცხოვრობენ. ამიტომ იძულებული ვარ ძალიან შორიდან დავიწყო დღეს ჩემი საუბარი.

ლიპერტი, ეს უშესანიშნავესი ისტორიკოსი, ამ ჩვენი დროისა, როცა ეხება აზიის ხმელეთს, იგი დიდის ნიჭიერებით ხსნის ათასი უგვარო, მეჯოგე და ყაჩაღი ხალხების ურთიერთშორის ატეხილს გამწარებულს ბრძოლას საძოვარი ადგილებისთვის.

თურქთა-სელჯუკების შესახებ, აი, რა ცნობებია ისტორიაში.

აზიის აღმოსავლეთის არე-მარეზე ასეთი ბრძოლის დროს მე X საუკუნეში დიდათ თავი ისახელა გუზების შტოდან ერთმა ძალიან მამაცმა, ვიღაც თურქმა, რომლის სახელი იყო **სელჯუკი**. ამ სელჯუკის ბატონობის ქვეშ თავი მოიყარა და შეჯგუფთა ყაჩაღდა ბრბო, რომელმაც ყოველის მხრიდან აუარებელი უსაქმო, მოხეტიალე, მშიერი ხალხი მიიზიდა. 955 წ.

ქრისტეს დაბადების შემდეგ, ეს უშველებელი ურდო კალია-სავით მოედვა სირდარიის მდიდარს ნაპირებს და ზედ დასახლდა. ამ ურდომ სულერთიანა დაანგრია და დალეწა მეზობელი, მიწის მუშა ხალხი, რომელიც ყაჩაღურ ცხოვრებას უარს ყოფდა და კულტურულად, შედარებით, წინ წასულიყო და ეს ნომადები ამ მუშა ხალხის ნაოფლარით ძღებოდა და დროს ატარებდა. ამ ნაირის ნადავლითა და ხალხების ხოცვა-ჟლეტით გაძლიერებული სელჯუკის შვილის შვილებმა თორგულ ბეგმა და ჩაქირბეგმა დაიპყრეს ძალიან ბევრი ქვეყნები და, ბოლოს, დიდ სულთანებად გადაიქცენ. ამათ დაიპყრეს დიდ სპარსეთის იმპერია; ხორასანი, გერათი, სეჯესტანი, ჯორჯანი, ტაბარისტანი, ხვარეზმი, აზერბეიჯანი და ბაღდათი.

თორგულ ბეგის სიკვდილის შემდეგ, იმისი ძმისწული ალპ-არსლანი შეიქნა სულთანი სრულიად ირანისა. ამ დიდ სულთანის სიკვდილს შემდეგ, ირანის ტახტზე ავიდა მისი ღირსეული შვილი, დიდი მელიქშაჰი (1072 — 1092 წ. წ.). ამან დაიპყრო: სირია, სომხეთი, საქართველო და მთლად მცირე აზიაზე ბიზანტის იმპერიას სულერთიანა ხელი აიღებინა. შემდეგ მან ადვილად აიღო ბუხარა და კაშგარიც. ამ გვარად, დიდი შელიქ-შაჰის ბატონობა მთელი აზიის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული ჩინეთის საზღვრებიდან მოყოლებული ბოსფორის ლურჯ ზვირთებამდე. სულთანის მელიქ-შაჰის სატახტო ქალაქი ამ დროს იყო ისპაჰანი.

მაგრამ IV მეფობის დროს საქართველოში შემოიჭრა ალპ-არსლანი და მისმა საშინელ მაზღვად მომსკდარმა ურდოებმა სულერთიანა ააოხრა ზემო ქართლი: კლარჯეთი, ტაოშავშეთი, კოლა-არტაანი, ლაზის ტანი და თვით დიდი სულთანიკი თრიალეთს დაბანაკდა. თურქებმა სელჯუკებმა ჯავახეთი სულ მოსპეს და ქალაქ ახალქალაქში „მოსწყვიდნეს მუნ-მყოფნი ესრედ რამეთუ შეიღება მდინარე იგი ხისხლით. აქედან წასულმა შემუსრა ანი და მეტსა მანუჩარს...“

ალპ-არსლანი მეორეთაც შემოიჭრა კახეთის მხრიდან საქართველოში. მოაოხრა და მიანგრ-მოანგრია მთლად ქართლი, გადმოიარა სურამის ქედი და აიკლო არგვეთი: „მოსრნეს ურიცხვნი ქრისტიანენი და იქმნა დღე ბნელი და წვიმა სისხლისა“... ალპ-არსლანი 1072 წელს შვიდასი ათასი ჯარის კაცით ძლევა მოსილი დიდის დიდებით შევიდა სამარყანდში და, აი, აქ ამ დროს ვილაც თურქმა მოჰკლა დიდი ალპ-არსლანი და ჩვენმა მრავალ ტანჯულმა ქვეყანამაც თავისუფლად ამოისუნთქა...

საქართველოს მეფემ გიორგი II მტერზე ძლიერ გაიმარჯვა და ისევ უკანვე დაიბრუნა: ანი, აზრუმი და მთლად მდინარე ჭოროხის ხეობაც. მაგრამ ამდროს სულთანი მელიქ-შაჰი ურიცხვი ჯარებით ქარიშხალივით შამოვარდა საქართველოში და ბრწყინვალე დღეები კვლავ დაუბნელა მას. საქართველოს არე-მარენი კვლავ თურქებით აივსო და გიორგი მეფე აჭარის გზით აფხაზეთს გაიქცა.

ქართველებს ამ ქვეყნათ იმედი აღარსაიდან ქონდა. ერთად ერთი იმედი და ნუგეში საქრისტიანო ქვეყანა ბიზანტია იყო, მაგრამ ძლიერმა თურქებმა-სელჯუკებმა იგიც იმდენად შეასუსტეს, რომ სრულებით თავი მიანებეს მცირე აზიას და საქართველოსაც. დიდმა მელიქ-შაჰმა თვისი მეომარი სელჯუკებით ბიზანტიის ნაქონები ქვეყნები სულ მთლად დაიპყრო და თვით ბიზანტიის იმპერატორი რომანოზი IV და დიოგენი ტყვედ ჩაუვარდათ ხელში სელჯუკებს.

წინათ შემოსეული თურქნი-სელჯუკები, როცა უკან გაბრუნდენ, გზაში, აზრუმის ახლოს, იმათ წინ შეხვდა სელჯუკთა სრულიად სხვა ბრბო, რომელიც პირდაპირ კონსტანტინოპოლის გასაცარცვავათ და დასარბევათ მიდიოდა. გამხნევებული. ეს მეომრები პირველებმა შეაჩერეს, უჩვენეს საუნჯენი და ნადავლი საქრისტიანო ქვეყნის—საქართველოს მეფის გიორგისა და უთხრეს: „აჰა ქვეყანა უკაცური, საბერძნეთს რას მირბით, იქ ბრსოლით უნდა იშოვოთ და აქ კი ყოველივე ოხრად და უპატრონოთ არის“... მოეწონათ ეს

წინადადება, რასაკვირველია, ამ ყაჩაღ ბრბოს. მთელი საქართველო 1080 წელს კვლავ აივსო თურქ-სელჯუკებით. არტაანი. კლარჯეთის უდაბნონი ჭოროხის ხეობაში, ქუთაისი, ჭყონდიდი და ქართლი სულ ერთიანა გაცარცვეს და გადასწვეს... და წავიდენ.

მწარეთ გულმოკლული მეფე გიორგი, ბოლოს, სულთან მელიქ-შაჰს თვითონ ეახლა და დიდის მოწიწებით პატივება სთხოვა, თან შეავედრა, შეაბრალა მას თვისი დიდათ გაუბედურებული ქვეყანა. მელიქ-შაჰმა დიდი პატივისცემით მიიღო გიორგი მეფე, აღუთქვა შემწეობა, მისცა ჯარიც თავის ქვეყანაში წეს-რიგის დასამყარებლად და სელჯუკების ბრბოთა გასარეკათ. მხოლოთ გიორგი მეფეს მოსთხოვა ხონთქარმა ხარკი, რომელიც ყოველ წელიწადს უნდა ეძლია იმისთვის.

როცა დავით აღმაშენებელი საქართველოს ტახტზე ავიდა, ოთხი წლის მეფობის შემდეგ, დიდი სულთანი მელიქ-შაჰისა, მარყანდის სულთანის ქალისგან მოწამლულ იქნა ბაღდადში 1092 წელს. სწორეთ ამავე ღროს სელჯუკებს მოუკვდათ დიდათ დიდი ნიჭიერი და ჭკვიანი ვეზირი ნიზამ-ულ-მოქი, რომელიც განაგებდა მთელი ირანის სახელმწიფო საქმეებს. ამ ორი დიდი მამულიშვილის სიკვდილს შემდეგ სრულიად დაირღვა სელჯუკთა სახელმწიფოს ერთობა, მთლიანობა და სელჯუკები, ოთხ ტომათ გაიყო.

პირველი და უმთავრესი ტომი—მელიქ-შაჰის ჩამომავალნი ირანის სახელმწგფოს შუაგულს და აღმოსავლეთის ქვეყნებს ფლობდენ. მეორე ტოტი იყო ქირმანისა, რომელსაც ფლობდენ ალპ-არსლანის ჩამომავალნი. მესამე ტოტი ფლობდა სირია—მესაპატამიას (ორ მდინარეთა შუა ადგილებს). ყველაზე უფრო საყურადღებოა მეოთხე ტოტი მცირე აზიისა, ან უკეთა ვთქვათ, იკონიისა. აქ გამეფებული იყვენთ ორგულ ბეგის ბიძაშველის კუთულ-მიშას ჩამომავალნი: ყილიჯ-არსლანი I; ამისი შვილი იყო ჰეასიდინი ქაიხოსროვი I, რომელიც ბარბაროსას ეომებოდა და დაიღუპა თეოდორე ლასვა-

რისთან ომში. იმის შემდეგ იყო რუკნედინი სულეიმანი, რომელმაც საშინლათ დაამარცხა ლასვარისი და იმპერატორი ალექსი კეიკაუსი (1211—1219 წ. წ.). ბოლოს, მთელს ქვეყანას მოედვა მონგოლები და ესენიც დაიმორჩილეს მონგოლებმა. ასე რომ მეცამეტე საუკუნის მიწურულებში სელჯუკების დინასტია სრულიად გათავდა და გაქრა დედა-მიწის ზურგზე. მთელი აზიის ხალხი სულ ერთიანა მონგოლებში გაითქვიფა...

1225 წელს თურქების ურდო, რიცხვით 50000 სული, რომლებმაც იგრძნო, რომ მის თავზე, როგორც ქარიშხალი გრიგალივით გადაიარდა მონგოლთა საშინელი რისხვა, ცხვრის ფარასავით დაფრთხა, მოგჯა ხორასნის საძოვარ მდიდარ დავაკებულს მიდვრებს, რომელიც ამ თურქების წინაპარებს ძალით წაერთმიათ აღმოსავლეთის სპარსელებისთვის, დაადგა გზას დასავლეთისკენ და მიაშურა სომხეთის მთებს. აქ, ამ ადგილებში უკეთესი ბედის მაძებარმა ამ ცხანოსანმა მეომარმა მეჯოგე ხალხმა გამონახა თვისი ეროვნების მოძმეები-თურქები -სულჯუკები, რომელნიც, როგორც მოგახსენეთ, მთელი საუკუნოებით დაუფლებოდენ მთელ მცირე აზიას. მაგრამ წინანდელი ენერგია, მამაცობა ამ სელჯუკებისა ძალიან შესუსტებულიყო, დაცემულიყო. ხორასნის თურქებს კი ძვალრბილში გამჯდარი ქონდათ იმ თავითვე სისხლს ღვრის, საშინელი ბრძოლის წყურვილები და მზად იყვენ ყოველთვის ურიცხვი განსაცდელის და გაჭირვებისთვის თავი მიეცათ. ისინი შეუკავშირდენ მცირე აზიაში სულჯუკების სულთანს კონის და ერთოგულის უფრო სობის და ბატონობის ქვეშ მყოფებმა მიიღეს ფრიგიის ჩრდილო-დასავლეთის მხარეზე მდებარე მიწა-წყალი, რომბიზანტიის იმპერატორის მეომრებისგან დაეცვათ ქვეყანა. აი, აქ ასტყდა დიდი და საშინელი გამწარებული, დაუსრულებელი ბრძოლა, სისხლის ღვრა ამ აყრილ მეომარ ურდოს და წყნარ მიწის მუშა ხალხს შორის, დაიწყო წმინდა, ღვთისგან ნაკურთხი ომი მაჰმადიანთა და

მათ მოძულე ქრისტიანთა შორის. ყოველს ლაშქრობაში ეს ძლიერი მეომარი, მეტად მამაცი და გაუტეხელი თურქები უდიადესი აღფთოვანებით და ენტუზიაზმით იბრძოდენ და ბიზანტიის დაქირავებულ მეომრებს საშინლად ამარცხებდენ. თურქთა ბძენებელს ერთოერგულს დარჩა შვილი, სახელ-დობრ, **ოსმანი**, რომლის ძარღვებში ფეთქდა უფრო ბერძნის სისხლი, ვიდრე თურქისა. ოსმანმა ისეთი დიდი სახელი და დიდება დაიმსახურა თვისი ვაშკაცობითა და მამაცობით, რომ ამას აქეთ იმის ხალხს საქვეყნოდ ამიერიდან **„ოსმალები“** დაერქვა...

ეს მოხდა XIII საუკუნეში. ოსმანის შვილი, ორხანი მამაზე ნაკლები ვაჟკაცი არიყო. მან ბიფინიაში დაიპყრო მდიდარი ბრუსის ქალაქი, სადაც აღაშენა უძლიერესი დიდებული სასახლე, ასე წოდებული, „უმაღლესი პორტისა“. აქედან ეს შორს გამჭვრეტი სულთანი არწივივით თვალს ადევნებდა და სტკბებოდა უმდიდრესი, უნაყოფიერესი ზღვის ნაპირებით, რომლის დაპყრობა და ხელში ჩაგდება მას დიდათ ენატრებოდა. 1330 წელს მან დაიპყრო დიდი ისტორიული ნიკეია. ორხანის შვილი სულეიმანი ზღვის გადარმა, უკვე ევროპის ნაპირზე გადავიდა და 1356 წელს ციღო დარდანელთან მდებარე გალიპოლი და, ამნაირად, ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრით სრულიად ჩაკეტა ბიზანტიის ალაყაფის კარები. აი, აქედან შეუდგენ თურქი-ოსმალების სულთანები კონსტანტინოპოლის აღების დიდს სამზადის, რომელიც გაგრძელდა მთელი ერთი საუკუნე.

თურქთა-ოსმალების სახელი საშინელ შიშის ზარს სცემდა მთელს ქვეყნიერებას და იმათ უყურებდენ და თვლიდენ კიდეც აღმოსავლეთის დიდი რომის გამანადგურებელ ხალხად, თუმცა, როგორც ამბობს ნ. ვამბერი*), ამ საშინელ მეომართა ურდოს რიცხვი 25000 სულს არ აღემატებოდა. ეროვის

*) იხ. „Die primitive Cultur des Turko-Tatarischen Volkes“. H. Vambery.

დიდი საქმის სიძნელეს ძალიან კარგადაც გრძნობდენ ოსმალები და დიდი წინდახედულობით და ჭკუით ემზადებოდენ ომისთვის. ამ დროს არც ერთი არმია არ იყო არსად ასე დარაზმული და გაწყობილი სწრაფ-ბრძოლისთვის, როგორც ცხენოსანი იანიჩარები და ქვეითნი მეომრები ოსმალებისა. ამ დიდი მიზნის გასახორციელებლად იყო დიდი მარაგი, მზადება და გაწრთვნა მხედრებისა ახლო-მახლო ქვეყნების მცხოვრებლებისაც და ამ მხედრებში ერიენ, რასაკვირველია, ავანტიურისტი-ქრისტიანებიც. ამ უკანასკნელთ ძალიან კარგათ ესმოდათ, თუ რა დიდ პრივილეგიებს ანიჭებენ სულთანები მუსულმანთა ჯარებში სამსახურისთვის. იმ დროს, რა დროსაც თურქნი-ოსმალნი გაჩდენ ევროპის მიწა-წყალზე, ისინი იმდენად ერს, მთლიან ხალხს არ წარმოადგენდენ, რამდენადაც შეუბრალებლად სისხლის მღვრელ მეომართა ერთს დიდ კასტას...

გალიპოლის დაპყრობის შემდეგ, რამდენიმე წელიწადი რომ გავიდა, მურად I ფრაკია აიღო და 1365 წელს მან თვისი რეზიდენცია ედირნეში გაიკეთა, უძველეს გადრიანოპოლისში, ან ახლანდელ ადრიანოპოლში. ამ ნაირად, მან ყოველი მხრიდან გზები შეკრა და კონსტანტინოპოლი სრულიად მოსწყვიტა ევროპის ხმელეთს. აღმოსავლეთის უმდიდრესმა, უშესანიშნავესმა იმპერიამ სულერთიანა დაჰკარგა თვისი დამოუკიდებელი არსებობის საფუძველი და მისი დიდი ვაჭრობა, დიდი აღებ-მიცემობა და დოვლათი სრულიად ჩანელდა და მოისპო.

ბალკანეთის არე-მარეზე გაშენებულ სლავიანთა სახელმწიფოებმაც, რომელნიც ბიზანტიას ხშირად მწარეთ ეომებოდენ, უცბად დაჰკარგეს დამოუკიდებლობა, ასე წოდებულ „შავთა მიდორზე“ დიდს ბრძოლაში 1389 წელს. სერბიის მეფეს ლაზარეს და მრავალს კეთილ-შობილ თავად-აზნაურობას ოსმალების ბძანებლის თვალის წინ მის ქოხში მოსჭრეს თავები. მეთოთხმეტე საუკუნის შუა რიცხვებში უდიდეს პო-

ლიტიკურს ძლიერებას მიღწეული სტეფანე დუშანის მეფობის დროს სერბია, ერთის მხრით, საბერძნეთს ესაზღვრებოდა, მეორეს მხრით, დიდ ბულგარეთს. მაგრამ ამ ისტორიულ დამარცხებას შემდეგ, ეს სახელმწიფო მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში სრულიად მოისპო და გაქრა იმისი სახსენებელი ისტორიაში. კოსოვოს მიდვრებზე სერბიის საბედისწეროთ დაღვრილი სისხლი იმ საზარელ ომში, სადაც დატრიალდა ამ ერის საშინელი, უდიადესი უბედურება, საუკუნოთ აღიბეჭდა სამხრეთის ქვეყნების სლავიანთა მეხსიერებაში.

ამ ისტორიულ ომის შემდეგ, მურად I სრულიად გაბატონდა ბალკანეთის ნახევარ კუნძულის მდიდარს არე-მარეზე და დაპყრობილ ქრისტიანებს დაუწყო სახელმწიფო ხარჯების გადახდევინება და სამხედრო ბეგარების მოხდაც. მურად I დაიწყო ყოველ დღე და ღამ კონსტანტინოპოლის აღებაზე ფიქრი და ზრუნვა. მთელი ევროპის ხმელეთი ამ უმწარესი ამბავის გაგონების უსაზარლესმა შიშმა აიტანა და მოიცვა. და დაიწყო კიდეც დიდი მზადება ვენგრიის მეფის სიგიზმუნდის მეთაურობით, რომ დიდს და მდიდარს კონსტანტინოპოლს რამე შველებოდა და ეხსნათ იგი განსაცდელისგან...

თვითონ ევროპის დასავლეთის ქრისტიანობა თავზარდამცემმა შიშმა ისე გასტეხა წელში, რომ გული ჩაუკლა, სული სიცოცხლისა გაკმინდა, მიყუჩდა, თითქოს მოკვდა და კონსტანტინოპოლის ბედი მას არც კი აწუხებსო. ევროპის აღმოსავლეთის ქრისტიანობას კი მარტო თვისი საკუთარი ძალღონით არ შეეძლო შეეკავებია ოსმალთა ძლევამოსილი ლაშქრობა და ვენგრიელების მდ. დუნაიაზე ნიკოპოლთან დიდის დამარცხებით 1396 წ. მთელი ბიზანტიის დიდი იმპერია თურქებს—ოსმალებს ჩაუვარდა ხელში. მაგრამ ამ დროს სწორედ მონგოლების საშინელმა თემურლენგმა მიიპყრო მურად I მთელი ყურადღება. მურად I დიდის, გასაოცარის სისწრაფით თავი მოუყარა და შეკრიბა მთელ თვის საბრძანებელში უძლი-

ერესი მხედრობა და შესანიშნავს ისტორიულს მეომარს შეხვდა ანგორის მიდვრებზე 1404 წელს, მაგრამ იგი აქ საშინლად დამარცხდა და ტყვეობაში დალია სული.

ამას შემდეგ კაი ხანი გავიდა, კარგა დიდი დრო, სანამ ოსმალეთის იმპერია გაძლიერდებოდა, წელში გამაგრდებოდა და ძველებურს ძალ-ღონეს კვლავ მოიხვეჭდა. ძალიან დიადი, უსაშინელესი იყო ის რისხვა, რომელიც მინგოლებმა თავს დასცეს ოსმალებს. 1422 წელს მურად II ხელ ახლა დაიწყო დიდი მზადება და შარაგი კოსტანტინოპოლის ასაღებად და გასანადგურებლად. მაგრამ ეს დიდი საქმე ვერც იმან დაასრულა, რადგან ალბანელებმა, სერბებმა, ბულგარებმა და მდ. დუნაის ნაპირებზე მოსახლე ვენგერებმა დიდი წინააღმდეგობა, მტრობა გაუწიეს მას იმპერიის დასავლეთის და ჩრთილოეთის საზღვრებზე. ბოლოს, აჯანყებული ერები მურად II საშინლად დაამარცხა 1448 წელს კოსოვოს მიდვრებზე და ამიერიდან სოფლიო ქალაქის-კონსტანტინოპოლის ფერფლად ქცევის დღეებიც დაითვალა. 1453 წელს დადგა ის საბედისწერო ჟამიც, როცა სულთანმა მაჰომედმა ნაკრად და ფერფლად აქცია ქვეყნიერების თვალი ძველი უმდიდრესი ქალაქი, რომელიც მთელი ევროპის ცივილიზაციის კერიათ სამართლიანათ ითვლებოდა და ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი, კონსტანტინე პალეოლოგი, რომლის მხედრობა საარაკო გმირობით, გასაოცარის სიმამაცით ებრძოდა გამძვინვარებულს მტერს, ტრაგიკულად დაიღუპა დიდი ქალაქის ნანგრევთა შორის. უდიადესი და უმდიდრესი ნამოქმედარი მთელი ქვეყნიერობის მართლ-მადიდებელ ქრისტიანობისა—ეი ასოფიის ტაძარი, სამს დღეს მტრებისგან საჯინიბოდ ქცეული, მეჩეთად გადააკეთეს და ამიერიდან ოსმალები საუკუნოდ მაგრად დამკვიდრდენ ბოსფორის უტურფეს, თვალის მომხიბვლელ არე-მარეზე. თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ყველა იმ დიდ ცვლილებას, რომელიც მოხდა დინასტიებს, ენის მეტყველებას, რელიგიებსა- და ეროვნებათა შორისო, ამბობს ჰენიოსი გეოგრაფოსი ელი-

ზე რეკლიუ*), ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს უშველებელი ამბავი იყო მთელი აზიის შურის ძიება, სამაგიეროს გადახდა ალექსანდრე დიდის მაკედონელის ლაშქრობისაო! ალექსანდრე მაკედნელმა გადმოიარა ევროპა, გადმოვიდა აზიაში, დაიპყრო მცირე აზია, სირია, სომხეთი, საქართველო, სპარსეთის იმპერია და ინდოეთი და, აი, ამისი სამაგიეროს გადახდა იყო ეს დიდი, გასაოცარი ამბავიო“

მაჰმად II დაიპყრო, რა თქმა უნდა, ყველა ის ქვეყნები, რომელიც კონსტანტინოპოლს გარს ერტყა და შექნა სრულიად ახალი რეჟიმი. ოსმალეთის იანიჩრები დაყაჩაღები, დამთვრალნი ასეთი ძლევა-მოსილობით და საკრაკო ნადავლობით, გაგიჟებით მოედვენ მთელი ხმელთა შუა ზღვის უმდიდრეს არე-მარეს, ევროპის ჩრდილოეთის ზღვებსაც კი ასწვდენ, ლამანშსა და ინგლისის საზღვრებზე, ყოველგან თარეშობდენ თავისუფლად მამადის მორწმუნე ყაჩაღები.

ბიზანტიელებსა და ქართველებს კიდევ შერჩენოდათ ტრაპიზონის იმპერია, რომელიც დაარსა ჩვენმა დიდმა მეფეთა-მეფემ თამარმა. მაგრამ 1461 წელს ეს უკანასკნელი მტკიცე ბურჯი და ციხე აზიისაც აღებულ იქნა. საქართველოსაც მოგლიჯეს მთელი ნახევარი ქვეყანა — ერუშეთი, ლივანა, შავშეთი, ქობულეთი, აჭარა, მთელი ლაზისტანი, სამცხე-საათაბაგო და შავი ზღვის აღმოსავლეთის მდიდარი ნაპირები — ბათომი, ფოთი და სოხუმი სულერთიანა ხელში ჩაიგდეს. ქუთაისსაც ბევრი მწარე დღეები უნახავს ოსმალებისგან და ამ ორასი წლის წინათ იმათ აიღეს ქუთაისის შესანიშნავი ციხე, რომელსაც ფეხები მდ. რიონში ქონდა ჩადგმული, დასწვეს და დაანგრიეს ანა სოფიის ტაძარივით ბაგრატის დიდებული ტაძარი და, რომ სოლომონ პირველის დიდის მეფის ფაშაკობა არ მოვლენოდა ჩვენს ქვეყანას, ახლაც იმათ ხელში ვიქნებოდით ჩვენც, იმერლები გამამადიანებულნი...

*) იხ. „ადამიანი და დედა-მიწა“. ელიზე კეკლიუსა, ტომი IV გვ. 218.

ამ ნაირად, გაძლიერდა, გაბატონდა ეს საოცარი ერი, ისტორიული თურქი-ოსმალო ევროპის აღმოსავლეთისკენ და აზიაში და იქ მცხოვრებელი ქრისტიანები შეკრა და ამიერიდან გახადა უბრალო „რაიებათ“, რომელნიც მეომარ ქრისტიანთა სისხლის მსმელ მუსულმანთა სულ უბრალო სიანჩხლის, კაპრიზების, სურვილების და გულისთქმის სხვერპლნი უნდა გამხდარიყვენ. ოსმალებმა ძველი ბერძნული სიტყვების სახსენებელიც კი მოსპეს და ბარბაროსული სახელი უწოდეს კოსტანტინოპოლს, მაგალითად, Eis cív ńoliv გადააქცეს „ისტამბულათ“, და ნახევარი მთვარე არტემიდისა შეიქნა სიმბოლო ნაკურთხი, წმიდა ომისა მამადიანთა სიძულვილის საქრისტიანო ომის „ჯვარისა“...

ამ დროს განმავლობაში დაშლილი, დაგლეჯილი გერმანიის იმპერიის ერთი დიდი, თვალ საჩინო ნაწილი — ავსტრია უშველებელ განსაცდელში იყო ჩავარდნილი და კინალამ სრულიად დაკარგა დამოუკიდებლობა ოსმალეთთან მუდმივს გამწარებულს ბრძოლაში. მაგრამ თვით ოსმალეთიც მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში ვერ იყო კარგათ მოლონიერებული, ფრთა შესხმული ძლიერათ, რადგან ხმელთა შუაზღვაზე შიშის ზარს სცემდა ყველას სულეიმან დიდის ფლოტი, რომელიც არსაითკენ გასაქან გზას არაძლევდა ოსმალეთს. დასავლეთისკენ ოსმალთა მფლობელობის გავრცელებას სრულიად ბოლო მოუღო 1565 წელს მალტის აუღებლობამ და 1571 წელს ლეპანტთან დიდმა დამარცხებამ. ამიერიდან ოსმალეთის ხვანქარნი მაგრად შეიკეტენ თავიანთ ძვირფას, მდიდარს სასახლეებში, სადაც ინტრიგა, გაუტანლობა და გამცემლობა არ გამოლეულა და თავიანთ დაქირავებულ ერთგულ მონებს ანდობდენ ხოლმე დანარჩენი ქვეყნების დამორჩილებას და დაპყრობას.

ამ დროს გერმანია ოსმალეთზე უფრო გაცილებით დასუსტებული და დაუძლურებულიც იყო და დიდი ვეზირი კარა-მუსტაფა-ასე წოდებული-„მუსტაფა შავი“ შეიქნა დიდი ბძანე-

ბელი ალპებსა და კარპატებს შორის მდებარე ქვეყნებისა და ერთი მეორეზე საშინლად ამარცხებდა ავსტრიის ჯარებს. და 1683 წელს პირდაპირ იმპერიის სატახტო ქალაქს ვენის ალაყაფის კარებს მიადგა თავისი მხედრებით...

ვენასთან კარა—მუსტაფა საშინლად დაამარცხა პოლონეთის ძლიერმა მეფემ იანსობესკიმ*), და, ამნაირად, პოლონეთმა დიდი, ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ევროპას, რომ იმის არე მარენი საუკუნოდ იხსნა ოსმალთა განადგურებისგან.

მეორეთაც სცადა კაცის რისხლის მსმელმა კარა-მუსტაფამ ვენის აღება და განადგურება, მაგრამ კიდევ საშინლად დამარცხდა და... ამიერიდან დაიწყო ოსმალთა პირის უკან გამობრუნება და ევროპის დასავლეთის დაპყრობაზე სამუდამოდ ხელის აღებაც... ოსმალთა დამარცხებამ დააკარგვია იმათვე საუკუნოთ ქალაქი ბუდა და დიდი ნაწილი ვენგრიისა, ქალაქ მოჩოხზე დამარცხებამ კი (1687 წ.) იმათ სამუდამოთ დაატოვებინა სლავონია დ; კროაცია. ავსტრიელების ჯარებმა იმდენი ჰქნეს, რომ ბელგრამდის მიაწიეს. ბოლოს, მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს კარლოვიცაში ოსმალებმა და ავსტრიელებმა ზავი შეკრეს და ოსმალებმა ვენგრია და ტრანსილვანია ავსტრიას მისცა, აზოვირუსებს, უკრაინა და პადოლია—პოლონეთს, პელოპონესი—ვენეციანელებს. ამ რიგად, ოსმალთაგან დაკარგული ადგილი სულ არე-მარეთა და მოსახლობით მთელ მესამედს ნაწილს შეადგენდა იმისას, რასაც ისინი ფლობდენ თელად ევროპაში.

შემდეგ წლებშიაც ბევრი სისხლის ღვრა და გამწარებული ომები მოხდა, რომელსაც მოჰყვა სხვადასხვა შედეგები და 1718 წელს პასაროვიცში შეჰკრეს ზავი, რომელმაც ავსტრიას მიანიჭა ბატონობა მდინარე დუნაიზე მდებარე ოლ-

*) იხ. სახელოვანი ადამ მიცკევიჩის ნაწერები ამ საგანზე.

ქებში, რომელნიც გერმანიის საზღვრებს გარეშე მდებარეობ-დენ.

ამ რიგად, მთელი იმპერიის სიმძიმის ცენტრი ამიერიდან გადმოტანილ იქნა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ...

გულკეთილი.

(შემდეგი იქნება).

პასუხი

ბ.ბ. კანონისტ-პროფ. ალმაზოვს და ბერდნიკოვის.

თუმცა პროფესორები ალმაზოვი და ბერდნიკოვი მსგავსად მ.მ. ოსტოროგოვისა და ბუტკევიჩისა არ უწოდებენ ქართველ ავტოკეფალისტ-ეპისკოპოსებს რევოლიუციონერებად და პატრიოტებად (საინტერესოა ვიცოდეთ, რომელი საეკლესიო კანონი უკრძალავს ეპისკოპოსს, უყვარდეს თავისი საშობლო და თავისი სამწყსო?!), მაგრამ ისინიც არსებითად იმავე დასკვნამდის მიდიან შესახებ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენისა, როგორც ზემო აღნიშნული ავტოკეფალისტი (?) მამები; სახელდობრ, ისინი ამბობენ, რომ **სასურველია** საქართველოს ეკლესია დარჩეს იმავე უთვითნებო მდგომარეობაში, რომელშიდაც დღეს არისო. გარნა ამასთანავე ივიწყებენ, რომ საქართველოს სამღვდელოება და სამწყსო თავის ეკლესიის ასეთ მდგომარეობას არა სასურველად ჰპოებს, როგორც საეკლესიო კანონების, სამწყსოს კეთილდღეობის და მართლმადიდებელ ეკლესიის პრაქტიკის წინააღმდეგს, ხოლო დასაბუთებული ნებისგამომეტყველება და რომელიმე ეკლესიის სამღვდელოებისა და სამწყსოს სურვილი სარწმუნოებრივ საკითხში გადამწყვეტ ფაქტორად მიიღება ავ-

ტოკეფალიის საკითხში. ძალიან სამწუხაროა, რომ კრების წინასწარ საბჭოს მეორე განყოფილებამ კანონიკურ მოხსენების შედგენა მიანდო მხოლოდ მარტო განზრახ ავტოკეფალიის **მოწინააღმდეგე პირებს**, პროფესორ-კანონისტებს ალმაზოვს და ბერდნიკოვს, და არ შეუერთეს მათ, როგორც მე თავიდგანვე წინადადება შევიტანე, მიუდგომლობისა, ძალებისა და მოსაზრებების გასათანასწორებლად ასეთი ცნობილი კანონისტი და მასთან ქართული სასულიერო ლიტერატურის მცოდნე, როგორიც არის პროფესორი ზაოზერსკი, ეს გულდადებული ავტოკეფალისტი. როცა პროფესორმა ალმაზოვმა წაიკითხა თავის მოხსენება, როგორც მოწმობს სხდომის პროტოკოლი (242 გვ.), პროფესორმა ზაოზერსკიმ, რომელიც დაესწრო ამ სხდომას, განაცხადა: „მე თანახმა არა ვარ ბ. პროფ. ალმაზოვის ასეთი აზრისა და მისი შედეგისა, და ჩემ წერილობით აზრს ცალკე წარმოვადგენო“. მაგრამ იგი აიძულეს იქვე სიტყვიერათ გადაეცა უმთავრესი მოსაზრებანი თავის შესიტყვებისა, რაც მან მშვენივრად შეასრულა, მაგრამ, რასაკვირველია, წერილობით გადმოცემული ვრცელი მოხსენება ამ საუკეთესო კანონისტისა და ქართულ საეკლესიო საკითხში უფლებამოსილ მსაჯულისა უფრო დამარწმუნებელი იქნებოდა ყველასათვის, ვისაც სურს და შეუძლია რამე დაიჯეროს.

მე კანონისტი არა ვარ და არც იურისტი, მაგრამ, მგონი, კანონიერი, ლოგიკური მსჯელობა მარტო კანონისტების და იურისტების საკუთრებას არ შეადგენდეს. საეკლესიო ისტორია და საეკლესიო კანონმდებლობა ყველასათვის ხელმისაწვდომია და ვინც ამ საგნებით კეთილად ისარგებლებს და მასთან საქართველოს საეკლესიო ისტორიასაც გაცნობილია, უეჭველად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სასარგებლოთ ილაპარაკებს. პატივცემული კანონისტები ალმაზოვი და ბერდნიკოვი, რა თქმა უნდა, თავის საგნის მცოდნენი არიან, მაგრამ იგინი ვერ იცნობენ ვერც საქართ. საეკ. ისტორიას,

ვერც მის კანონმდებლობას, ვერც ქართულ სასულიერო ლიტერატურას და საეკლესიო სიძველეს, ვერც მის ჩვეულებებს და გადმოცემებს, ვერც ამ ეკლესიის დამოკიდებულებას სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან, და, შესაძლებელია, არასოდეს არ ენახოთ არც ერთი ქართული წიგნაკი. ხოლო უმთავრესი კი ესაა, რადგან მსჯელობის ობიექტს (საგანს) საქართ. ეკლესია შეადგენს თავის წარსულით და აწმყოთი.

საეკლესიო კანონისტი ბერძენი რომ შოვიყვანოთ მაგალითად, რომელმაც არ იცის რუსის ეკლესიის ისტორია, ზნეჩვეულება და კანონმდებლობა და წინადადება მივსცეთ მსჯელობა იქონიოს ამ ეკლესიის საკითხზე, შეიძლება თუ არა მისი მსჯელობა, მიუხედავათ მთელი მისი ბერძნული სწავლა-მეცნიერებისა, კანონიერი და დასაბუთებული იქნეს? ასეთ მდგომარეობაში ჩაცვივდენ აღნიშნული კანონისტები პროფესორ ზაოზერსკის გარდა, რომელიც თავის გამოკვლევებისათვის ჯერ კიდევ წინეთ სარგებლობდა მდიდარი ქართული სასულიერო ლიტერატურით.

პროფესორმა ალმაზოვმა, როგორც ეტყობა, თავს იდვა უიმედო მიზანი, რომ გაამარდლოს უმართლო და უკანონო საბუთი, რომელიც უწმ. სინოდმა წამოაყენა იმპერატორ ალექსანდრე პირველის წინაშე თავის მოხსენებაში, რომელშიდაც ნათქვამია, რომ, რადგან 1801 წლის 18 იანვრის და 12 სეპტემბრის მანიფესტის ძალით ,,საქართველოს სამეფო შემოერთებულია სრულიად რუსეთის მფლობელობასა ქვეშე'', ამიტომ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა უნდა დაექვემდებაროს რუსეთის ეკლესიის სინოდის უწყებასაო. რადგან არაფერი ამის მსგავსი არ არის არა თუ მართლმადიდებელ ეკლესიის კანონმდებლობაში, არამედ საზოგადოთ მთელ საქრისტიანოშიდაც, ამიტომ პროფ. ალმაზოვი ცდილობს სხვადასხვა შედარებით და მაგალითებით ჯერ თავისებურათ დაამყაროს ცნება ავტოკეფალიაზე, უჩვენოს შემთხვევები მი. სი მიღებისა ან დაკარგვისა სხვადასხვა ეკლესიებისაგან და სხ.

შემდეგ იგი თავის ამნაირად გამოყვანილ დასკვნებს აზომებს საქართველოს ეკლესიას და ფიქრობს, რომ მას ავტოკეფალობ შეიძლებოდა წართმეოდა, რადგან ეს ავტოკეფალობა იყო „არა სრული და არა დასაბამითი". მაგრამ მას ხომ ავტოკეფალობა არ ჩამორთმევია და არც შეიძლებოდა ჩამორთმეოდა de jure არც საერო და არც სასულიერო მთავრობისაგან, არამედ საქმე მხოლოდ იმაშია, რომ მას საკუთარ კათოლიკოსის მაგიერ მართავს გარეშე ეკლესიის ექსარხოსი, რაც აკრძალულია მსოფლიო კრებების კანონების ძალით. აბა გვიჩვენოს ბ. ალმაზოვმა ისეთი ოქმი, რომელსაც კანონიერი ძალა ქონდეს და სპობდეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობას. ასეთი ოქმი არასოდეს არ ყოფილა და არც არის. საქართველოს რუსეთთან შეერთება წინააღმდეგ რუს-ქართველთა 1783 წ. ხელშეკრულობისა საერთაშორისო უფლებას ეკუთვნის, ხოლო საქართველოს ეკლესიის რუსეთის სინოდის დაქვემდებარება —საკლესიო უფლებას, რომელთა ძირითადი პრინციპები არსებითად განირჩევიან, რაც კანონისტებმა ძალიან კარგათ იციან.

ამ ნაირათ პროფ. ალმაზოვის მთელი მოხსენება არაპირდაპირ საბუთებისა და შედარებათა განხილვისაგან შედგენილი, არსებითად ხელოვნური მოზაიკაა, ნაქსოვი დიალექტიკისა, სოფისტიკისა და კაზუისტიკისაგან, როგორც ამას ხშირად შვრებიან დაქნილი ვექილები რომელიმე საეჭვო პროცესის მოსაგებათ,

პროფ. ალმაზოვს დავიწყნია პავლე მოციქულის ბრძნული რჩევა, რომ არა ჯერარს ბრძნობა ზომეტეს წესისა. (რომ. XII 3.)

თავის მოხსენების დასაწყისში პ. ალმაზოვი ამბობს რომ რადგან აღმოსავლეთ-მართლმადიდებელი საეკლესიო კანონები არ იხსენიებენ ივერიის (ან საქართველოს) ეკლესიას, მსგავსადვე ეს კანონები „არ იძლევიან პირობებს, რომლითაც რომელიმე ადგილობრივ ეკლესიას შეეძლოს მითვისება ავტოკეფალობისა, ამიტომ, განაგრძობს ბ. ა., დაგვრჩენია დავკმაყოფილდეთ იმ

ცნობებით, რომლებიც არა პირდაპირ ეხებიან ავტოკეფალობას საზოგმდოთ.“ და მას მოჰყავს ეს „არა პირდაპირი ცნობები“ ავტოკეფალობაზე. მაგრამ უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ მსოფლიო კრებებს იწვევდენ „განსაკუთრებულ მიზეზთა გამო“, როგორც თვით პრ. ᲐᲑ. ბრძანებს, უმთავრესად კი მწვალებელთა წინააღმდეგ რომელიმე დოღმატის დასამყარებლათ და მათი კანონები ეხებიან განსაკუთრებით იმ ეკლესიებს, რომლებიც შედიოდენ ბიზანტიის სახელმწიფოში. საქართველო კი არ შედიოდა ამ სახელმწიფოში. ამას გარდა, კანონების დადგენას კრებებზე იწვევდენ რაიმე „განსაკუთრებული მიზეზები“, მაგალითად, ან როცა მწვალებლობა გამოჩნდებოდა, ან როცა ერთი საეკლესიო ოლქი უჩივლებდა მეორეს შეიწროებისთვის (კვიპროსი), ან როცა მტერი დაეცემოდა, (კიპრი), ან როცა სამღვდელოებას და სამწყსოს სურდა დაეფუძნებიათ პატრიარხობა, როგორც მაგ.: იერუსალიმში, კოსტანტინეპოლში და სხ. ხოლო ასეთი „მიზეზები“ არ ჰქონია საქართველოს ეკლესიას და ამიტომ მსოფლიო კრებებს შემთხვევა არ მისცემიათ თავის აზრი გამოეთქვათ ივერიის ეკლესიის შესახებ და შეემუშავებიათ შესაფერი კანონები. მაგრამ ვალსამონი მოგვითხრობს ერთ მზგავს შემთხვევაზე. როგორც ცნობილია მე 32 კანონი მექვსე მსოფლიო კრებისა ბრძანებს: „ჩვენ გავიგეთ, რომ სომხეთის ქვეყანაში უსისხლო მსხვერპლის შემასრულებელნი სწირავენ მხოლოდ ღვინოს და არ აზავებენ წყლითა“ და სხ. ამ კანონის განმარტებაში ვალსამონი ამბობს: სომხები, სხვა ბევრ მწვალებლობას გარდა, წმიდა საიდუმლოში ხმარობენ მხოლოდ ღვინოს.... ივერიის მღვდლები არ ასხამენ (ასხამდენ) ბარძიმში მდუღარეებას და ამასთან უუმართლმადიდებელესებათ რჩებიან. და როცა ერთხელ (უთუოთ მეექვსე კრებაზე) მათ შეეკითხენ, რათ შვებით ამასო, მიუგეს, რომ არასოდეს არც ერთი ივერიის მცხოვრები ძველი ჩვეულებრისამებრ არ ხმაროობს თბილ წყალს ღვინოშიო და ამიტომ ჩვენც არ ვხმაროობთ მდუღარებას წმ.

საიდუმლოშიო. მაგრამ საიდუმლოს ძალის განმარტების შემდეგ მათ უბრძანეს ზიარების დროს უთუოდ ჩაესხათ მდუღარება წმ, ბარძიმში". საქართველოს ეკლესია, როგორც სჩანს შემდეგი მოქმედებისაგან, უხმოდ დაემორჩილა კრების ასეთ დადგენილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კრება დაადგენდა რაიმე კანონს: როგორც მოიქცა იგი სხვა ეკლესიების შესახებ, რომლებიც გაუდგენ მართლმადიდებელ სარწმუნოებას.

ამნაირათ, თუ კანონებში ივერიის ეკლესიაზე არაფერი არ იხსენება, — ეს იმიტომ, რომ „განსაკუთრებული მიზეზი" ამისთვის არ ყოფილა, და რომ მის თვითმდგომიაროობაზედაც (ავტოკეფალიაზე) არფერია ნათქვამი (როგორც არფერია ნათქვამი კანონებში სომხეთის ეკლესიის ავტოკეფალიაზე, რომელიც 451 წლამდე მართლმადიდებელ ეკლესიის ერთობაში იყო) და ამის შესახებ არც არაფერი კანონი არსებობს, როგორც თვით პროფ. ალმაზოვი შენიშნავს, მაშასადამე, არაფერი საბუთი არა გვაქვს მოვითხოვოთ, რომ ივერიის ეკლესია ექვემდებარებოდს კანონს, რომელიც არ არსებობს. ავტოკეფალიის მისაღებათ ერთი საზოგადო ჩვეულებრივი საშვალება იყო: — იმ პატრიარქის თანხმობა, რომლისგანაც დამოკიდებული იყო ესა თუ ის ეკლესია, და საქართველოს ეკლესიამაც ამ სახით მიიღო თავის ავტოკეფალობა მაინცდამაინც არა უგვიანეს მე-XI საუკუნისა, სწორეთ ისე, როგორც რუსეთის ეკლესიამ მე-XVI საუკუნის დამლევს მიიღო თავის ავტოკეფალობა და პატრიარქობა კოსტანტინეპოლის პატრიარქ ერემიასაგან, რომელიც ამდროს რუსეთში იყო და რომელსაც რუსეთის ეკლესია იმდრომდი ემორჩილებოდა.

შემდეგ ამისა პ. ალმაზოვი გადადის მესაშე მსოფლიო კრების დადგენილების მე-8 მუხლის განხილვაზე, აძლევს მას თავისებურ განმარტებას, რომ ვითომ აქ (8 მუხლში) ლაპარაკია მხოლოდ კვიპრელ მიტროპოლიტებზე, „თავდაპირველ ჩვეულებებზე," რომ კვიპრის ეკლესია რამოდენადმე ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის პარტრიარქს და სხ.

მე აქ გავიმეორებ მას, რაც კრების წინასწარ საბჭოს მეორე განყოფილებაში ვსთქვი ამ საკითხზე (გვ. 152 და 155): „მესამე მსოფლიო კრების დროს მიტროპოლიტები თავის უფლებებით თანასწორნი იყვნენ შემდეგი დროის პატრიარქების და კათალიკოსებისა. ამას გარდა, თუ პატრიარქს არ შეუძლია შეეცილოს სხვის სამიტროპოლიტოში, მით უფრო რუსის სინოდს, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი—პატრიარხიც არ ჰყავდა, არ შეეძლო თავის უფლება გაევრცელებია და დაემორჩილებია ავტოკეფალური, საუკუნეთა განმავლობაში კანონიურად მყოფი ივერიის საპატრიარქო ეკლესია, განუკითხავათ წაერთმია უფლება ქათალიკოსებისათვის გაეძევებია იგინი საკათალიკოსო ეკლესიის საზღვართაგან, გაეუქმებია თვით ქათალიკოსის ადგილი და საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა მიენდო თავის ეგზარხოსისთვის. ეს ხომ ნამდვილი „პოგრომია!“ ბ. პრ. ოსტროუმოვი სცდება, როცა, კვიპრის ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი (მე 8 კანონი III მსოფ. კრებისა) საპატრიარქო და სამიტროპოლიტო უფლებების ბრძოლაზე ჩამოჰყავს. ამ კანონის მთარგმნელნი ზონარა, პრისტინი და ვალსამონი ერთხმად მოწმობენ, რომ „ქალაქ ანტიოქიის ეპისკოპოსთ“, წინააღმდეგ ძველი ჩვეულებისა, იწყეს ხელდასხმა ეპისკოპოსთა კვიპრზე და იწყეს ჩარევა კვიპრის ეკლესიის საქმეებში, ე. ი. მოინდომეს მისი დამორჩილება, რადგან **სამოქალაქო მხრით** კვიპრი დამოკიდებული იყო ანტიოქიის (აღმოსავლეთის) პრეფექტისაგან, მაგრამ მესამე მსოფლიო კრება წინააღუდგა ამას, და სხვა ადგილზე (გვ. 152) მე ვამბობ: „ეფესოს კრების ეს კანონი (8) დადგენილია შესახებ ანტიოქიის ეკლესიის სურვილისა ხელი დაედო და დაემორჩილებია კვიპრის ეკლესია. კვიპრი ემორჩილებოდა ანტიოქიას სამოქალაქო მხრით, ამიტომ ანტიოქიის პატრიარქს აღეძრა სურვილი დაემორჩილებია იგი ანტიოქიისთვის საეკლესიო მხრითაც. მაშასადამე, აქ სრული მსგავსებაა საქართველოსთან“.

ანალოგია (მსგავსება) არ არის იგივეობა, მაგრამ კვიპრის ეკლესიის ავტოკეფალიის საქმე საშინლად წააგავს საქართველოს ეკლესიის 1811 წლის ბედს და სახელდობრ შემდეგი საკითხის გადაწყვეტაში: შესაძლებელია თუ არა რომელიმე პროვინციის სამოქალაქო დამოკიდებულება, სადაც არსებობს ავტოკეფალური ეკლესია, შეიქნეს საბუთად ამ ავტოკეფალურ ეკლესიის დამორჩილებისა იმ ეკლესიის სინოდისა, რომელიც არსებობს **სამოქალაქო მართვა-გამგეობის ცენტრ**ში? და მესამე მსოფლიო კრებამ ამ საკითხზე გადაჭრილი (კატეგორიული) უარი სთქვა. აი რაში მდგომარეობს დიადი მნიშვნელობა ამ კანონისა იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც ჩვენ დღეს გვაინტერესებს. მეორე ასეთსავე უარყოფით მაგალითს ამ. საკითხის გადაწყვეტაში ჩვენ ვხედავთ იერუსალიმის საპატრიარქოს დაარსებაში IV საუკუნეში (1 ნიკ. კრ. კან. 7), რომლის დედაქალაქად გახდა იერუსალიმი, თუმცა **სამოქალაქო** მართვა გამგეობის ცენტრად, კვლავინდებურად დარჩა ქალაქი პალესტინის კესარია, რომელიც ამ დრომდი პალესტინის საეკლესიო მართვა-გამგეობის ცენტრადაც ითვლებოდა. ამას გარდა ეგვიპტის, პალესტინის და სირიის სამოქალაქო მართვა-გამგეობა, როგორც ვიცით, დამოკიდებული იყო კონსტანტინეპოლის მართველობისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანტიოხიის, იერუსალიმის და ალექსანდრიის პატრიარხები არ იყვენ არავითარ დამოკიდებულების ქვეშ კონსტანტინეპოლის პატრიარხისაგან. ერთი სიტყვით, ყველა ეს მაგალითები იმას მოწმობენ, რომ **სამოქალაქო დამოკიდებულება** არ შეიძლება საბაბი გახდეს **საეკლესიო დამოკიდებულებისა**, რომელიმე ცენტრისაგან გარნა ასე კი მოხდა რომ მხოლოდ ეს შემცდარი მოტივი (საბუთი) დაედვა საფუძვლად უწმინდესი სინოდის უმაღლეს სახელობაზე 21 ივნისს 1811 წელს შეტანილ „მოხსენებას“ შესახებ საქართველოს ეკლესიის სინოდისადმი დაქვემდებარებისა. არავითარი ამის მეტი საბუთი არ არის მოყვანილი, რადგანაც ასეთები ნამდვილად არ მოიპოე-

ბა არც მართლმადიდებელ ეკლესიის კანონებში და არც მის ჩვეულებაში (პრაკტიკაში), ხოლო წინააღმდეგი მაგალითები კი ბევრია.

პრ. ალმაზოვს, როგორც ჰგავს, თავის ანალიზით უნდოდა გაემართლებია ეს შემცთარი საბუთი, მაგრამ ტყუილათ დაშვრა.

აქვე განვიხილოთ პრ. ალმაზოვის აზრი შესახებ საეკლესიო ოლქების სამოქალაქო ოლქებთან სავალდებულო შეთანხმებისა (ე. ი. რომ ადმინისტრატიული ცენტრი იგივე საეკლესიო ცენტრიც უნდა იყოს).

უნდა შევნიშნოთ, რომ არც საეკლესიო და არც საერო კანონებში არ მოიპოება ისეთი დადგენილება, რომელიც სავალდებულოდ მოითხოვდეს საეკლესიო ოლქების საერო ადმინისტრატიულ ოლქების შეთანხმებით დაყოფას. ასეთი დაყოფა ხან ეთანხმებოდა ერთმანეთს და ხან არა. მაგ. IV-V საუკუნეებში მთელი საბერძნეთ-რომის იმპერია ოთხ პრეფექტურად იყო დაყოფილი, და მაშინ როდესაც ილლირიის პრეფექტურაში, რომელიც შეიცავდა ადგილმდებარეობას მდ. დუნაიდან ადრიატიკამდე, და გალლიის პრეფექტურაში, რომელიც შეიცავდა თვით გალლიას, ესპანიას და ბრიტანიას, ერთი პატრიარხიც არ ყოფილა, გარნა ერთ მხოლოდ აღმოსავლეთის პრეფექტურაში, რომელიც შეიცავდა ეგვიპტეს, პალესტინას და სირიას მთელი სამი პატრიარხი იჯდა; 19 დიოკეზი ბიზანტიისა მეოთხე და მეხუთე საუკუნეებში აგრეთვე სრულებით არ ეთანხმებოდენ არა თუ საპატრიარხოებს, არამედ ავტოკეფალურ სამიტროპოლიტოებსაც, ისე როგორც განზრახული რუსეთის ეკლესიის სამიტროპოლიტო ოლქები არ იქნებიან შეთანხმებულნი რუსეთის საგენერალ-გუბერნატოროებთან.

მეოთხე მსოფლიო კრების მე-17 კანონი, რომელიც მოჰყავს პრ. ალმაზოვს და შემდეგ გლუბოკოვსკისაც, არის ნაყოფი ან გაუგებრობისა ან სოფისტიკისა.

ამ პატივცემულ მსწავლულებს მოჰყავთ მხოლოდ ბოლო ანუ დასკვნა ამ კანონისა, მის პირვმლ ნახევარზე კი, რომელშიდაც ლაპარაკია არა საეკლესიო ოლქებზე, არამედ სულ სხვა განსაკუთრებულ საგანზე და სახელდობრ **ახლად გახსნილ** სოფლის **სამრევლოებზე**, არაფერს ამბობენ. რადგანაც მთლათ ამ კანონზე ეფუძნებიან ჩვენი ავტოკეფალიის ხსენებული მოწინააღმდეგენი და უთუოდ აგრეთვე სინოდის 1811 წლის „მოხსენებაც“, ამიტომ მთლათ ამოვიწერთ მას აქვე: „თითეულ სოფელში ან ქალაქის წინა ადგილებში მყოფი სამრევლოები მიუცილებლად უნდა იმყოფებოდენ უფლებასა ქვეშე იმ ეპისკოპოსთა, რომელნიც განაგებენ მათ, მით უმეტეს, თუ განმავლობასა შინა ოც და ათი წლისასა უცილობლად ფლობდენ და ბანაგებდენ მათ. ხოლო უკეთუ ოც და ათ წელიწადზე უფრო ადრე იქნეს რაიმე დავა მათზედა, ნება მიეცეს შეურაცხყოფილ აღძრან საქმე წინაშე ადგილობრივი (საოლქო) კრებისა; თუ ვინ შეურაცხყოფილ იქმნეს თვისისა მიტროპოლიტისაგან, განასაჩივრებდეს საქმესა ამას წინაშე დიდისა ოლქისა ექსარხოსისა, ანუ წინაშე კონსტანტინეპოლის ტახტისა, როგორც ნათქვამია ზემოთ. **გარნა უკეთუ ნებითა მეფისათა ახლად გაშენდა ან გაშენდეს ქალაქი, განაწილება** სამრევლოებისა **მოხდეს თანახმად სამოქალაქო და საერო (დანაწილების) წესისა**. პრ. ალმაზოვს, როგორც ზოგიერთ სხვა ოპონენტებსაც, ჩვეულებრივ მოჰყავთ მხოლოდ ხაზგასმული დასკვნა, რომელსაც იმეორებს 38 კანონი მე 6 მსოფლიო (ტრულის) კრებისა: „ამამთა ჩვენთა დადგენილსა კანონსა ვიმარხავთ ჩვენცა“ და სხვანი... რომ არავითარი უეჭვი არ გვექნეს იმის შესახებ, თუ რაზე ლაპარაკობს ხსენებული კანონი, მოვიყვანოთ მთარგმნელის ზონარას სიტყვები, რომლის თანახმანიც არიან, სხვა ორი მე-XII საუკუნის კანონისტ მთარგმნელები არისტინი და ვალსამონი. ,,ეს კანონი (მე-17) ავალდებულებს, რომ როგორც დაბებისა, ისე **სოფლების სამრევლოები** შეუცვლელად დარჩენ მათ გამგეთა უფლებაში,

ე. ... მასვე, რასაც ადასტურებს მესამე მსოფლიო კრების დადგენილება; მხოლოდ ამ კრებამ ჰქმნა დადგენილება დიდ ოლქებსა და უპირატესებს შესახებ, რომლებშიდაც ჩვეულებრივ ხელდასხმიდენ ეპისკოპოსებსა. ... ეს კრება ... **სამრევლოებისა**, რომლებთაც შეიძლება იქმნენ **პატარა** ... **მცირედ დასახელებული** ადგილები, რომლებსაც კრება ჰყოფს **დაბებად და სოფლებად**. გარნა ... ეკეთუ უფლებითა მეფისათ ახლად გაშენებულა ან გაშენდება ქალაქი და ... არსებითი აზრი ამ სიტყვებისა ... ბრნარა მდგომარეობს იმაში, რომ თუ მეფე ... **ახალ ქალაქს** ... და მისცემს მას, რომელთამე **უფლებათა და უპირატესობათა**, მაშინ ამ მართებლობის განკარგულებას ენდა შეუთანხმდეს საეკლესიო ეპარქიების წესიც, რადგან „ჩვეულებანი" ახალ გაშენებულ სამრევლოთა და ქალაქთა კიდევ არ ჰქონდათ. ... ზემო მოყვანილ კანონისა და მისი თარგმანებისაგან მკითხველს შეუძლია ადვილად დარწმუნდეს, რომ ეს კანონები (17, მეოთხე, და 38, მეექვსე მსოფ. კრ.) სრულებით სჰქართველოს ავტოკეფალიაზე მოსატანი არ არის, ვინაიდგან ოგინი ჯერ არის და ამბობენ **სოფლებისა და დაბებ**ის სამრევლოებზე და მეორეთ, მეფეების განკარგულებით ... ახალ აგებულ ქალაქებზე, რომელთათვის მიუციათ **განსაკუთრებულნი უფლებანი და უპირატესობანი**, ქართველ კათალიკოსების კათედრები კი მცხეთა, თფილისი და ქუთაისი, ათასი წლობით ითვლიან თავის არსებობას და მეცხრამეტე საუკუნეში არა თუ რამე ახალი უფლებები და უპირატესობანი შეიძინეს, არამედ იქიდგანაც ბევრი დაჰკარგეს, რითაც კათალიკოსითურთ ოგინი მანამდის სარგებლობდენ.

შემდეგ პროფ. ალმაზოვის მოხსენებაში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ იცვნეს თავის თავზე უპირატესობა კონსტანტინეპოლის პატრიარქისა (მეოთხე მსოფლიო კრების (ქალკიდონის) განკარგულებისამებრ) აზიას, პონტის და თრაკიის მიტ-

როპოლიტებმა. ამის შესახებ უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სამიტროპოლიტოების „დასაბამითი ჩვეულებამ“, რომლის ძალითაც თავის მიტროპოლიტებს „ვითვე ასხმიდენ ხელს, არ შეუშალა ხელი მაგ დაქვემდებარებას ყონსტანტინეპოლის პატრიარქის იურისდიკციისადმი. მაშასადამე, ჯერ ალმაზოვის აზრებიმენ შესახებ, რომ მხოლოდ „დასაბამითი ჩვეულებაზ“ ორის ყოველ შემთხვევაში ერთად ერთი შემნახველი ეკლესიის ავტოკეფალობისაო, შემცდარია. ამას გარდა აზიის, თრაკიის და პონტის ეკლესიების დამოკიდებულება კონსტანტინეპოლის პატრიარხთან სრულიად არ წაგავს საქართველოს, რუსეთის ეკლესიასთან დამოკიდებულებას. აღნიშნული სამიტროპოლიტოები ძველთაგანვე საბერძნეთის იმპერიის ტერიტორიაზე იმყოფებოდენ. ქალაქ ბიზანტაში ქრისტიანობა თითქმის ერთ და იმავე დროს გავრცელდა (მეორე საუკუნიდგან) ისე, როგორც აღნიშნულ სამიტროპოლიტოებში, ხოლო პირველ მსოფლიო კრების დროს 325 წელს აქ უკვე იყდა ქრისტიანეთა ეპისკოპოსი, ხოლო როდესაც თრაკიაში მდებარე ბიზანტას კონსტანტინეპოლი დაერქვა, და შემდეგ კონსტინტინეპოლის ეპისკოპოსი განსხვავებულ იქმნა პატრიარხობის სახელით (დადგენილებისამებრ მეორე და მეოთხე მსოფლიო კრებებისა, კან. 3 და 24), მაშინ თავის თავად ცხადია და ბუნებრივია, ახლო-მახლო პროვინციების თრაკიის, პონტის და აზიის მიტროპოლიტებს უნდა მიეღოთ და ეცნოთ ახლად გამოჩენილ უმაღლეს საეკლესიო მთავრობის სუპერმატია (თაობა, უმაღლესობა). ამნაირათ ამ ოლქების მიტროპოლიტები მაფივე თანხმობით, მეოთხე მსოფ. კრების დადგემილებით დაექვემდებარენ თავისსავე საბერძნეთის ეკლესიის პატრიარხს. ჩვენში კი სრულიად წინააღმდეგი მოხდა: უძველესი ივერიის ეკლესიის ქათალიკოს—პატრიარხი მისვე უნებურათ და დაუკითხავად, რომელიმე კრების დაუდგინებლად და წება დაურთველათ, 1811 წელს დაუქვემდებარეს მიტროპოლიტებს, რუსის ეკლესიის უწ. სინოდის წევრებს.

ამას გარდა მეოთხე მსოფლიო კრებამ კონსტანტინეპოლის პატრიარხს ადგილობრივ ჩვეულებისამებრ აღრჩეულ მიტროპოლიტების მხოლოდ დამტკიცების წესი მისცა, სხვა კი ყველაფერი, როგორც მაგალითად: ქონებრივი ფლობა ამ სამიტროპოლიტოებისა, სასულიერო სასამართლო (суд), ხელმოსწავლო ნაწილი, საღვთო მსახურების ენა, ადგილობრივ მიტროპოლიტების კრებების მოწვევა, აღრჩევითი წესი იერარქიასა და მართვა—გამგეობაში და სხ., ერთი სიტყვით, მთული ფლობა და უპირატესობანი ამ სამიტროპოლიტო ოლქებისა წინანდებურად დარჩენ ძალაში, ამასთანავე კონსტანტინეპოლის პატრიარხის გენგემონია (მთავრობა) მიღებულ იქმნა თვით ამ ოლქების მიტროპოლიტების თანხმობით **მსოფლიო კრებაზე**, რომელზედაც დაესწრენ ყველა ეკლესიების წარმომადგენელნი, და არა ადგილობრივ კრებაზე, და არც კონსტანტინეპოლის სინოდის სხდომის გადაწყვეტილებით მხოლოდ; გასაკვირველიც არ არის, რომ თრაკიის ოლქის მიტროპოლიტებმა კონსტანტინეპოლის პატრიარხის სუპერმატია იცვნეს, როგორც გასაკვირვალი არ არის, მაგალითად, ის რომ ვლადიმერის და იაროსლავის ეპისკოპოსებმა იცვნეს მთავრობა მოსკოვის პატრიარხისა მეთექვსმეტე საუკუნეში. გასაკვიფრებელი სწორეთ წინააღმდეგი მოვლენა იქნებოდა.

„თრაკია, აზია და პონტო, ამბობს პრ. გოდულიანოვი, ი. ოქროპირის დროიდგანვე ფაქტიურად კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის საეკლესიო დიოკეზებათ ირიცხებოდენ. და სწორეთ ეს იქმნა მიღებული ხალკიდონის კრების დებულების მე-28 მუხლის ძალით“. თუმცა თრაკიის, აზიის და პონტოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხალკიდონის კრების ხსენებულ დადგენილებაზე, მაგრამ პაპის ლეგატები, რომლებიც ამ კრებაზე დაესწრენ არ დათანხმდენ ამ დადგენილებაზე, ხოლო პაპი ლეონ დიდი თავის წერილებში კოსტანტინეპოლის პატრიარხ ანატოლის და იმპერატორ მარკიანის მიმართ თანხმობას აცხადებს ხალკიდონის კრების დადგენილების

დოგმატიურ მხარის დამტკიცებაზე, მაგრამ უარს ამბობდა მის დებულებათა მე-28 მუხლის დამტკიცებაზე; ამასთანავე სასტიკად ჰკიცხავდა ანატოლის მოქმედებას შესახებ თრაკიის, პონტოს და აზიის უძველეს თვითმდგომარე სამიტროპოლიტოებზე თავის ფლობის გავრცელებას, პაპი ლეონი, არა უსამართლოდ დიდად წოდებული, თავის წერილში 452 წლის 22 მაისიდგან ესრედ უპასუხებდა: „კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს არაფერი უფლება არ აქვს თავის ფლობისა და პატივის განდიდებაზე, რადგან ქ. კოსტანტინეპოლი მეფის სატახტო ქალაქია და არა სამოციქულო კათედრა, რაც მხოლოდ და მარტო შეიძლება მიღებულ იქმნეს საფუძვლად ეკლესიის უპირატესობისა. მთელი ეს დადგენილება შედეგია პატივის მოყვარეობისა და გამოიწვევს მხოლოდ ეკლესიურ უთანხმოებას. არაფერი ჯარგი არ არის იმაში, რომ მოტყუებით ან შეშინებით ბევრმა ეპისკოპოსებმა ხელი მოაწერეს იმ დადგენილებებს, რომლის ხელის მოწერის მათ ნებაც არ ჰქონდათ. პაპი არის დარაჯი და მფარველი ძველი ფლობისა; ძალისა გამო თვისი საღვთო მოვალეობისა მას არ სურს დახმარება გაუწიოს ან მოითმინოს ასეთი ახალი შემოღებულება. რომ კიდეც უნდოდეს, მას უფლება არ აქვს ერთის სასიამოვნოთ მსხვერპლად შესწიროს მთელი ეკლესიის ნება." (იხ. პრ. გოდულიანოვის „აღმოსავლეთის პატრიარხები", გვ. 753-755, სადაც მოყვანილია პაპი ლეონის ლათინურ წერილების ნაწყვეტები).

შემდეგ პრ. ალმაზოვი მოგვითხრობს ვალსამონის წიგნიდან, მაგრამ თავის საკუთარ თვალთა ხედვით, შესახებ კვიპრელ ეპისკოპოსთა იოანეს და სხვათა თავის სამწყსოთურთ გადასახლებისა გელლესპონტის ოლქში, შემდეგ კვიპროსის არაბთა მიერ დაპყრობისა, სადაც (გელლესპონტში) იგინი არა თუ ყიხარულით მიიღეს, არამედ კიდეც დაუმორჩილეს მათ, როგორც უძველეს ეკლესიის წარმომადგენელთ, მთელი გელლესპონტის სამღვდელოება.

ამ შესანიშნავ ფაქტიდან სრულიად ის გამოდის, რომ კანონები არ უკრძალავენ, ვითარმ ვალსამონის აზრიდან ისეთი ეკლესიის „შემოერთებას, რომელსაც წარმართთა და ურწმუნოთა“ თავდასხმა მოელის. ჯერ ერთი, რომ აქ ვალსამონი გამოსთქვამს თავის აზრს (39 კან. მეექვსე მსოფ. კრებისა) იმ საეპისკოპოსო ადგილების შესახებ, რომლებიც მდებარეობენ ერთ და იმავე საეკლესიო ოლქში, როგორც, მაგ., ნაზიანზი და არა მთელი წმინდის მთელ ავტოკეფალურ ოლქებზე; ამასთანავე, ვალსამონის აზრით „საუკეთესო მართვა-გამგეობისა“ გულისთვის, რომ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობას მეცხრამეტე საუკუნეში სრულებით არ ეძრება (примѣнимо); ხოლო იმ შემთხვევაში, რომლიც ჩვენ დღეს გვაინტერესებს, სრულებით წინააღმდეგ მოსაზრობას ვხედავთ: თუ საქართველოს ეკლესიას, როგორც შეცდომით ფიქრობს ბ. ალმაზოვი, 1811 წ. ტყვეობა მოელოდა, მაგ., მახმადიანებისაგან, რაზედაც ისტორიამ არაფერი იცის რა, მაშინ საჭირო იყო არა თუ მხოლოდ დაცულიყო საქართველოს კათალიკოსის უფლებანი და განსაკუთრებითნი თვისებანი, არამედ მასვე დამორჩილებოდა მთელ კავკასიაში, მოსამსახურე რუსის სამლვდელოება, როგორც უძველეს ეკლესიის იერარქიას, როგორც მოექცენ ბიზანტიელები კვიპროსის სამლვდელოებას, რომელიც დაესახლა არა თუ საკუთარ, არამედ სხვის მიწა წყალზე — გელლესპონტში.

მაგრამ ჩემი მოხსენებიდან (გვ. 4—6, 22, 30) სჩანს, რომ მახმადიანთა მმართველნი და დამტყვევნელნი საქართველოისა 17—18 საუკუნოებში ალიარებდენ საქართველოს ეკლესიის და სამლვდელოების ყველა უფლებას და უპირატესობას. ხოლო სპარსეთის გამოლაშქრება საქართველოზე 1795 წ. პირდაპირი შედეგი იყო რუსეთ-საქართველოთა 1793 წლის ხელშეკრულებისა, საქართველოს კი 1811 წელს, რომელიც უკვე შეერთებული იყო რუსეთთან 1801 წლიდგან, ერავითარი „თავდასხმა ურწმუნოთაგან“ არ მოელოდა. მართლაც რომ ეს

ისტორიული ფაქტი, რომელზედაც პრ. ალმაზოვი აფუძნებს თავის მსჯელობას, დიდი ჭკუის მასწავლებელია შემდეგი თაობისათვის: კვიპრის ეკლესიის წარმომადგენელნი თავის საჭეყსოითურთ მტერთა თავდასხმის დროს გელლესპონტში პოულობენ თავშესაფარს, სანამ არაბთა ტალღა არ უკუიქცა კვიპრიდან. აქ არათუ არ სარგებლობენ მათი უნუგეშო მდგომარეობით და არ ასახლებენ ლტოლვილთ სხვადასხვა მონასტრებში, არამედ ანუგეშებენ სარწმუნოებისა და ეკლესისათვის დევნილთ: ეპ. იონეს ნიშნავენ მთელი გელლესპონტის ოლქის მმართველად და მასვე უმორჩილებენ ადგილობრივ (მაგ. ქიზიყის) სამღვდელოებას, როგორც ძველი კვიპრის ეკლესიის წარმომადგენელს, სანამ კვიპრი არ გათავისუფლდა არაბთაგან, რის შემდეგ კვიპრელები დაბრუნდენ თავის სამშობლოში და მათი ეკლესია დღემდის ავტოკეფალობით სარგებლობს, მიუხედავათ ოსმალთა და ინგლისელთა ბატონობისა კვიპრზე. საქართველოს ეკლესიას კი სრულებით წინააღმდეგათ მოეპყრენ და ისიც სრულიად ნორმალურ პირობებში და მშვიდობიანობის დროს: 1811 წელს საქართველოს ეკლესიას, მის სამღვდლოებას და სამწყსოს არ დაუტოვებია თავისი დასაბამითგან საკუთარი ისტორიული (ტერიტორია) მიწაწყალი და არ უთხოვია არავისთვის თავშესაფარი, არავითარი „თავდასხმა მტერთაგან" საქართველოზე მაშინ არ ყოფილა, ალექსანდრე პირველის 1801 წლის მანიფესტმაც, წინაღმდეგ, შინაგანი და გარეგანი მშვიდობიანობა და კანონის შეარველობა აღუთქვა, და, მიუხედავად ამისა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების განხორციელება შეყენებულ იქნა წინააღმდეგ საეკლესიო კანონებისა, რომლებიც მოქმედებდენ ყველა ქრისტიანეთა ეკლესიებში და სახელმწიფოებში, რადგან თვით პაპებსაც ავინიონში დასახლების შემდეგ არ დაუკარგავთ თავის უფლებანი და უპირატესობანი და შემდეგ წინანდებურად განაახლეს თვისი მოქმედება რომში. ანტიოხიის საპატრიარქო 40 წელიწადს იყო

ქვრივად (უპატრიარქოდ 700—740 წ.), არაბთა შემოსევის გამო; შემდეგ კი ხელახლა აირჩეულ იქმნა პატრიარხად.

პრ. ალმაზოვი თვის წინათ-განძრახულ აზრის დასამტკიცებლად ისეთ მგალითების მოყვანას განაგრძობს, რომლებიც საუბედუროთ მისივე მიზნის წინააღმდეგ ლაპარაკობენ: „სიცილიაც, ამბობს ვალსამონი, რომელიც **ცოტა ხნის წინეთ** დამორჩილდა კოსტანტინეპოლის ტახტს, დღეს პირატების (ტირანების) ხელით განიშულია, და მე ვთხოვ ღმერთს, რომ იგი დაუბრუნდეს თავის ყოფილ უფლებებს, როგორც ეინმე ტყვექმნილი ქალიშვილი თავის თავისუფალ დედასა“ — რომ ვალსამონს — მართლმადიდებელ ბერძენს, აღგზნებულ პატრიოტს, „კოსტანტინეპოლის წმინდა მოქალაქეს“, როგორც იგი თავის თავს უწოდებს, სურვილი ქონოდა სიცილიის ეკლესიის — კონსტანტინეპოლის ეკლესიისადმი დაბრუნების, როგორც „ტყვექმნილ ქალიშვილისა, თვის თავისუფალ დედისადმი“ — ეს სრულიად გასაგებია, მაგრამ, რომ სიცილიის ბედი და მისი ეკლესიის დამოკიდებულება მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეებში კონსტანტინეპოლის ეკლესიისაგან, არავითარ ანალოგიას (მსგავსებას) არ წარმოადგენს საქართველოსა და მის ეკლესიის დამოკიდებულებასთან რუსეთისა და ანტიოქიისაგან — ესეც სურლიად და ცხადია. სიცილია ძველთაგანვე საბერძნეთ-რომის პროვინცია იყო. იგი დიდი ხანი იყო არაბების (სარაკინების) ხელში, მაგრამ, ცხადია ვალსამონი აქ პირატებად ან ტირანებად სახელდებს მათ კი არა, არამედ ნორმანებს, რომლებმაც ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში მიიღეს ქრისტიანობა; ხოლო მეთერთმეტე საუკუნეში სიცილიაც წაართვეს არაბებს. ვალსამონი გულისხმობს არ სწორეთ ამ ნორმანებს, რომლებმაც განდევნეს სიცილიიდგან საბერძნეთის პოლიტიკური და ეკლესიური ზეგავლენა და შემოუერთეს მათგანვე დაარსებულ დამოუკიდებელ სამეფოს სამხრეთ იტალიაში.

თურქ-სელჯუკები შემოდიან წინა აზიაში მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, იპყრობენ ანტიოქიას და ანგრევენ სომხეთის სატახტო ქალაქ ანს მეთერთმეტე საუკუნის მე-60 წლებში, საქართველოს დაპყრობა კი ვერ მოახერხეს. მათ, რასაკვირველია, გააფნელეს საქართველოსა და ანტიოქიას შორის მიმოსვლა, მაგრამ ფაქტიურად მათი უათიშვა ვერ შეიძლეს და არავითარი ამაზე საქართველოში არ დაუარსებიათ, აგრეთვე მართლმადიდებლობა არ გაუნადგურებიათ, რგოლოვ ნორმანებს სიცილიაში. რუსეთთანაც არაფერი მსგავსებასა წარმოადგენენ ნორმანები. გაკვლა-ბილისა, თუ არ მივრეკებთ, რომ ვლადიმერმა „წინასწარმეტყველური სულით წინათვე დაინახა მომავალი და თქვა: „წინასწარმეტყველია, რომ აქა მოვალს ჩრდილოეთით ხალხი ქრისტიანი — რუსი, რომელიც დღეს კონსტანტინეპოლის პატრიარხის ერთ სამიტროპოლიტოს შეადგენს, და წევალს რა მეგობარ ივერიის მხარეში დაიმორჩილებს მას და მის ავტოკეფალურ ეკლესიას, ჯერ-ჯერობით წინეთ დამოკიდებული იყო ჩემ წინაპარ პატრიარხებისაგან: „და მე ვთხოვ ღმერთს, რომ ჩემ-ც დაუბრუნდეს მის ყოფილ უფლებებს, ვითარცა რომელიმე ტყვექმნილი ქალიშვილი თავის თავისუფალ დედასა“. ამის-ა-ქმა ჯერ ჯერ უნდა პრ. ალმაზოვსა.

ეს-ადაგზა პრ. ალმაზოვი მსჯელობს: რომ ა) ვალსამონს არ მოჰყავს ამ საბუთის ტექსტი, რომელიც ადასტურებს ანტიოხიის სინოდის გადაწყვეტილებას შესახებ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიისა, ბ) რომ ქართულ ლიტერატურაშიდაც არ მოიპოვება ეს ტექსტი, რომ გ) საქართველოს ეკლესიამ მიიღო არა სრული ავტოკეფალობა და არც ეკლესიურ და კულტურულ დამსახურებით, არამედ პოლიტიკურ და გეოგრაფიულ მიზეზების გამო და სხ. ყველა ამაზე ლაპარაკი იყო წინასწარ კრების მეორე განყოფილებაში, რაზედაც ალმაზოვი სდუმს. აი რას ვლაპარაკობ მე (პროტ. გვ. 153 და 154): „ავტოკეფალიის მიღებისათვის საჭიროა მხოლოდ

თანხმობა იმ პატრიარხისა, რომელსაც ეს ეხება, ხოლო ამ შემთხვევაში ამის არსებობაში ეჭვს ვერ შევიტანთ. ვალსამონი, პატრიარხი ანტიოხიისა, მოწმობს, რომ შესდგა კრების დადგენილება ანტიოხიის სინოდისა, შესახებ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა. ფარა ჩვაქვს არაფერი უფლება ექვი შევიტანოთ მის ჩვენებაში. **დაე, დაგვიმტკიცონ, რომ იგი სცდებოდა.** თუ მას ვერ მოყავს ამ დადგენილების ტექსტი, ეს კიდევ იმას ვერ ნიშნავს, რომ ასეთი არაფერი ყოფილა: ადვილი შესაძლებელია, რომ ეხ საბუთი ინახებოდეს ანტიოქიის საპატრიარქო არხივში, სადაც მეთორმეტე საუკუნეში მასპინძლობდნენ კათოლიკე ჯვაროსნები. ვალსამონი კი იძულებული იყო კონსტანტინეპოლში დარჩენილიყო. ამიტომ ანტიოხიის ყველა დოკუმენტები არ ექნებოდა ხელქვეშ. ვალსამონმა დაახლოებით იცოდა საქმეები ივერიის ეკლესიისა, რომელსაც მართლმადიდებელ ეკლესიად უწოდებს (იხ. მისი თარგმანი მე-ს ბოფ. კრების 32 კანონისა). ყველა აქტებს და კრებების დადგენილებებს არ მოუხდენია ჩვენამდის სიტყვა სიტყვით, იმათ არსებობას ჩვენ ვტყობულობთ იმ სარწმუნო პირებიდგან, რომლებიც შემდეგ სცხოვრობდენ და უთითებენ ამათზე და ამაში ჩვენ ეჭვი არ გვებადება. სადღაა იმ **კრების აქტი,** რომელმაც ივერიის ეკლესია დაუქვემდებარა ანტიოქიის საპატრიარხოს? ასეთ აქტის არსებობაზე არავინ არაფერს ამბობს. იმ ეკლესიათა შორის (სირიისა, კილესირიისა, შუამდინარისა და ორთავე კილიკიისა), რომელნიც ექვემდებარებოდენ ანტიოქიის ეკლესიას, სრულებით არ არის მოხსენებული ივერიის ეკლესია. მაშასადამე, აქ თვით ფაქტიდგან უნდა გამოვიდეთ". ვინც „დავსმოყვარეობით" შეპყრობილი არ არის მისთვის მოყვანილი „სპრანგეებიც" (ცნობები) საკმარისია, მაგრამ მოვიყვანოთ მაინც ვალსამონის სიტყვები. შემდეგ კვიპრის და ბულგარეთის (განსაკუთრებით მაკედონიისა) ეკლესიების ავტოკეფალიისა ვალსამონი ამბობს ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიაზე: „ხოლო თუ ჰპოებ სხვათაცა დამოუკიდებელთა (ავტო-

კეფალურთა) ეკლესიათა, როგორიც არის ბულგარეთისა, კვიპრისა და ივერიისა, ნუ გაგიკვირდება ეს. „ხოლო არხიეპისკოპოსი ივერიისა მატივდებულია ანტიოხის კრების დადგენილებითა. ამბობენ რომ დღეთა შინა უფლისა პეტრესი, უწმიდესისა პატრიარხისა (105-1057 წ.) თეოპოლისა, ე. ი. დიდისა ანტიოხიისა, მოხდა კრების განკარგულება იმის შესახებ, რომ ეკლესია ივერიისა, რომელიც იმ დროს ექვემდემარებოდა ანტიოხიის პატრიარხს, იქმნეს თავისუფალი და დამოუკიდებელი (ავტოკეფალური)“. (თარგმანი მეორე მსოფლიო კრების დადგენილების მეორე მუხლისა).

ვალსამონის მოწმობაში უნდა აღინიშნოს სამი ელემენტი (ნაწილი): ა) უეჭველი, დადებითი ფაქტი, რომ მის დროს არსებობდა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალობა, ბ) ისტორიული სპრავკა ვალსამონის მიერ მოყვანილი ავტოკეფალობის მიღების **დროსა და წესის** შესახებ და გ) ამიტომ **სრული დამოუკიდებლობა** (ავტოკეფალია) ივერიის ეკლესიისა, რომელიც მანამდის, ვალსამონის სიტყვით, დამოკიდებული იყო ანტიოხიის პატრიარხისაგან, ხოლო აქედგან (მეთერთმეტე საუკუნის ნახევრიდგან) შეიქმნა **თვითთაოსანი.** ამნაირათ ბერძნული სიტყვა ლეგეტე— ამბობენ, მოგვითხრობენ, აღნიშნავს არა საზოგადოთ ცნობილ ფაქტს ივერიის ეკლესიის ავტოკეფალობისას, არამედ დროს და წესს ამ ავტოკეფალობის მიღებისას. ამასთანავე ვალსამონი არ ამბობს, რომ ივერიამ ავტოკეფალობა **პოლიტიკურ** მიზეზების გამო მიიღო. ხოლო რომ ეს ავტოკეფალობა სრული იყო, სჩანს შემდეგი ინტენსიური სიტყვებიდან „რომ ივერიის ეკლესია იქმნეს **თავისუფალი** და **დამოუკიდებელი**“.

შეგვეძლო ამიტომ მთლათ გაგვეთავებია ყოველივე დავა ვალსამონის მოწმობაზე შესახებ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისა, მაგრამ ოპონენტებს სურთ ცოტა კიდეც იდავონ და ჩვენც ვეცდებით დავაკმაყოფილოთ მათი სურვილი.

პროფ. ალმაზოვი ბრძანებს, ვალსამონს არ მოჰყავს ანტიოქიის სინოდის დადგენილების თვით ოქმიო. ეს პედანტი-

ური მოთხოვნილება დოკუმენტისა მომაგონებს ცნობილ არაკის იმ გლეხს, რომელმაც თავის შემოქმედს პასპორტი მოსთხოვა თავისი (შემოქმედის) პირადობის დასამტკიცებლად! ყველაზე უფრო გასაკვირვალი ის არის, რომ ასეთ მოთხოვნილებას აყენებენ არა ვინმე ასოჭამია ნაჩოტჩიკები*), არამედ მსწავლული კანონისტები, რომლებიც გაცნობილნი არიან მდგომარეობას, ხასიათს და საშუალებას ისტორიულ და ლიტერატურულ კვლევა-ძიებისას, თითქოს ლაპარაკი გვქონდეს თანამედროვე დოკუმენტებზე, რომლებიც XVII. სინოდის განჯინებში ინახებიან თავთავის ნომერ ქვეშ და არა ეკლესიურ მოვლენაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ათასი წლის უკან. მოსკოვის პატრიარხობის მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს გაჩენის დოკუმენტები რომ შენახულიყო, ეს **გასაკვირვალი** არ იქნებოდა, რადგან ამ დროიდგან მოსკოვი სულ ერჯერ იყო აღებული და გაძარცული, მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ჰოლონელთა მიერ (როცა დაიღუპა უთუოდ ნაწილი სამეფო ბიბლიოთეკის და პოსლოსკი პრიკაზისა) და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ფრანცუზთა მიერ, როცა მოასწრეს დოკუმენტების ზანდუკებით ჩრდილოეთისკენ გატანა. თბილისი კი აღებულ და გაძარცულ იქმნა მეთერთმეტე საუკუნიდგან ლაწყებული ათჯერ მაინც, და უკანასკნელად, რუსეთთან კავშირის გამო, 1795 წ. სპარსთა მიერ, რომლებმაც არა თუ დაანგრიეს ქალაქი, სამეფო სახლი, დასწვეს წიგნები და ხელნაწერები, საეფო ბიბლიოთეკა და სტამბა, არამედ წაიღეს კიდეც სამეფო გვირგვინი, სკიპტრა და სხ. სამეფო რეგალიები. რანაირად შეიძლებოდა, რომ ამ პირობებში მეთერთმეტე საუკუნიდგან დოკუმენტები შენახულიყო?. გასაკვირია ისიც, რაც გადარჩა და ჩვენამდი მოაღწია. ამას გარდა, რადგან ქართველები თავის ეკლესიას ყოველთვის სთვლიდენ ერთ უძველეს ეკლესიათ, თანაბრად სხვენთანეთის ეკლესიისა, ამიტომ შეიძლება

*) ნაჩოტჩიკებს ეძახიან რასკოლნიკთა მოძღვრებს.

ავრე რიგად ეტ კი აფასებდენ ანტიოხიის პატრიარხისგან მეთერთმეტე საუკუნეში მოცემულ დოკუმენტს, ვინაიდგან ეფერიის ეკლესია, როგორც მოწმობენ ადგილობრივნი, ქართული, და ზოგიერთი უცხოეთის წყაროები, მეხუთე საუკუნის ნახევრიდან (შეადეგ ხალკიდონის კრებისა 451 წ.) ფაქტიურად, ხოლო მერვე საუკუნიდან ფორმალურ-კანონიკურად ითვლებოდა ავტოკეფალურად ქართველ კათალიკოზის განგებულ ქვეშ.

არაფერია გასაკვირალი იმაში, რომ ხანდისხან თავის კომენტარიებში ვალსამონს მთელი ბერძნული დოკუმენტები შემოაქვს, რადგან სანამ პატრიარხად გახდებოდა, იგი იყო ხარტოფილაქსი, ე. ი. უფროსი კონსტანტინეპოლის საპატრიარხო კანცელარიის და არხივისა, სადაც დაცული იყო არა თუ მხოლოდ კანონიკური საეკლესიო დოკუმენტები, ბრამედ მწვალებელთა თხუზულებებიც და ამიტომ თავის კანონთა განმარტებაში იმ დოკუმენტების შეტანა, რომელიც შეეხებოდა საბერძნეთის სახელმწიფოსა და ეკლესიას არ გაუჭირდებოდა, რადგან იგინი ხელ ქვეშ ქონდა, კონსტანტინეპოლშივე. მაგრამ ანტიოხიის ხარტოფილაქსათ ის არ ყოფილა და როდესაც ანტიოხიის პატრიარხი გახდა, იძულებული იყო ისევ კონსტანტინეპოლში დარჩენილიყო, რადგან ანტიოხიაში იმ დროს ლათინი ჯვაროსნები მასპინძლობდენ, რომელნიც აწყრობდენ ბერძნებს, მაშასადამე, ანტიოხიის არხივები მისთვის მიუწდომელი იყო და ამასთან სინოდალური დადგენილება ეხებოდა საქართველოს ეკლესიას და არა საბერძნეთისას, ე. ი. სხვა ხალხისა და სხვა სახელმწიფოს ეკლესიას.

განმარტებანი წმ. და სამღვთო კანონთა. . შედგენილი ბრძანებისამებრ მეფისა და პატრიარხისა, აქეთი სათაური აქვს ვალსამონის შრომას და, როგორც ამ სათაურიდან სჩანს, იგი მოწონებული იყო როგორც მეფის ისე პატრიარხისაგან.

ეს ბრძანება მიიღო ვალსამონმა მეფე მანუილ კომნინესაგან და პატრიარხ—მიხაილ ანხიალიოსისაგან.

ამნაირი მოწონებული, როგორც საერო ისე სასულიერო მთავრობისაგან, ვალსამონის ნაშრომი მიღებულ იქმნა არა თუ მხოლოდ სბერძნეთის ეკლესიაში, არამედ გავრცელებული იყო დასავლეთ და აგრეთვე სლოვენთა მართმადიდებელ ეკლესიებშიაც. მაშასადამე, ვალსამონის მოწმობაც ივერიის ეკლესიის ავტოკეფალობაზე საზოგადოდ ცნობილი იყო ყველა ეკლესიებში, არც ერთ მაფგანს ეფერი წინააღმდეგი ეთქვამს, არც ერთს მათგანს ეკვეს თვალით არ შეუხედავს ივერიის ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათათვის, წინააღმდეგ მთელ ათასი წლის განმავლობაში აღმოსავლეთის სამეფოსა და ეკლესიის წარმომადგენელნი ისე ეპყრობოდენ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელებს, როგორც თვით მდგომარეებს, თანასწორებს პატივითა და უფლებითა; აღმოსავლეთის პატრიარხები არა ერთხელ მოსულან საქართველოში მოწყალების შესაკრებათ დიდი ხნობით დარჩენილან, ხოლმე აქ, წირვალოცვაც შეუსრულებიათ, ეცნობოდენ სამწყსოს ცხოვრებას, თვალყურს ადევნებდენ და სწავლობდენ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას, და არასოდეს ეჭვი არ შეუტანიათ მის ავტოკეფალობაში. მაგალითად, იერუსალიმის პატრიარხი დოსითეოსი, რომელიც 1681 წ. საქართველოში იყო, თავის გრამატაში საქართველოს მეფეებს ქრისტეს საფლავის მნათეებათ და წმ. ადგილების მწყალობლებად სახელდებს, გარნა საქართველოს ეკლესიასა და მის ქათალიკოსებს ყოველთვის „ავტოკეფალებად“ არა მსგავსად სინას მთის არხიეპისკოპოსისა, რომელსაც დამოკიდებულად სთვლის იერუსალიმის პატრიარხისაგან. ანტიოხიის საპატრიარხო არასოდეს არ ცდილა წაერთმია ავტოკეფალობა საქართველოს ეკლესიისათვის, არავითარი მაჭეშმარიტებელი გრამატები ანტ. პატრირქებისა ქართველ ქათალიკოსთადმი წარმოდგენილი არ ყოფილა, ქართულ კონდაკებში მეცხრე

საუკუნიდან არსად განსაკუთრებული მოხსენება ანტიოხიის პატრიარხებისა არ მოიპოვება, არის მხოლოდ მოხსენება აღმოსავლეთის პატრიარქთა საზოგადოთ, როგორც ჩვეულება აქვს მართლმადიდებელ ეკლესიას. მცხეთის საპატრიარქო საკრებულო ტაძარში არსებული მირონის შემზადების (და მეფეების დაგვირგვინების) წესი ამარებულ-ყო ვალსაფონზე დიდი ხნის წინ და ეს გარემოება იმისი დამამტკიცებელია, რომ ეს დღესასწაულებრივი მღვდელმოქმედებანი სრულდებოდა საქართველოშივე. ანტიოხიის საპატრიარხო ყოველწლივ განსაზღვრულ ლალას ღებულობდა საქართველოში მდებარე თავის მამულებიდან, როგორც დღემდის ათონი, სინა და იერუსალიმი ღებულობენ შემოსავალს თავის მამულებიდან, რომლებიც შეწირული იყო საქართველოს მეფეებისა და დიდებულებისაგან ქართველთა წმიდა ადგილების შესანახად და არა ნიშნად საქართველოს ეკლესიის რაიმე დამოკიდებულებისა კონსტანტინეპოლის ან იერუსალიმის საპატრიარხოთაგან.

დაბოლოს, იმის სათქმელად, როგორც ზოგიერთები კიდეც ამბობდენ, რომ ვითომ ანტიოხ. სინოდის ანუ პატრიარხ პეტრეს დადგენილება (1052-1057) **სიტყვიერი** იყო, არაფერი საბუთი არა გვაქვს: ასეთი ჩვეულება არასოდეს არ ჰქონია ეკლესიას, რომელიც ყოველ თვის განკარგულებაში და დადგენილებაში არა ჩვეულებრივ პუნქტუალურია. განსაკუთრებით პატრ. პეტრე ცნობილია, როგორც დიდი ჭკუისა და განათლების პატრონი კაცი, თანამედროვე შესანიშნავ კონსტანტინეპოლელ პატრიარხის მიხეილ კელლარისა (1043-1059), რომელიც (პეტრე) თვალსაჩინო შუამავლის როლს თამაშობდა აღმოსავლეთ დასავლეთ ეკლესიათა შორის, როცა მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში ჩამოვარდა საბოლოოდ განცალება რომსა და კონსტანტინეპოლს შუა. შეიძლება სრული ავტოკეფალობის მიცემით ბერძნები (ანტიოხიელები) ფიქრობდენ საქართველოს ეკლესიის ერთობის განმტკიცებას საბერძნეთის მართლ-

მადიდებელ ეკლესიისთან, რომ ამით დაეფარათ იგი (საქართველოს ეკლესია) რომის ეკლესიის ერთობისაგან. მსგავსად იმისა, როგორც, ქართულ მატიანეთა თქმულებით, მეხუთე საუკუნეშიც შემდეგ ხალკიდონის კრებისა 451 წ., რომელმაც განიკიცხა მონოფიზიტები, ქართველმა იერარქიამ ეახტანგ პირველის დროს მიიღო რომელნიმე სალავათნი და ეპირატესობა ეკლესიის სათავეში ქართველ იერარქია ყოლისა იმ მიზნით, რომ დაეცვა იგი საბერძნეთის ეკლესიის ერთობაში წინააღმდეგ ყომხების და სირიის მონოფიზიტებისა, რის მიზნით მეექვსე საუკუნეში ანტიოხიიდან შემოდიან საქართველოში 13 მამანი, რომელთაგან აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში დაარსეს საყანეები მონოფიზიტების და ცეცხლის თაყვანისმცემელთა წინააღმდეგ, რომელთა პროპაგანდა დიდ საცთურებას უმზადებდა აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მეხუთე და მეექვსე საუკუნოებში. ეს ბრძოლა დასრულდა ქართველ მართლმადიდებელ ეკლესიის და სომეხ-მონოფიზიტების სრული განყოფით დვინის კრებაზე 596 წ., ხოლო ცეცხლის თაყვანისმცემელ სპარსელების ადგილი მეშვიდე საუკუნეში დაიჭირა არაბ-მახმადიანებმა, რომლებთანაც მკაცრი ბრძოლა აუტყდათ ქრისტიანებს. არც ერთი ამ ცამეტ მამათაგანი, რომლებიც საქართველოს მოეფინენ საქადაგებლად, მიუხედავათ იმისა, რომ დიდი პატივი და ყურადღება დაიმსახურეს ხალხში, არ აუყვანიათ კათალიკოსის ხარისხზე. ეს ფაქტი ზედმეტი საბუთია იმისა, რომ უკვე მეექვსე საუკუნეში საეკლესიო მართვა-გამგეობა თავიდგან ბოლომდე საკუთარ ქართველ იერარქიის ხელში იყო.

პრ. ალმაზოვს უკვირს, რომ „ხელნაწერებით მდიდარ ქართულ ლიტერატურულ საუნჯეში“ არ შენახულა საქართველოს ავტოკეფალობის შესახებ ანტიოქიის კრების დადგენილება! ეს არაფერი გასაკვირვალია: შეიძლება იგი კიდეც მოინახოს მომავალში, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მერვე საუ-

კუნიდან დაწყებული ათასობით შენახული ქართული ხელ-
ნაწერები არა თუ შეუსწავლელი და დაუმუშავებელია, არა-
მედ არც კი წაკითხული და ჯერ კიდევ უბრალო ნუსხის წი-
გნიც კი არ შეუდგენიათ მათთვის, ამაზე საყვედურები უსა-
ფუძლოა. პროფესორებს ადვილათ შეუძლიათ ვანიხილონ
საერო და სასულიერო მაღალ სასწავლებლების, ჩვენთვე
სამეცნიერო აკადემიის წესდებები და დარწმუნდენ, რომ **გან-
საკუთრებული კათედრა**, ქართული ლიტერატურისა, არ
არსებობს არსად რუსეთის იმპერიაში, არამედ ყველგან ქარ-
თული ენა და ლიტერატურა მიწეპებულია ან სომხურზე ან
საზოგადოთ აღმოსავლეთის ენებზე და ლიტერატურაზე,
ხოლო საქართველოს ეკლესიის ისტორია ბიზანტიის ეკლესი-
ის ისტორიაზე. მაგრამ ესეც **ზედმეტ ბარგად მიიჩნიეს**,
რადგან იგი დღეს გამორიცხულია სასულიერო აკადემიის
(პეტერბურგის) უკანასკნელ დროის (1910 წ.) წესდებიდან,
და ისიც შემდეგ რამოდენიმე წლის სასარგებლო და ნაყოფიერ
არსებობისას მაინცდამაინც ეხლა, როცა საქართველოს ეკლე-
სიის ავტოკეფალობის ისტორიულ და კანონიკურ განხილვის
დროს რუსის სამღვდელოებამ სრული უვიცობა გამოიჩინა
ისტორიაში და საქართველოს ეკლესიისა, და მის სამღვდელო-
ების უფლებრივ მდგომარეობაში, ავტოკეფალობის აღდგენის
ერთ-ერთი მაიძულებელი მიზეზი ის იყო და არის, რომ სამ-
ღვდელოებას სურს დაიმუშაოს თავის საეკლესიო ძვირფასი
ხელნაწერები, რომლებიც დღეს ხვიმირ ქვეშ ყრია და ლპება.
მაგრამ ამის ნივთიერი შეძლება არ შესდევს მას, რადგანაც
საბატონო და სეხასო გლეხებთან ერთად, ეკლესიისაც
წაერთვა მამულები და გლეხები გასულ საუკუნის დასაწყისში,
ხოლო მოხმარება იმ ფულისა, რომელსაც მართებლობა იძ-
ლევა ნაცვლად წართმეული მამულებისა, სამღვდელოების
განკარგულებაში არ არის.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის და მეცნიერების
სფერაში კერძო მოწყალებაზე და მოხალისე მუშაკებზე იმედე-

ბის დამყარება კი ისეთივე შეუძლებელია საქართველოში, როგორც სხვაგან.

გასაკვირვალია, როგორ ანიჭებენ იურისტ-კანონისტები გადამწყვეტ მნიშვნელობას მხოლოდ საბუთის **თვალისწინობას**? განა პიროვნებითი, ქონებრივი ან წოდებრივი უფლებები საბუთის **თვალისწინობით** შეიძლება დამტკიცდეს? განა ყველას აღმოუჩნდება თანამედროვე საბუთები რამოდენიმე საუკუნის წინ შენაძენ წოდებისა ან მამულისა, მაგრამ ამაზე არავინ დაუგბს. 1783 წ. რუს-ქართველთა ხელშეკრულობას თან ახლავს სია რამოდენიმე ათეულ ქართველ თავად-აზნაურთა გვარეულობისა, რომელთაგან ერთი მეათედიც ვერ წარმოადგენს საბუთს, გინდ საბუთის პირს, თავისი წოდებისას, რადგან ზოგი მათგანი მაგ. ორბელიანები, თავის შთამომავლობის გვარტომობას ათასობით და ორი ათასი წლობით ითვლიან. გარნა აუცილებელი სიძვლე და შეუდავებელი სარგებლობა თვისი უფლებებით მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, მოწმობანი და ჩვენებანი თანამედროვეთა და თვითმხილველთა, ბოლოს, ყოვლად ძლიერი „ჩვეულება", ან ჩვეულებრივი უფლება, რომელსაც, კანონებს გარდა, ეკლესიაც ასეთ მაღალ-მნიშვნელობას აძლევს, — ყველა ამათ განა არ შეუძლიათ დაკარგული საბუთის მაგიერობა გასწიონ?

პრ. ალმაზოვი ბრძანებს, რომ ვითომ საქართველომ ავტოკეფალობა პოლიტიკურ მიზეზთა გამო მიიღო. ეს ტყვილია. ავტოკეფალობა მან მიიღო კულტურულ და ეკლესიურ-სარწმუნოებრივ სიმწიფისა და სიმტკიცისათვისაც.

მეათე საუკუნიდან არაბების ძლიერება შესუსტდა, თურქ-სელუჯუკებმა, რომლებიც მეთერთმეტე საუკუნეში გამოჩნდენ წინა აზიაში, ვერაფერი დიდი ვნება მიაყენეს საქართველოს, მან უკუაქცია იგინი და თვით ჯერ კიდევ მეათე საუკუნიდანვე იწყო გაერთიანება ერთ დიდ და მძლავრ სახელმწიფოთ, რაც გაგრძელდა მონგოლთა შემოსევამდე მეცამეტე საუკუნეში. ასე რომ, მაგალითად, ვალსამონის

დროს მეთორმეტე საუკუნეში, საქართველო გავრცელდა ზღვიდან (შავი-ზღვიდან) ზღვამდე (კასპიის ზღვამდე), მისი სამოქალაქო და საეკლესიო კულტურა არ ჩამოუარდებოდა ბიზანტიის იმპერიის ბევრ ნაწილების კულტურას და გაცილებით წინ იდგა ბევრ მის თანამედროვე ევროპის ფეოდალურ სამეფოთა კულტურაზე. ერთი სიტყვით, თავის ეკლესიის სრულ ავტოკეფალობის მიღების ხანებში საქართველო თავის დიდების ძლიერების და კულტუროსნობის უმაღლეს წერტილზე იდგა. ამას გარდა ცნობილია, რომ ავტოკეფალობა ეძლეოდა ეკლესიებს სხვა და სხვა მიზეზების გამო; მაგ. რომი ცნობილ იქმნა ავტოკეფალურ ეკლესიად, როგორც ძველი სატახტო ქალაქი; კოსტანტინეპოლმა მიიღო ეს უპირატესობა, როგორც მეფის **ახალმა** სატახტო ქალაქმა, თუმცა კულტურით ბევრათ დაბლა იდგა ბიზანტიის ბევრ მეორე-ხარისხოვან ქალაქებზე; მაკედონიამ მეექვსე საუკუნეში, როცა მას თითქმის არავითარი კულტურა არ ჰქონია, ძალისა გამო იუსტინიანე მეფის ბრძანებისა (ნოველლა), მიიღო ავტოკეფალობა, როგორც ამ მეფის **სამშობლომ**; იერუსალიმმა, — როგორც ქრისტიანობის სარწმუნოებრივმა შუაგულმა, თუმცა უფრო კულტურულ ქალაქად პალესტინაში ცნობილი იყო პალესტინის კესარია, სადაც მიტროპოლიტი იჯდა. როგორც ცნობილია, ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალობისა მეთექვსმეტე საუკუნის დამლევს თურქთაგან მეთუთხმეტე საუკუნეში კონსტანტინეპოლის დაჭერა იყო, სიშორე და დაბრკოლებანი რუსეთის იერარქიის კონსტანტინეპოლის საპატრიარხოსთან თავისუფალ მიმოსვლა — ურთიერთობაში. ერთი სიტყვით, იყო მიზეზები პოლიტიკური, გეოგრაფიული და არა სარწმონოებრივ-კულტურული.

ყველა ზემონათქვამის შემდეგ ჩვენი აზრით სრულიად კარგია პროფესორ ალმაზოვის დასკვნების დაუსაბუთებლობა და თვითნებობა, იმ დასკვნების, რომლებიც მოყვანილია ოთხ მის დებულებაში. თავის დასკვნის პირველ მუხლში პრ. ალმა-

ზოვი ამბობს, რომ ,,საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა არ არის ისეთი რამ. რომელიც მას **დასაბამიდგან** (ხაზი უ. ალმაზოვისაა) ეკუთნოდეს: იგი ისეთი მოვლენაა, რომელიც, თუმცა კანონიერად დამტკიცებულია, მაგრამ დასაბამი ამავე ეკლესიის ისტორიაში აქვს... და როგორც ასეთი, შესაძლებელია მოისპოს კიდეც.'' კარგი, მაგრამ ავტოკეფალობა, მაგ. კონსტანტინეპოლის ეკლესიისა დასაბამითია და ბოძებულ აქვს ეკლესიურ დამსახურებათა საფუძვლით? მიუხედავათ ამისა თათრები ინახავენ და უვლიან მას აგერ ხუთი საუკუნის განმავლობაში. ეს ახალი თეორია **„დასაბამითი"** ავტოკეფალობისა აღიძრა კრების წინასწარ კამისიის მეორე განყოფილებაში პრ. ოსტროუმოვის წყალობით. მას არავითარი საფუძველი არ აქვს კანონებში. კანონი: ,,დაცულ იქმნეს ძველი ჩვეულებანი'', ეკუთვნის არა მხოლოდ ეკლესიურ მართვა-გამგეობის ფორმას, არამედ მთელ ძველ ჩვეულებებს ერთად, რომლებიც შეუმუშავებია ამა თუ იმ ეკლესიას მთელ თავის ცხოვრება-მოქმედების განმავლობაში და განსაკუთრებით ასეთ ძველ და კონსერვატიულ ეკლესიას, როგორიც არის საქართველოს ეკლესია. საეკლესიო ისტორიის ახლო მცოდნეებმა, კარგათ იციან, რომ არა მხოლოდ ის ავტოკეფალები გამხდარან მსხვერპლად **იძულებითი** მოსპობისა, რომლებიც არ სარგებლობენ ამით ,,დასაბამიდგან''. სიტყვები: ,,მიკედლება, შეერთება, დამორჩილება, გაერთიანება'', რომლებსაც იმეორებენ პრ. ალმაზოვი და სხვები შესახებ საქართველოს და რუსეთის ეკლესიების ურთიერთ შორის კავშირისა, არ არის სწორი და კანონიერი ტერმინოლოგია, არამედ ეს არის „დატყვევება" ანუ ,,დამორჩილება'' (порабощеніе) ერთი ეკლესიისა მეორისაგან, მასთან უძველესისა, უფლებით ძლიერისა, საეროო მთავრობის დახმარებით. ბოლოს ამ კანონისტებს ავიწყდებათ ან განზრახ სტოვებენ უყურადღებოთ, რომ საქართველოს ეკლესია, რომლის მართვა-გამგეობა 1811 წლამდის ეკლესიურ ნიადაგზე სწარმოებდა, ამ დროიდან მისი

მართვა-გამგეობა უნდა წარმოებულიყო ,,სასულიერო რეგლამენტის'' ძალით, რომელიც სპეციალურათ რუსეთის ეკლესიას ებოძა 1721 წ., რომლის მოქმედების გავრცელების უფლება სხვა მართლმადიდებელ ეკლესიაზე მას არ მისცემია. თავის დასკვნის მეორე მუხლში პრ. ალმაზოვი იმეორებს ზემო დარღვეულ მოსაზრებას, რომ ვითომ განაწილება საეკლესიო ადმინისტრატიულ ცენტრებისა უთუოდ უნდა ემორჩილებოდეს პროვინციების სამოქალაქო დაყოფას, რაც მაინცდა-მაინც არ უშლიდა ეგვიპტეში, პალესტინაში და ანტიოხიაში მჯდარიყვენ პატრიარხები, თუმცა საქრისტიანო სამეფოები ამ ქვეყნებში არ ყოფილა, როგორც დღესაც არ არის. მესამე მუხლში პრ. ალმაზოვი აცხადებს, რომ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების შეერთების დროს პირველს, ვითომ კანონების ძალით, უთუოთ ქვემდებარეობითი ადგილი უნდა დაეჭირა... დიახ ეს ეკლესია, რომელიც წარმოსდგა შეოთხე საუკუნეში, მიიღო ავტოკეფალობა არა უგვიანეს მეთერთმეტე საუკუნისა, უნდა „ჩამდგარიყო ქვემდებარეობით მდგომარეობაში'' ისეთ ეკლესიასთან, რომელიც წარმოსდგა მეთერთმეტე საუკუნეში, ავტოკეფალობა მიიღო მეთექვსმეტეში, პატრიარხობა უკვე მოესპო 1721 წელში და შემდეგ ამისა მისი მართვა-გამგეობა სწარმოებს პეტრე დიდის ,,სასულიერო რეგლამენტის'' ძალით. ბოლოს, პრ. ალმაზოვი, რომელიც ასე მკაცრათ თხოულობს საბუთს საქართველოს ეკლესიის ანტიოქიის პატრიარქისგან მეთერთმეტე საუკუნეში განთავისუფლებისას, ხომ არ მიიღებს შრომას წარმოადგინოს **საბუთი**, რომლის ძალითაც მოესპო ეს თავისუფლება საქართველოს ეკლესიას, ,,თავისუფლება, რომელიც მოგვიტანა მაცხოვარმა'', და რომლის (საბუთის) ძალითაც იგი **შეუერთდა** რუსეთის ეკლესიას. ასეთი საბუთი არასოდეს არ ყოფილა და არც არის, და კანონისტებიც, რომლებიც მუდამ გაიძახიან და სწერენ, გაერთიანებაზე, შეერთებაზე და სხვ. და სხ., ლაპარაკობენ და მოქმედებენ **არა კანონიურად** და არა მეცნიერულად. ამ

არა კანონიურ აქტს, უფრო სამართლიანი იქნება, უწოდოთ, როგორც ზემოთაც ვსთქვით, მხოლოდ ,,დატყვევება და დამონება ''. უკანასკნელ, მეოთხე მუხლში პრ. ალმაზოვი ამბობს, რომ საქართველო შემოერთებულ იქმნა მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როცა ვითომ ,,იგი ისეთ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, რომ უფუოდ უნდა დაეკარგა თავის პოლიტიკური დამოუკიდებლობა (ეს ხომ უმისოთაც დაკარგული ჰქონდა მას!) და ჩვეარდნილიყო არა ქრისტიან ხალხთა ხელში, მაშინ საქართველოს ეკლესიაც ,,დაემორჩილა'' უწ. სინოდს ვითომდა ,,მისი იერარქიის — სამღვდელოების სურვილით, რაზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი.

ა. ცაგარელი.

(შემდეგი იქნება).

სამღვდელოება და მეურნეობა.

„რაც ვიყავით ის აღარ ვართ, რაცა ვართ ის ნუ ვიქნებითო!“ უთქვამს ჭკვიანს. ეს თქმულება ბევრზე ზედგამოჭრილია, მაგრამ ისე სხარტულათ და ისე მკაფიოთ ზარავის არ ახასიათებს, ისე კარგად არცერთ წოდებას არ ასურათხატებს, როგორც ჩვენს სამღვდელოებას. ერთ დროს ცხოვრების მესვეური და მესაჭე სამღვდელოება, გულზე თუ ხელს დაიდებს, თავის დღევანდელ მდგომარეობაზე კარგად გასჭვრეტს და ძველს დაუპირდაპირებს, ჭეშმარიტათ რომ გულ ამოსკვნით უნდა სთქვას: „ეჰ, რაც ვიყავით ის აღარა ვართ, დავკარგეთ ის დიდება, ის პატივი, ხოლო რაც ამ ჟამათ ვართ ჩვენთვის მაგნაირი ყოფა საძრახასია და არა სახარბიელო!“ ნურავინ იფიქრებს რომ სამღვდელოება, როგორც ერთი წოდება მო-

ძველებული და ცხოვრების მიერ უარყოფილი იყოს და მისთვის დაეკარგოს ძველი დიდება და პატივი. სრულებითაც არა. თუ სამღვდელოების პრესტიჟი ნდობა და რწმენა დღეს ხალხის თვალში დაცემულია და დღითი დღე თუ კიდევ უარესათ ეცემა, ამის მთავარი მიზეზი თვით შიგნით არის, თვით სამღვდელოების ბრალია. ცხოვრება წინ წავიდა, ის ყველაფერში განახლებულ ძალას ეძებს და მას ეყრდნობა. როგორც ძველი ,,თხიერი'' ახალ ღვინოს ვერ იგუებს ისე ახალი მესვეურიც ცხოვრებასთან საბრძოლველად თუ ახალი იარაღით არ არის შეიარაღებული, ისე ცხოვრებასთან ის ვერას გახდება, ცხოვრების პამპულა გახდება და ცხოვრების გარეშე გაიტრიყება. ჩვენი სამღვდელოების საქმეც ასე მოხდა. ის უძლური და მოუმზადებელი დარჩა ახალი ცხოვრებისთვის, ამისათვის საკვირველიც არ არის, თუ ცხოვრება მას დღეს სასტიკათ დასცინის. ცხოვრების წინსვლას ჩვენმა სამღვდელოებამ ანგარიში არ გაუწია. ის, რაც წინად იყო, დღეს ის აღარ არის, ახალი ცხოვრებისთვის კი მოუმზადებელია. ყველაზე თვალსაჩინო ნაკლი ჩვენი სამღვდელოების და მეტადრე სოფლელების ის არის, რომ მას არ შეუძლია მეურნეობა; დიდ უმეტესობას ოჯახობა, შრომა, ოფლის ღვრა, თუ გინდ ფიზიკურათაც შეეძლოს, ეთაკილება. ძველი მღვდელი ორშაბათიდან მოკიდებული შაბათის მწუხრამდე მის მრევლ უბრალო გლეხისაგან არც ტანისამოსით და არც დაკორშებული მშრომელი ხელებით არაფრით არ განსხვავდებოდა; --მღვდელი ის მხოლოდ ეკლესიაში იყო, ღვთის მსახურების დროს, დანარჩენ დროს ოჯახურ შრომაში ატარებდა, მრევლთან ერთად ჭირსა და ლხინს იზიარებდა. მრევლიც მასში თავის მეგობარს ხედავდა ენდობოდა და თავის ჭირ-ვარამს სავსებით უზიარებდა. მართალია, წინათ საზოგადოთ ყველას მოთხოვნილება მცირე იყო, მაგრამ მაშინდელი უჯამაგირო მღვდელი დღევანდელ ჯამაგირიანთან შედარებით მაინც უკეთ ცხოვრობდა. რატომ?

მიტომ რომ მას არამც თუ საყიდელი, მისი შრომით მოწეული ჭირნახული გასაყიდიც კი მოეპოვებოდა.

დღეს რას ვხედავთ? დღევანდელი განსწავლული მღვდელი სოფელს და სოფლის საჭირ-ბოროტო საკითხებს ყავსებით ჩამოშორდა. მას არ ეხერხება სოფლური მუშაობა, გარჯა და შრომა. უმეტესობა მათგანი ცისმარა დღე ტყვილად არიან და ზოგჯერ დროს ისე ქარაფშუტობაში ატარებენ, რაც არამც თუ მათ წოდებას, არამედ არც ერის კაცს შეშვენის. ბრალი ამისი, რასაკვირველია, მარტო სამღვდელოებას არ ედება. აქ დამნაშავე მათი აღმზრდელებიც არის, რომელთაც მეზღვაურები გაზარდეს, მაგრამ ცურვა კი არ ასწავლეს. მარტო საღმრთო წერილის ცოდნა და ეკლესიაში ღვთის მსახურების ასრულების ცოდნა საკმარისი არ დარჩა.

„სიტყვა თვინიერ საქმისა მკვდარ არისო“, ეუბნებიან მღვდლები თავიანთ სულიერ შვილებს, ხოლო მათ სიტყვასა და საქმეს შუა კი დიდი მზღვარი დევს. „ზარმაცობა დედაა ყველა ბოროტებისო“, ასწავლიან, თვითონ კი მთელი დღე ტყვილათ არიან. მოჰკიდეთ ხელი შრომას, გააშენეთ ბაღი, ვენახი, ბოსტანი, მოამრავლეთ შინაური საქონელი, გაიჩინეთ ფუტკარი, დაისვით აბრეშუმი, იშრომეთ ქალიან-კაციანა და მაშინ არც საქეიფო და არც საავაზაკო დრო გექნებათ, არც გეშივებათ, არც ჩარჩის ხელში ჩავარდებით, გაძღებით, გამდიდრდებით, ბედნიერი შეიქნებითო, გვიქადაგებენ სულიერი მამები. თვითონ კი ყველაფერ სანოვაგეს ხახვიან კარტოფილიანა სოფლის დუქნიდან ხარჯულობენ. არავისთვის ახალი ამბავი არ არის ის რომ სოფელი საჭიროებს წინამძღოლს, საჭიროებს ცოცხალი მაგალითის მიმცემს. ეს კი სოფლის ინტელიგენციამ უნდა იკისროს, მათში კი ყველაზე საპატიო ადგილი მღვდელმა უნდა დაიჭიროს. სოფლის მასწავლებელს მღვდლისოდენა არც დრო აქვს და, არც შეძლება, რომ სოფელს მაგალითის მიმცემათ იმდენზე და ისე კარგად გამოადგეს, როგორც მღვდელი. თუ მღვდელს სურს თავისი შერყეული პრე-

ტიკულ აღდგენა, თუ სურს, რომ მრევლი მას სავსებით ენდობოდეს და მრევლის გულის მესაიდუმლე იყოს და ბოლოს, თუ სურს, რომ ქონებრივადაც წელში გაიმართოს, აუცილებლად სოფლის მეურნეობას საფუძვლიანად უნდა მოკიდოს ხელი.

იჭვათ ნურავინ გაივლებს გულში იმას, რომ მღვდლებს მეურნეობის ხელის მოკიდება შეარცხვენს და არ შეშვენის. პირიქით ამით ისინი ბევრით წინ წავლენ. უცხოეთში და რუსეთშიაც ძლიერ ბევრ მღვდელი ჩინებული მეურნეა. ბევრს სამეურნეო დარგიდან მეცნიერულმა შრომაც აქვს დაწერილი. ბევრი სამეურნეო ჟურნალის სისტემატიური თანამშრომელია, ბევრი სამეურნეო საზოგადოების, კოოპერატიული ამხანაგობის, საზოგადო დუქნისა და საკრედიტო დაწესებულების მომქმედი წევრია. ბევრს, ძლიერ ბევრს მოძღვარს (რომელთა სახელ-გვარის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა) მეურნეობიდან ბევრად მეტი შემოსავალი აქვს ვიდრე მღვდლობიდან. ვაგრამ არ იფიქროთ ყველა ეს მღვდლები მამა-პაპურ პირველ ყოფილ, ეგრეთ წოდებულ პრიმიტიულ მეურნეობას მისდევდენ. დიახ, არა თუ ისინი მეურნეობას მისდევენ და მისთვის ჩვენ მათ პატივს ვსცემთ მხოლოდ პატივს ვცემთ იმისთვის, რომ მათი მეურნეობა სოფლელებისთვის სამაგალითოა, იგიცე პრაქტიკულ სკოლაა, რომლიდანაც მათ მაგალითის გადმოღება და გამოცდილების შეძენა შეუძლიათ.

ახლა გავარკვიოთ, აქვს თუ არა ნიადაგი ჩვენში მეურნეობას და ამოირჩევა თუ ეარა მეურნეობის ისეთი დარგი, რომელიც მღვდელს შეეფერება, ესე იგი მღვდელი მოერევა (მისთვის დრო დაურჩება) და მასთან მისი წარმოება-მეურნეობით მრევლსაც მაგალითს მისცემს და თვითონაც იხეირებს. დავიწყოთ შავი ზღვის პირა ადგილებიდან. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ აქ მშვენიერად ხეირობს ჩაი და მისი წარმოება საგრძნობელ სარგებლობასაც იძლევა, დიდ დროსაც არ ითხოვს, თან მუშათ ოჯახის ყველა წევრები გამოდგება,

როგორც ხნიერი ისე მკირეწლოვანიც იქვე მშვენიერად ხეირობს ბამბუკი, რომლიდანაც კეთდება სხვადასხვა ფეხი და რომელიც მშვენიერი ლობეთაც (ვენაფეს ჭიგოთაც ვარგა და ზოგიერთი ისეთი ჯიშისაც არის, რომ სახურავათ და წყლის მილებათაც ხმარობენ). მშვენიერად ხეირობს აგრეთვე მანეული (საწნავი ძეწნა) და ტეოლოფა. პირველიდან იწვნება სხვადასხვა ცვლათები და ყუთები, მეორიდან იქსოვება ჭილოფები. ყველა ამათი წარმოება სუფთა და ადვილი შესასწავლი გახლავთ, და თუ გასაყიდათ ვერ ვაწარმოებთ სარჯახო სახმარ ნივთებს ხომ მაინც შევივსებთ და ყიდვა არ დაგვჭირდება. ლიმონი, ფორთოხალი და სხვა ნაზი მცენარეების მოშენებაც ხომ ძნელი საქმე არ არის, მაგრამ ესენი თუ გინდ ზედმეტად ჩავთვალოთ. აიღეთ უფრო საარფიანი საქმე, მებოსტნოება. ეგ ხომ ყველასთვისა ხელმი საწვდენი და სასარგებლოა. გურია-სამეგრელოში და ქვემო იმერეთში ზამთარ-ზაფხულ ბოსტანი მშვენიერათ ხეირობს, მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ მეავე კიტრს ნოვგოროდის გუბერნიიდან მოტანილს ვყიდულობთ. უანგარიშობა და დაუდევრობა ამას იქით სად წავა. ჩვენში კიტრი რომ ყვავილობს იმ დროს რუსეთში ჯერ კიდევ ფოვლია. უბრალოთვის ბოლოკირა არის, ჩვენ ისიც ვერ მოგვიყვანია, ბათუმელ მებოსტნე მამადიანებიდან ვყიდულობთ და არც კი გვიცხვენია, თუ გინდ აიღეთ ახლა მეხილეობა. ყველა ვხედავთ, რომ ხილს საოცარი ფასი დაედვა, შარშან გურია-სამეგრელოში ბუნა-ბუნათ დადიოდენ სპარსელ-ბალები და არამც თუ ვაშლსა და მსხალს, არამედ უბრალო ტყემალშიაც კი კაი ფასს იძლეოდენ (ფუთი უბრალო ტყემალი 30—40 კაპ., წითელი კი 60—70 კაპ. იყიდებოდა). დიახ ყიდულობდენ და რუსეთში აგზავნიდენ. ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია ეს ხილი კიდეც მოვიწიოთ და კიდეც გავასაღოთ?! ახლა აიღეთ ხილისა და ბოსტნეულის ტეხნიკურად დამუშავება, ესე იგი მათგან სხვადასხვა კონსერვებისა, მურაბისა და სხვა ტკბილეულო-

ბის მომზადება, გახმობა და ისე შენახვა, გაყიდვა და სხვა. მარტო ლეღვი ტეხნიკურად დამუშავებული, ვინ იცის, რამდენ ფულს შესძენდა ჩვენს ქვეყანას. წარმოვიდგინოთ, რომ არც გაგვეყიდა, ნუ თუ საოჯახოთ გვაწყენდა?

ამოვინაცვლოთ ცოტა ზემოთ აქ მშვენიერი ვენახი და ხეხილის ბაღი ხეიროობს. ზედმეტია იმის თქმა, რომ ვენახი და ღვინო ქართველისთვის, ერი იყოს, თუ გინდ მღვდელი, რა ნაირი აუცილებელია. ლეჩხუმში, რაჭაში, სვანეთში ზემო იმერეთში დიდებული საფუტკრე ადგილია. ამ ღვთის მწერებს რომ ღვთის მსახურნი უვლიდნენ ყველაზე უპრიანია და ეს ხელობა მათთვის ზედგამოჭრილია, მაგრამ, აქაც სრული უყურადღებობაა. მთელ რაჭაში, სადაც მეფუტკრეობას რამოდენიმე ასი კომლი შეუძლია გამოკვებოს, ერთი მეფუტკრე მღვდელია და ისიც სომეხი. ჩვენს მღვდლებს კი რაჭაში, არამც თუ ის ვერ გაუხერხებიათ ფუტკარს თვით მოუარონ, და მით ღვთის სასიამოვნო და მათი სასარგებლო საქმე გააკეთონ, არამედ ისიც კი ვერ გაუხერხებიათ მრევლს ჩააგონონ, რომ ფუტკრის ბარბაროსული გაქრობა ზამთრობით მოიშალონ. მოგეხსენებათ, რაჭველების უმეტესობას სკიდან თაფლი ისე ვერ გამოუღია, თუ ფუტკრები არ დახოცა. ცხადია აქ ყველა მღვდელმა ხმა უნდა აიმაღლოს და ყველას ამხილოს, რომ ეს საზარალო და დასაგმობი საქმეა. მაგრამ სამწუხაროთ ზოგიერთი მღვდელი იმასვე ჩადის და ფუტკრებს თაფლ-ყანთელისთვის ისევე ანადგურებს, როგორც მისივე მრევლი.

ფოთქმის მთელი ქუთაისის გუბერნია, აბრეშუმისთვის კარგია. მღვდელს შეუძლია, არამც თუ ბუოლის ხე გააშენოს და აბრეშუმის ჭიას მოუაროს, არამედ პასტერის საშვალებით ჭიის თესლიც გაარჩიოს და გაყიდოს, მაგრამ ამის მაგალითსაც მხოლოდ ერთად ერთი ჯურული მღვდელი გვაძლევს და მეტი არა.

რაჭაში ხალხს სწამს, რომ თუ აბრეშუმის ჭია დაისვა, ელია გაჯავრდება. ჯერ არ გამოჩნდა ისეთი მღვდელი, რომ

ხალხს ცოცხალი მაგალითით დაუმტკიცოს, რომ ეს ცრუმორწმუნეობაა და აბრეშუმის ჭიის გაჩენა მეურნეობის ერთი სასარგებლო დარგია და მისი მოვლა ჩვენი სასარგებლო, და ღვთის სასიამოვნო იქნება, და არა გასარისხებელი.

ახლა აიღეთ ქართლი, კახეთი ფშავ-ხევსურეთი და მთიულეთი. მართალია, ამ კუთხეებში მეურნეობის დარგის სხვადასხვაობა ისე არ არის, როგორც იმერეთში, მაგრამ სამაგიეროთ ამ ადგილებში მეურნეობის რომელი დარგიც ხეირობს იმერეთისაზე უფრო იმედიანია. ასეთია მაგ. მეხილეობა, მევანეხეობა, მეფუტკრეობა (ზოგან მეაბრეშუმეობაც), მებოსტნეობა, საქონლის მოვლა-მოშენება, მერძეობა და სხვა. სსვების სამაგალითოდ ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ დუშეთის მაზრის, სოფ. წინამძღვარიანთ—კარის მღვდელი მამა ალ. ჯალიაშვილი, რომელსაც სამაგალითოდ მოწყობილი საფუტკრე აქვს. 65 ძირი დადანის სკიდან ყოველ წლიურად 600—700 მ. იღებს. ეს იმიტომ რომ ის ფუტკარს „უვლის თავს ეკლება", ზემოდან მეორე სართულს, საკუჭნაოს ადგამს, სავსე სარაჭებს ციბრუტაზე ცლის, ამით მ'შვენიერ სუფთა თაფლს ღებულობს, თაფლის ჭურჭელი ფიჭა კი ისევ რჩება და სამერმისოთ მის ქვეშეგზე ფუტკრებს დროსა და ხარჯს არ აკარგვინებს, თავის დროზე აძლევს და ისევ ავსებინებს, სკებსაც თავის ხელით აკეთებს. მამა ჯალიაშვილი სამეურნეო ჟურნალებშიაც სწერს თავის დაკვირვება გამოცდილებას.

იქნებ იკითხოთ, თუ სად შეიძინა მან ეს სწავლა? იმანაც სასულიერო სემინარია დასრულა, მხოლოდ მერმე, რაკი საქმე უყვარდა და შრომა არ ეზარებოდა, სამეურნეო სკოლებს მიხედა, წიგნები იკითხა, სამეურნეო ჟურნალი გამოიწერა, საცდელად ცოტას მოჰკიდა ხელი და მერმე თანდათან გამოიწვა. ქვეყანაზე არ არის ისეთი საქმე, რომელიც „მოთმინებამ და შრომამ არ დასძლიოს." თუ გული გულობს ჩვენც მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ, შრომა არ დავიზაროთ და საქმეც გაიჩარხება.

ჩვენი აზრით, თუ მღვდლებისთვის ცალკე სამეურნეო კურსების მოწყობა გასჭირდება, მაშინ მღვდლებმა შუამდგომლობა უნდა აღძრან, რომ ნება დართონ სოფლის მასწავლებლებთან ერთად კურსებს დაესწრონ, მაგალითად, მეფუტკროების და მეაბრეშუმეობის კურსები ყოველ წლიურათ იმართება თფილისში კავკასიის საბრეშუმო სადგურში. ორივე საგანს ასწავლიან, როგორც თეორეტიულად ისე პრაკტიკულადაც. გარდა ამისა შეიძლება მღვდლებმა თავის დროზე (სეზონის მიხედვით) იარონ ქუთაისის სამეურნეო სკოლაში, საქარის სანერგეში, წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში, თფილისის საბაღოსნო სკოლაში და თფილისის ბოტანიკურ ბაღში. მე მგონია რომ ხსენებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელნი სიამოვნებით დათანხმდებიან და სხვა მოწაფეებთან ერთად მღვდლებსაც ყურადღებით მოექცევიან. მაგრამ აქ კერძო თაოსნობა (ინციატივა) უძლური იქნება, უმჯობესია შეერთება, მაგალითად, ერთ საბლაღოჩინო ოლქს თამამად შეუძლია ესა თუ ის მღვდელი თავის დროზე გაან თავისუფლოს და იმის შესასწავლად გაგზავნოს, რაც იმ მიდამოში (რაიონში) ხელსაყრელია და რაც თვით შემსწავლელს ეხალისება. ეს მღვდელი ვალდებული იქნება მერმე მეურნეობა თვით მოაწყოს თავისთვის და თავის ცოდნა-გამოცდილება სხვა მის მოძმეს გადასცეს. ამ რიგად ურიგო არ იქნება მღვდლები დაარსებდენ საბლაღოჩინოში ერთ საძმო საფუტკრეს ან სხვა რაიმეს. გარდა ამისა, ნუ თუ მთელ ერთ ან ორ საბლაღოჩინო ოლქს გაუჭირდება საკუთრად მღვდლებისათვის ერთი ორი წლით მოიწვიონ ინსტრუქტორი, გამართონ საცდელი პუნკტები? მაგრამ ჯერჯერობით ჩემი ხმა მგონი მხოლოდ მარტო ხმად დარჩეს „უდაბნოსა შინა“ და ჩვენმა სამღვდელოებამ ასეთი საწალმართო რამ ბიჯი გადასდგას საეჭვოა. ის კი არა, ჯერჯერობით სულ უბრალო რამეც ვერ გაუხერხებია. როგორც „სასოფლო გაზეთის“ მე 6 ნომრიდან სჩანს, მთელ ქართველ მღვდლებში ამ სამეურნეო ჟურნალს მხო-

ლოდ სამი ხელის მომწერი მღვდელი ყოლია... კიდევ ვიმეორებ და გულმხრვალეთ მოვიწოდებ მღვდლებს ხელი მოკიდონ სოფლად მეურნეობას და ამაში იმდენზე გაიწაფონ, რომ წირვის შემდეგ ეკლესიის გალავანში სამეურნეო ხასიათის საუბრების მოწყობა შეიძლონ. მაშინ ნახავენ, თუ საყდარზე მეტი ხალხი არ ივლის და მღვდელსა და მრევლს შორის ისევ ხიდი არ გაიდება.

ხუციძე.

იმერეთი 1650 წელს*).

22 მაისს 1650 წელსა რუსეთის მეფემ ალექსი მიხეილის ძემ უბრძანა „მიკიფორე მატვეიჩს ტოლოჩანოვს და დიაკს ალექსი ივანესძეს იევლევს წასვლა იმერეთში („въ Имеретинскую землю“) ალექსანდრე მეფესთან (ალექსანდრე მესამე) „მეფის წყალობით“ და „ღრამატით“. ეს გამოწვეული იყო იმერეთის მეფის ელჩების მისვლით მოსკოვში შემწეობის სათხოვნად. მეფის ბრძანება იყო ტოლოჩანოვი და იევლევი წასულიყვნენ იმერეთში ალექსანთრე მეფის ელჩებთან ერთად

*) Статейный списокъ Посольства Микифора Михайловича Толочанова въ Грузію 7158 (1650) года. პირველად ეს დოკუმენტი დაბეჭდა ცნობილმა ბიბლიოფილმა ნოვიკოვმა. აქედან ბ. ნ. ი. ნიკოლაძემ გადმობეჭდა 1894 წელს თავის გაზეთში, „Новое Обозрѣніе“-ში, მაგრამ დიდი შეცთომებით, რომლებიც საბუთიანად უჩვენა და განმარტა იმავე გაზეთში კიევის აკადემიის სტუდენტმა, ღღეს დეკანოზმა კალ. ცინცაძემ. სამწუხაროთ ვერც ერთით და ვერც მეორეთი ვერ სარგებლობენ ჩვენი ისტორიკოსები და თავიანთ ნაწერებში, როგორც ჩვენი ძველი მემატიანენი, ისევ უფრო ერის გარეგნულს ცხოვრებას შესტრფიან, ვიდრე ისეთს საინტერესო ცნობებს შინაგანი ცხოვრებიდან, როგორი ცნობებიც მოთავსებულია ზემო დასახელებულ „საბუთში“. რომ უფრო გაუადვი-

წყლით (ნავებით) კოლომნაზე, რიაზანზე, მურომზე, ნიჟნი-ნოვგოროდზე, ყაზანზე და ასტრახანზე. ელჩების უვნებელობისათვის მათ გააყოლეს „სტრელცები“ რიაზანამდი, აქედან კი უნდა ქალაქიდან ქალაქამდე მიცემოდათ ადგილობრივი მცველები. ყაზანიდან თერგზე უნდა წასულიყვნენ, აქედან კი იმერეთში. ალექსანდრესთვის, როცა მეფის წყალობას მიართმევდენ, შესაფერი სიტყვა უნდა მოეხსენებიათ და ისიც სიტყვა სიტყვით („подлинно“) ჩავწერათ („въ статейный списокъ“), რასაც მეფე ალექსანდრე პასუხად ბრძანებდა.

ელჩები გამოვიდენ მოსკოვიდან 9 ივნისს, 23 ივლისს გამოვიდენ ყაზანიდან, 6 ენკენისთვეს მოაწიეს ასტრახანს და გამოეცხადენ თავადს ივანე გალიცინს 7 ენკენისთვეს. აქ ნავების შეკეთებაში შერჩენ 9 დღე. 17 ენკენისთვეს წამოვიდენ კასპის ზღვით, მაგრამ ზღვა აუღელდათ და იმერეთის ელჩები დააშორა რუსებისას. ასე გაგრძელდა თვის ბოლომდი. 1 ოქტომბერს აუშვეს იალქნები და გამოემგზავრენ თერგისკენ. ზღვა ისევ წახდა, 13 დღე შეჩერებული იყვნენ მგზავრები და ბევრი ხაბაკიც გადაყარეს ზღვაში ტვირთის შესამსუბუქებლად. გადმოვიდენ თუ არა ქალაქ თერგში, გაუგზავნეს კაცები მეფე ალექსანდრეს მოსაშველებლად. გაგზავნილ იქმნა ტოლმაჩი (თარიჯიმანი) ასტრახანელი **ივაშკა ტიზიჩენკო** და მეფის ალექსანდრეს ელჩებიდან **ხუცესი სიმონი** (იმერელი); თან გააყოლეს ყაბარდოელი ჩერკესი **ზაგარდა** და სამი მსროლელი (стрѣльцы). მოამბენი მობრუნდენ ქუთაისიდან 21 იანვარს

ლოთ ჩვენ ახალგაზრდა მკვლევართ ასეთი მასალით სარგებლობა, ჩვენ განვიზრახეთ „განთიადის“ ფურცლებზე მოვათავსოთ როგორც ამ საბუთის დაწვრილებითი შინაარსი, აგრეთვე რაოდენიმე სხვა საბუთებისაც. ეს მასალა სხივს ჰფენს ჩვენი წარსულის ბევრ ბნელ ხანას და, ვგონებ, ჩვენი შრომა არ უნდა დარჩეს უსარგებლოდ. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დოკუმენტების პირდაპირ თარგმანს ჩვენ არ ვკისრულობთ უფრო იმიტომ, რომ უმეტესი ნაწილი საკუთარი სიტყვებისა ჩამწერთაგან გაჯყენილია და მათი აღდგენა არც ისე ადვილია. ხოლო ფაქტიურ მხარეს კი სისწორით გადმოვცემთ და ესეც საკმაო იქნება საქმისათვის.

რაჭის გზით და თან მოყვათ მეფე ალექსანდრესგან გამოგზავნილი შესაგებებლად აზნაური კონსტანტინე კანტოვი*). ელჩებს მიართვეს ალექსანდრეს ბარათი („листъ“), სადაც მეფე პატიჟობდა მათ და სიხარულს აცხადებდა ამათ მობრძანებაზე. ამასთანავე ალექსანდრე სწერდა ნაღდგომევს წამოსვლას, აპრილში, როცა გაზაფხულდებოდა.

მართლაც 15 აპრილს წამოვიდენ ელჩები იმერეთისკენ და თან წამოიყოლეს მცველებად 50 მსროლელი, 30 სხვა ახალი „ნათელღებულნი“, მონადირე 60, მოაწიეს ზაზარუკამდი და ბოლხარამდი („Зазаруки“, „Болхары“). აქ ელჩებს შეხვდენ ალექსანდრეს კაცები,—აზნაურნი მამუკა ჯაფარიძე და და გიორგი ყანშევი (?) მეფის ბარათით, თანაც მათ მოიყვანეს 273 კაცი ბარგის წასაღებად ზურგით, გზის უვარგისობის გამო. ეს იყო 29 მაისს. 2 ივნისს მოაღწიეს რიონის სათავეში და გაათიეს აქ ღამე. მეორე დღეს მათ მიეგებენ ცხენებით ალექსანდრეს კაცები. მეფის კაცი („Иванъ Григорьевъ“) მოახსენებს ელჩებს, რომ მეფეს ისე უხარია თქვენი მობრძანება, საუკეთესო და დაახლოებული აზნაურები გაახლოთ შესაგებებლად (ლომკაცა ჯაფარიძე და **გიორგი არისუპა** (ალბად ერისთავი!) და სურს თქვენი ამბავის შეტყობაო.

ამათ მიიღეს ელჩები და წამოვიდენ მათთან ერთად გიორგი „კანტოვის“ საფლობელოში, ქალაქ ტევრიჟში („Тевржъ“). ქალაქი ტევრიჟი (?!) მდებარეობს მდინარე რეონს (რიონი) გალმა მთის კალთებში („въ полугорѣ“). ქალაქს გარშემო სოფლებია („посады“) და სოფლებში ეკლესია ქვისა თხუთმეტი, დარბაზებიც ბევრი სასარბაზნეებით, ადგილი მაგარია, გამოსასვლელი ერთად ერთი და მაღალი“.

5 ივნისს ელჩები წამოვიდენ დილით და მოაწიეს ლომკაცა ჯაფარიძის მამულში (რაჭაში) სოფელ მაცხოვარში („въ

*) ვინ არის ეს კანტოვი? უთუოდ გადამახინჯებული იმერული რომელიმე გვარია.

село Спасское"), გზაზე გაიარეს 30-მდი სოფელი, სოფლებში და ქალაქ-ქალაქ კოშკები ნახეს ქვის და დარბაზები საზარბაზნეებით.

7 ივნისს აქედან წამოვიდენ და გაათიეს ღამე სოფელ **ღვთისმშობელში** (Богородцкомъ) აზნაურ **„ბაკლი ზირნეევთან"** (у азнаура Баклы Зырнеева) და გაიარეს სოფელი 50 სააზნაურო, სადაც ნახეს კოშკები და დარბაზები ქვის, ეკლესიები ქვის და ხის დაბალნი და უზარონი.

9-ს აქედან მიკიფორე და ალექსი წამოვიდენ მიტროპოლიტ ზაქარიას მამულში. თვითონ მიტროპოლიტი ცხოვრობდა ქალაქ ქუთაისში, მეფე ალექსანდრესთან. სოფელში ეკლესია ქვისაა ღვთისმშობლის (Одигитріи), ამ სოფელთან, მიტროპოლიტის საფლობელოსთან, აქაური მცხოვრებლების თქმით, 40-მდი სოფელია, სოფლებში საყდრები ქვის და ხისა, დარბაზები საზარბაზნეებით, საალყო დროისთვის.

10 ივნისს სამიტროპოლიტოდან ელჩები წავიდენ და მივიდენ მეფის ალექსანდრეს საბრძანებელში, სოფელში და იდგნენ მეფის ეზოში. ეზოში გაშენებული იყო მისი მობრძანებისთვის გვირაბები (чердаки подземельные) ფიცრული, ეზოშიც ეკლესია ქვის ნათლისმცემლის; მეფის ეზოს გაღმა მდინარე კრახულოს მეორე გვერდით, მთაზე ეკლესია იყო ქვის, ფრიად მშვენიერი, მთავარ ანგელოზის მიხეილის; ეკლესიებში იყო ხატები დასაკეცნი, მოჭედილნი, ოქროთი და ემალიანი.

მეფის ეზო მდებარეობდა ორ მდინარეს შუა „რეონსა დი კრიხულოს შუა", იმავე მდინარე კრიხულოს გაღმა, მთებ ქვეშ, რიონზე იყო ეზო არქიეპისკოპოსის სიმეონის, ეზოში საყდარი ხის მთავარ ანგელოზის. არქიეპისკოპოსმა სიმონმა ელჩები მიიპატიჟა ეკლესიაში სალოცავად და ამ დროს **გალობდენ წირვას**. ელჩები მიკიფორე და ალექსი წავიდნენ ეკლესიაში და არქიეპისკოპოსმა სიმონმა მიიღო ისინი საყდრის წინ. ეკლესიაში, აღსავლის კარების მარჯვნით იდგა კვერთხი,

მრეკალილი ვერცხლით, სამი ვაშლით, კვერთხის თავში იყო კიდობანი ვერცხლზე დაოქვრილი, მაზე აქეთ-იქით მიჭედილი იყო ხატნი მაცხოვრის, ღვთის მშობლის, წინამორბედის, მოციქულთა დიმიტრისა და გიორგისა, კიდობანს ზევით იყო ჯვარი ოქროსი, მაზე ჯვარცმა უფლისა, გამშვენებული ქვებით და მარგალიტით; კიდობანში, ამბობდა არქიეპისკოპოსი სიმონი, — ასვენია ნაწილი ანდრია მოციქულისა, ნაწილი ხელისა, და მოწამის ესტატესი თავის ნაწილი, და მარმარილო ევდოკიმესი. სადაც არქიეპისკოპოსი სიმონი წაბძანდებოდა, ჯვარიც მის წინ დაქონდათ. იმავე ეკლესიაში მარცხნივ იყო ხატი ღვთისმშობლის (умиление), შემორტყმული ოქროთი და შემკული წითელი იაგუნდით (червчаты), იმავე ხატს, არქიეპისკოპოსის სიტყვით, ქონდა ნაწილი უფლის კუბოსი, ჩასმული გვერდზე. ნაწირვებს ელჩები ნიკიფორე და ალექსი არქიეპისკოპოსმა სიმონმა სადილზე მიიპატიჟა. სტოლზე, ჭამის დროს არქიეპისკოპოსი ადგებოდა ხოლმე და სასმისით ხელში წარმოსთქვამდა ხელმწიფის სადღეგრძელო ლოცვას და ლოცვის შემდეგ ეტყოდა ელჩებს: მეფე ალექსანდრემ რომ გაიგო, დიდი მეფის ალექსის სურვილი ჩვენი საქრისტიანო ქვეყნის მიღებისა, დიდად გაიხარა და ჩვენ, იმ მეფისთვის მლოცველთ, გვწყალობდა. მეორე დალია და ელჩებს დაალევინა. ელჩებმა ბოლოს ალექსანდრეს სადღეგრძელო დალიეს, აგრეთვე არქიეპისკოპოსის. არქიეპისკოპოსის მამულში იყო ეკლესიები ქვის და ხის, კოშკებიც სასახლეებით და საზარბაზნეებით.

ივნისის 16 მიკიფორე და ალექსი სამეფო სოფლიდან წავიდენ ცხენით მეფისავე ქალაქში, რაჭაში, რაიცა მიცემული ჰქონდა „საზრდოდ“ თემურაზს*) მეფეს ქართლისას, ქალაქში ეკლესია იყო ქვისა დიდი, ფრიად მშვენი, წმ. ნიკოლოზის სახელზე, გარედან ეკლესიას ჩუქურთმებით ქონდა დახა-

*) თემურაზ პირველს, რომელიც შეხ აბაზს ემალებოდა იმერეთში.

ტული საუფლო დღესასწაულნი, წინასწარმეტყველნი, მოციქულნი და მოწამენი. ეკკლესიაში კედელი დახატული იყო, ხატები მოჭედილი ოქროთი და ვერცხლით. ალაგ-ალაგ დღესასწაულნი

როცა მოუახლოვდენ სასახლეს, ელჩებს შემოაგებეს კაცები მეფის ბრძანებით, რომ საჩუქრები (ბეწვეული) შეეყენებიათ და ელჩებიც შემდგარიყვენ ცოტა. დედოფალი გამართობი კნეინებით სამეფო საზაფხულო კარვებში განისვენებდა, აახდევინა კარვის ფარდები და დაუწყო ქვიდან ცქერა გაჩერებულ ელჩებს. შემდეგ ამისა ელჩები ისევ დაიძრენ და ციხეებზეც შეიქნა ზარბაზნების გრიალი. ათი საჟინის სიახლოეს ელჩებს ებრძანათ ცხენებიდან ჩამობრძანება და ფეხით წასვლა. მათ შეასრულეს ეს. ელჩებს შეხვდა მიტროპოლიტი ზაქარია გენათელი და იერუსალიმელი გოლგოთის ბერი იღუმენი ნიკიფორე. როცა მშვიდობა ჰკითხეს, წარუდგინეს ელჩები მეფე ალექსანდრეს. მეფე ფეხზე ადგა. ტოლოჩანოვმა, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, მოიკითხა მეფე. და მოსკოვის მეფის ტიტულში „ივერიის მიწაც“ მოიხსენია, როგორც რუსთ ხელმწიფის სამფლობელო. მეფემ ფეხზე დგომით მოიხსენა სიტყვა ტოლოჩანოვისა- ამასთანავე ელჩმა მეფის ღრამატა მიართვა ალექსანდრეს. ალექსანდრემ ჩამოართვა და ბეჭედში აკოცა ღრამატას, მერე თავზე დაიდვა და ცოტა ხანს გააჩერა, მერე გადასცა შესანახავად.

მერე დაიწყო ისევ ტოლოჩანოვმა. შარშან შენ გამოუგზავნე ჩემს მეფეს ელჩები, იღუმენი ვასილი და მღვდელი (ѳѣлыца“) ღრამატითო. ამ ღრამატაში შენ მოახსენებდი ჩვენს მეფეს, ჩვენ მემკვიდრეობით კანონიერი და მართმადიდებელი მეფენი ვართ, ეკლესიებიც ბევრი გვაქვს ძველი, მიტროპოლიტები და არქიეპისკოპოსებიც ბლომად გვყავს, მხოლოდ მტერი ურჯულო გვაწუხებს და მფარველობა გაგვიწიეო, თანაც კაცი გამოგვიგზავნე, რომ მოვიდეს და ყველაფერი თავისვე თვალით ინახულოსო.

ტოლოჩანოვის შემდეგ დაიწყო სიტყვა ალექსი იევლევმა: თანახმად შენი თხოვნისა, ჩემმა ბატონმა შეგიწყნარა და მზათაა მტკიცეთ დაიცვას უსჯულოთაგან შენი ეკლესია, ამისთვის გაახლო შენ ელჩებთან ერთად თავისიც, რომელთაც

დავალებული აქვს შენი ქვეყანა დაათვალიეროთ და შეიტყონ მდგომარეობა შენი. ნიშნად ამისა მოგართვა 79 ბეწვეული (соболей) იმ პირობით, რომ თქვენც ჩვენი ბატონის საუკუნოდ ერთგული იქმნეთ. მეფემ ხელი დაუკრა და ერთგულობა აღუთქვა. მერე უბრძანა დაჯდომა, მაგრამ ელჩები არ დაჯდენ, ნაბრძანები გვაქვსო; სანამ ხელზე არ მიგვიღებთ დაჯდომა არ შეგვიძლიაო. მიიღეს ხელზე და დასხდენ. (быть у руки, царь позвалъ у руки"). მერე ერთი საათით სტუმრები საგრილობლში მოასვენეს და ბოლოს სადილზე მიიწვიეს მეფესთან. ელჩებმა ტანისამოსი გამოიცვალეს და მივიდენ სუფრაზე. სტუმრები და მემკვიდრე („Климентий") მარცხნით დააჯინეს მათთან გოლგოთის აღუმენი დასვეს („въ засѣдкахъ"), მარჯვნით დაბრძანდენ კათალიკოსი*) მიტროპოლიტი ზაქარია, მიტროპოლიტი დავითი, სხვა არქიეპისკოპოსნი და არხიმანდრიტნი. აზნაურნი ისხდენ ორივე მხრით.

მეფე და მისი ამალა ყიზილბაშურათ ისხდენ, ფეხებ მოკეცილი, სტუმრებს მაგიდა და სკამები დაუდგეს, შინაურებს ნოხებზე გაუფინეს სუფრა ზოგს ოქროსი, ზოგს ატლასის, ზოგს ტყავის. სადილი დაიწყო საღამოს, ორი საათის წინ დაღამებამდი. თავზე მერიქიბენი ადგენ და დვინოს ამერიქიბებდენ.

ცოტა ჭამეს, მერე აბძანდა მეფე, გაავსებია სასმისი ღვინით და გადასცა კათალიკოსს (ყველანი ფეხზე დგანან), კათალიკოსმა აკურთხა სასმისი ლოცვით, რუსის მეფეს დღეგრძელობა უსურვა და ისევ დაუბრუნა მეფეს; მეფემ დაიწყო სიტყვა, რომელშიც სთქვა; რომ ვიპოვე დიდი მეფე რუსეთისა და მე მისი „ხოლოპი" (ყმა-მონა) ვსვამ მის სადღეგრძელოსო. მერე დაცალა, აიღო სასმისი თავს ზევით და გადასცა კათალიკოსს, მის შეედეგ მიტროპოლიტს, ელჩებს და შვილს. კიდევ გაიმეორა მეფემ სიტყვა და დასხდენ ყველანი.

(*მაქსიმე მაჭუტაძე.

მიდგა ჯერი ალექსანდრეს დღეგრძელობაზე. ელჩები ადგენ, გამოვიდენ რიგიდან, მათთან ყველანი ადგენ, შვიდ-შვიდი კაცი ერთად რიგობით მიდიოდნენ, მუხლზე კოცნიდენ და ადღეგრძელებდენ მეფეს. საჭმელები მოქონდათ ოქროს ხონჩებით, ღვინოს ასხამდენ ოქროს სურებიდან ოქროს თასებზე. შინაურ სტუმრებს ვერცხლის ჭურჭლები ქონდათ. დაღამდა და სადილი არ გათავდა. დაუდგეს მეფეს ორი ვერცხლის შანდალი (два шандала) ასე სხვებსაც, უკანა სუფრაზე კი სპილენძის.—სადილი გაგრძელდა ღამის მესამე საათამდი. მეფე დიდად მხიარული იყო.

ელჩებისათვის საგანგებო კარვები იყო გაკეთებული ეზოში, „ყიზილბაშურად", როგორც ტოლოჩანოვი სწერს; სიგრძით და სიგანით 15 საჟენი, მთლად დაფენილი ძვირფასი ხალებით. ერთ გვერდზე სამეფო ალაგი იყო შესაფერათ მორთული ფარჩის ხალებით რამოდენიმე წყდაზე, ჯერ ფარჩის ხალები, ზედ საზაფხულო საფენები (польсть) 6 საჟენიანი, ზედ კიდევ ოქროს ნოხი, ამაზე იდვა ბალიში დიდი, დაქარგული ოქროვერცხლით წითელ ხავერდზე, მეფის უკან მეორე დიდი ბალიში იყო ოქროს ფერი ატლასით გადაფარებული, კარავს გადაფარებული ჰქონდა ძვირფასი ქსოვილები, რაზედაც დაქსოული იყო უცხო ბალახები, ყვავილები, სხვადასხვა; მეფის სწორა მაღლა გაკეთებული იყო სამზეო (солнечникъ), დაქარგული ოქროთი და ვერცხლით, აგრე თვე ფერადებიანი აბრეშუმით თეთრ ატლასზე, ზედაც ფრინველნი და ბალახები. გარშემო ჩამოშვებული ფესვებით (кисти).

მიკიფორე და ალექსი წარუდგენ მეფეს მოსახსენებლად. მეფე ყიზილბაშურად იჯდა ფეხებ მოკეცილი, ეცვა კაფტანი გრძელი, ფარჩა ღილებით შებნეული, ოქროს ფოლაქებით და ალმასის სხივებით, კაფტანის საგულმკერდე აცმული იყო ზურმინის თვალმარგალიტით ორ ძაფზე, წელზე შემოკრული ქონდა ლენტი ოქროს საბნევებით, იაგუნდის და ზურმუხტის

ქვებით, კაფტანზე ეკიდა ხმალი, ოქროთი მოჭედილი, იაგუნ-
დებით და ზურმუხტებით, ზევით ეცვა ქურქი, ფარჩით და
ქათობით, გულზე ეკიდა დიდი ოქროს ჯვარი ნაწილებით
ოქროს ძეწკვზე, თავზე ედგა გვირგვინი უქათიბო, შვიდ თა-
ვიანი, მარგალიტით შემკული, ზედვე იყო იაგუნდები წითე-
ლი და ლურჯი, ზურმუხტები, ალმასები, გვირგვინის თავები
თავდებოდა ჯვრებით, თითო ჯვარში ოთხ-ოთხი თვალი იყო;
ხელში ეპყრა მეფეს კვერთხი ოქროთი მოჭედილი იაგუნდის,
ზურმუხტის და ალმასის თვლებით, კვერთხი ზევით თავდებო-
და ვაშლით ალმასის თვლებით, ზევითაც ქონდა ლალთა გუნ-
დი კუთხებიანი.

ჭამის დროს გვირგვინი ცალკე ესვენა საგანგებო დგამზე,
იქვე იყო კვერთხიც და ცოტა მოშორებით მეორე კვერთხი
იყო დაოქვრილი; კვერთხის თავზე იყო კიდობანი ოთხ კუთ-
ხიანი, ოქროსი, იქვე იყო მაცხოვრის, ღვთისმშობლის, ნათ-
ლისმცემლის და წმ. გიორგის და დიმიტრის მოჭედილი ხა-
ტები...

მეფის მარჯვნით იჯდა კათალიკოსი აბრეშუმის ნოხზე;
რომელზეც იდვა ბალიში დიდი, უკან კიდევ ბალიში იყო—
ორივე მოქარგული ოქრო-ვერცხლით ალუბლის ფერ ხავერდზე.
კათალაკოსს ეცვა მანტია, ალუბლის ფერი „წყაროები“ მო-
ქარგული ქონდა ოქროთი დი ვერცხლით, გულზე გამოხა-
ტული ქონდა საუფლო დღესასწაულები—აღდგომა და ამაღ-
ლება, სამოსელი მაცხოვრის და მოციქულების მოჭედილი იყო
მარგალიტებით, კუთხეებზე გამოქარგული იყვენ ქერუბიმები
წითელ ატლასზე ვარაყით; ეხურა თავზე კათალიკოსს შლიაპა
შავი ხავერდით, გვერდით ედვა გვირგვინი ოქროთი მოჭედი-
ლი და შემკული იაგუნდებით, ზურმუხტებით და ალმასებით.

ხელში ეპყრა კათალიკოსს ბერძნული ჯიგის კვერთხი
ორტარიანი. მაზე იყო ზევით სამი ვაშლი ოქროთი მოჭედილი
იაგუნდებით და ზურმუხტებით

კათალიკოზის გვერდის იდგა სავარძელი შავ ზავერდ გადაფარებული, სავარძელთან ნოხზე იდვა ქოშები შავი ხავერდის, ცხვირი, ქუსლი და შესაბნევები ქოშებს ქონდა ოქროს სხივებიანი, სადილობისას მას თავზე შლაპას მოხდიდენ ხოლმე და დადებდენ სავარძელში. იქვე ესვენა კვერთხიც.

სადილზე მეფეს ჰყავდა სტუმრებად: კათალიკოსი, ორი მიტროპოლიტი, ოთხი არქიეპისკოპოსი, ცხრა არხიმანდრიტი, სამოც და ათი იღუმენი, ოთხი აზნაური, სხვა ახლობელი პირები და აზნაურებიც, ისხდენ ჩამწკრივებით ერთ გვერდზე, რომ მეფეს ყველანი თვალწინ ჰყოლოდა.

28 ივნისს მეფემ ელჩებს მამუკა ჯაფარიძე გუგზავნა, გააყოლა გიორგი („კანტოვი") და საპასუხოთ დაიბარა. თანაც ცხენები აახლო. ელჩები იმ საათშივე მოვიდენ, დაუკრეს თავი მეფეს, მეფემ მოკითხა და დაისვა გვერდით მარცხნივ. მარჯვნივ დაბრძანდა კათალიკოსი და მისი კრებული, თავადაზნაურნი კი ორივე მხრით ისხდენ.

ცოტა ხნის შემდეგ მეფემ უბძანა, მე თქვენი მეფის საჩუქრები-წყალობა მივიღე მხიარულებით და თავს კუკრავ მას (челомъ бью) და სხვა ბრძანება ხომ არაფერი მოგიტანიათო, ჰკითხა ბოლოს ელჩებს.

მიკიფორემ მოახსენა ყველაფერი „ბრძანებისამებრ".

„გამოუგზავნე შენ, მეფეო ალექსანდრე, ჩვენს მეფეს შენი ელჩები: იღუმენი ვასილი და მღვდელი (бѣльца) დავითი და ღრამატაში სწერდი, რომ მას მიეღო მფლობელობაში შენი **„მერეტიის"** ქვეყანა მტრებისაგან დასაცავად. მეფემ მოწყალებით მოისმინა ეს შენი ღრამატა და ელჩებიც, იღუმენი ვასილი და დავით მათ კაცებით წყალობით გამოისტუმრა".

მერე მოახსენა დიაკმა ალექსიმ: „შენც, მეფეო, და შენმა შვილებმაც ჯვარზე უნდა შეფიცოთ ერთგულებაზე ჩვენ მეფეს და ხელიც უნდა მოგვიწეროთ ფიცის ფურცელზეო". ალექსანდრე ქუდ მოხდილი ისმენდა ამას ფეხზე მდგომი. ბოლოს შეხედა ღვთის მშობლის ხატს და დაიწერა პირჯვარი. მერე

დაიწყო პასუხი. ჯერ მე არც ვიცოდი, თუ ვინ იყო თქვენი მეფე და რა რჯული ქონდა, სანამ ეს მე ჩემმა სიმამრმა, თემურაზ მეფემ არ გამაგებინა. მე მანამდისაც არ მივკედლებივარ არც ყიზილბაშის მეფეს, არც თათრისას, არც ყირიმისას. მერე კი, როცა გავიგე, რომ მეფე ერთმორწმუნე ყოფილა ჩვენთან, მეც ვაახელი ელჩები და მორჩილება მოვახსენე. ახლა ჩემმა კაცებმაც მომიტანეს მისი წყალობა და მეც მზათა ვარ, ფიცი დავსდო და ჯვარს ვემთხვიო. მერე კარში გაუშვა ყველანი, მარტო დარჩა რუსის ელჩებთან და ჩუმათ უთხრა, რომ ყველაფერს ისე შევასრულებ ახლავე, როგორც მეფეს უბრძანებიაო, ოღონდ თქვენ ქალალდი დაამზადეთ, როგორც იმას ესიამოვნოსო.

29 ივნისს, პეტრეპავლობას, ელჩები მეფემ წირვაზე მიიწვია ბაგრატის ტაძარში, რომელიც მაშინ მთელი და უვნებელი იყო. ელჩები მოვიდენ, ჯერ ხატებს ემთხვიენ და მერე მეფესთან მივიდენ და თავი დაუკრეს. მეფის შემდეგ კათალიკოსს მისცეს სალამი.

მეფეს ცალკე ჰქონდა ტახტი და აქ იდგა, ეს იყო ქვის ტახტი სვეტთან. ხელში მეფეს კვერთხი ეპყრა.

კათალიკოსი მაქსიმე (მაჭუტაძე) იჯდა შუა ეკლესიაში, აღსავლის კარების პირდაპირ სავარძელში მანტიით და წირვის წინ ლოცვებს კითხულობდა. კათალიკოსის წინ ეფინა დიდი ნოხი, მაზე მეორე, ფქროს ნოხი ეფინა, ამაზე დასვენებული იყო სახარება, ჯვარი, სტიქარი, საკოსი, სამაჯე და ომოფორი; დიდი ნოხის გვერდში იდგა მაგიდა უწინდელი, რომელიც წინეთ მეფის სასახლეში ჰქონდათ, ამაზე იდვა გვირგვინი უქადიბო, რომელიც შავ ხავერდზე მოჭედილი იყო ოქროთი, იაგუნდის, ზურმუხტის და მარგალიტის თვლებით. იქვე იდვა შლიაპა კათალიკოსის, ის, რომელიც ელჩებთან მეფის სასახლეში ეხურა.

შემოსვის წინ, ფოცა საკურჩააცვეს, გამოვიდა საკურთხეველიდან არქიდიაკონი, დიაკონი თერთ სტიხრებში საცეცხლუ-

რით დადგენ კათალიკოსის წინ ნოხის ორივე გვერდით, კა
თალიკოსს უკმიეს, მერე საკურთხეველში შევიდენ, შემდეგ
გამოვიდა ოთხი დიაკონი, მივიდენ კათალიკოსთან, დაუკრეს
თავი, არქიდიაკონმა და დიაკონმა აბრძანეს ხელით იგი სა-
ვარძლით და გაჯადეს მანტია, შემოსეს სტიხარი ოქროსი, შე-
მოარტყეს ლენტი, სარტყელზე დაკერებული იყო ფოლაქები
ხშირი, ოქროსი, გოჯის სიგრძე, იაგუნდის და ზურმუხტის
თვლებიანი; სტიხარზე ჩააცვეს ეპიტრაჰილი, ოქროთი და
ვერცხლით მოქარგული ალუბლის ფერ ხავერდზე საუფლო
დღესასწაულებებით, მოქედილი მარგალიტებით, ჩაეცვეს სამ-
კლავეები, ოქროქსოვილნი, ოქროს საბნევებით, ჩააცვეს საკი,
წითელი ხავერდის, გარშემო საკს შემოქარგული ქონდა ბა-
ლახები, გვერდებზე ჰქონდა ოქროს საბნევები იაგუნდებით
და დიდი ზურმუხტებით; შეუბნიეს, მერე მოართვეს მოქედი-
ლი გვირგვინი და დაადგეს თავზე.

შემოსვის დროს კათალიკოსს ხელები დიაკვნების თავზე
ჰქონდა ჯვარის სახით გადაშვერილი. შემოსეს და დააჯინეს
სავარძელში, მიართვეს კვერთხი, მერე დიაკვნები განშორდენ.
არქიდიაკონმა ისპოლა ეტი დესპოტა წარმოსთქვა, მერე აღსავ-
ლის კარების წინ დადგენ ორივ მხრით. შემდეგ ამისა ხუცესი
შემოსილი მივიდა აღსავლის კარებთან და განტევება წარმო-
სთქვა წირვის წინ, მერე კათალიკოსს მიართვეს ის ჯვარი,
რომელიც ნოხზე იდვა. ჯვარი მთლად ოქროსი იყო, შიგ
სიგრძეზე ჩასმული ჰქონდა შვიდი ზურმუხტი, საჯელურზე კი
ოთხი ზურმუხტი კუთხიანები, ოთხგვერდიანი, ორივე გვერ-
დით იმწევნისად ჩასმული იყო ეს ქვები. ჯვარზე მხატვრობა
არა იყო რა, რადგან ქვებს ეჭირა ფიქმის მთელი ალაგი.
გამოიტანეს საკურთხეველიდან სანთელი სამ ღერიანი (ტრიკი-
რი), როგორც ესაა გრიგორი დიოლოლოსის წირვაზე. კათა-
ლიკოსმა მოკიდა ჯვარს მარჯვენა ხელი, სანთელი მარცხენა-
ში დაიჭირა, აღამაღლა ორთავე, დასახა ჯვრის სახით საკურ-
თხეველს, ჭერე მეფეს და მთლად მარჯვენა მხარეს, მერე მარ-

ცხენას, შემდეგ მისცა დიაკვნებს, მათ შეიტანეს საკურთხეველში, დასდვეს ჯვარი ტრაპეზზე. შემდეგ არქიდიაკონმა დაიწყო თავისებურად წირვა, მღვდელმა კი საკურთხეველში იწყო მაღლა ხელაპყრობით. როცა მღვდელი იწყებდა წირვას, კათალიკოსიც ხელებს მაღლა აპყრობდა, მერე დიაკონმა დაიწყო ეკტენია (კვერექსი), კლიროსზე უფალო შეგვიწყალენს არ გალობდენ, ამბობდა იპოდიაკონი (поддъякъ) სამეუფო კარებთან კირიელეისონს (говоркомъ противъ статей). კვერექსის შემდეგ კათალიკოსმა მიტროპოლიტებთან, არქიეპისკოპოსებთან და არქიმანდრიტებთან იწყეს გალობა ანტიფონებისა, ანტიფონების შემდეგ გამოვიდენ ჩრდილოეთის კარებში სახარებით და მოართვეს კათალიკოსს, და კათალიკოსი ემთხვია სახარებას. წაიყვანეს კათალიკოსი მიტროპოლიტებმა, არქიეპისკოპოსებმა, არქიმანდრიტებმა და იღუმენებმა ხელებ ჩაკიდებული, შეიყვანეს საკურთხეველში, კლიროსზე კი გალობდენ არქიეპისკოპოსები, არქიმანდრიტები და იღუმენები ტროპრებს და კონდაკებს გრძლად და წმინდაო ღმერთოს თავისებურად.

სამოციქულოს კითხულობდა დიაკონი, რომელიც გამოვიდა საკურთხევლიდან ჩრდილოეთის კარებით და დადგა აღმოსავლის კარების წინ. სახარება წაიკითხა არქიდიაკონმა. როცა დაათავა სახარება, მიასვენა აღსავლის კარებთან, ჩამოართვა მღვდელმან, მიართვა კათალიკოსს და ყველა მწირველთ და სთქვა დიაკონმა კვერექსი. უფალო შეგვიწყალეს გალობდენ თავისებურად იპოდიაკონები აღსავლის კარებთან, რომელი ქერუბიმთას და ღირს არსს კენონიკები გალობდენ და კრებული ერთს კლიროსზე. „წყალობა მშვიდობით“ს და წმიდაარსს, რაიცა იგალობების შემდეგ ღირსა არსისა, არაფერს არ გალობდეს, ამბობდენ საკურთხეველში დიაკვნები მდაბალი ხმით. გამოსვლა ნაწილებით და სახარებით (დიდი და პატარა) რუსის წესის წინააღმდეგია. ნაწილების წინ დიაკონი მოასვენებს ჯვარს, მასუკან ნაწილები მოდის, წინ მოუძღვის

დიაკონი საცეცხლურით და აკმევს ორივე მხრით ერს და სიწმიდეს. როცა სიწმიდით მოდიოდენ, მეფემ მოიხადა გვირგვინი და თავი სარტყლამდი მოიდრიკა. კათალიკოსი გამოვიდა სამეფო კარში, დაიხარა და მიიღო სიწმინდე, აღამაღლა თავს ზევით ბარძიმი, მიმართა სამივე მხრით, ამბობდა თავისებურათ **მოიხსენოს უფალმა ღმერთმა** და ასე შევიდენ საკურთხეველში. აღსავლის კარები არ დახშეს, მხოლოდ კრეტსაბმელი ფრიად ჩინებული ჩამოაფარეს, აღსავლის კარების დამხშველნი არ ერთ მათ ეკლესიაში არ ცხოვრობს, არამედ შემდეგ კენონიკისა დადგა ბარძიმით არქიდიაკონი, შემდეგ იმავე ბარძიმით კათალიკოზი, მან აღამაღლა იგი აღსავლის კარებში და გადასცა ხუცესს, მათ წარიღეს სამსხვერპლოზე, ამბიონის ლოცვას ამბობდა ხუცესი, რომელიც აღსავლის კარებით გამოვიდა; სებისკვერი არ გამოუტანიათ; წირვის შემდეგ განსატევებელს ამბობდა სამეფო კარებში გამოსვლით კათალიკოსი, მდგარი კარებში. გამოასვენეს ოქროს თეფშზე დამტვრეული სეფისკვერი, მიბძანდა მეფე ალექსანდრე სამეფო კარებთან, კათალიკოსი გამობრძანდა სამეფო კარებით და მისცა იგი სეფისკვერი სამგზის ხელზე, მეფემ შეჭამა და ემთხვია ხატს, დედოფალი იდგა მეფის ალაგის გვერდით ფარულათ. როგორ იგალობეს წირვა და წირვის გალობის შესახებ უამბო ელჩებს მოხუცმა ბერძენმა თეოფანემ რუსულად. გალობა რუსულთან თანახმაა. საკურთხეველში თხემის ალაგი მაღალია ტრაპეზს უკან, ექვს ფეხიანი, სადაც გუნდი ჯდება, ეს გაკეთებულია მთლად საკურთხევლის სიგანეზე ორი საფეხურით. განტევების შემდეგ კათალიკოსი გამოვიდა საკურთხევლიდან და დაბრძანდა საყრდის წინ უწინდებურად სავარძელში. მოვიდენ დიაკონნი და გადახადეს სამოსელი, მეფე ეკლესიიდან წაბძანდა, მიკიფორეს და ალექსის სადილზე მისვლა უბრძანა. ესენიც ბინაზე წავიდენ, საცმელი გამოიცვალეს და მოვიდნენ. სუფრაზე ისხდენ მეფე და კათალიკოსი, მერე კრებული, აზნაურნი და თავადნი, რო-

ვორც წინეთ, ტილოს ფანჩანტურებში. მეფემ და კათალიკოსმა ხელმწიფის (რუსის) სადღეგრძელო დალიეს, მეფე ფხიარული იყო, მეორეთაც დალია მეფემ სადღეგრძელო, კათალიკოსს და ელჩებსაც მიაწოდა, ნასადილებს ელჩები ბინაზე გაისტუმრეს.

2 ივლისს მეფე თემურაზმა და ალექსანდრემ ელჩებს კაცი გაუგზავნეს, პირველმა აზნაური და მეორემ გოლგოთის ილუმენი ნიკიფორე", რომელთაც მოახსენეს ელჩებს, რომ ისინი გაგზავნილი არიან მეფეთაგან ლევან დადიანთან მის და ალექსანდრეს შესარიგებლად და თანაც დასძინეს, რომ თუ ეს შერიგება მოხერხდა, დადიანიც თავს დაუკრავს რუსის მეფეს და კარგი საქმე იქნებაო. ელჩები აღტაცებაში მოიყვანა ამ ამბავმა და უთხრეს ილუმენს ნიკიფორეს, თუ ამ შერიგებას შესძლებ, ისეთს ჯილდოს გიბოძებს რუსის მეფე, აზრათაც რომ არ მოგვსლოდესო.

5 ივლისს ალექსანდრე მეფე მიიპატიჟა სადილზე მისმა მოძღვარმა მიტროპოლიტმა ზაქარიამ. ელჩებიც მიწვეული იყვნენ ისხდნენ ყველანი თავის ღირსებისადაგვარად, როგორც წინეთ. გაიმაროა რუსთ მეფის ქება—სადღეგრძელო. ცაზე ღმერთი გვყავსო და მიწაზე მოსკოვის მეფეო. ყველას ჩამოუარეს და დააცლევინეს. საჭმელი ერის კაცთ ქონდათ ხორცის და კრებულს (სამღვდელობას) საშარხვო.

6 ივლისს მეფე ალექსანდრე დედოფლით წაბრძანდენ ქალაქ (ახლა სოფელია) სკანდეში. წასვლის წინ ელჩებს გაუგზავნა ილუმენი ვასილი, მოსკოვში ელჩად ნამყოფი, მასთან მდივანი ნასომხარი „ჰეშენგი" ანდრიასძე, თავი არ შეგწყინდეთ, მეფე სკანდეში წაბძანდა მოსასვენებლად, თქვენ მერე მიგიწვევთო და მეფე თემურაზთან გაგაგზავნით საქმის შესასრულებლადო. თანაც მეფე უბრძანებდა პატარა ქალაქში, დაბლა ქუთაისში გადადითო. ჩემს ახლოშიო, რაიცა ელჩებმა შეასრულეს 8 ივლისს.

ქალაქი ქვისა, ამბობენ ელჩები, მდებარეობს მდ. რიონზე*), სწორ ალაგზე, მთის ძირად ქალაქში ქვის შკლესიაა წმ. მოწამის გიორგის. ქალაქის კედელზე ორი კოშკია, ერთი ჭისკარებზე, მაზე პატარა ზარბაზანია, მეორე კოშკი სიმაღლით 15 საჟენი, მაზე სამი ზარბაზანია; ქალაქში სასახლეა სვეტებზე, რიონის პირზე, სასახლეში კედლები მოხატულია. ხატია უწინდელი მეფეების ომები, სიგრძით 8 საჟენია, განით ხუთი საჟ. აქ იდგა მიკიფორე ტოლჩანოვი. ამ სასახლის გვერდით დგას მიწის ქვეშეთი სადგომი ხშირი და ძიდი ფანჯრებით, სიგრძით 26 საჟ. განით 8 საჟ. მის უკან ქვის სარდაფია; მეორე მხარეზე, ქალაქის კედელთან მდინარისკენ დიდი სასახლე, საცხოვრებელი სიგრძით 18 საჟ. განით 7 საჟ. აქ იდგა ალექსი, იერეველი. ამ სასახლის უკან, ქალაქს გარეთ, კედელს გარეშე მეფე ალექსანდრეს ბაღია ყოველივე ხეხილით.

10 ივლისს შევიდა ელჩებთან მეფის კაცი მდივანი **პეშენგო** და ისევ სთხოვა, რომ თავი არ შეგწყინდესთო.

13 ივლისს, თანახმად მეფის ბრძანებისა, ელჩები მიტროპოლიტმა ზაქარიამ მიიწვია გელათში იქაურობის დასათვალიერებლად, „სადაც ასვენია მეფენი". ელჩები წავიდნენ. „ქალაქი გელათი ქვისაა, ამბობენ ელჩები, მთის ფერდოებშია; ქვეშ ჩაუდის მდინარე **წითელი**, ნახევარ ვერსტზე ქალაქიდან; ქალაქს 2 ჭიისკარი აქვს, მათზე კოშკებია, ერთს კარს რკინის დიდი საკეტი აქვს, მაზე ამოსხმულია ასოები. მიტროპოლიტმა ზაქარიამ გვითხრა, რომ ეს კარები ყიზილბაშის ქვეყნიდანაა მოტანილი, ქალაქ დერბენტიდან, იმ დროს, როცა იქ საომრად იყო იმერეთის მეფე დავითიო.

ქალაქში საკრებულო ტაძარია ქვის და სპილენძით დახურული, გელათის ღვთის მშობლის სახელზე, ეკლესიის კედლები წარწერილია (მხატვრობა), საუფლო დღესასწაულე-

*) სადაც ახლა ვაჟების გემნაზიაა და ბაღრის ხე.

ბი და წმიდანნი, იქვე ღვთის მშობლის (მოწყალის) ხატი, მარჯვნიდ ადგილობრივი მაცხოვარი, მოჭედილი ვერცხლით, დაოქვრილი. არშიებზე მოჭედილია წმიდანნი, ხატის გვერდით ასვენია ჯვარი დიდი, სიმაღლით საჟენი, განით ნახევარი საჟენი, შემოსილია ვერცხლით, მოჭედილი ოქროთი. შემკულია იაგუნდებით წითელით და ლაჟვარდოვანით, აგრეთვე მარგალიტით. მიტროპოლიტ ზაქარიას თქმით შუა ჯვარში ასვენია კბილი ღვთის მშობლის, როცა ის შვიდი წლის იყო, და ფმა, რომელიც დაიგლიჯა მაცხოვრის ჯვარცმაზე, და რძე (?) ღვთისმშობლის. შუა-გულ ჯვარში კიდობანია ოქროსი, ოქროს საკეტით, სიგძე-სიგანით მეოთხედი ალაბი, გვერდებზე მოჭედილია ქერუბიმები, შუა საკეტში იაგუნდია კაკლის ოდენა, საკეტს ახლოს გვერდებზე იაგუნდები წითელი ლაჟვარდი. მიტროპოლიტის თქმით, კიდობანი იმ ოქროთია გაკეთებული, რომელიც შობას მოუტანეს ღვთის მშობელს სპარსეთის მოგვებმა საჩუქრათ. ჯვრის გვერდითაა ხატი ღვთის მშობლის ყრმით კაცის ოდენა, შუა გული და კალთები მოჭედილია ვერცხლით, ღვთის მშობლის გვირგვინები დაოქვრილია, მაცხოვრის ოქროსია, კალთებზე 22 ხატია (პატარა) წინასწარმეტყველთა და მოციქულთა, გვირგვინები, ემალიანია, იაგუნდებით და მარგალიტებით მოჭედილი. გვერდით არის ხატი ღვთის მშობლისა; დგას ადგილობრივი, ყრმით, იმავე ზომის, იმავე სახით გამშვენებული, როგორც პირველი ღვთის მშობელი. ორივე ხატზე გამოსახულია მეფე, დავარდნილი მუხლებზე და მლოცველი, წარწერა არ აქვს, ვინაა და რომელი მეფეა. ზაქარია მიტროპოლიტის თქმით, რომელმა მეფეებმაც ეს ქალაქი და ეკლესიები ააშენეს, ისინი ხატიან და სახელები მათი არ უწყის. იმ ხატის გვერდითაა ხატი რვა ფურცლიანი ღვთის მშობლისა ტახტზე, ყრმით, საკვირველია სახე ღვთის მშობლის, მაცხოვარი, შესამოსი და ტახტი ოქროთი მოჭედილია; შუაგული, არშიები, და კიოტი პატარა მოჭედილია ოქროთი,

ძოქედილია ძთავარ ანგელოსნი და მოციქულნი და შემკული იაგუნდებით და მარგალიტებით და ნაწერია ოქროზე ემალით. დიდი კიოტი, რაშიაც ის ხატი ასვენია, და მეორე კიოტიც, საკეტიც დაფარულია ვერცხლით, მოქედილი ოქროთი, გამოქედილია საუფლო დღესასწაულები და წმიდანნი. იმავე ღვთის მშობლის ხატს აქვს უკან გაქედილი 57 კიდობანი, მათშია ნაწილები წინასწარმეტყველთა, მოწამეთა და წმიდათ მრავალთა. იმავე ხატის გვერდითაა რვა ფურცლიანი ხატი წმ. ღვთის-მშობლის (умиленіе), დგას ყრმით. სიტყვა სიტყვით ისეთივე, როგორიც ამის ზევით იყო. ხატს უკან 38 ადგილას ნაწილებია, რომელი წმიდანებისაა, არ იციან.

საკურთხევლის ჩრდილო კარებისაკენ, მარცხენა კლიროსთან ღვთის მშობლის ხატია მლოცველი, როგორც იწერება დეისუსზე, უფლისადმი ხელაპყრობილი, რვა ფურცლიანი, ფრიად საკვირველი და გამშვენებული. მიტროპოლიტის თქმით, ეს ხატი ლუკა მახარობლისგანაა დაწერილი. სახე და ხელი ღვთის მშობლისა ფრიად უცხოდ არის ნაწერი და თეთრია, შესამოსელი მოხატულია, გვირგვინი მოქედილი და არშიც ოქროსი, გვირგვინში და არშიებზე 24 იაგუნდია ნიგვზის და თხილის ოდენა ორფერი იაგუნდებით და 42 ზურმუხტის ქვით, კაკლის ოდენა, გვირგვინის გარშემო, ქვებიან არშიებზე მცმულია მსხვილი მარგალიტით, გვირგვინის ძროზე ღვთის მშობელს ზურგზე აქვს მარგალიტი კაკლის სიმსხო, თითებზე ალმასი აქვს მღვრია. წვრილ კუთხებიანი, ნიგვზის ტოლა, შუანა კიოტი ხატს მოქედილი აქვს ოქროთი და შემკული იაგუნდით და ზურმუხტით, შუათანა და წვრილი ქვებით, მრავალ მარგალიტით, დღესასწაულნი და წმიდანნი ნაწერია ემალით. დიდი კიოტი იმ ხატს, საბმელები და კიოტს ზევითა ალაგიც ვერცხლში ჩასმულია და მოქედილი, კიოტზე და საკეტავებზე მოქედილია ხატები და წმიდანნი. კიოტს ზევით აფარია მოთქვრილი ხავერდი,

იმავე ხატის წინ დგას ზანდუკი ვერცხლშემოკრულ ხიგრძით საში მეოთხედი ალაბისა, განით გოჯი ექვსი, მეფის ბეჭდითაა დაბეჭდილი. მიტროპოლიტის თქმით, ზანდუკში მრავალი ნაწილია წმიდათა, მოციქულთა და მოწამეთა, სახელები კი არ ახსოვთ.

იმავე ზანდუკზე ასვენია შეკეცილი გარდამოხსნა, კუბოში ჩასვენებული უფალი იესო ქრისტეთი, ნაქარგია ტანი და ღვთის მშობლის ხატი, მოციქულნი, ანგელოსნი და ქერუბიმნი სიტყვა სიტყვით მსგავსად მოსკოვის გარდამოხსნისა, მხოლოდ ცოტა უმცროსი მაზე, ნაქარგია შავ ხავერდზე,

მიტროპოლიტ ზაქარიას თქმით, ღვთის მშობლის ხატი ნაწერია ლუკა მახარებლისაგან. ორი ხატი ღვთის მშობლის და ჯვარი მოიტანა თავისთან სამეუფო ქალაქ კონსტანტინეპოლიდან მეფის კონსტანტინეს ქალმა ირინამ, რომელიც მან მოათხოვა იმერეთის მეფეს დავითს.

იმავე ეკლესიაში საკურთხეველში სამეუფო კარებთან გაკეთებულია საბნევი, საბნევზე მოჭედილია ჯვარი მარგალიტით ალაბის ტოლა.

სამეუფო კარების თავზე არის ხატები მაცხოვრისა და ღვთის მშობლისა; სახე ნაწერია და შემკულია ვერცხლით, სამოსელი, გვირგვინი და არშია მოოქრილია. მაცხოვრის თავზე ჯვარია ალაბ ნახევრიანი, მოჭედილია ვერცხლით, ჯვარცმა უფლისა მოჭედილი და მოოქრილია.

ჭარჯვნივაა ხატი წმ. გმორგის რვა ფურცლიანი, ჩასმულია ვერცხლში; მოწამე გიორგი, ცხენი მის ქვეშ და გველეშაპი მოჭედილია. ზაქარია მიტროპოლიტის სიტყვით, წმ. გიორგის ხატი იმ ვერცხლითაა მოჭედილი, რომელიც იუდა ისკარიოტელმა მიიღო იესოში. ეს ხატი საუცხოო ნაკეთებია. სხვა ხატებიც ბევრი ოქროთია მოჭედილი და ნაწერი ემალით არშიებზე; სახელი კი და სამოსი ამოცვენილია ყველაა ასე, რომ ვერას გაარჩევ, ისე ტყვილა ასვენია სახატეზე.

საკუთხეველში ტრაპეზია ოთხკუთხი, შემოსილია ოქროსფერი ატლასით, ჯვარი ზედ მარგალიტებით მოჭედილია, ჯვარ ქვეშ ადამის თავიც მარგალიტითვეა მოჭედილი

ტრაპეზზე ორი სახარებაა ნახევარ არშინიანი, ნაპირები-შემოკეთებული აქვს ოქროთი, ერთ გვერდზე ჯვარცმაა, მეორეზე ხატი მაცხოვრისა, ღვთის მშობლისა და ნათლიმცემლისა. სახარება დაფერილია ოქროს წყლით და საკვირველი საღებავებით ემალითურთ.

მეორე სახარებაც ოქროშია ჩასმული. მაცხოვრის ხატია ნაწერი მუსიით (ემალით).

ეკლესიის ჭურჭელნი, ბარძიმი და თევშები ვარსკვლავით ოქროსია, მეორე ბარძიმი ბროლისაა, კოვზი ბროლისაა, ჭურჭლებზე არაფერი მხატვრობა არაა. ტრაპეზს უკან ოთხი რიპიდია ვერცხლის, უფლის ვნებათა გამოხატულებით. დიდი ჯვარი (დასადგამი მიწაზე) მთლად ოქროსია, ოქროში გამწევად ჩასმულია ბროლი დაკუთხული, შუაში კი ალმასი დაკუთხული წვრილად, ნახატები არა აქვს; ორი საცეცხლური ვერცხლის, ერთი სახურავიანი, თავზე ჯვრით, მეორე უთაოდ, ოთხ ძეწკვზე. თითო ძეწკვზე თითო ჯვარია.

იმავე ეკლესიაში გაკეთებულია მიტროპოლიტის ადგილი ქვის, სვეტის გვერდით. მაზე ხატია წმიდანნი და უწინდელნი მიტროპოლიტნი; ფეხთ ქვეშ არის ხალი ოქროსი, ხალზე დგას სავარძელი, სვეტები ვერცხლითაა დაფარული.

ეკლესიაში ჭაღის ნაცვლად (პანიკადილა) იესოს და ადგილობრივ ხატების წინ ჩამოშვებულია გუმბათიდან ოც და ორი ჭურჭელი ვერცხლის, რომელთაც ძმანი ანთებენ ბრწყინვალე აღდგომას.

ეკლესიაში მარჯვნით გაკეთებულია საუნჯის კიდობანი ყოველ მხრით საჭენი. კიდობანშია ძველი საუნჯე მეფეთა: მეფეების გვირგვინები ოქროს ჯვრებიანი, შემკულნი იაგუნდით, ალმასით. ერთს გვირგვინს სამი ზოლი მიყვება მარგალიტის, სამგან იაგუნდი, ზურმუხტი დაკუთხული. ამ გვირ-

გვინებში ეკურთხებიან ხოლმე იმერეთის მეფენი. სხვაც ოქროს სამკაულები და ჭურჭლებიც ოქროსი და ვერცხლის, ქვები და მარგალიტი უთვალავია.

საკურთხეველში სამეუფო კარის მარჯვნითაც არის ასევთივე კიდობანი საწიგნე, სავსე წიგნებით. მიტროპოლიტის სიტყვით, მასში არის წიგნები დაბადებისა, ქვეყნის შექმნიდან და წელთა ქცევისა, წმიდა მამათა ცხოვრებანი, ვნებანი და წამებანი მოწამეთა და ძლევანი ბერძენთ და იმერეთის მეფეთა.

იმავე დიდ ეკლესიას მარცხნივ სამკვეთლოში ღვთისმშობლის (ოდიგიტრიის) სახელზე ღვთისმშობლის ხატია ოქროთი მოჭედილი, კიოტი, საკეტები და არშიები მოჭედილია ვერცხლით, სამოსი ღვთის მშობლისა და არშიებზე წმიდანნი მოჭედილია და შემკული ქვებით და მარგალიტით.

მეორე, მარცხენა, მხარეზე დიდი ჯვარია საჟენი სიგრძით, ნახევარი საჟენი განით, შემორტყმულია ვერცხლით, შუაგული ჯვრისა ზევიდან ძირამდი, ხელის ოდენა სიგანით და განზეც, შემკულია ოქროთი, გამოჭედილია ჯვარცმა, მთლად ნაწერია ოქროზე ვნებანი, თავის ანგელოსნი და ქერუბიმნი ემალით სხვადასხვა ფერით, ფრიად საკვირველად.

ტრაპეზზე სახარებაა (in 4°), მოჭედილი ოქროთი, ჯვარცმით, სახარება ნაწერია სახეებით, ოქროს წყლით, უცხო ფერადებით და მუსიით.

ჭურჭელნი ეკლესიისანი ყველა ოქროსია, ბარძიმი, ფეშხუმი და კოვზი, ჯვარი თავ-ბოლოში ბროლისაა, შუა გული და ტარი ოქროსია, შუაზე ჯვარცმაა, თავ-ბოლოზე ქერუბიმებია.

იმავე სამსხვერპლოში ასაფლავია მეფე გიორგი, ალექსანდრე მეფის შამა, ფარდა აქვს ჩამოშვებული ოქროს ატლასის.

ეკლესია დიდია, გარშემო არის 52 დიდი საჟენი, დიდი სახელოვნი; ქვა ნაშენები დიდი, თლილი სიგრძით ორი საჟენი და საჟენ ნახევარი.

ამ დიდი ეკლესიის უკანაა ქვის ეკლესია წმ. მოწამის გიორგის; ეკლესიაში კედელზე მხატვრობაა.

მარჯვენა მხარეზე ღვთისმშობლის ხატია ექვს ფურცლიანი, სახე და სამოსელი ოქროთი მოჭედილი, შემკულია ქვით და მარგალიტით, კიოტი და საკეტი ვერცხლშია ჩასმული, ნაჭედი, დღესასწაულნი, წმიდანნი, სახენი და სამოსელი გაჭედილია, ჭურჭელნი ოქროსია ყველა, ჯვარი ტრაპეზზე ოქროშია ჩასმული, ზედ ჯვარცმაა, სხვა ხატები ვერცხლისაა მოჭედილი და დაოქრილი.

იმავე ეკლესიაში ასაფლავია სამეუფო კარების წინ კათალიკოსი არტემონი (უნდა იყოს ევდემონი), მარცხნივ ჩრდილო კარებისკენ განისვენებს ქართლის მეფის თემურაზის შვილიშვილი, უმცროსი ბატონიშვილი გიორგი დავითის ძე. მარხიან კათალიკოსი და ბატონიშვილი იატაკის სწორა და აძევს მათ ქვა მიწის სწორა. ბატონიშვილის ქვაზე დგას შანდალი ვერცხლისა სანთლით, თავით უძევს ქუდი, სადაკი (?) და მახვილი, გვერდით უნაგირი, ფერხთით ქოშები (ходовые), ყველა მისი ბავშვობის.

ქალაქს კარები აქვს, რკინის საკეტით, ამ კარებში სამლოცველოა (придѣлъ) წმ. მოწამის დიმიტრის სახელზე, იმ სამლოცველოს წინ კარებში ასაფლავია მეფე დავითი, რომელიც ყიზილბაშების ქვეყანაში შევიდა და ის კარები მოიტანა დერბენდიდან, ის ქალაქი და ეკლესიები მეფე დავითმა გააშენა. ქალაქის კედლებზე სდგას თერთმეტი სასახლე დიდი და საშუალო.

მათ რიცხვში ერთი სასახლე გაკეთებულია დიდი და მაღალი, სიგრძით 20 საჟ. განით 8 საჟ. სიმაღლითაც ასე, იმ სასახლეში გაკეთებულია ადგილი, სადაც მეფე დაბძანდება ხოლმე საჭმელად, მიშენებულია კედელზე, შუაში, კარის წინ თლილ ქვის სვეტებზე ძევს მტყელი მარმალილო, სიგრძით ორი საჟენი, განით საჟენზე მეტი, გალესილი, თეთრი და მაგარი, როგორც თეთრი კოროლიოკი, ახურავს ხალი, მის ორივე გვერდით კარებამდი საჯდომებია. იქვე

ჩაფლულია ქვევრი დიდი და მიტროპოლიტის თქმით, იმაში ასხია მეფის ოჯახისთვის მთელი წლისათვის 365 კერძი (порция мѣра) ყოველ დღეს თითო კერძი სამოცდაცის საყოფი (ღვინო?). ქალაქის კედლების გარშემოა 436 დიდი საჟენი.

ქალაქ გელათის ზევით ორი ეკლესია ქვის, ერთი ღვთის მშობლის, მეორე წმ. ნიკოლოზ საკვირველ მომქმედის, დგანან ცალცალკე ქვიტკირის გალავანში, ეკლესიებთ შორის ერთი ვერსტია. განაგებს ამ ქალაქს და ყველა ეკლესიებს ქალაქის ახლო-მახლო მიტროპოლიტი ზაქარია; ქუთაისის ქალაქიდან მთა—მთა იქნება 7 ვერსტი, ქალაქის ახლო აგებულია ქვის სვეტი ორი საჟნის სიმაღლეზე და გამოყვანილი წყალი; სვეტების თავზე გაკეთებულია საყენებელი (шуруны) და როცა საყენებელს მოატრიალებენ, წყალი მორბის, ერთ საჟენზე ზევითკენ, ორ საჟენზე ვვერდზე, ამ სვეტიდან წყალი გაყვანილია მიწის ქვეშ ქალაქში, მირბის მილით შუა ქალაქში, გაყვანილია სასახლეებში და ყველა საჭირო ალაგებში.

როცა მიკიფორემ და ალექსიმ ქალაქი გელათი და მისი ყველა შენობანი აწერეს, მიტროპოლიტმა ზაქარიამ სადილზე მიიწვია, ისხდენ მარცხნით ხალთფენილზე, მეფის ალაგის პირდაპირ. ჭამად ხორცეული მიიტანეს, მიტროპოლიტი კი ჭამდა სამარხოს. სადილზე კათალიკოსი ადგა და რუსთ მეფის სადღეგრძელო მიირთვა, სხვებსაც დაალევინა ყველას. ბოლოს ელჩები ქუთაისში დაბრუნდენ.

მღ. ბ. კელ—ძე.

(დასასრული იქნება).

ბიჭვინტის სიგელ-გუჯრები.

ბიჭვინტა (რუსულად Пицунда) იყო საკათალიკოზო ანუ საპატრიარქო ტახტი იმერეთის კათალიკოზებისა, რომელთა სამწყსოს შეადგენდა დიდი მანძილი — ლიხის მთიდან ზღვამდი და ჭოროხის წყლიდამ კაფამდი (ახლანდელი თეოდოსია), ე. ი. მთელი ყირიმი და ჩრდილოეთით „დიდ ხაზარეთის მდინარემდი“ (ახლანდელი ყუბანის მდინარე).

კათალიკოსობა იმერეთ-აბხაზეთში დაწესდა მაშინ, როდესაც აღმოსავლეთი საქართველო არაბებმა დაიმორჩილეს მერვე საუკუნის დასასრულში, ხოლო იმერეთმა შეინახა თავისუფლება შემდეგ დიდ-დიდის ბრძოლოლა-შეტაკებისა აჰმადის და მურვან ყრუს ლაშქრებთან. მაშინ იმერეთი მარტოდ-მარტო დამოუკიდებელი კუთხე შეიქნა საქართველოს მეფობისა; აქ გამეფდენ აბხაზთა მთავრები, რომელთაც მიიტაცეს მეფობის სახელი. ამათში ბაგრატ პირველმა 820 წელში დააწესა დამოუკიდებელი საკათალიკოსო ეკლესია აბხაზეთ-იმერეთში და გაეყო მცხეთის საკათალიკოსოს.

ამ ნაირად პოლიტიკურმა განხეთქილებამ გამოიწვია საეკლესიო განხეთქილებაცა. მაგრამ, როცა განთქმულმა საქართველოს მეფემ ბაგრატ-მესამემ ყველა ნაწილები საქართველოსი მტკიცედ შეაერთა და აბხაზეთის მეფობაც მემკვიდრეობით მიიღო (დედა მისი გურანდუხტ იყო აფხაზთა მეფის ქალი) 985 წელს, ეკლესიური განცალკევებაც, როგორც საგულისხმებელია, მოისპო.

ამ დროიდან სამიოდ საუკუნეთა სიგრძეში ჩვენ არ ვხედავთ აფხაზთა კათალიკოსებს არც წიგნების წარწერაზე, არც გუჯრებზე, არც ეკლესიის შენობათა წარწერებში და ოქმებში.

აქიდან საგულისხმებელია, რომ დაახლოებით 985 წლიდამ იმერეთის ცალკე კათალიკოზობა მოისპო და ქართლის კათალიკოზები განაგებდენ მთელს საქართველოს ეკლესიას.

ამ აზრს აძლიერებს შემდეგი გარემოებაცა. თამარ-მეფის სიგელში, თვით ამ წმიდანის ხელმოწერილში, ნახსენები არ არის იმერეთის კათალიკოსი, ხოლო ერთ სიგელში (ქრონიკ. II 1258 წ. ქვეშე) ამტკიცებს „ყოვლისა საქართველოსა კ-ზი ნიკოლოზ". იმ დროს რო იმერეთში კათალიკოსი მჯდარიყო, მისი ხელიც ჩართული იქნებოდა ორსავე სიგლებში ჩვეულებრივ: გელათისადმი მიცემულს სიგელს (იმერეთის საკათალიკოზო მონასტირისას) ამტკიცებს ქართლის კათალიკოსი თეოდორე, ხოლო იმერეთისა არა სჩანს (ეს გუჯარი ჩვენგან გამოცემულია. "ქრონიკები„ წიგნ. II, გვ. 73-74); მართალია, სიგელს ბოლო აკლია და შესაძლებელია იქ მოხსენებულ ყოფილიყოს იმერეთის კათალიკოზი, მაგრამ მაინც უკანონო იქნება ქართლის კათალიკოზის უფლების გამოჩენა იმერეთის საკათალიკოზოში, თუ რომ უკანასკნელი საკათალიკოზო გაუქმებულ არ ყოფილიყოს.

ერთ გარემოებას ეჭვი შეაქვს ამ დასკვნის სიმართლეში. ახალციხიდან მამა ვასილ კარბელაშვილისაგან ჩამოტანილ სახარებაში, რომელიც ჩვენის აზრით დაწერილია მეთორმეტე საუკუნის ხელით, მოხსენებულია **„აფხაზეთის კათალიკოზი სვიმონ"** (ქრონიკ. II, გვ. 90). მეცამეტე საუკუნიდან ჩვენი მემატიანებიც ხშირად იხსენიებენ ორთა კათალიკოზთა სახელდაუდებლად (ქ-ცხ. I, გვ. 274, 342). გარდა ამისა თუ ბერძენ მწერალთა მოკლე ცნობას დაუჯერეთ, 1054 წელს უნდა გათავისუფლებულიყო საქართველოს ეკლესია (იხ. დეკ. ცინცაძის შრომა Автокефалія Груз. церкви). თუ უკანასკნელი ცნობა სარწმუნო გამოდგა, იმ შემთხვევაში იმ კრებას ლაპარაკი ჰქონია არა ქართლის ეკლესიის თავისუფლებაზე (რადგან ეს კითხვა 750 წლის კრებამ ადრევე გადასწყვიტა), არამედ იმერეთის ეკლესიისაზე, როგორც ეს სჩანს

წმიდის გიორგი-მთაწმიდელის ბაასიდან ანტიოქიის პატრიარქ თეოდორესთან (იხ. ჩემი წიგნაკი Абхазскіе католикосы, Ставрополь 1893 წ. გვ. 9—11 და „ათონის კრებული გვ. 314-316).

გარდა ამისა ერთს 1078 წ. დაწერილ გუჯარში ნახმარებია ფრაზა, **„აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოზნო“**, და ესვე ფრაზა ნახმარებია მეორე საბუთის პირში მეცამეტე საუკუნის ნახევარს დაწერილში (იხ. ეს საბუთები ჩემს „ქრონიკები“ II, გვ. 50 და 160).

დავსძინოთ ამაებს კიდე ერთი საყურადღებო ფაქტი. მოქვის XV საუკუნის გულანში, რომელიც ეხლა საეკ. მუზეუმშია დაცული, ჩვენ ამოვიკითხეთ: **„კათალიკოზი დანიელ ახალი მოწამე“**; ამ კათალიკოზს, როგორც ახალ მოწამეს, ხსენება უწერია, ე. ი. წმიდანებშია ჩარიცხული. ვინ არის ეს კათალიკოსი? ჩვენ სრული სია გვაქვს ქართლის კათალიკოსებისა და ამ სიაში დანიელ არა სჩანს. მაშასადამე ის არის იმერეთის კათალიკოზი, მით უმეტეს, რომ ის იმერეთის ეკლესიის ხელნაწერშია მოხსენებული.—როდის უცხოვრია დანიელს?—რადგან მეთუთხმეტე საუკუნეში ის „ახალ-მოწამედ“ არის ხსენებული, მას უნდა ეცხოვრა მეთოთხმეტე საუკუნეში. მოქვის წარჩინებულად დახატულ სახარებაში, რომელიც დაწერილია 1300 წელს, დახატულია დაჩოქილი და ხატის წინ მლოცველი მღვდელმთავარი, სრულს საეპისკოპოსო შესამოსელში და იქვე აქვს წარწერა: **„მოქვისა მთავარ ეპისკოპოსი დანიელ“** (იხ. ჩემი „ქრონიკები“ წ. II 1300 წ. ქვეშ). სწორედ ეს დანიელ უნდა იყოს ის „ახალ-მოწამე დანიელ კათალიკოსი“, რომელზედაც მსჯელობა გვაქვს. უეჭველია, ამ დანიელს შემდეგ 1300 წლისა კათალიკოზობა მიუღია და მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში წამებულა. ბროსსეს შემოაქვს კიდე სახელები აბხაზთა კათალიკოსებისა; ნიკოლოზის (მეთოთხმეტე საუკ.) და ევდემონის (1319 წ.), მაგრამ შემცდარია: ორნივე XVI საუკუნის კათალიკოზები არი-

ან, როგორც თვითონ დავრწმუნდი იხ. ჩემი (Абхазскіе католикосы გვ. 11-13).

ამ ნაწყვეტ საბუთებიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ: ა) ჯერ კიდე სრულის დაბეჯითებით იმისი თქმა არ შეიძლება, რომ მეათე საუკუნიდან 1390 წლამდი იმერეთის კათალიკოზობა გაუქმებულ ყოფილიყოს; ჯერ კიდე საჭიროა ახალ საბუთებს ვუცადოთ; ბ.) თითო-ოროლა შემთხვევა ბიჭვინტაში ცალკე კათალიკოზის დაყენებისა, როგორც არა ბუნებრივი მოვლენა, ვერ დაარღვევს მიღებულ აზრსა, მით უმეტეს რომ იმერეთი ამ ხნის განმავალობაში ხშირად სწყვეტდა პოლიტიკურს კავშირს ამერეთთან: XI საუკუნეში ლიპარიტ ერისთავის განდგომის გამო, XIII საუკუნეში მეფის დავით ნარინის გამოყოფით. შესაძლებელია ამ პოლიტიკურ კავშირის შესუსტების დროს ეკლესიური კავშირიც დაირღვა დროებით, ხოლო ერთობის აღდგენის უმალ ეკლესიური კავშირიც განახლდა, ერთობა იმერ-ამერ ეკლესიათა კვლავ დამტკიცდა საერთო კათალიკოზის დანიშვნით. ერთის სიტყვით, ზემოხსენებული აზრი ჯერ ისევ ისტორიული თეორიაა და არა უტყუარი ჭეშმარიტება,

მეთოთხმეტე საუკუნის დამლევს თამერლანის შემოსევამ ხელახლა შეასუსტა პოლიტიკური ერთობა იმერ-ამერეთისა: მეფენი გიორგი და ბაგრატ ამერეთში იყვნენ და ამ მსოფლიო მტერს ებრძოდენ, აშით ისარგებლეს აფხაზეთში გურიელ-დადიანმა და იმერთა მეფემ, დამოუკიდლობა მოინდომეს. ამ მიზეზით აიხსნება ქართლის ცხოვრებაში მერმენდელ დროში ჩაკერებული ცნობა იმაზე, რომ **1390 წელს აფხაზებმა კათალიკოზად დაისვეს არსენი**. თუ ეს ცნობა ყალბი არ გამოდგა, იმ შემთხვევაშიც საგულისხმოა, რომ არსენი ალბათ ისევ გადაყენებულ იქმნა, ქართლის მეფეთაგან, რადგან 1390 წლიდამ 1474 წლამდი არც ერთი აფხაზთა კათალიკოზი არა სჩანს საეკლესიო საბუთებში.

მეთუთხმეტე საუკუნეში უმაღლეს წერტილამდი აღვიდა ოსმალთა ძრიელება, მათ დაიპყრეს სტამბოლი, ტრაპიზონი მთელი აზია ბოლკანეთითურთ და განხეთქილება ჩამოაგდეს ჩვენს მეფეებში. გმირულმა საარაკო ბრძოლამ მათთან იმერ-ქართველ მეფეებისამ საქართველო გადაარჩინა ამ პარბაროსებისაგან. მაგრამ ამ დიდმა საქმემ დიდი მსხვერპლი მოინდომა. ყველანი ჰგრძნობდენ, რომ დინასტიური ბრძოლა იმერ-ამერ მეფეების და მთავრების შორის ამ უბედურ დროში ქრისტიანობას დაამხობდა და ურჯულო ოსმალოს ხელში ჩაუყრიდა მთელს კავკასიას. საჭირო იყო შერიგება და გაერთიანება, სამეფოში დიდათ ეცადნენ ძალით გაერთიანებას, **მაგრამ არ იქნა სრულს** გაერთიანებას ვერ მიაღწიეს **ძალით**, ტყულა-უბრალოდ გმირ ძმათა სისხლი იღვრებოდა. იმ დროს, როდესაც ულმობელი ვეშაპი (თურქ-ოსმალო) საქართველოს საზღვარს უახლოვდებოდა კავკასიის ჩასანთქავად. რა უნდა ექნათ? არჩიეს სრულის ზავის შემოღება: გიორგი ქართლის მეფემ აღიარა დინასტიური უფლება იმერეთის მეფეებისა, იმერ-ამერნი შერიგდენ. ამ ზომით ჰფიქრობდენ ოსმალოს წინააღმდეგ შეერთებას. ეს მოხდა 1469 წელს.

ამ დიადს გარემოებას, ამ შეცდომას, მძიმე შედეგი მოჰყვა. საქართველო უარესად დაქუცმაცდა: იმერეთიც ნაწილ-ნაწილ დაიყო (სამთავროებად, საერისთოდ) და ქართლიც დანაწილდა ორ სამეფოდ; ერისთავებმაც თითქმის შთავრული უფლება შეირჩინეს. ამავე დროს ახალი შინაური მტერი გაუჩნდა ჩვენს წმიდა ეკლესიას. ანტიოქიის პატრიარქები გაფაციცებით თვალს ადევნებდენ ჩვენს შინაურ დაქუცმაცებას; და რაკი მარჯვე დრო იშოვეს, მოინდომეს ჩვენი ეკლესიის დამორჩილება, თვისს საპატრიარქოში ჩარიცხვა (თვითონ კი-ოსმალოს სამეფოს ყმანი იყვნენ). ჩემს ქრონიკებში ბევრი საბუთებია დაბეჭდილი იმაზე, თუ რა ნაირის ხერხით ცდილობდენ, თუმცა ამაოდ, ანტიოქიიდან გამოსული ბერები სამცხე-საათაბეგოს ეკლესიების დამორჩილებას; ათაბაგები ხან-

დახან ამ ხაფანგში ვარდებოდენ, რადგან ეკლესიურის განცალკევებით განთავისუფლება უნდოდათ საქართველოს მეფეთა გავლენისაგან.

ასე მოიქცნენ ანტიოქელები იმერეთშიც. ისარგებლეს იმერეთის ცალკე სამეფოდ განყოფით; მათმა აგენტების ქადაგებამ გასჭრა და როგორც ქვემო დაბეჭდილ ოქმიდან დაინახავთ, 1470 –1474 წლებს შუა თვით იერუსალიმის ან ანტიოქიის პატრიარქი მიქაელ ჩამობრძანდა იმერეთს და აქ, როგორც სჩანს, პირველად დაარსა ქართლის ეკლესიიდან განცალკევებული კათალიკოსობა, რომელიც უნდა დაქვემდებარებოდა ანტიოქიის ანუ იერუსალიმის საპატრიარქოს. ეს აზრი, რომ იმერეთის ეპარქია უნდა ექვემდებარეობოდეს სხვა საპატრიარქოს, ბუნდათ, მაგრამ ხელოვნურად გამოუხატავს მიქელ პატრიარქს იმ ვრცელს ოქმში, რომელიც თვითონ მას შეუდგენია, როდესაც აკურთხა ბედიის არქიეპისკოპოსი აბხაზეთის კათალიკოსად. მოხსენებული ოქმი, რომელსაც ქვემო ვბეჭდავთ პირველ ნომრით (№ ა) ბიჭვინტის საკათალიკოსო საბუთებში, გვაუწყებს, ვითომ „პირველად (ე. ი. ძველად) ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოსნი ანტიოქიისა პატრიარქისაგან იკურთხებოდიანო“, მაგრამ „სოფლის სიერაგეთაგან იყვნეს მრავალნი წესნი შეშლილიო“ და ამიტომ ახლა მე ძველი წესი აღვადგინე და იოაკიმე კათალიკოზად ვაკურთხეო, ის არისო „იერუსალიმის მარჯვენეო“, იმას დაემორჩილენითო და სხ. და სხ. ამასთან პატრიარქი დარიგებას აძლევს იმერეთის ეკლესიას, რომელიც ჩვენ ოც და ერთ მუხლად დავყავით, რადგან ამ მუხლებს საეკლესიო კანონების ხასიათი აქვს. ოქმში განზრახ მეტად მკაცრად და გაზვიადებულად დახატულია დაცემულობა საეკლესიო წესებისა იმერეთის საკათალიკოსოში.

ქვემო ჩვენ დავბეჭდავთ ერთს საბუთს (იხ. გელათის გუჯრები № 3), რომლიდან სჩანს, რომ ანტიოქიის პატრიარქისაგან დაყენებული იოაკიმე კათალიკოსი გადაყენებულ იქ-

მნა, როგორც „არა სჯულიერად“ შემოსული სამწყსოში. აქიდან საგულისხმოა, რომ იმერეთმა არ მიიღო დამოკიდებული კათალიკოსი და არცა პატრიარქის მიქელისგან მოცემული კანონები. ეს გულისწყრომა ანუ „პროტესტი“ იმერეთისა პატრიარქის მოქმედებაზე გამოიხატება იმაშიც, რომ: ა) პატრიარქის ოქმი არავის არ დაუმტკიცებია, არც მეფეებს, არც მთავრებს, არც ერთს ეპისკოპოზს, არც ერთს სამღვდელო პირს. მარტო საკათალიკოსო ბეჭედილა აზის, ბ) მისგან დატოვებული კანონები, როგორც სჩანს, არ იქმნა მიღებულ: შემდეგს საუკუნეთა სიგრძეში მას არავინ იხსენიებს, როგორც სავალდებულოს; გ) პატრიარქის კანონების ნაცვლად იმერეთის ეკლესიის კრებამ შეიმუშავა სხვა კანონები, რომელნიც მუდამ მოქმედებაში იყო მეთექვსმეტე საუკუნიდან მეთვრამეტემდი, რუსთა ექსარხოსებისაგან რუსულ კანონების შემოღებამდი; დ) იმავე მეფე ბაგრატმა, რომელიც ვითომ დასწრებია იოაკიმეს კურთხევას, შეიმუშავა ახალი იადგარი (რომელიც ქვემოთ ბიჭვინტის საბუთებ'ში იბეჭდება) რომლითაც მან წესი და საზღვარი გაუჩინა ეკლესიის უფლებათა და საეკლესიო ყმა-მამულ-მოხელეთა. და ახალი საეკლესიო აგებულება მისცა იმერეთის საკათალიკოზოს.

მაგრამ ყველაზე დიდი საბუთი ჩმისი, რომ იმერეთის ეკლესიამ და მეფე-მთავართა უარყვეს იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის მიქაელის ცდა შესახებ ჩვენის ეკლესიის დამორჩილებისა, ის არის, რომ არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა შემდეგს საუკუნეში, რომ იმერეთიდან ვინმე როდისმე დაჰკითხოდეს ანტიოქიის ან იერუსალიმის საპატრიარქოს, ან ვინმე იქიდგან გამოეგზავნოთ საეკლესიო საქმეების განსაგებად, თუ არ სტუმრად ან ფულის სათხოვნელად თათრებისაგან შევიწროებულ ანტიოქიის ქრისტიანებისათვის (როგორც მაგალითად, მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს იმერეთში მობრძანდა ცნობილი პატრიარქი დოსითეოს). უფრო შესანიშნავია ის გარემოება, რომ არცერთს პატრიარქს შემდეგ მიქელისა

კრინტიც არ დაუძრავს იმერეთ—ქართლის ეკლესიის სრულს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

მიქელისაგან 1470-1472 წლებში დადგენილი იმერეთის კათალიკოსი იოაკიმე, როგორც ვთქვით, მალე გადაყენებულ იქმნა და მის მაგიერად, როგორც უნდა ვიფიქროთ არავინ დაუყენებიათ. ეს იქიდან სჩანს, რომ დიდს მანძილში 1470 წლიდან 1519 წლამდი არც ერთი აფხაზეთის კათალიკოსი არა სჩანს, თუმცა იმ დროინდელი საბუთები ბევრი შენახულა და დღეს ხელთა გვაქვს.

მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისიდან, 1519 წლიდან, იწყება ნამდვილი ისტორია ბიჭვინტის კათალიკოსებისა, ამ წლიდან შენახულა არათუ კათალიკოზებისა, არამედ ბევრი ისტორიული საბუთებიც, დამამოწმებელი მათის მოქმედებისა, საეკლესიო ცხოვრების მიმდინარეობისა.

1519 წელი მთელი ხანაა იმერეთის საკათალიკო ეკლესიის ისტორიისა. ამ წელს სახელ განთქმულმა იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ, ეპისკოპოსთა კრების თანხმობით და თხოვნით, ბიჭვინტის ეკლესიას ის „დიდი იადგარი“ უბოძა, რომელსაც ქვემო ვბეჭდავთ № 5. („ბიჭვინტის საკათალიკოსო საბუთები“ № ა), რომელშიც მეფე დიდ უფლებებს ანიჭებს ამ ეკლესიას. ეს ის სახელოვანი ბაგრატია, რომელმაც ერთად ქართლ-კახეთის მეფეებთან ხონთქრის მოწვევით იერუსალიმი ძალათ წაართვა ეგვიპტის სულთანს და მრავალი უფლება მოუპოვა ქართველთა პალესტინის მონასტრებს, აწ გაოხრებულებს, უპატრონობისაგამო დატაცებულებს სხვა ტომთაგან ოცხმოცდაოდე წლის წინეთ*).

*) იერუსალიმის აღება, აღწერილი ქ-ცხ-ბის დამატებაში, უარჰყოფროფ. ცაგარელმა, მაგრამ უსაფუძვლოდ, როგორც საზოგადოდ, ჩვენში მოდად შემოღებულია აჩქარებული მსჯელობა უარსაყოფლად ჩვენის სახელოვანის მატიანისა. მართალია, ჩვენის წარსულის უარყოფა-დამცირება ხელსაყრელია გრენ-პურიშკოვისთანა მეცნიერების გასახარებლად და მათის პარტიისაგან მეცნიერის დიპლომის მისაღებად, მაგრამ აქაც ზომა-

ამ ბაგრატ მეფემ დაუკითხავად ქართლის კათალიკოზისა და ანტიოქიის პატრიარქისა კათალიკოზად აკურთხებინა იმერთა ეპისკოპოსებს მალაქია აბაშიძე. იმავე 1519 წელს დაარსებულ იქმნა ახალი ეპარქიები და სოფალიკოზო სადგომად გელათი ნაცვლად ბიჭვინტისა, რადგან თურქ-ოსმალთა წყალობით ბიჭვინტაში დგომა საშიშარი გახდა, მაგრამ ეპისკოპოს-კათალიკოზების საკურთხავად მაინც ბიჭვინტაში ემგზავრებოდნენ გელათიდან საკათალიკო კანონის ძალით, სანამ ბიჭვინტის გარშემო მაჰმადიანობამ არ შთანთქა მეთვრამეტე საუკუნეში. დროებითი სადგომი კათალიკოზებს ბევრგან ჰქონდათ, მაგალითად: სამეგრელოში ბოფი, სენაკი; გურიაში აკეთი.

მოვიყვან ჩემგან შედგენილს სიას აბხაზეთის კათალიკოსებისას. სია შედგენილია ჩემს „ქრონიკებში“ გამოქვეყნებულ საბუთებით (იხ. იმავე წლებს ქვეშ) და „ბიჭვინტის საკათალიკოსო საბუთების“ მიხედვით, რომელიც ცალკე იბეჭდება „განთიადში.“ პირველად კათალიკოსთა სია შეადგინა ბროსსემ დიდის ცდით და დაკვირებით, მაგრამ რადგან საკმაო საბუთები არ ჰქონია, შეცდომები მოუვიდა ამ უებარს დიდს მეცნიერ-მუშაკს. აი ეს სია.

1 **მალაქია**, გვარით აბაშიძე (1519-1548 წ. დაახლოვებით. ქვემო მოყვანილ საბუთებში ის მოხსენებულია შემდეგ

უნდა... მე ვრცელი პასუხი მივეცი პატივცემულ პროფესორს (ჩემი „ქრონიკები“ წ. II გვ. 337-369). რომელმაც დაამტკიცა ქართველთაგან ერუსალიმის აღება. იმ დროს მე ხელში არ მქონდა კიდე ერთი საბუთი. რომელსაც ახლა აქ დაურთავ დაუკარგველობისთვის.. ეს არის. გრძელი ხრონიკა კვინკლოსური, სადაც სხვათა შორის სწერია: „ქკს: სიდ: (1525წელს) აქა მისწერა სულთან სულეიმან სამთა მეფეთა (ქართლ-კახეთ-იმერეთისას) იერუსალიმის გამოხსნა. წარვიდენ სიხარულით და დაიხსნეს იერუსალიმი და მაშინ მოსცა საფლავი ქრისტესი „ქართველთა“ იერუსალიმის წიგნებშიც, მეცნიერთა მოწმობით, აღიარებულია ეს ფაქტი (იხ. Археол. памят. Кавказа, описаніе Гелати гр. Уваровой) და მეც ერთი ბერძნული წიგნაკი, იერუსალიმში დაბეჭდილი, ხელთა მაქვს ამავ ფაქტის დამამოწმებელი.

წლებს ქვეშე: 1519, 1520; 1527, 1533 (ქცხ.), 1529, 1545; ამის დროს დაარსდა ახალი ეპარქია ხონისა და გელათისა. ამან გამოიხსნა ტყვეობიდან ჯიქებისაგან მთავარნი გურიისა და სამეგრელოსი 1533 წ. ეს იყო მაღალ ზნეობიანი გვამი, რომელსაც ღვთიური პატივის ცემა ჰქონდა თვით ურჯულოებში და ამისთანა მხეც ხალხშიც, როგორიც იყვნენ ჯიქები.

2. **ევდემოს** ანუ ევდემონ, გვარით ჩხეტიძე 1548-1578 წლებში. გაკათალიკოზება მისი ნაჩვენებია დაახლოვებით. მისი სახე დახატულია გელათის კედელზე. ნუ თუ არ გამოგვიჩდება გულშემატკივარი ქართველი, რომელის მაცადინეობით შეიძლება ურთად შეგროვდეს ჩვენი ისტორიულ პირთა სურათები? ეს დაუფასებელი ღვაწლი იქნებოდა მამულის წინაშე*). ამან გაამშვენა ბიჭვინტა და გელათი და მრავალი

*) ნახატები იპოვება ტაძრებში: 1., ხობის მონასტერში: მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნის დადიანების ცოტნესი, მისი მამის (შერგილ) და დედისა (ნათელა), ლევანისი, კათალიკოზების ილარიონის და ნიკოლოზის და სხ. 2) წელენჯიხაში ძალიან ბევრია დადიანების გვარისანი, უფრო ქალებისა მეთვრამეტე და მეცხრაშეტე საუკუნოებისა, მეტად საყურადღებოა მათი ჩაცმულობა; დადიანების სახლისკაცები. დახატულნი არიან მეტად მაღალ თეთრ შლიაპებით; 3, მარტვილში (დადიან-ჭყონდიდლები), 4, ჯუმათის და შემოქმედის მონასტრებში (გურიელები და სხ,); 5, ვანში—ჩიჯავაძენი, ქალები და კაცები; 6, სორში (რაჭა) გლეხკაცური ჩაცმულობა; 7, კრიხში (რაჭა) მეცამეტე საუკ. შოხელენი მაშინდელ ჩაცმულობით, ოქროს საამბრეებით; 8] ნიკორწმიდაში—თავადები, მათი ჩაცმულობა; 9, სეფიეთში (სამეგრელო) გლეხის ოჩიგავას ჩაცმულობა, აზნაურის თოფურიას სახე და სხ. და სხ.

მომავალ ისტორიულ თეატრისთვის კისაც გული ეწვის, ახლავე უნდა შეეცადოს სხვადასხვა საუკუნეთა ჩაცმულობა მალე გადმოხატონ, სანამ მონასტრის კედლებიდან ფრესკები სულ არ წაიშლება. ითავებდეს ვინმე, თორემ საშვალება მოიძებნება ამ დროს, როდესაც ჩვენს ხალხს გამოღვიძება ეტყობა, განსაკუთრებით თავად-აზნაურთა. ქართლ-კახეთშიც ხომ ბევრი იშოვება, თუმცა ბევრგან ნახატებს უფროსების ბრძანებით კირი წაუსვეს—ტიმოშკინებმა!

ღონისძიება იხმარა ქრისტიანობის განსამტკიცებლად იმ დროში, როდესაც აბხაზეთი აიმსო მაჰმადიანობის მქადაგებელთაგან. მანვე მოახდინა საეკლესიო კრება, რომელმაც შეიმუშავა ესრეთ წოდებული „კათალიკოსთა კანონები", რომელიც დაიბეჭდება ჟურნალ „განთიადში" ბიჭვინტის საბუთებთან ერთად. ეს კანონები დაუმტკიცებია ქართლის კათალიკოსსაც — მალაქიას. კრება ყოფილა 1565-1572 წლებში (ვახუშტით 1605-1606 წ., ბროსსესით — 1580-1603: იხ. ჩემი ქრონ. I).

3. **ევთიმე კათალიკოსი,** გვარით საყვარელიძე (1578-1616 წელს), უწინ მოქვის მთავარეპისკოპოსი, ეს იყო განთქმული სიწმიდით და განათლებით. ამან აუარებელი ღვაწლი დასდვა ქრისტიანობის დაცვაზე აფხაზეთ-სამურძაყანოში. ამან, ჯერკიდე მოქველმა შეკრიბა რაც რომ წმიდანების ცხოვრება იყო და ერთად აღაწერინა თვე-და-თვე თორმეტ წიგნად. ეს სვინაქსარული ცხოვრება კი არ არის, როგორც რუსის ეპისკოპოსის დიმიტრი როსტოვსკისა (XVIII საუკ.), არც საკითხავები, არამედ სრული შეუმოკლებელი ცხოვრება უძველესის დედნებით. საოცარია ეს შრომა. ევროპაში მთელი ბალადისტთა საზოგადოება აგერ ასი წელიწადია ჰკრებს და ჰბეჭდავს წმიდანების ცხოვრებას და ამ შრომით გაითქვა სახელი არა თუ საზოგადოებამ, არამედ მთელმა ნაციამ, რომელმაც წარმოშობა ეს საზოგადოება; ჩვენში-კი ეს დიადი შრომა ერთს კაცს უკისრია თავისის ხარჯით, შრომით, მწერლები შემოუკრებია და თორმეტი **უზარმაზარი წიგნი** რიგ-რიგზე აუწერინებია დაწყებული პირველ სეკტემბრიდან აგვისტოს დამლევამდი. ცნობა ამ წიგნებზე და მათის წარწერებზე ჩემს ქრონიკებშია ჩართული (წიგ. II გვ, 435-436*).

---

*) აქ ამას დაუმატებ, რომ, როგორც შემდეგის დროის წარწერათაგან სჩანს, მეცხრამეტე საუკუნის დამწყებს თორეტივე წიგნი დაცული ყოფილა. ამათგან 1890 წელს მეცხრალა ვნახე გელათის წიგნთსაცავში; 1896 წელში კი შვიდილა აღმოჩნდა და უკანასკნელ 1902 წელს, როდესაც სრუ-

კათალიკოსი ევთიმე მოკვდა 1616 წელს და არა 1605 წელსა, როგორც მე ვწერდი („ქრონ.“ 1605 წ. ქვეშე). როდესაც მე ხელახლა შევასწორე უკანასკნელი ცნობა მისს წყაროს, დავრწმუნდი, რომ შეცდომა მომსვლოდა, რადგან წარწერა დედანში მეტად დაჩრდილულიყო. ამიტომ ვთხოვ, ვისაც ჩემი „ქრონიკა“ აქვს წ. II, გაასწოროს ეს ადგილი და მაზედ დაფუძნებული დასკვნანი (გვ. 435 და წიგ. I, დამატება). ეს ადგილი ასე უნდა გასწორდეს (გვ. 435, სტრიქონ. მეათე ზემოდამ): „ქკს.: ტდ.: (1616 წ.).

ამა ქორონიკონსა აბხაზეთის კათალიკოსი ეფთვიმე მიიცვალა და ცაიშელ-ჯუმაფელი გურიელის შვილი მალაქია კ-ზად დასვეს: ამავე ქ-კსა თვესა მაისსა: იბ.: დღესა (ორშაფა)თსა ხელყვეს ცაიშის საყდრის ახლად აღსაშენებლად—მალაქია“. (გელათური წმ. გიორგის გულანი).

ამნაირად გელათის გულანი ან ერკეთისა ერთხმად გვიჩვენებენ ევთიმის გადაცვალებას 1616 წელს. (იხ. დ. ბაქრაძის „Гурія и Аджарія“).

ლიად რუსეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურემ, შემიაკინმა, მოინდომა იმ წიგნების ჩემის შემწეობით დაწვრილებით გადაშინჯვა, ხუთიღა აღმოჩნდა! „სხვა მონასტრებში ბერებმა წაიღესო თხოვითა“—ასე აგვიხსნეს. ასე იკარგება ფას დაუდებელი საუნჯე ჩვენთა წინაპართა ულირს შთამომავალთაგან! ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ის წიგნები ერთად-ერთი ცალებია მთელს საქართველოში. სიტყვამ მოიტანა და ამასაც დავსძენ, რომ 1890 წელს ბაგრატის ეკლესიის შტოში, რომ პატარა ეკლესია ჰრის დღეს, იმ ტაძრის ერთს კუნჭულში შევნიშნე ორი არშინის სიმაღლე ნაგავი; ნაგვიდან წიგნის ყდის ყური მოსჩანდა; ამოვთხარე იქიდან და რა აღმოჩდა? ორი ვეებერთელა ხელნაწერი (ხუთიც სხვა წვრილი ხელნაწერები) თითო ფუთიანი (იხ. ჩემი „ქრონ“ II, გვ. 36-38) ორ დღე ღამეს ვსინჯავდი და გამოდგა ეფრემ მცირისგან შედგენილი განმარტება ქართული დაბადებისა! ეპისკოპოზს გაბრიელს ჩავაბარე, ხოლო ამან გელათში გაგზავნა შვიდნივე ხელნაწერი, რომელთაგან 1904 წელს მე და ეპ. კირიონმა

4. ამავე 1616 წლის ზამთარს გაკათალიკოსდა **მალაქია**. ის იყო შვილი გურიელის გიორგისა (1554-1600 წ.); ბერათ აღიკვეცა 1589 წ. (იხ. „ქრ.“ II წ.); მალე მიიღო ცაიშის და ჯუმათის საეპისკოპოსო კათედრა ერთად („ცაიშელ-ჯუმათელობა“). 1615 წელს მიწის ძვრა ყოფილა, რომელიც გაგრძელდა მთელ წელიწადს. ძვრამ საფუძვლამდი დაანგრია დიდებული ცაიშის ეკლესია, რომელიც 1616-1619 წლების განმავლობაში მალაქიამ განაახლებინა, დალეწილი ხატებიც შეაკეთებინა. ცაიშის ღვთის მშობლის ხატზე დახატულია ამობერვით მლოცველი „კ-ზი მალაქია“. ლათინ მისსიონერებს დაუხატავთ მისი სურათი, რომელიც გამოსცა მ. თამარაშვილმა თვისს უკანასკნელს საყურადღებო წიგნში. მალაქია გადაიცვალა 1629 წ.

5. მისი ადგილი დაიჭირა **გრიგოლმა** (1619-1639 წ.). ქართულ ისტორიის მეხვაიშნე ბროსსე შემცდარია, როდესაც გვარწმუნებს, რომ მალაქია ცოცხალი იყო 1641 წ., ხოლო გრიგოლიც ცოცხლებში იხსენებაო 1651 და 1661 წლებში. იმ გუჯრებს, რომელზედაც აკადემიკი თავისს აზრს ამყარებს, ჩვენ ქვემო ვბეჭდავთ და იქვე განვმარტავთ, თუ რა გარემოებამ შეიყვანა შეცდომაში მეცნიერი არქეოლოგი (იხ. მის Rap. VIII, 138: Hist. Mad. de Geor. t. I, p. 50; 266). გრიგოლი † 1639 წ. (ქრ. II.).

ხუთი მწვრილები ვიპოვეთ და ის ორი კი არ აღმოჩნდა, გრიგოლ ბერმა წაიღო კაცხშიო. 1910 წელს კაცხშიც ვერ ვიპოვე ის წიგნები.... ასე ვაფასებთ ჩვენ წინაპართა ნაღვაწს! ჩემი ქრონიკების მეორე წინში იპოვება მოკლე ცნობა ამ ფასღაუდებელ ხელნაწერზე, ოღონდ მაშინ არ ვიცოდი, რომ განმარტება ეფრემ მცირის შედგენილი ყოფილა და სამიოდ წლის წინეთ ეს გარემეობა ვიცან იმ დაბადების ნაწყვეტიდან, რომელიც კერძო ოჯახში ვიპოვე. რამდენად ვიცი, განმარტული დაბადება ძველად არც ერთს ერს არ მოეპოებოდამით უმეტეს სასახელოა ჩვენი ეს ეფრემ მცირის დიდებული შრომა.

6. იმავე 1639 წ. კათალიკოზად დასვეს **მაქსიმე** მაჭუტაძე (1639—1656 წ.). ამის დროს ლევან დადიანის სასახლეში მოვიდა რუსების ხემწიფის ელჩი თეოდორე ელჩინი (იხ. Addit ბროსსესი, XV, გ. 438; Бѣлокуровъ: Матеріалы და სხ. 257-376). ეს იყო ორჯერ: პირველად 1639 წ. და მეორედ 1640 წ. და არა 1630 წ., როგორც გონებდა ბროსსე. ამ ელჩის პირით იმერთა მეფე ალექსანდრე რუსხელმწიფეს სთხოვდა მისს მფარველობაში შესვლას ოსმალთა დასამხობად (полн. собр. закон. Россійск. Имп. I, 243) *).

7. **ზაქარია** 1656—1660 წ.

მაქსიმე გადაიცვალა 1657 წ. იგრძნო რა სიკვდილის მოახლოვება ერთის წლის წინეთ, მაქსიმეს თავისვე სიცოცხლეში კათალიკოზად დააყენებინა კრებას ზაქარია, გვარათ ქვარიანი. ეს იყო ივნისი 1656 წ. (იხ. „ქრ“ წ. II). აქამდი ზაქარია იყო გენათელი მიტროპოლიტი. ამ დროებაში

*) ამ ელჩს მოსდევდენ რამოდენიმე რუსის ბერები. ესენი ჩვენ ეკლესია-მონასტირებს ათვალიერებდენ, ჩვენ წირვა-ლოცვებს თვალყურს ადევნებდენ და ალშფოთებაში მოდიოდენ: ესენი „ბუსურმანები“ ყოფილან და არა ქრისტიანებიო, რადგან ზოგგან ტაძრებს ბანზე ჯვარი არ ეკრა, ზოგგან დაბალი კანკელი ნახეს (иконостасъ), პასექის წირვაზე რატო ტაძარს მარცხნით არ შემოუარესო (посолонь), რატო დიდი ბარძიმი აქვთო, რატო ტრაპეზი საკურთხეველში ზედ კედელზე აქვთ მიდგმული; ჯვრებიც ოთხ წვერიანი ჰქონიათო —ლათინურიო და არა რვაწვერიანიო და სხ. და სხ. განცვირფდება კაცი მაგათის გაუნათლებლობით, უმეცრებით, და ჩვენს მათზე ალმატებულობას მაშინღა იგრძნობთ. ლათინების ბერები რომ ჩვენს სამღვდელობაში მიღებულნი იყვნენ და დიდი მეგობრობა და პატივისცემა ჰქონდათ ერთმანეთისა ეს გარემოება ხომ ერთიანად აშტერებდა რუსის ბერებს! რა მაღლა მდგარა მაშინ ჩვენი სამღვდელოება შედარებით რუსებისაზე და რა დაბლა დაშვებულა დღეს!.. გაჩინოვნიკებულა, აზრი ქრისტიანობისა შემცირებულა და გარეგნობაზე გაყინულა...

აფხაზეთის საკათალიკოსოს ოსმალებმა დიდი ქვეყანა მოგლიჯეს — ჭანეთი ჭოროხის გაღმა და მერე ბათუმიც დაიჭირეს, აბხაზეთის იქითა მხარე გაათათრეს, ბიჭვინტაში დარჩენა შეუძლებელი გახდა და ეს უნდა იყოს მიზეზი იმისი, რომ ზაქარია და მისნი შემდეგნი მოადგილენი გელათიდან ჰმართვიდნენ საკათალიკოზოს; ასე უნდა გავიგოთ მისი განსხვავებული წოდება („ტიტული"): „კათალიკოსი ზაქარია, მთავარ ეპისკოპოსი მაღლისა ტრაპეზისა გელათისა, კათალიკოსი აბხაზეთისა და ქართლისა (?) დიდისა ბიჭვინტის ტაძრისა". სულ ორწელიწად ნახევრამდი იკათალიკოსა ზაქარიამ, გადაიცვალა 1660 წ., იქვე გელათში დაიმარხა, სადაც დახატულია კედელზე წარჩინებული მისი სახე (Rapp. ბროსსესი XI, გვ. 10).

8. კათალიკოსობა არგუნეს ქუთათელ — ყოფილს **სვიმონს** (1660—1666 წ.) გვარით ჩხეტიძეს, რომელიც ხშირად თავის თავს იწოდებს „აბხაზეთის კათალიკოსად და ქუთათლად". სვიმონმა იმერეთი გადაარჩინა იმ არტვ — დარეევიდან (ანარქია), რომელიც შეუდგა იმერეთის მეფის ალექსანდრეს გადაცვალებას 1660 წ. სამ წელიწადს იმერეთის სამეფო ტახტი გადადიოდა ხან ოსმალოთა ხელში, ხან დადიან-გურიელთა; მემკვიდრე მეფე-ბაგრატს თვალები დასწვეს*) და გააძევეს; მაშინ

*) ზოგ ჩვენს მწერალთ ჰგონიათ, ვითომ თვალების დაწვა თვალების ამოთხრას ნიშნავდეს ანუ სრულ დაბრმავებას ეს შეცდომაა, — მარტო **სინათლის მოკლებას** ჰნიშნავს ამისთვის ცალკე ხელოვანნი იყვნენ, რომელნიც თითქმის უმტკინელად აუცრიდენ თვალის ქუთუთოსთან ძარღვს. ხედვა შერჩებოდა, მაგრამ თოფ-ისარს ვერ იხმარებდა. ზოგს ისრის ხმარების შეძლებაც შერჩებოდა (მაგალითად დიმიტრი თავადი დამწვარი ისარს ნიშანში ესროდა). ეგრეთვე იყო გამოსაჭურისებაც. ექიმები ერთს ძარღვს წაუხდენდენ, რომელი არ გასჩენოდა ტახტის ანუ მამულის შემკილე. აგრეთვე ბარბაროსულად ესმით ჩვენს მეისტორიეს **სისხლი**: რამდენად თავადს ან აზნაურს მეტი ყმა ყავდა, იმდენად სისხლი უდიდდებოდა და მისს მკვლელს, როგორც ბევრის ყმების მამა-პატრონისას, მეტი სისხლი ერგებოდა (ამის საბუთებს მერე გამოვაქვეყნებთ).

სვიმონმა და მისმა ძმამ, ქუთათელმა გედეოხძა, იძდეხი ილონეს, რომ 1663 წელს ის მემკვიდრე, თვალ დამწვარი ბაგრატ, ისევ გაამეფეს და სამეფო გადაარჩინეს. დიდი სახელი ჰქონდა სვიმონს. მაშინდელი მწერლები მას უწოდებენ „ქრისტიანე და ღვთისმოყვარე კათალიკოზად“ და სხ.

9., **ნიკოლოზ**, დაახლოებით 1667—1668 წ.

10., **ილარიონ**. დაახლოვებით 1668—1673 წ.

ამ ორ კათალიკოზთაგანი ნიკოლოზი სულ არა სჩანს ჩვენ სიგლებში. კ-ზი. ნიკოლოზის წერილია მოხსენებული დაბეჭდილ დაბადების ბოლოში (ბროსსე); მისი და ილარიონის სურათები გამოყვანილია ხობის მონასტრის კედელზე, ეტყობა იქვე მარხიან, იქ, სამეგრელოში, მომკვდარან. ბეჯითად შეგვიძლია დავსკვნათ, რომ ორივე კათალიკოსები ცხოვრობდენ 1667—1673 წლებს შუა (რადგან სვიმონ გადაცვლილა 1666 წ., ხოლო ილარიონის შემდეგი დავით გაკათალიკოსებულა 1673 წ.), როგორც ქვემო დავასაბუთებთ. ილარიონის საკუთარი ხელით 1672 წ. დაწერილი სიგელი იბეჭდება ბიჭვინტის სიგელებში. ნიკოლოზი-კი არც ერთს სიგელში არ იხსენიება, არცა ევდემონ საყვარელიძე, რომელსაც გვისახელებს ბროსსე. უკანასკნელს ჩვენ სრულიად ვრიცხავთ კათალიკოსთა სიიდან, რადგან არავითარი საბუთი არ გვაქვს და ძნელთად დასაჯერებელიც არის, ვითომ მოკლე ხანში (1667—1673 წ.) სამი კათალიკოსი გადმოცვლილიყვნენ.

11. **დავით**, გვარით ნემსაძე, კათალიკოსობდა 1673-1696 წლებში: გაკათალიკოსობა მისი ვიცით კინკლოსის წარწერიდან (ჩემი „ქრონ.“ II. 1673 წ.), ხოლო გადადგომა—შემდეგის კათალიკოსის გრიგორის ბეჭდიდან, რომელსაც აწერია 1696 წ., და აგრეთვე სიგელ-გუჯრებიდან, სადაც დავით ნემსაძე სჩანს კათალიკოსობაში 1673, 1675, 1680, და 1685 წლებში, გარდა უთარიღო სიგელ-გუჯრებისა.

ამის დროს გაძლიერდა ოსმალეთის გავლენა აფხაზეთზე და დამცირება ქრისტიანობისა ამ განაპირა ქვეყანაში, თუმცა მმართველნი, მაგალითად შარვაშიძე ყვაპუ (რომლის სიგელს ვბეჭდავთ), ქრისტიანობაში მტკიცენი ყოფილან. ამის დროსვე იწყება გააფხაზება მეგრელებისა, რომელთა ეტნოგრაფიული საზღვარი მაშინ იყო კელასურის მდინარე, სოხუმს ახლო. აბხაზთაგან დევნილნი იქაური მეგრელები ხშირად სტოვებდენ იმ ადგილებს და სახლდებოდენ ღალიძგის აქეთა მხარეს, როგორც ამას აღნიშნავენ რამოდენიმე ბიჭვინტის სიგელები. ვინც ძველ ადგილზე რჩებოდა, აბხაზდებოდენ. მეჩვიდმეტე საუკუნიდან დაიწყო აბხაზთა გამაჰმადიანება ნელ-ნელა და თან იქაურ მეგრელების გააფხაზება*). კ-ზი დავით † 1696 წ.

*) გეოგრაფიული სახელები ადგილებისა, საყანე მინდვრებისა, ღელე-მდინარეებისა, მთებისა, საოჯახო ნივთებისა, სახელ-გვარი მსახლობელთა და სხვ. გააფხაზებულ სამეგრელოს ნაწილში (კოდორის „უჩასტკა“ კელესარურამდი) დღესაც ხშირად მეგრულებია (მაგ. შუაწყალი, ცხენიწყალი, თხინა, ჩხოროწყუ, მაქე, ოხვამუში და სხ.). რუსი რომ სამეგრელოში შემოვიდა, აბხაზებმა იმდენად შეიძულეს მეგრელები, რომ თვით სახელი მეგრელისა საკიცხავი გახდა, როგორც მოღალატე-სულმდაბლისა. „აგრუა“ (მეგრელი) ანუ „აგრუაკუცხე“ საგინებელი სიტყვა იყო, როგორც რუსისაცა („ურუს“). მამაჩემისგან ხშირად გამიგონია, რომ მის პირველად შესვლის დროს აბხაზეთში მისსიონერად მეგრული ენა ოჯახებში მთავარი ენა იყოო ღალიძგის აქეთ, ხოლო პაპისაგან გამიგონიაო (დეკანოზის სვიმონ ჟორდანიასაგან — XIX საუკუნის დასაწყისს მსახურობდა კოდორს, ტაბუშს), რომ მთელ კოდორის „უჩასტკაში“ ოჯახებში მეგრული ენა იხმარებოდაო და აფხაზურათ მამაკაცები ლაპარაკობდენო ოჯახს გარეთ. 1860 წლიდან თვითონ მე სამურზაყანოში ვიზდებოდი (ოქუმს, ბედიას), ოქუმს აქეთ მეგრული ენა მეფობდა, იმის იქით ღალიძგამდი აფხაზურათ ლაპარაკობდენ, თუმცა მეგრულიც ყველამ იცოდა, მაგრამ ვერ ამხელდენ: სირცხვილად მიაჩნდათ. მეგრულის არცოდნა სახელად მიაჩნდათ, როგორც აფხაზურის ზნე-ჩვეულების, ჩაცმა-დახურვის შეთვისება.

12. **გრიგოლი**, გვარით ლორთქიფანიძე (1696-1742). რომ გრიგოლ გაკათალიკოსებულა 1696 წ. იქიდან სჩანს, რომ მის საკათალიკოსო ბეჭედზე, რომლითაც სიგელ-გუჯრებს ამტკიცებს, ასეთი წარწერა იკითხება: „**1696 წ. კათალიკოსი გრიგორი**". თარიღიან სიგელებში გრიგოლი სჩანს: 1705 1716, 1719, 1733, 1740 წ., ამან ქუთათლად აკურთხა ანტონი, შემდეგ განთქმული მწერალი ქართლის კათალიკოსი. ამის დროსვე შესდგა კრება, რომელმაც აღკრძალა ტყვეთა გაყიდვა.

13. **ბერმანე**, მოხსენებული ბატონიშვილის ვახუშტისაგან. დაახლოებით 1742—1751 წლებში კათალიკოზობდა, რაღაც მიზეზით გადამდგარა და 1769 წელს ნიკორწმინდის კათედრა ეჭირა, როგორც ეს სჩანს ერთს ბიქვინტის სიგელში, რომელიც იბეჭდება. ამ სიგელს ასე აწერს ხელს გერმანე: „პირველ კათალიკოზოფილი ნიკორწმინდელი გერმანე". საგულისხმოა, რომ გერმანეს თავისის ნებით, მეფის თხოვნით, კათედრა დაუნებებია უფრო ღირსეულის რაჭის

ბედიაში მოყვარე მყავდა, ხშირად წამიყვანდენ მე და ჩემს ძმას. ჩვენ აფხაზური არ ვიცოდით, ხოლო მოყვარის ოჯახობაში მეგრულს არ აცხადებდენ—სირცხვილიაო. ვიდექით მლნჯათ, სანამ ნათლიდედა ,,არამხანაში'' (ქალების სახლი) არ შეგვიყვანდა: აქ ყველანი მეგრულად დაგვიწყებდენ ლაპარაკს. მიღებული იყო: ვინც აფხაზურად არ ლაპარაკობს რა კაციაო. ამიტომ ყველანი აფხაზურს სწავლობდენ. 1865 წელს შიკრიკი შემოიჭრა ოქუმში ბლაღოჩინ დ. მაჭავარიანთან; ეს ამბავი მოუტანა: ,,დღეს გალი (სოფელია ოქუმს აქეთ) გააფხაზდაო''. თურმე იმ დღეს სიფელი გალი შეყრილიყო და გადაეწყვიტათ: დღეისიდან აფხაზურად ვილაპარაკოთ, მეგრული არ გავაცხადოთო. ასე, ჩემს იქ ყოფნაში, საარაკო სისწრაფით აბხაზდებოდენ სამურზაყანელ-მეგრელები და აფხაზთა ზნეჩვეულებას ითვისებდენ—უფრო რუსთა სიძულვილით; მეგრელები, როგორც რუსის ეომხრე, სძულდათ და ქრისტიანობაც, როგორც რუსის სარწმუნოება, არ უნდოდათ, ადვილად მაჰმადიანდებოდენ.

ერისთვის ძის ბესარიონისთვის, რომლის ღრმა განათლება შეუღლებული ქრისტიანულ სიწმინდესთან, განითქვა მთელს მაშინდელს საზოგადოებაში.

14. **ბესარიონ**, რაჭის ერისთვის შვილი 1751—1769 წლებში. მაღალ განათლებული სათნოიანი მღვდელმთავარი; ამას ქებით იხსენიებს კათალიკოსი ანტონი „მზამეტყველების“ წინასიტყვაობაში; მისი მოქმედება სჩანს ბიჭვინტის თარიღიან სიგლებში 1760—1769 წლებს შუა. ბესარიონ გადადგა 1769 წელს, როგორც სჩანს, თავისის ნებით: საპატრიარქო კათედრა დაუთმო, ალბათ სოლომონ მეფის თხოვნით, უკანასკნელის ძმას, იოსებს, სახელგანთქმულს ხალხში წმიდა ცხოვრებით. არ ვიცი, რატომ უწოდს მეფე-სოლომონ ბესარიონს ბიძად მისად და რაჭის ერისთვის შვილად (იხ. ბიჭვინტის სიგელები). ვგონებ ბესარიონი არის შვილი რაჭის ერისთვის შოშიტასი მარიამისაგან სოლომან-მეფის მამიდისა.

15. **იოსებ**, სოლომონ მეფის უმცროსი ძმა 1769 -1776 წლებში, გაკათალიკოსდა ახალგაზდობაში, სულ 30 წლისა, განთქმული სიწმიდით და განათლებით. ხალხს წმიდანად მიაჩნდა. დიდხანს არ თანხმდებოდა კათალიკოზობის ხარისხი მიეღო და მხოლოდ გადამეტებულ თხოვნას დაუთმო.

ერთმა გარემოებამ ამ წმიდა კათალიკოზს იმავე 1769 წელს, როდესაც ეკურთხა. ხელი ააღებინა ეკლესის მართვაზე.

იმ დროს განდიდებულ იყო რაჭის ერიმთავი როსტომ, მწიგნობარი, მგალობელი, მელექსე, ძლიერი მებრძოლი, კაცი ამაყი, გალაღებული, ბარაკონის ტაძრის ამშენებელი. მეფეს არად აგდებდა, რადგან ოსმალებთან ჰქონდა კავშირი, მათი იანიჩარი ჰყავდა; ჩრდილოეთითაც გაძლიერებული იყო ჩერქეზ ბატონების იმედით. საშიშარი გახდა არა თუ სამეფოსათვის, არამედ ქრისტიანობისთვისაც. დიდი სოლომონი ცდილობდა მისს მოკცევას და ამისთვის თვითონ ესტუმრა მას, მაგრამ მორჩილებაზე ვერ დაიყოლია, მედიდურად დაუხვდა მეფეს

როსტომ ერისთავი. მეფემ ყოლიფერი მოითმინა, და, ქუთაისში დაბრუნებულმა, რჩევა გამართა. რჩევამ გადასწყვიტა, რომ ძალით როსტომის დამორჩილება მეტად ძნელი იქნებოდა და დაადგინეს ხერხით მისი ხელში ჩაგდება. დაიბარეს კათალიკოსი იოსებ, რომელმაც არა იცოდა რა ამ გადაწყვეტილებისა და ამას მიანდო მეფემ შუამავლობა, რომ როსტომ მეფესთან მოეყვანა სადარბაზოდ, როგორც მეგობარი. კათალიკოზს ფიცით უნდა შეეჯერებინა გამჭრიახის ერისთვის გული, რომ არა საფრთხე მას არ მოელოდა. იმ დროს კათალიკოსის ფიცს ისე უჯერებდენ, როგორც ღვთის ბრძანებას. კათალიკოზმა, მეფის ძმამ, უმანკო-უცოდინარმა, მეფეს ფიცი ჩამოართვა, რომ არ ულალატებდა ერისთავს. „ვფიცავ, საარაკოდ დავუხვდებიო“, უპასუხა მეფემ კათალიკოზს. მაშინ უკანასკნელი ერისთავს ეწვია რაჯას. როსტომმა მოსთხოვა კათალიკოზს: თუ წმიდა ბარძიმზე დაიფიცავ, რომ მეფისაგან არა საფრხე არ დამეგება, დაგიჯერებ, ვეახლებიო. გულუბრყვილო კათალიკოზმაც დაუჯერა — ფიცი მისცა ზიარებით სავსე ბარძიმზე. ერისთავი ჯარით წამობრძანდა, მეფეს ეახლა. შეიქნა რამდენსამე დღეს დიდი დარბაზობა, ნადიმი, დროს გატარება. ვერ გავიდნენ სანადიროდ რიონის ნაპირას. ინადირეს: სანადიროდ გასვლა მოინდომეს რიონის მეორე ნაპირას; რიონი მაშინ მეტად ადიდებული იყო; ნავით გავიდნენ მეფე, რამდენიმე დიდკაკაცობა, როსტომ და მისი შვილი მეთოდი. დანარჩენნიც უნდა გაეყვანათ, მაგრამ დაბრუნებისას ნავი დაიღუპა (მობირებულმა მენავემ განძრახ დაღუპა ნავი თვითონ წყალ ქვეშ ცურვით დაიმალა), ყველას ეგონა, რომ აქ არაფერი საღალატო არა არის რაო. ჯარი მეფის და ერისთავისა აქეთ მხარეს დარჩნენ. მეფე კი იაშვილს ესტუმრა; მალე იქვე მიბრძანდა როსტომ და მეთოდი. მეფე დაუხვდა ეზოში პირმქუშად მჯდომარე. მიხვდა როსტომ, რო ღალატი იყო, მაგრამ გვიან: ორნივე მამაშვილნი დაიჭირეს, თვალები დასწვეს. მეფემ ხმა არა გასცა რა, სიტყვაც არ ამოსვლია პირიდან, დაბრმავებულნი

მამაშვილნი-კი სულ ძილისპირებს ჰგალობდენ, ერთი სიტყვაც საყვედურისა არ წამოსცდენიათ პირიდან: სულ იმას ეუბნებოდნენ მეფეს: ღირსნი ვართ ამ სასჯელისაო, გაუმარჯოს შენს მეფობასაო. მეორე დღესლა ერისთავის ჯარმა გაიგო ღალატი, მაგრამ რას გააწყობდა, გვიანღა იყო. ამნაირად მეფემ სამეფოს ააცდინა დიდი უბედურება, რომელიც უნდა დასტეხოდა იმერეთის სამეფოს და ქრისტიანობას.

მაგრამ როგორც-კი ეს ამბავი მიუვიდა კათალიკოზს იოსებს, უკანასკნელი მიიჭრა მეფესთან: „რად გამხადე ფიცის გამტეხელად მოღალატედ“! ვერაფრით ვერ დააჯერა, ვერ დაამშვიდა მეფემ სასოწარკვეთილი ძმა: აწ როგორ უნდა შევსწირო ღმერთსა ამ უწმიდურ ხელით შესაწირავიო. ამ დღიდან ვერ მნახავ მწირველსაო. მწარედ ამხილა მეფეს, დასწყევლა, ღმერთი შენი სახლისაგან გადაავლენს მეფობასაო, მწარედ დაისჯებიო ღვთის განგებით. წაბრძანდა გელათს, წირვაზე შემოსილი შევიდა, აუარებელ ხალხის წინ გაიხადა საპატრიარქო შესამოსელი, გამოუცხადა ხალხს: არა ვარ წირვის და მღვდელმთავრობის ღირსიო, სიკვდილამდი არ უნდა ვწიროო, დღეიდან არა ვარ თქვენი კათალიკოზიო. გავიდა და შევიდა ვიწრო საბერო ოთახში და იქ სასტიკ ლოცვა-მარხვაში უწირველმა გააატარა დანარჩენი თვისი ცხოვრება, ექვსიოდე წლის შემდეგ გადაიცვალა, მუდამ ცრემლით მლოცველი ფიცის გატეხისათვის, რომელიც მისცა ბარძიმზე როსტომს უვნებელობისათვის. „მე ფიცი არ გამიტეხიაო-, უთხრა ერთჯერ მეფემ ძმას,—რაც გითხარ, კიდეც შეგისრულეო: საარაკოდ დახვედრა აღგითქვი ერისთავისა და აკი ბართლაც საარაკოდ დავუხვდიო“!—„ უგნურო, უპასუხა, კათალიკოზმა, ჩემი მოტყუება შეგიძლია, მაგრამ ღმერთს ვერ მოატყუებ: მან იცის შენის გულის განძრახვა, იგი განიკითხავს თირკმელ-

თა კაცთასა. რისხვა მისი მოწევნილია შენზე და შენს ოჯახობაზეო*).

კათალიკოსი იოსებ მალე გადაიცვალა 1776 წელსა, 13-ს მაისს $37^1/_2$ წლისა. მას მოიხსენიებს ცნობილი მგზავრი გულდენშტელი (იხ. ბროსსე: Addition XV. p. 439. ჩემის „ქრონიკების“ მესამე ტომში შეტანილია 1778 წლის გუჯრიდან ცნობა: „კ-ზი ბესარიონ გარდაიცვალა, მერე შენ (ვინ?) დადგენილ იქმენ... გრიგოლის მიერ კათალიკოზისა“. ერთს სხვა წარწერაში 1777 წლისაში მოთხრობილია, რომ

*) ეს ამბები ვრცლად აღწერილია წიგნაკში: „სოლომონ I, მეფე იმერეთისა“. მიკვირს, რატო ჩვენი ნიჭიერი დრამატურგები (მაგ. სუმბათოვი, გედევანოვი, შიუკაშვილი ანუ სხვები) ამ დიადს ამბავს არ აღწერენ ახალს ისტორიულს დრამაში, რომ ამის უკეთესი შინაარსი ერთი არ მოიძებნება, სადაც ნიჭიერი დრამატურგი თვალ წინ გამოგიტარებთ ოსმალთ მზაკვრობას, იმერელ-მეგრელ-გურულთა მაშინდელს თავისებურობას, დაგიხატავთ ამპარტავან, მაგრამ გმირულ სულს ერისთავის როსტომ, მეთოდისას, საოკარ კეთილშობილს, ქრისტიანობისათვის თავგანწიოულ მეფეს, რომელიც უზომოდ სწუხს, მაგრამ ქვეყნის ბედნიერებას ანაცვალებს რაჰველ ერისთავების ოჯახს, კათალიკოზის იოსების უმწვერვალეს სათნოებას, სულით სპეტაკობას; დაგისურათებთ აგრეთვე იმავე მოთხრობის საფუძველზე ოჯახურ იდილლიურ ცხოვრებას ერისთვის ოჯახში, ბჭობას მეფის დარბაზში მეფურ შექცევას, ძიძა-მსახურის სიყვარულს, თავადების ეროვანეთში ინტრიგას — ერთის სიტყვით მთლიანს სურათს ჩვენის ცხოვრებისას. განმაცხოველებელ, სულის ჩამდგმელ შთაბეჭდილებას დასტოვებს მაყურებლებზე ეს სურათი ბუმბერაზ-გმირთა ცხოვრების აღწერით, მათთა ღირსებანაკლევანებათა დახასიათებით. გამოჩნდით გმირო-მწერლებო! „მოდი, ზაფხულო, მე შენ მოგელი!“. ოღონდ კუდაბზიკები ნუ იკადრებენ ჩვენის გმირების ჯუჯყიანის ხელით შეხებას, თავისის „სუბიექტიურ-პარტიულ-წინაღებულ“ არშინით მაგ ბუმბერაზების სიგრძე-სიგანის გაზომას: თქვენი მიკროსკოპიული სული-გონება, ლილიპუტებო, მათს სიწმიდეს შეაგინებს, გააექსპროპრიაციებს...

ვილაც უცნობნი თავს დაესხნენ „წმიდასა კათალიკოსსა გრი-
გოლს“, გაცარცვესო იგი, თვითონ კი გადარჩაო.—ძნელ-
მისახვედრია, თუ რას მოგვითხრობს ეს საბუთი. შესაძლებე-
ლია ვიფიქროთ, რომ კ-ზი გრიგოლ ლორთქიფანიძე, ღრმად
მოხუცებული, კიდე ცოცხალი ყოფილიყოს. რადგან კ-ზი იო-
სებ არ განაგებდა საკათალიკოზოს, მიუხედავად მეფის თხოვ-
ნისა, ალბათ დროებით ეკლესიის განმგეობა ჩააბარეს ჯერ-
მისს წინამოადგილეს ბესარიონს, ხოლო რაკი ეს ბესარიო-
ნიც (1775) ახლო ხანს გადიცვლილა, ღრმა მოხუცებულ გა-
დამდგარ კ-ზს, გრიგოლს მიანდეს დროებითი განმგეობა ეკლე-
სიისა კ-ზის იოსების სიცოცხლეში.

კათალიკოზი მიიცვალა და უმალ აღსრულდა მისი წინას-
წარმეტყველება-შეჩვენება: მეფეს მოუკვდა ჯერ დედოფალი
მარიამ, საყვარელი მეუღლე (ჩვენის „ქრონიკით“ III 1777 წ. ოკ-
ტომბრის 26). მერე ერთად-ერთი ვაჟი-შვილიც, ალექსანდრე,
მოუკვდა (1780 წ.). უკანასკნელ თვითონაც მოკვდა მეტად
უცხო გარემოებაში: 23 აპრილს 1784 წ. რომ ხონის დღე-
სასწაულში უნდა წასულიყო, ცხენი მოუყვანეს, ცალი ფეხი
უზანგში ჩადგა თუ არა, იქვე მოკვდა! მისი სახლიდანაც
მართლა გადავიდა მეფობა, მერე მისი მოდგმა მოიშალა. ასე
მსწრაფლ აღსრულდა წინასწარმეტყველება კათალიკოსის, რომ
ხალხი განცვიფრებაში იყო. მისი შვილი-შვილებიც ამოწყდენ
ზოგი აქ, ზოგი რუსეთში.

16. **მაქსიმე**, გვარით აბაშიძე, ორჯერ იყო რუსეთში
ელჩად. კათალიკოსობდა 1776-1795 წ. სწერენ, 1795 წელ-
ის კიევში მოკვდაო, სადაც დღემდი ინახება მისი ძვირფასი
მიტრა და სხვა სამკაული; მაგრამ როგორც ერთი გუჯრის
პირიდან სჩანს, მაქსიმე (მეორედ?) წაბრძანებულა რუსეთში
1804 წ. (ჩემი ხელნაწ. გუჯრის წიგნი I, გვ. 309) და არ
დაბრუნებულა. ჭეშმარიტი ცნობა არა გვაქვს იმაზე, თუ რო-
დის გადაიცვალა. ეს იყო უკანასკნელი აფხაზეთის კათალიკო-
სი. მის რუსეთში მყოფობის დროს აფხაზეთის ეკლესიას გა-

ნაგებდა ქუთათელი დოსითეოს, კაცი ღრმად განათლებული ღვთისმეტყველებაში, გვარით წერეთელი (1796-1820 წ.).

ხოლო გენათლად მისს დროში იყო ეფთვიმე, ვურიის ერისთვის შვილი. ორნივე განთქმულნი წმიდა ცხოვრებით.

როგორც ვთქვით, კათალიკოსი მაქსიმე რუსეთში გადაიცვალა იმ დროს, როცა იმერეთი რუსეთს შეუერთეს: ჯერ მფარველობა მიაღებინეს (1804 წ. 26 აპრ.), ხოლო შემდეგ (1810 წ.) სრული შეერთება მოხდა, რუსეთის წესწყობილება შემოიღეს. აბხაზეთის და ქართლის საკათალიკოსო, წინააღმდეგ მესამე მსოფლიო კრების კანონისა (კანონი მერვე), ძალად გააუქმეს. ქართლში რუსეთის ექსარხოსი დასვეს, რომელსაც დაუმორჩილეს ყველა საქართველოს ეკლესიები; დაარსეს სინოდის კანტორა უწინდელ დიკასტერიის მაგიერ. იმერეთიდან ამ კანტორაში სამღვდელოებისგან **არჩეული** წევრები უნდა მჯდარიყვნენ.

არც კანტორის, არც ექსარხოსის მორჩილობა არ ინდომეს იმერეთის ეპისკოპოსებმა; განსაკუთრებით მოხსენებულ ქუთათელმა დოსითეოს და გენათელმა ეფთვიმემ; არც საეკლესიო ქონება დაანებეს კანტორის ჩინოვნიკებს. საქმე მეტად გამწვავდა, როდესაც პირველი რუსის ექსარხოსი იმერეთს მობრძანდა, დამორჩილება მოითხოვა და მიზანს ვერ მიაღწია. თეოფილაქტემ მთავრობას დააბეზღა გენათელ-ქუთათელნი ხალხს „აბუნტებენო“. მღვდელმთავრები უპასუხებდენ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდი ხელმწიფის ერთგულნი ვართო; ხელმწიფე ეკლესიის დამხობას არ ინებებდა, არ გვჯერაო. ოღონდ მაგის უდიდებულესის პირიდან გაგვაგონე, რომ ეს მისი სურვილიაო და ყოველსავე მას ვანაცვალებთო; ნება მოგვეც მას ვეახლოთო და სხ. მაგრამ ვინ დაუჯერა! ორივე მღვდელმთავრები თრევით-შეურაცხებით წაასხეს რუსეთისკენ. ხალხის აშფოთებისა რომ ეშინოდათ, საიდუმლოდ მიჰყავდათ; ერთმა ძლივს მიაღწია ანანურს და იქ მოკვდა,

იქვე დამარხულია; მეორე ცოცხალი გადავიდა ყიზლარამდი და იქ მოკვდა; მოკვდენ ისე, რომ ხელმწიფის სახე ვერ იხილეს, როგორც ხელმწიფემდი ვერ მიაღწია მესამე წამებულმა დ. ყიფიანმა და ვერაგულად მოიკლა სტავროპოლში.

სამღვდელოება დაშინდა, გაინაბა, მაგრამ ერისკაცობა ატყდა იმერეთში. ამას ეხვეწებოდენ მაშინდელ უფროსებს: კანტორა რო საეკლესიო მიწებს თავისს გამგეობაში თხოულობს ეს უკანონობაა: ის მიწები ეკლესიას სააღაპოდ აბარია, მისი საკუთრება არ არი, ჩვენის მკვდრებისაა; იმ მიწების შემოსავლით ყოველ წელიწადს აღაპი უნდა უკეთდებოდეს ჩვენს მკვდრებსაო, თვით შეწირულობა **პირობითია**, შიგ შეწირულების გუჯარში ეს ასე სწერია, თუ გინდ გაასინჯინეთო. თქვენ რო იმ მიწებს ჩაიბარებთ, ჩვენს მკვდრებს ვინ გაუკეთებს აღაპსაო. ეს არ იქნება ხელმწიფის ნება, ჩვენ გვატყუებენო! შეიქნა არეულობა, მოხელეებმა არა გაიგონეს, სასტიკი ზომები მიიღეს, უარესად გაამწვავეს საქმე, რწყილს აქლემი აშობინეს; გამოაცხადეს, იმერეთი აბუნტდაო. მაშინ მართლა მოინდომეს აბუნტება: მოთავედ დადგა ივანე აბიშიძე, აპირებდენ მეფობის აღდგენას; სოლომონ მეფის ძმისწული დავით ბაგრატის ძე უნდა გაემეფებინათ. მაგრამ მთავრობამ დროზე უსწრო, გააბნია მეამბოხენი, ჯარმა გადასწვა მემბოხეთა სოფლები. ივანე აბაშიძე გურიას შეეფარა*).

*) მას გამოუდგა პოლკოვნიკი პუზირევსკი. შემოქმედის აღმართს შეხვდა მას გურული გლეხი. პუზირევსკიმ გურულის სალამზე უზრდელად ჰკითხა: гдѣ вашъ Гуріели мамадзагли?. წამი არ გასულა, იგრიალა გურულ გლეხის თოფმა, პოლკოვნიკი მკვდარი ჩამოვარდა, ხრიალებდა: „ეხლა იპრუწუნე გურიელი მამაძაღლიათქო“ და თვალის დახამხამეზე ხრამში გაჰქრაო. ასე მიამბეს ადგილობრივ და ადგილიც მიჩვენეს, სადაც ეგდო გვამი მოკლულისა (ფერდოზე, სკოლასა და მონასტერს შუა, გზას ქვემო).—საზოგადოთ უნდა შევნიშნო, რომ ჭეშმარიტი მკვლევარი მეცხრამეტე საუკუნის ჩვენის ისტორიისა ოფიციალურს საბუთებს არ უნდა დაენ-

აჯანყება მალე ჩააქრეს, ყურმოჭრილი მღვდელმთავრები დანიშნეს. ამათაც საიდუმლო „შპიონებს“ მიუჩენდენ ხოლმე. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სმატრიტელის დაბეზღება საკმაო იყო, რომ კათედრა დაეკარგა ქუთათელს და სადმე უბრალო ბერად თავი ამოეყო მივარდნილ მონასტერში. სრულიად დამუნჯებულა იხსნიდა განსაცდელისაგან ქართველ ეპისკოპოსს, სრული მიყოლა ბრძანებისა. თავისის ხელით ჩვენი მღვდლები კირს უსვამდენ დიდებულს ნახატებს (ფრესკებს) ძველ ეკლესიებისას, ქვის კანკელებს დიადის ხელოვნებისას აქცევდენ ან გაჯით ჰფარავდენ—არ გამჯორონო, ზოგან ძველ ხელნაწერებს გარეთ ჰყრიდენ. თფილისს სიონში ქაროული წარწერები გაჰქრა ფრესკებზე, შეიქნა ეკლესიურ ჩვეულებათა დევნა: ცხვრის, საქონლის დაკვლა (პირველ საუკუნეთა ჩვეულება), აღაპები, ბუკთა ცემა აღდგომას, ძელის რეკა, კოხიჯვარობა, შენდობის კვირიაკის საერთო აღაპი, ღვინის დაყენება შიგ ეკლესიაში ან მისს გალავანში (ზედაში), ხორცეულის კურთხევა შიგ ეკლესიაში, მიქელგაბრიელობა, მაისობა (ვარდობა), ბაიობა, ფიცი და გადაცემა ხატზე,—ერთის სიტყვით თითქმის ყველა ადგილობრივი ეკლესიის ჩვეულება, წინააღმდეგ მსოფლიო საეკლესიო კანონისა (III მსოფ. კრება, მუხ. 8) უარყოფილ და დევნილ იქმნა.

დოს, მოხუცებულებს უნდა ჰკითხავდეს, ქართულ წყაროებს ეძებდეს. მაშინდელი ჩინოვნიკები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ სულ უბრალო შემთხვევა გამოეყენებინათ თვისდა სასარგებლოდ: რაოდა, აქ ბუნტობენ, გაჭივრებაში ვართ, ფული, ჰენცია გვაძლიეთ, ფურაჟი, ჩინები ბუნტობის ჩასაქრობად; სულ სხვა სარჩული უდევს მაშინდელ მოხელეთა „რაპორტებს“, სასტიკ კრიტიკის ცეცხლს უედა გაატარო ის „რაპორტები“, რომ ცოტა რამ სიმართლე მაინც გამოსწურო. საუცხოოდ სარგებლობს ამ მასალით ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის მეისტორიე ალ. ყიფშიძე, მაგრამ წერტილი ადრე დაუსვა თავის შრომას. უფრო მეტი ფასი დაედებოდა მისს ნაწარმოებს, რომ ზეპირთქმულებასაც ხალხისას ი'შველიებდეს.

ამას ორნაირი შედეგი მოყვა: ა) მთის ადგილების ქრისტიანებმა არ დასთმეს ეს ჩვეულებანი; მათი უარისმყოფელი მღვდლები შიშის ძალით მიიღეს, მაგრამ მთავრობის მღვდლად „გარეშე ხუცესად“ გამოაცხადეს, და იმას გვერდს მოუყენეს „პაპები‘‘, ე. ი. შინაური მღვდლები; ამათ ასრულებინებდენ იმას, რასაც უარ-ყოფდა მთავრობის მღვდელი (სვანეთი, თუშ-ხევსური, მთიულები). ბ) ვაკე სოფლების ქართველობა კი დაუმორჩილდა ძალა უნებურად „ახალ რეჟიმს“ მაგრამ, რადგან მთავრობის „ახალი მღვდლები“ (სხოლასტიკურ სემინარიებ-„უჩილიშჩებში“ კურს დასრულებულები, რომელნიც ენის უცოდინაროობისა გამო სახარების კითხვასაც ძლივს ახერხებდენ) მათს ადგილობრივს საეკლესიო ჩვეულებათა უარჰყოფდენ (საკურთხებს, აღაპებს, ზვარაკს, სალოცავებს, ზედაშს და სხვ.); ამ ადათებს ანა თვითონ ასრულებდენ უმღვდელოთ, თვისს ოჯახში, უწირვ ულოცავად, ან არა და ზოგიერთმა სულ მოისპო ესენი და ასე განიზრახა: თუ ეს მამაპაპათა ჩვეულებანი, რომელთაც ათასი წელი გაუვლია კათალიკოს-პატრიარქების ხელში, დღეს ტყუილები გამოდგა, მაშ ყველა ტყუილი ყოფილა, რასც გვიკითხავენ-ვიქადაგებენო, სულ ხელი გაიქნია სარწმუნოებაზე, „ინდეფერენტობის“ მორევში ჩაიგდო თავი, და ქრისტიანობის სახელს მარტო გარეგნულად, აფიციალურად ატარებს—არ ეზიარება, თუ არ ძალდატანებით, წირვა-ლოცვა-მარხვა მიატოვა, დაიარება უღმერთო, ყოველს რჯულს გარეშე... მარტო გარეგნულად ქრისტიანია.

ეკლესიურ ჩვეულებათა თავისებურებასთან ერთად ახალმა „რეჟიმმა“ უარჰყო ყველა ადგილობრივი კანონები, რომელთა საშუალებით უწინდელს სამღვდელოებას და ეროობას მაგრათ ეჭირათ რჯული, თუმცა ის თავისებურობა, ის კანონები უძველესის დროიდან მომდინარეობდენ, ხშირად პირველ საუკუნოებიდან*). სხოლასტიურ სკოლაში გაზდილმა მღვდელმა,

*) დიდათ შემცდარნი არიან ჩვენი მწერლები, რომელთა ჰგონიათ, ვითომ წმ. ნინომდი იმერ-ამერეთი წარმართნი ყოფი-

ხშირად, უარჰყო ყოველივე, რაც მისს კურთხევან-ტიბიკონში, სლავიანურიდან გადმოთარგმნილ-გადმოწვალებულში, არ იპოვებოდა—წინაალმდეგ მსოფლიო კრების კანონებისა (III კრ. 8 და სხ.). თვითონაც რომ ამ უკანასკნელის ჯურის მამებს შეეპარათ იგივე „ინდეფერენტიზმი“ (ხანდისხან ატეიზმიც) სხოლასტიურ განათლების ზედგავლენით, მსოფლიო მამებისაგან მოწყვეტილობით—ეს ხომ ნამდვილი უბედურობაა ჩვენის ეკლესიისა, თვითმმართველობის გადავარდნის შემდეგისა.

ახალმა „რეჟიმმა“ ჩვენი დიდებული საეკლესიო მუსიკაც (ბეტხოვენისებრივი გიმნი ღვთისადმი) დაიწუნა და შემოიღო უცხო გალობა, რომელსაც, თუ გნებავთ, საცეკვავოდ გამოსადეგი ადგილებიც აქვს. თანდათან გაჰქრა ჩვენი გალობა და დღეს აქა-იქღა ღოლიალობს თითო-ოროლა ქართულ გალობის მცოდნე და ისიც მარტო ერთის ხმისა, მაშინ როდესაც მე თვითონ მარტვილში გამიგონია ზესთა სულის ამყვანი გალობა მთელის ლოცვა-წირვისა რვა ხმად, ე. ი. რვა ნაირად, რვა სხვადასხვა ფერად, კილოდ. დავკარგეთ 1500 წლის მონაღვაწი საუნჯე... კიდევ კარგი, რომ ამ ბოლოს დროს გამოგვიჩდენ კარბელოვმბი, კარგარეთელ-ფალიაშვილ-ფოცხვერაშვილ-დუმბაძე-ჭალაგანიძეები, ეგებ ნატეხი მაინც შეგვინარჩუნონ ამ ძველ საუნჯისა.

ლიყვნენ. ქრისტიანობა ჩვენში ანდრია მოციქულიდამვე შემოვიდა, ნელ-ნელა იზრდებოდა, და როდესაც წმ. ნინო ამერეთში შემოვიდა, იმერეთ-გურია-სამეგრელო-ჭანეთში ქრისტიანობა სრული გამარჯვებული იყო. ამის მტკიცე საბუთებს თავის დროზე გამოვიტანთ, მაგრამ ყველაზე დიდი საბუთები ამისი იგივე თავისებური საეკლესიო ჩვეულებაა პირველ საუკუნეთა: მსხვერპლი-საკლავი (პირველ საუკუნეებში მოსეს რჯულსაც მისდევდენ, როგორც თვით ქრისტე-ღმერთი, და უსისხლო მსხვერპლსაც სწირავდენ), აღდგომის ჩვეულებანი, საერთო ზიარება (აღაპი), მიცვალებულის დამარხვაზე პურის გატეხა და ღვინის ზედ დასხმა (პირვანდელი სახე საერთო ზიარებისა) და სხ. და სხ. დიდს ღვაწლს დასდებს ჩვენს ის-

ამ ბოლოს დროს საქმე იქამდის მივიდა, რომ სემენარია-აკადემია შესრულებული ქართველი მღვდლებიც დიდ სკოლებიდან იდევნებიან სჯულის მასწავლებლობიდან, ხშირად მრევლისაგანაც გაჰყავთ და რუსის მოდგომისა შემოჰყავთ. ვითომ რუსულ-სლავიანურში ,,პიატები'' არ უზისთ თუ აკადემია-სემენარიის რუსის მთავრობისაგანვე?! 1903 წელს ხმა დადიოდა, რომ უნდა თითო მაზარაში თითო რუსის ბლაღოჩინი დაენიშნათ.—აი მაშინ მართლა რუსის ბლაღოჩინები ,,გააპეშკებდენ'' ქართველ ეპისკოპოზსაც და მასს ჯარსაც. ტიმოშკას აზრი იმარჯვებს, ჩვენი ეკლესია ემხობა, სარწმუნოება მამაპაპებისა ითელება პოლიტიკანებისაგან, რომელნიც მთავრობასთან სულ იმის ბეზღობაში არიან, ვითომ ჩვენ ორგულნი ვიყვნეთ რუსობისა, ხელმწიფისა, სარწმუნოებისა; მაშინ როცა რუსებში არ იპოვებიან იმასთანა ერთგულნი ხემწიფისა და მოყვარულნი რუსეთის ერისა, როგორიც არიან ქართველნი. ნუთუ არ დაირღვევა, ის კედელი, რომელიც ძალათ აგვიყუდეს ორგულ მოხელეებმა ჩვენსა და ცხებულ მეფეს შუა, რომ ჩვენი მისდამო ერთგულობა და თავგანწირულობა რუსის ერის გამარჯვებისათვის არ გავაგონოთ ყუ-

---

ტორიას, ვინც დაწვრილებით აღწერს ამ ჩვეულებათა და მათს კავშირს აშკარად გამოაჩენს პირველ საუკუნეთა ქრისტიანობასთან. წმ. ნინომ მარტო ამერეთში მისცა სრული გამარჯვება ქრისტიანობას, რომელიც მანამდინაც აქ ძლიერ გავრცელებული იყო და მხოლოდ დიდკაცობაში ბოგინობდა, როგორც „ძველი მამა-პაპათა რჯული". ამიტომაც ასე ადვილად მოიქცა ქართლი. რა თქმა უნდა პირველ საუკუნეებშივე თარგმნილი იყო სახარება-სამოციქულო და სხვა საქრისტიანო წიგნები და ვინც ღრმად ჩაუკვირდება ამ აზრს, ბევრს საბუთებს ამისას იპოვის თვით იმ წიგნების უძველესს ხელნაწერებში (მაგ. ურბნის სახარების, სვანეთის ჩემგან ამოჩენილ ღვთის მსახურების წესში და სხ. და სხ.). ოღონდ პირნათლად ჩაიხედონ საძიებელში, ტიმოშკების ხათრი-მათრი გულიდან გადაიგდონ, გონება გაიწმიდონ წინდაწინ.

რით, არ დავანახოთ თვით საქმით, როგორ დღემდი ჩვენი თავდადებულობა რუსეთისადმი საარაკო იყო, თითით საჩვენებელი?! სანამ ჩვენსა და ხელმწიფეს შუა ეს კედელი დარჩება მანამდი ჩვენს ერთგულებას ორგულებად მოაჩვენებენ, ჩვენს თავგანწირულად სამსახურს რუსის ერის წინაშე—ღალატად. ხელმწიფე თვითონ კანონია, მსოფლო ეკლესიის კანონს ის არ შესცვლის, იმ კანონით გვაცხოვრებს თავისდა სადღეგრძელოდ. ეს კანონია მესამე მსოფლიო კრების მერვე კანონი, რომელიც ამბობს: **რომელ ეკლესიასაც რა უფლება ან ჩვეულება ჰქონია, იმ უფლება-ჩვეულებათა სხვა ეკლესია ვერ წაართმევს** (**როგორც კრიტეს** ეკლესიას არბმევდა თვითმმართველობას ანტიოქიის ეკლესია) და **ვინცობაა თუ წაართვა, უკანვე დაუბრუნოს ის უფლებანიო**, და ბოლოს ამ კანონს ეს შენიშნვაც აქვს: ამ ჩვენს (მსოფლიო კრების) დაგგენილობას **ვერ შესცვლის შემდეგნი კრებანიო**. მაშასადამე ჩვენის ეკლესიის თვითმმართველობას კანონით ვერ შესცვლის ვერც რუსეთის საეკლესიო კრება, ვერც სინოდი, ვერც პატრიარქები და ვერც მსოფლიო კრება, თუნდაც ამათს განხილვაში შევიდნენ. აღგვიდგინონ ეს ჩვენი ძალად და უკანონოდ ჩამორთმეული უფლება და მაშინ ცხადად დავანახვებთ მართმადიდებელ რუსეთს, თუ რა უშრეტი სიყვარული ღვივის ჩვენს გულში ხემწიფისა, მართლმადიდებლობისა და რუსის ერისადმი; მაშინ ვნახოთ, ვინ უფრო თავდადებულნი გამოჩნდებიან ტახტისა და რუსთა ერისათვის—ის პოლიტიკანები, რომელიც დღეს ჩვენის უსამართლო დაბეზღებით თავისთვის კარიერას იკეთებენ, თუ ჩვენ, თავზე ხელაღებულად მეძიებელნი რუსეთის სამსახურისა, მოტრფიალენი საუკუნიდამ მართლმადიდებლობისა, რუსი ხემწიფისთვის თავდადებულობისა.

თ. ჟორდანია.

ა. პ.

განმარტება სახარებისა.

შესავალი.

ახალი აღთქმა.

ახალ აღთქმის საღვთო წერილის წიგნები ეწოდება იმ წიგნებს, რომლებიც სულიწმიდის შთაგონებით ღვთივ-განბრძნობილ კაცთა მიერ დაწერილ არიან იესო ქრისტეს ქვეყნად მოსვლის შემდეგ. ამ წიგნებში მოთხრობილ-განმარტებულია იესო ქრისტეს სწავლა-მოძღვრება, მისი მსახურება კაცთა ნათესავის გამოხსნისათვის, ისტორია საქრისტეანო ეკლესიის დაარსებისა და სწავლა-მოძღვრება წმ. მოციქულთა.

შედგენილობა ახალ-აღთქმისა.

ახალი აღთქმა შესდგება ოც და შვიდი საღვთო წიგნისგან; ესენი არიან: ოთხი სახარება, საქმე მოციქულთა, შვიდი კათოლიკე ეპისტოლე, თოთხმეტი ეპისტოლე წმ. პავლე მოციქულისა და გამოცხადება წმ. იოანე მოციქულისა. პირველ და უკანასკნელ სახარების დამწერნი არიან მატთე და იოანე, ათორმეტ მოციქულთაგანნი; მეორე და მესამე სახარება კი დასწერეს მოციქულთა თანამშრომლებმა—მარკოზმა და ლუკამ. ლუკამვე დასწერა წიგნი საქმე მოციქულთა. შვიდ კათოლიკე ეპისტოლეთაგან ხუთი ეკუთნის ორს მოციქულს,—პეტრეს და იოანეს, ორი კი იესოს ხორციელს ძმებს,—იაკობს და იუდას, რომლებსაც ჰქონდათ საპატიო წოდება მოციქულთა, თუმცა ისინი არა ყოფილან ათორმეტთა რიცხვში. თოთხმეტი ეპისტოლე დასწერა პავლე მოციქულმა, რომელიც მოწოდებულ იქმნა სასწაულებრივად თვით იესოს მიერ და ამიტომ ის თანასწორია ათორმეტ მოციქულთან

ღირსებით და პატივით; გამოცხადება დასწერა მოციქულმა იოანე ღვთის-მეტყველმა.

გაყოფა ახალ-აღთქმის წიგნთა შინაარსით.

შინაარსით ახალ-აღთქმის წიგნები განიყოფებიან ოთხ ნაწილად. 1) სჯულდებითნი,—ოთხი სახარება; 2) ისტორიული,—საქმე მოციქულთა; 3) სწავლითნი, ანუ მოძღვრებითნი,—შვიდი კათოლიკე ეპისტოლე და თოთხმეტი ეპისტოლე პავლე მოციქულისა და 4) წინასწარმეტყველებითი,—გამოცხადება წმ. იოანე ღვთის-მეტყველისა.

ენა, რომელზედაც დაწერილია ახალი აღთქმა.

იესო ქრისტეს და მოციქულთა მსახურების დროს რომაელთა იმპერიაში საყოველთაო სახმარებელ და გავრცელებულ ენად ითვლებოდა ბერძნული ენა. ახალ აღთქმის საღვთო წერილის წიგნებიც, რომელთა საშუალებითაც ქრისტეს მოძღვრება უნდა გავრცელებულიყო ქვეყანაზე, დაწერილ იქმნენ ბერძნულ ენაზე. მაგრამ ბერძნული ენა ახალ აღთქმის წიგნთა არ არის ის კლასიკური ენა, რომელზედაც სწერდნენ საუკეთესო მწერლები ბერძნულ ლიტერატურის აყვავების ხანაში. ამ ენაში ერია ბევრი სიტყვები ებრაულ და სხვა ენებიდან; მას ეწოდებოდა ალექსანდრიული დიალექტი. ზოგიერთმა ბერძნულმა სიტყვებმა ამ ენაში მიიღეს სრულიად ახალი მნიშვნელობა: ამ მნიშვნელობით ეს სიტყვები მხოლოდ ახალ-აღთქმაში იხმარებიან.

სახარება.

ახალ აღთქმის საღვთო წერილში პირველი ადგილი უჭირავს სახარებას. უფალი ჩვენი იესო ქრისტე ზეპირად ჰქადაგებდა; მას არ დაუწერია თვისი სწავლა-მოძღვრება და საქმენი; მოციქულებიც, სულიწმიდის მოსვლის შემდეგ, ზეპირად ჰქადაგებდენ ქრისტეს სწავლას; მორწმუნენიც გულით ითვისებდენ ამ სწავლას, როგორც ცხოველს და ცხოვრების მომცემელ სიტყვას.

მოციქულები ქადაგების დროს ერთ ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, მორწმუნეთა რიცხვი თან და თან მატულობდა; გარდა ამისა, გამოჩდნენ ცრუ მოძღვარნი, რომლებიც უარყოფდნენ იესოს სასწაულთა სინამდვილეს, ამტკიცებდნენ კიდეც, რომ ქრისტეს თავისი თავი ვრაოდეს მესიად არ გამოუცხადებიაო. და აი, სამხილებლად ამ ცრუ მოძღვართა და სანუგეშოდ, სახელმძღვანელოდ და სამოძღვრებლად მორწმუნეთა, მოციქულებმა დასწერეს მაცხოვრის სიტყვანი და საქმენი. მეორე მხრივ, მოციქულნი, მაცხოვრის თვით-მხილველნი და პირდაპირნი მოწმენი მის საქმეთა და ცხოვრებისა, გადიოდნენ ამა სოფლიდან და ეს გარემოებაც აიძულებდა მათ დაეწერნათ საკუთარის თვალით ნახული და ყურით სმენილი სიტყვანი და საქმენი მაცხოვრისა. ამ რიგად წარმოსდგა ჩვენი სახარება, რომლიდანაც ჩვენ ვიძენთ ყოველს ჩვენს ცოდნას იესო ქრისტეს და მის სწავლა-მოძღვრების შესახებ

სახარება ერთია და უცვალებელი, როგორც ერთია თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე ერთი, მაგრამ იგი დაწერილია სხვა და სხვა პირთაგან, რომლებსაც ეწოდებათ მახარებლები, ესენი არიან მატთე, მარკოზ, ლუკა და იოანე: მათ

დასწერეს ოთხი სახარება, ე. ი. თვითეულმა მათგანმა თავისებურად წარმოგვიდგინა ერთი და განუყოფელი მოთხრობა იესო ქრისტეს შესახებ. თვითეულს მათგან დაწერილს წიგნს ეწოდება **სახარება** ზედ დართვით დამწერის სახელისა, —სახარება მატთესაგან, მარკოზისაგან, ლუკასაგან და იოანესაგან (დაწერილი). წმიდა ეკლესია ოთხივე მოთხრობას იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებ სთვლიდა და სთვლის ეხლაც ერთ სახარებად, ერთ წიგნად.

სახარება დაწერილია 60—90 წლებს შუა ქრისტეს დაბადების შემდეგ.

ოთხი სახარების დამოკიდებულება ერთმანეთთან.

პირველი სამი სახარება შინაარსით ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მათში, მეტნაწილად, აღწერილია იესო ქრისტეს მოქმედება და მოძღვრება გალილეაში. მრავალი წარმონათქვამი იესოსი სამივე მახარებელს ჩაწერილი აქვს ერთი და იგივე სიტყვებით და ერთსა და იმავე რიგზე, მაგ. მოთხრობანი ეშმაკისაგან გამოცდის, მატთეს მოწოდების, ყანის თავთავის გლეჯის, ხელგამხმარ კაცის განკურნების, ზღვაზე ქარიშხლის გაყუჩების, ღადარინელ ეშმაკეულის განკურნების შესახებ და სხვ. მაგრამ მათში გარჩევაც არის; ზოგიერთი შემთხვევა იესო ქრისტეს ცხოვრებიდან მოთხრობილი აქვს ორს მახარებელს, ზოგი კი მხოლოდ ერთს; მაგ. მხოლოდ ლუკა და მატთე მახარებელს აქვთ მოყვანილი მთაზე წარმოთქმული ქადაგება, ისტორია ქრისტეს შობისა და მის ცხოვრების პირველ წელთა. მხოლოდ ლუკა მოგვითხრობს იოანე წინა-მორბედის შობის შესახებ. ზოგი მოთხრობა ერთს სახარებაში უფრო ვრცლად არის, ვიდრე მეორეში.

პირველი სამი სახარება განირჩევა იოანეს სახარებისგან. პირველს სამს სახარებაში მოთხრობილია, მეტ ნაწილად, იესოს მოძღვრება და მოქმედება გალილეაში, იოანე კი შეეხება,

მეტ ნაწილად, იესოს მოქმედებას ურიასტანში და სამარიაშიც, პირველი სამი მახარებელი აღგვიწერს გარეგანს მხარეს ქრისტეს მოქმედებისას, აღგვიწერს, მეტ ნაწილად, მისს ცაცურს თვისებებს, მის სიტყვათაგან მოჰყავს მხოლოდ ისინი, რომლებიც გასაგებია უბრალო ხალხისთვის, იოანეს კი მოჰყავს თავისს სახარებაში მხოლოდ ის სიტყვები და სასწაულები (მას მხოლოდ ექვსი სასწაული აქვს აღწერილი), რომლებსაც აქვთ დიდი და ღრმა აზრი და მნიშვნელობა იესო ქრისტეს პიროვნებისათვის, ის აღგვიწერს იესოს ღვთაებრივს ღირსებას. ამიტომ, წმიდა მამები იოანეს სახარებას **სულიერ** სახარებად უწოდებდნენ.

მაგრამ ისიც კი სათქმელია, რომ პირველი სამი მახარებელიც გვაძლევს ცნობებს იესოს მოქმედების შესახებ ურიასტანში და იოანესაც აქვს ცნობები იესოს გალილეაში მოქმედებისა, აგრეთვე პირველი მახარებლებიც გვიმტკიცებენ ქრისტეს ჭეშმარიტს ღვთაებას და იოანეც,—მისს ჭეშმარიტს კაცობას.

მახარებლებმა მატთემ და იოანემ დასწერეს იესოს შესახებ ის, რაც მათ თვითონ იხილეს და ისმინეს იესო ქთისტესაგან და მის წმიდა დედის, მარიამ ქალწულისაგან, რომელსაც **დაემარხნეს გულსა შინა თვისსა** იესოს ყველა სიტყვები. მარკოზი და ლუკა მახარებლები იყვნენ თანამგზავრნი იესო ქრისტეს და მის საქმეთა თვით-მხილველ მოწმეთა,—პეტრესი და პავლესი და დასწერეს იესო ქრისტეს შესახებ ის, რაც ესმათ ამ თვით-მხილველ მოწმეთაგან. ამიტომ, ის განსხვავება, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მახარებელთა მოთხრობაში, აიხსნება როგორც თვით მახარებელთა პირადი თვისებით, აგრეთვე მათგან დაწერილის სახარების მიზნით და დანიშნულებით; ამის შესახებ ლაპარაკი თავთავის ადგილზე იქნება.

რომ ჩვენი სახარება ნამდვილად იმ პირთაგან არის დაწერილი, რომელთა სახელებიც მათ ეწოდებათ ამას ამტკიცებენ მათ თანამედროვე მწერალთა მოწმობანი, მოციქულთა მო-

წაფენი. ქრისტეს სჯულზე მოქცეული წარმართთა სწავლულები. ესენი თვისი ნაწერებით უცილობელად ამოწმებენ, რომ ჩვენი სახარება ნამდვილად დაწერილია მატთე, მარკოზ, ლუკა და იოანე მოციქულთაგან. ქრისტეს და მისის სჯულის დაუძინებელი მტრები, — ურიადა და წარმართთა სწავლულნიც ამასვე მოწმობენ, როცა თავისს თხუზულებებში მოჰყავთ ასო-ასოდ ამონაწერები სახარებიდან და ამბობენ, რომ ასე სწერია ქრისტეს მოციქულთა მიერ დაწერილს წიგნებშიო.

სახარება არის საფუძველი მორწმუნის ცხოვრებისათვის, სახარების სიტყვა თვისი ღვთაებრივი ძალით და სიმარტივით იზიდავს და ხიბლავს ყველას, ვინც კი მას კითხულობს სასოებით, იგი არის საუკუნო, შეურყეველი და უეჭველი ჭეშმარიტება; ვერაფერი ვერ გაგვიწევს ჩვენ სახარების მაგივრობას, ამიტომ, სახარება თვითეულ მორწმუნისათვის უნდა იყვეს მუდამ საკითხავი წიგნი. მაში მორწმუნე ჰპოვებს სულიერ ყოველივე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; სახარება გვაძლევს სრულს და ჭეშმარიტს სულიერს თავისუფლებას, სულიერს სიმდიდრეს, სულიერს თანასწორობას, რომლის შერყევა და წართმევა არადროს არავის და არაფერს არ შეუძლიან. ის ამაღლებს ჩვენს გონებას და გრძნობას უმაღლესისადმი, გვასწავებს, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ქვეყნად გარდამოვიდეს სასუფეველი ცათა. ის გვასწავლის დაუმორჩილოთ ჟამიერი და დროებითი საუკუნოს, ნივთიერი სულიერს.

ცხოვრება სახარების თანახმად არის ცხოვრება ქრისტეს მიერი, სავსე სიხარულით; ცხოვრება სახარების თანახმად არის დაუღალავი მსახურება ჭეშმარიტებისა, სიმართლისა და სიკეთისათვის. მაშ მოწიწებით და კრძალულებით შეუდგეთ ამ წმიდა წიგნის კითხვას.

სახარება მატთესაგან.

დამწერი პირველის სახარებისა იყო ერთი ათ-ორმეტთაგანი, მოციქული მატთე; მოციქულად მოწოდებამდე ის იყო მეზვერე, ანუ ამკრები ხარკისა. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ქრისტეს ამაღლების შემდეგ, მატთე მოციქული ჰქადაგებდა პალესტინაში ურიათა შორის და, თანახმად მათის თხოვნისა, დასწერა კიდეც მათთვის სახარება ებრაულს ენაზე; მაგრამ, რადგანაც მაშინ გავრცელებული და ყველასთვის გასაგებ ენად იყო ბერძნული ენა, ამიტომ მან თვითონვე გადასთარგმნა ბერძნულად თვისი სახარება. წმ. მახარებელი პალესტინის გარედაც ჰქადაგებდა წმ. სახარებას და ეწამა კიდეც ამ ქადაგებისთვის წარშარეთაგან.

რადგანაც მატთე მახარებელმა სახარება დასწერა ურიათაგან მოქცეულ ქრისტეანეთათვის, ამიტომ მას მიზნად ჰქონდა დაემტკიცებინა, რომ იესო ქრისტე არის ღვთის მიერ აღთქმული მესია, შთამომავალი დავით მეფისა და აბრამ მამათ-მთავრისა, როგორც ამბობდნენ ძველის აღთქმის წინასწარმეტყველნი. ამიტომ მახარებელს ხშირად მოჰყავს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებანი, რომლებიც აღსრულდნენ იესო ქრისტეზე.

ეს სახარება დაწერილია ყველა სახარებაზე ადრე, მალე იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ, 60 ან 61 წელს იესოს შობიდან, უეჭველად იერუსალიმის დარღვევამდე, რადგანაც მაში სრულიად არაფერი არ არის ნათქვამი ამ დიდ-მნიშვნელოვანის შემთხვევის გამო. სახარება მატთესაგან შესდგება 28 თავისგან. მაში მოთხრობილია ამბები და ცნობები იესო ქრისტეს შობიდან ამაღლებამდე.

სახარება მ. მთელისაგან.

თავი პირველი.[1]

1. წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაამისი.

2. აბრაამ ჰშუა ისააკ; ისააკ ჰშუა იაკობ; იაკობ ჰშუა იუდა და ძმანი მისნი;

3. ხოლო იუდა ჰშუა ფარეზ და ზარა თამარისაგან; ფარეზ ჰშუა ესრომ; ესრომ ჰშუა არამ;

I.

გვარტომობა იესო ქრისტესი (1—17). შობა ქრისტესი (17—25).

1—17. მატთე მახარებელი სახარებას იწყებს იესო ქრისტეს გვარტომობის აღწერით დასამტკიცებლად იმისა, რომ მაცხოვარი ნამდვილად წარმოსდგა იმ პირთაგან, რომელთაგანაც ეს აღთქმული იყო ღვთის მიერ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურიათათვის, რომლებიც მტკიცედ და გულმოდგინედ ინახავდნენ თავის საგვარტომო სიებს და ამაყობდნენ აბრაამის ნათესაობით.

სახელი **იესო** ძალიან გავრცელებული იყო ებრაელთა შორის და ნიშნავს ქართულად **მაცხოვარს**. **ქრისტე** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ქართულად **ცხებულს**. ებრაელებში ცხებულებად ითვლებოდნენ მეფენი და მღვდელმთავარნი.

---

[1]) შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რადგანაც ეს განმარტება დანიშნულია ხალხისთვის, ამიტომ ძველ მწერლობაში ხმარებული ასოები „უ"-ბრჯგუ და სხვანი ჩვენ გამოვტოვეთ სახარების ტექსტში, როგორც ხმარებაში გამოსულნი.

ავტ.

სახარება მ. მთელისაგან.

თავი პირველი.[1])

1. წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაამისი.

2. აბრაამ ჰშუა ისააკ; ისააკ ჰშუა იაკობ; იაკობ ჰშუა იუდა და ძმანი მისნი;

3. ხოლო იუდა ჰშუა ფარეზ და ზარა თამარისაგან; ფარეზ ჰშუა ესროომ; ესროომ ჰშუა არამ;

I.

გვარტომობა იესო ქრისტესი (1—17). შობა ქრისტესა (17—25).

1—17. მატთე მახარებელი სახარებას იწყებს იესო ქრისტეს გვარტომობის აღწერით დასამტკიცებლად იმისა, რომ მაცხოვარი ნამდვილად წარმოსდგა იმ პირთაგან, რომელთაგანაც ეს აღთქმული იყო ღვთის მიერ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურიათათვის, რომლებიც მტკიცედ და გულმოდგინედ ინახავდნენ თავის საგვარტომო სიებს და ამაყობდნენ აბრაამის ნათესაობით.

სახელი **იესო** ძალიან გავრცელებული იყო ებრაელთა შორის და ნიშნავს ქართულად **მაცხოვარს**. **ქრისტე** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ქართულად **ცხებულს**. ებრაელებში ცხებულებად ითვლებოდნენ მეფენი და მღვდელმთავარნი.

---

[1]) შენიშვნა: რადგანაც ეს განმარტება დანიშნულია ხალხისთვის, ამიტომ ძველ მწერლობაში ხმარებული ასოები „უ"-ბრჯგუ და სხვანი ჩვენ გამოვტოვეთ სახარების ტექსტში, როგორც ხმარებაში გამოსულნი.

ავტ.

4. არამ ჰშუა ამინადაბ; ამინადაბ ჰშუა ნაასონ; ნაასონ ჰშუა სალმონ;

5. სალმონ ჰშუა ბოოს რექაბისაგან; ბოოს ჰშუა იობედ რუთისაგან; იობედ ჰშუა იესე; იესე ჰშუა დავით მეფე;

6. დავით მეფე ჰშუა სოლომონ ჰურიის ცოლისაგან;

7. სოლომონ ჰშუა რობოამ; რობოამ ჰშუა აბია; აბია ჰშუა ასა;

8. ასა ჰშუა იოსაფატ; იოსაფატ ჰშუა იორამ; იორამ ჰშუა ოზია.

მახარებელი იესოს უწოდებს **ძედ დავითისა, ძედ აბრაამისა**: სიტყვა **ძე** ნიშნავს არა მარტო პირდაპირ შვილს, არამედ შთამომავალსაც. იესო ქრისტე იყო შთამომავალი ებრაელთა სახელოვანის მეფის დავითისა და დიდებულის მამათ-მთავრის აბრაამისა, რომელთაგანაც, თანახმად ღვთისაღთქმისა, უნდა გამოსულიყო მესია.

შემდეგ მახარებელს ჩამოთვლილი ჰყავს ისტორიული პირები, ებრაელთა მეფენი; იესოს წინაპართა შორის მახარებელი იხსენებს ცოდვილ და წარმართ ქალებსაც, მაგ. რუთს, ურიის ცოლს, თამარს, რექაბს, თუმცა ებრბელებს არა ჰქონიათ ქალების მოხსენება საგვარტომო სიებში. თანახმად წმ. მამათა განმარტებისა, მახარებელი იხსენებს ცოდვილ და წარმართ ქალებს დასამტკიცებლად იმისა, რომ იესო ქრისტე მოვიდა ქვეყნად ცოდვისაგან გამოსახსნელად ყველა ერთა, და არა მარტო ებრაელთა; გამოსახსნელად და საცხონებლად ყველა კაცთა განურჩევლად სქესისა, მდგომარეობისა და წოდებისა.

მახარებელმა იცოდა, რომ იესო ქრისტე ხორციელად არ იყო ძე იოსებისი; ამიტომაც სწერს **იაკობ ჰშუა იოსებ, ქმარი მარიამისი, რომლისაგან იშუა იესო, რომელსა ჰრქვიან ქრისტე.**

18. მარიამ ქალწული იყო თხოვილი, ე. ი. დროებით მიბარებული იოსებთან. აღმოჩნდა, რომ ქალწული იყო მი-

9. ოზია ჰშუა იოთამ; იოთამ ჰშუა აქაზ; აქაზ ჰშუა ეზეკია;

10 ეზეკია ჰშუა მანასე; მანასე ჰშუა ამონ; ამონ ჰშუა იოსია:

11. იოსია ჰშუა იექონია და ძმანი მისნი ტყუეობასა მას ბაბილონელთასა.

12. შემდგომად ტყვეობისა მის ბაბილონისა, იექონია ჰშუა სალათიელ; სალათიელ ჰშუა ზორობაბელ;

13. ზორობაბელ ჰშუა აბიუდ; აბიუდ ჰშუა ელიაკიმ; ელიაკიმ ჰშუა აზორ;

დგომილი, ეგ მუცელ-ქმნილი სულისაგან წმიდისა; ეს მოხდა სასწაულებრივად და ჩვენთვის გიუგებარია.

19. იოსები, მცველი მარიამ ქალწულისა, იყო კაცი ალალ-მართალი; მანაც შეიტყო მარიამის მდგომარეობა და, თუ მოიქცეოდა სჯულის თანახმად, უნდა დაესაჯნა იგი; მაგრამ, როგორც გულმართალს და მოსიყვარულე კაცს, არ უნდოდა მარიამ ქალწულის გამხილება, ამიტომ განიზრახა ფარულად გაშვება მისი თავის სახლიდან.

20. როცა მოხუცი იოსები იმის ფიქრში იყო, თუ როგორ გაეშვა მარიამი თავის სახლიდან, მას ჩვენებით გამოეცხადა ანგელოზი უფლისა: ანგელოზმა უწოდა იოსებს **ძე დავითისა**, გაახსენა მას ამითი, რომ მესია უნდა გამოვიდეს დავით მეფის ტომისაგან და დანახვა, რომ ნაყოფი მარიამისა იყო აღთქმული მესია. უფლის მიერ მოვლინებულმა ანგელოზმა უბრძანა იოსებს: ნუ გეშინინ, ნუ გაქვს ეჭვი შენის ცოლის მარიამის უმანკოებაზე; ნუ დაითხოვ მას შენის სახლიდან, რადგანაც ის, რომელიც მაგისგან უნდა იშვეს სულისაგან წმიდისა არს. ამ ჩვენების შემდეგ იოსები უნდა შექმნილიყო არა მარტო მარიამ ქალწულის, არამედ მისის ყრმის მცველიც.

21. ანგელოზი არწმუნებს იოსებს, რომ მარიამი ჭეშმარიტად შობს ძეს, უწოდებს მას სახელსაც და განმარტებს კიდეც ამ სახელს; ანგელოზის სიტყვით, იესო იხსნის **ერსა**

14. აზორ ჰშუა სადუკ; სადუკ ჰშუა აქიმ; აქიმ ჰშუა ელიუდ;

15. ელიუდ ჰშუა ელეაზარ; ელეაზარ ჰშუა მატათან; მატათან ჰშუა იაკობ;

16. იაკობ ჰშუა იოსებ, ქმარი მარიამისი, რომლისაგან იშუა იესო, რომელსა ჰრქვიან ქრისტე.

17. ყოველი ნათესავი აბრაამისიდგან ვიდრე დავითისადმდე, ნათესავი ათ-ოთხ-მეტ; და დავითისიდგან, ვიდრე ტყუენვადმდე ბაბილონისა ნათესავი ათ-ოთხ-მეტ; და ტყუენვიდგან ბაბილონისათ, ვიდრე ქრისტესადმდე, ნათესავი ათ-ოთხ-მეტ.

18. ხოლო იესო ქრისტეს შობა ესრეთ იყო: რამეთუ თხოვილ იყო: დედა მისი მარიამ იოსებისა და ვიდრე შერთვადმდე მათდა, იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა,

19. ხოლო იოსებ, ქმარი მარიამისი, მართალი იყო და არა უნდა განმხილება მისი, იზრახა ფარულად განტევება მისი.

თვისსა ცოდვათა მათთაგან; ყოველივე ერი, როგორც ღვთისგან გაჩენილი, ითვლება ღვთის ერად; ამიტომ აქ იგულისხმება მთელი კაცობრიობა და არა მარტო ერთი რომელიმე ერი. იესო იხსნის კაცობრიობას ცოდვათაგან, და არა საერო მთავრობის მორჩილებისაგან, როგორც ჰგონებდნენ ურიანი; აქ, სახარების დასაწყისშივე ნაჩვენებია აზრი ქრისტეს მომავლის სულიერის და არა საერო, ხორციელის მოქმედებისა.

22—23. რადგანაც მატთე მახარებელი სახარებას ურიათაგან მოქცეულთათვის სწერდა, ამიტომ როგორც მაცხოვრის დაბადებაში, ისე მისის ცხოვრების სხვა შემთხვევებშიც ის გვიჩვენებს ძველ აღთქმის წინასწარმეტყველებათა აღსრულებას. აქ აღსრულდა წინასწარმეტყველება ისაიასი: **ქალწული მიუდგეს და ჰშუეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ, რომელ არს თარგმანებით ჩუენთანაა ღმერთი.**

1. ხოლო იესოს შობასა ბეთლემს ურიასტანისასა, დღეთა ირودი მეფისათა, აჰა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალიმად და იტყოდეს:

2. სადა არს, რომელი იგი იშუა მეუფე ურიათა? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანისცემად მისსა.

3. ვითარცა ესმა ესე ირودი მეფესა, შეჰსძრწუნდა და ყოველი იერუსალიმი მისთანა.

II.

მოგვთა თაყვანისცემა (1—12). გახაზვნა აოსებისა და მარიამ ქალწულისა ერმაოურთ ეგვიპტეში (13—15) ირودის მაერ ურმათა გაწყვეტა ბეთლემში (16—18). დაბრუნება ეგვიპტიდან ნაზარეთში (19—23).

1. იესო ქრისტე იშვა ქალაქს ბეთლემში; ბეთლემი პატარა ქალაქია; მდებარეობს ურიასტანში, იერუსალიმიდან ათის ვერსის სიშორეზე. ქალაქის სამხრეთით არის ის გამოქვაბული, რომელშიც იშვა იესო მაცხოვარი; ეხლა იქ მონასტერია გაშენებული; იმ დროს ურიასტანში მეფობდა ირودი დიდი, ტომით იდუმელი. მაცხოვარი იშვა ამ ირودი დიდის მეფობის დასასრულში.

ბეთლემში შობილ იესოს თაყვანისაცემლად მოვიდნენ **მოგვნი** აღმოსავლეთიდან. საზოგადოდ მოგვნი იყვნენ სწავლული კაცები, სპარსეთში და ბაბილონში ისინი მეფეთა მრჩეველებად ითვლებოდნენ. სახარებაში მოხსენებული მოგვები იყვნენ ვარსკვლავთ მრიცხველნი, ვარსკვლავთ მსახურნი. მატთე არ იხსენებს არც მოგვთა სახელებს, არც იმას ამბობს აღმო-

24. განილვიძა იოსებ ძილისა მისგან, და ჰყო ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მას ანგელოზმან უფლისამან და წარიყვანა ცოლი თვისი.

25. და არა იცოდა იგი, ვიდრემდე ჰშუა ძე იგი მისი პირმშო, და უწოდა სახელი მისი იესო.

იესო ქრისტეს ძმებს (მატთ. 12, 46, 47; იოანე 2, 12; 7, 4, 5 და სხ.) იაკობს, იოსეს, სვიმონს და იუდას (მატთ. 13, 55; მარკ. 6, 3). მაგრამ, როგორც ბრძანებენ წმ. მამები, ეს ძმაც წოდებულნი იყვნენ შვილები იოსებისა პირველის ცოლისგან, ან მარიამ ქალწულის დისწულები, ე. ი. იესო ქრისტეს დეიდაშვილები.

20. და ვითარ იგი ამას განიზრახვიდა ოდენ, აჰა ანგელოზი უფლისა ჩვენებით გამოუჩნდა მას და ჰრქუა: იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინინ მიყუანებად მარიამ, ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი იგი მისგან იშუეს სულისაგან წმიდისა არს

21. ჰშუეს ძე და უწოდონ სახელი მისი იესო, რამეთუ მან იხსნას ერი თვისი ცოდვათა მათთგან.

22. ესე ყოველი იქმნა, რათა აღესრულოს სიტყვა იგი უფლისა პირითა წინასწარმეტყველისათა თქმული:

23. აჰა ქალწული მიუდგეს და ჰშუეს ძე, და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ, რომელ არს თარგმანებით: ჩუენთანაა ღმერთი.

ეს წარმოსთქვა წინასწარმეტყველმა 700 წლის წინად იესოს შობამდე, როდესაც ისრაილის და ასურეთის მეფეებს უნდოდათ დაემხოთ ურიათა სამეფო და მოესპოთ დავით მეფის ტომი. აქაზ, მეფე ურიათა დიდს შიშში იყო; მაშინ გამოეცხადა მას ისაია წინასწარმეტყველი, გაამხნევა და უთხრა, რომ მოწინააღმდეგენი ვერ სძლევდნენ მას და ვერ დაამხობდნენ დავით მეფის ტომს, რადგანაც ამ ტომიდან უნდა გამოსულიყო მესია და ამიტომ მისი მოსპობა შეუძლებელია.

24-25. ამ სასწაულებრივის შეგონების შემდეგ, მოხუცმა იოსებმა უდრტვინველად წარიყვანა ქალწული მარიამი და სცხოვრებდა მასთან, როგორც ძმა დასთან, ანუ, თუ მივიღებთ მხედველობაში დიდს გარჩევას მათს წლოვანობაში, როგორც მამა შვილთან.

სიტყვა **ვიდრემდე** აქ ნახმარია მნიშვნელობით — „არაოდეს“. ამ აზრით ეს სიტყვა ძალიან ხშირად იხმარება საღვთო წერილში (შექმნ. 8, 7; ოს. 71, 7 და სხვ.). იესოს აქ ეწოდება **ძე პირმშო**, პირველი შვილი. მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ მარიამს იესოს შემდეგაც ჰყავდა შვილები; რადგანაც **პირმშო** ებრაელებში ეწოდებოდა ხოლმე მხოლოდ შობილსაც, ე. ი. დედის-ერთა შვილსაც. სახარება იხსენიებს

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველთვიურ ჟურნალ

„განთიადზე“

(წელიწადი პირველი)

და ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორი-
ვესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავ
ლებლებს **ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა.** ო[illegible] გამო
ცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მ[illegible]

8 203
1913

ეა იროდ
ი დიდის

მოგვ
ლული
მრჩეველებად ითვ
იყვნენ ვარსკვლავ
არ იხსენებს არც მ